სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა (ACETT)

სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელო

სტატიების კრებული

2

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამას ახორციელებს ორგანიზაცია PH International-ი კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან პარტნიორობით.

პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

მოცემული კრებული მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრს და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

© CTC-ACETT

სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელო

სტატიების კრებული

რედაქტორ-შემდგენელი:
თამარ ბრეგვაძე

მთარგმნელთა ჯგუფი:
ნათია დათუაშვილი
შოთა კოსოვი
ნინო მარდალეიშვილი
ნინო ჭიაბრიშვილი

რედაქცია:
თეა გულუა
რიტა ბაინდურაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
შოთა კოსოვი

© CTC- ACETT

სახელმძღვანელო მომზადდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ძალისხმევის საფუძველზე. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრს და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

წინასიტყვაობა

ეს გამოცემა სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის შეიქმნა. იგი აერთიანებს მიმოხილვითი ხასიათის ტექსტებსა და თანამედროვე სახელმძღვანელოების ამონარიდებს სოციოლოგიაში, პოლიტოლოგიაში, ფილოსოფიასა და ეკონომიკაში, რომელთა დიდი უმრავლესობა სპეციალურად ამ კრებულისათვის ითარგმნა ქართულ ენაზე.

ამგვარი დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობა სამოქალაქო განათლების ინტერდისციპლინარულმა ხასიათმა განაპირობა. სამოქალაქო განათლება ახალი საგანია საქართველოს სკოლებში. ამ საგნის მასწავლებლის მომზადების კონცეფცია უმაღლესი განათლების სფეროში მხოლოდ ახლახან დაინერგა, ამიტომ მოქმედი მასწავლებლების დიდი ნაწილი სოციალური მეცნიერებების კუთხით ცოდნის გაღრმავების აუცილებლობას აღიარებს.

კრებულის შინაარსი მასწავლებლის სტანდარტს ეყრდნობა და მიზნად ისახავს, დაეხმაროს მასწავლებელს საჭირო კომპეტენციების განვითარებასა და სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მზადებაში.

ტექსტები სამ წიგნად გამოიცემა:

პირველი წიგნი მიმოიხილავს სოციალური მეცნიერებების საგანსა და ამოცანებს, მიკრო და მაკრო სოციალურ თეორიებს, გენდერის, რელიგიისა და კულტურის ცნებებს.

მეორე წიგნი შეიცავს ტექსტებს პოლიტიკის არსის, პოლიტიკური იდეოლოგიების ტიპოლოგიის, პოლიტიკური სისტემისა და პოლიტიკურ რეჟიმების შესახებ. ამ თავში, აგრეთვე, საუბარია დეცენტრალიზაციის, გლობალიზაციის, ნაციონალიზმის, მულტიკულტურალიზმის, თავისუფლებისა და დემოკრატიის ცნებებზე.

მესამე წიგნი აღწერს ეკონომიკის ძირითად პრინციპებს, ეკონომიკის ტიპებს, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს და სხვადასხვა ინსტიტუციების როლს ეკონომიკაში.

კრებულის თემების ჩამონათვალი თავად მასწავლებლებთან თანამშრომლობით ჩამოყალიბდა, ხოლო ტექსტები უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალის რეკომენდაციების საფუძველზე იქნა შერჩეული. გამოცემაზე მუშაობაში, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებმა და სფეროს ექსპერტებმა.

სკოლის, უნივერსიტეტებისა და სამინისტროს ეს ერთობლივი ინიციატივა ხაზს უსვამს სამოქალაქო განათლების მნიშვნელოვნებას ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

საქართველოში სამოქალაქო განათლების სწავლების ხანმოკლე გამოცდილება ცხადყოფს, თუ რამხელა ძალისხმევაა საჭირო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. სამოქალაქო განათლება ახლა იმკვიდრებს ადგილს სასწავლო გეგმაში, რაც მასწავლებლებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს – ისინი ახალი საგნის სწავლების ტრატეგიის განმხორციელებელნიც არიან და ამ სტრატეგიის შემქმნელნიც.

მუდმივად ცვალებად გარემოში და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პირობებში სამოქალაქო განათლების მასწავლებელს უნდა შეეძლოს ცოდნის სწრაფად განახლება და ამ ცოდნის მოსწავლეებისათვის ეფექტურად გადაცემა. იმედი გვაქვს, რომ მოცემული კრებული დაეხმარება მასწავლებლებს ამ რთული მისიის განხორციელებაში და ხელს შეუწყობს ახალი, შემოქმედებითი მიდგომებისა დანერგვას ახალგაზრდა თაობის სამოქალაქო აღზრდის საქმეში.

თამარ ბრეგვაძე
სამოქალაქო განათლების ექსპერტი
თბილისი, 2013

წიგნი მეორე

პოლიტიკა
და
პოლიტიკური
ფილოსოფია

რა არის პოლიტიკა? 9
პოლიტიკის განსაზღვრა 10
პოლიტიკა, როგორც მთავრობის ხელოვნება 11
პოლიტიკა და საზოგადოებრივი საქმეები 15
პოლიტიკა, როგორც კომპრომისი და კონსენსუსი 18
პოლიტიკა, როგორც ძალაუფლება 19
პოლიტიკის შესწავლა 22
მიდგომები პოლიტიკის შესწავლასთან დაკავშირებით 22
ფილოსოფიური ტრადიცია 22
ემპირიული ტრადიცია 23
მეცნიერული ტრადიცია 24
ბოლოდროინდელი განვითარებები 25
შეიძლება პოლიტიკის შესწავლა მეცნიერული იყოს? 27
კონცეფციები, მოდელები და თეორიები 29
შეჯამება 34
კითხვები დისკუსიისთვის: 35

შესავალი: როგორ გავიგოთ იდეოლოგია 37
იდეათა როლი 37
რა არის იდეოლოგია? 40
იდეოლოგიის ცნებები 41
იდეოლოგია, ჭეშმარიტება და ძალაუფლება 47
მემარცხენეობა, მემარჯვენეობა და ცენტრისტობა 51
პოლიტიკური იდეოლოგიები ოცდამეერთე საუკუნეში 54
ცვლადი მსოფლიო წესრიგი 54
პოსტმოდერნი 55
გლობალიზაცია 56

ძალაუფლება, მმართველობა და სოციალური მოძრაობები 59
მაქს ვებერის კლასიკური იდეები ძალაუფლებასა და მმართველობის შესახებ 59
პოლიტიკური სისტემის სახეები 60
ტოტალიტარიზმი 60
ავტორიტარიზმი 61
მონარქია 63
დემოკრატიები 63
პოლიტიკის გლობალიზაცია 66
გენდერი და ძალაუფლება 67
პოლიტიკური ორგანიზაცია ევროპაში 69
ევროკავშირი 69
სოციალური მოძრაობები და სოციალური ცვლილება 70
„ადამიანის უფლებათა რეჟიმების" გლობალიზაცია? 71
უფლებებთან დაკავშირებული მღელვარება 73

ერები და ნაციონალიზმი 77
რა არის ერი? 77
ერი როგორც პოლიტიკური გაერთიანება 80
ნაციონალიზმის სახესხვაობები 82
ლიბერალური ნაციონალიზმი 83
კონსერვატიული ნაციონალიზმი 86
ექსპანსიური ნაციონალიზმი 88
ანტიკოლონიალური ნაციონალიზმი 90

სუბნაციონალური პოლიტიკა 93
ცენტრალიზაცია თუ დეცენტრალიზაცია? 93
ურთიერთობები ცენტრსა და პერიფერიებს შორის 95
ფედერალური სისტემები 96
რატომ ფედერალიზმი? 97
ფედერალიზმის თავისებურებები 98
ფედერალიზმის შეფასება 99
ერთიანი სისტემები 101
ადგილობრივი მთავრობა 101
ხელისუფლების გადაცემა (დევოლუცია) 103

სიტყვა და საქმე 107

თავისუფლება და მთავრობის შეზღუდვები 113

მმართველობის ფორმები, სისტემები და რეჟიმები 125
კლასიფიკაციის ტრადიციული სისტემები 125
რა საჭიროა პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაცია? 126
კლასიკური ტიპოლოგიები 128
„სამი სამყაროს“ ტიპოლოგია 130
თანამედროვე მსოფლიოს რეჟიმები 133
დასავლური პოლიარქიები 136
ახალი დემოკრატიები 139
აღმოსავლურ-აზიური რეჟიმები 142
ისლამური რეჟიმები 144
სამხედრო რეჟიმები 145
შეჯამება 146
კითხვები განსასჯელად 147

სახელმწიფო 149
რა არის სახელმწიფო? 149
კონკურენტი თეორიები სახელმწიფოს შესახებ 152
პლურალისტური სახელმწიფო 153
კაპიტალისტური სახელმწიფო 156
ლევიათანი სახელმწიფო 159
პატრიარქალური სახელმწიფო 160
სახელმწიფოს როლი 162
მინიმალისტური სახელმწიფო 162
ევოლუციური სახელმწიფო 163
სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო 164
კოლექტივიზირებული სახელმწიფო 165
ტოტალიტარული სახელმწიფო 166
‘ფუღურო’ სახელმწიფო? 166
გლობალიზაცია 167
სახელმწიფოს სახეცვლილება 168
ქვესახელმწიფო ერთეულების მმართველობა 168
შეჯამება 169

ტერმინებისა და პიროვნებების საძიებელი 171

ენდრიუ ჰეივუდი

რა არის პოლიტიკა? *

„ადამიანი თავისი ბუნებით პოლიტიკური ცხოველია“
არისტოტელე – პოლიტიკა, 1

პოლიტიკა საინტერესოა, რადგან ხალხი არ ეთანხმება მას. ადამიანები ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ როგორ უნდა იცხოვრონ, ვის რა ეკუთვნის? როგორ უნდა გადანაწილდეს ძალაუფლება და სხვა რესურსები? თანამშრომლობაზე უნდა იყოს დაფუძნებული საზოგადოება თუ კონფლიქტზე? და ა.შ. ისინი ასევე ვერც იმაზე თანხმდებიან, თუ როგორ უნდა გადაიჭრას ეს საკითხები, როგორ უნდა მივიღოთ კოლექტიური გადაწყვეტილებები? ვის ეთქმის სიტყვა? რა დოზით უნდა ახდენდეს თითოეული ადამიანი ზეგავლენას რაიმეზე და ა.შ. არისტოტელესათვის ყველაფერმა ამან პოლიტიკა გადააქცია „მთავარ მეცნიერებად“: ეს სხვა არაფერია, თუ არა ის აქტივობა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ცდილობენ, გაიუმჯობესონ ცხოვრება და შექმნან კარგი საზოგადოება. გარდა ამ ყველაფრისა, პოლიტიკა სოციალურ აქტივობასაცაა. ის ყოველთვის დიალოგია და არასდროს მონოლოგი. სრულ სიმარტოვეში მოხვედრილმა ადამიანებმა, როგორიცაა, მაგალითად, რობინზონ კრუზო, შეიძლება შეძლონ განავითარონ მარტივი ეკონომიკა, შექმნან ხელოვნება და ა.შ., მაგრამ ისინი ვერ ჩაერთვებიან პოლიტიკაში. პოლიტიკა გამოვლინდება მხოლოდ კაცის (ან ქალის) – პარასკევას – გამოჩენით. თუმცა აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც საფუძველად უდევს პოლიტიკას, ასევე ვრცელდება საგნის არსზე და იმაზე, თუ როგორ უნდა იქნას იგი შესწავლილი. ადამიანებს საწინააღმდეგო აზრები აქვთ იმის შესახებაც, თუ რა აქცევს სოციალურ ინტერაქციას „პოლიტიკურად“ და როგორ შეიძლება, უკეთესად გააანალიზო და ახსნა პოლიტიკური აქტივობა.

ამ თავში განხილული ძირითადი საკითხებია:

საკვანძო საკითხები:

- რა არის პოლიტიკის, როგორც აქტივობის, განმსაზღვრელი მახასიათებლები?
- როგორ ესმოდათ პოლიტიკა სხვადასხვა მოაზროვნეებსა და ტრადიციების წამომადგენლებს?
- მხოლოდ ზოგიერთ თუ ყველა სოციალურ ორგანიზაციაში არსებობს პოლიტიკა?
- რა მიდგომებია ადაპტირებული პოლიტიკის, როგორც აკადემიური დისციპლინის, შესასწავლად?
- არის თუ არა პოლიტიკა მეცნიერული შესწავლის საგანი?
- რა როლს თამაშობენ კონცეფციები, მოდელები და თეორიები პოლიტიკურ ანალიზში?

---

* წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს პირველი თავის თარგმანს წიგნისა: „პოლიტიკა“, მესამე გამოცემა, 2007.

პოლიტიკის განსაზღვრა

პოლიტიკა ფართო გაგებით წარმოადგენს აქტივობას, რომლის მეშვეობითაც ხალხი ქმნის, ინარჩუნებს და აუმჯობესებს ძირითად წესებს, რომელთა შესაბამისადაც ისინი ცხოვრობენ. თუმცა, პოლიტიკა ასევე აკადემიური საგანია (ზოგჯერ „პოლიტიკის“ გამოყენებისას ის აღნიშნულია დიდი ასოთი P), რაც გასაგებს ხდის ამ აქტივობის შესწავლას. ამგვარად, პოლიტიკა მუდმივადაა დაკავშირებული **კონფლიქტის**[1] და **თანამშრომლობის**[2] ფენომენებთან. ერთის მხრივ, განსხვავებული მოსაზრებების, სხვადახვა სურვილების, ერთმანეთის საწინააღმდეგო მოთხოვნილებებისა და ერთმანეთს დაპირისპირებული ინტერესების არსებობა გარანტიას იძლევა, რომ იქნება უთანხმოება იმ წესებთან დაკავშირებით, რომელთა შესაბამისად ცხოვრობს ხალხი. მეორეს მხრივ, ხალხი აღიარებს, რომ ამ წესებზე გავლენის მოხდენის მიზნით ან იმის საგარანტიოდ, რომ მათ დაიცავენ, უნდა ითანამშრომლონ სხვებთან. ჰანა არენდტის თანახმად, პოლიტიკური ძალაუფლება განისაზღვრება როგორც „კონცერტზე გამოსვლა“. ამიტომაც პოლიტიკის მთავარი არსი ხშირად გამოხატულია, როგორც კონფლიქტის გადაჭრა, რომელშიც ერთმანეთთან არის შეთავსებული განსხვავებული მოსაზრებები ან სხვადასხვა სურვილები. თუმცა, ფართო გაგებით, პოლიტიკაზე ფიქრისას, კონფლიქტის გადაჭრის გზის პოვნას განიხილავენ როგორც წარმატებას, რადგან ყველა კონფლიქტის გადაჭრა შეუძლებელია.

თუმცა მრავალფეროვნების (ჩვენ ყველანი არ ვგავართ ერთმანეთს) და დეფიციტის (არასდროს არ არის საკმარისი რესურსები) გარდაუვალი არსებობა გარანტიას იძლევა, რომ პოლიტიკა არის ადამიანის არსებობის აუცილებელი ატრიბუტი.

ამასთან, „პოლიტიკის“ მნიშვნელობის ახსნის ნებისმიერი მცდელობა მიმართული უნდა იყოს ორ მთავარ პრობლემაზე: პირველია მრავალი ასოციაცია, თუ როდის გამოიყენება ეს სიტყვა ყოველდღიურ ენაში; სხვა სიტყვებით, პოლიტიკა არის „დატვირთული“ ტერმინი. იმის გათვალისწინებით, რომ ხალხის უმეტესობა, ვთქვათ, ეკონომიკას, გეოგრაფიას, ისტორიას და ბიოლოგიას მოიაზრებს უბრალოდ, როგორც აკადემიურ საგნებს, ხალხის უფრო ნაკლები რაოდენობა ფიქრობს პოლიტიკაზე წინასწარ ჩამოყალიბებული ცუდი აზრების გარეშე. მაგალითად, ბევრი ავტომატურად უშვებს იმ აზრს, რომ სტუდენტები და პოლიტიკური მეცნიერებების მასწავლებლები გარკვეულწილად ტენდენციურები უნდა იყვნენ. მათ უძნელდებათ დაიჯერონ, რომ საგანს შეიძლება მიუდგე მიუკერძოებლად და მშვიდად. სიტუაცია რომ გავართულოთ, პოლიტიკას ჩვეულებრივ მოიაზრებენ როგორც „ჭუჭყიან“ სიტყვას:

ერთის მხრივ, ის იწვევს პრობლემებს, განხეთქილებებს და ძალადობასაც კი, მეორეს მხრივ – სიეშმაკეს, მანიპულაციას და ტყუილებს. მსგავს ასოციაციებთან დაკავშირებით ახალს ვერაფერს ვიტყვით.

უკვე 1775 წელს სამუელ ჯონსონმა პოლიტიკა უარყო როგორც „სხვა არაფერი, გარდა მსოფლიოში წარმატების მიღწევის საშუალება“; მე-19 საუკუნეში ამერიკელმა ისტორიკოსმა ჰენრი ადამსმა პოლიტიკის განსაზღვრება შეაჯამა, როგორც „სიძულვილის სისტემატური ორგანიზაცია“. ამიტომ პოლიტიკის დეფინიციის ნებისმიერ მცდელობას მოჰყვება ტერმინის ამ ასოციაციებისგან განთავისუფლების მცდელობა. ბუნებრივია, ეს იყო მცდელობა, დაეხსნა ტერმინი მისი არასასიამოვნო რეპუტაციისგან იმ მოსაზრების დანერგვის გზით, რომ პოლიტიკა არის ღირებული, ქების ღირსი აქტივობა.

---

1 კონფლიქტი: შეჯიბრი დაპირისპირებულ ძალებს შორის, რომელიც ასახავს აზრების, უპირატესობის მინიჭების, მოთხოვნილებებისა თუ ინტერესების მრავალფეროვნებას.

2 თანამშრომლობა: ერთად მუშაობა; მიზნების მიღწევა კოლექტიური მოქმედების მეშვეობით.

მეორე, უფრო სერიოზული პრობლემა ისაა, რომ თვით პატივცემული ხელისუფალები ვერ თანხმდებიან, თუ რის შესახებაა საგანი. პოლიტიკა მუდამ განსხვავებულადაა განმარტებული: როგორც ძალაუფლების გამოყენება, უფლებამოსილების განხორციელება, კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება, არასაკმარისი რესურსების განაწილება, ტყუილისა და მანიპულაციის პრაქტიკა და ა.შ. ამ ტექსტში ვითარდება დეფინიციის კარგი მახასიათებლები (თვისებები). „ძირითადი სოციალური წესების შექმნა, დაცვა და შესწორება" წარმოადგენს საკმარისად ფართო ახსნას, რომ მოიცვას უმეტესი, თუ არა ყველა განსხვავებული დეფინიცია. თუმცა, პრობლემები წარმოიქმნება, თუ დეფინიცია გახსნილია, ან მნიშვნელობა დახვეწილია. მაგალითად, ეხება „პოლიტიკა" მხოლოდ განსაკუთრებულ გზას, რომლის მეშვეობითაც ქმნიან, იცავენ და ასწორებენ წესებს (ანუ მშვიდობიანად, დებატების გზით) თუ ყველა მსგავს პროცესს? ამის მსგავსად, ხდება პოლიტიკის განხორციელება ყველა სოციალურ კონტექსტსა და ორგანიზაციაში, თუ მხოლოდ ზოგიერთში (ან მთავრობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში)?

ამ გადასახედიდან, პოლიტიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც „არსებითად სადაო" კონცეფცია იმ თვალსაზრისით, რომ ტერმინს აქვს მთელი რიგი მისაღები ან კანონიერი მნიშვნელობები. მეორეს მხრივ, ეს განსხვავებული მოსაზრებები შეიძლება შედგებოდეს იგივე შეხედულებებისგან, საჭიროების შემთხვევაში, ბუნდოვანი, განსხვავებული კონცეფციით. უპრიანია, გამოვიკვლიოთ, გვაქვს თუ არა საქმე განსხვავებულ შეხედულებებთან ან ალტერნატიულ კონცეფციებთან, დებატებთან იმის შესახებ, თუ „რა არის პოლიტიკა", რადგან ეს გამოავლენს ზოგიერთ ღრმად ინტელექტუალურ და იდეოლოგიურ უთანხმოებებს ამ საგნის აკადემიურ სწავლებაში.

წინამდებარე ნაშრომში პოლიტიკის შესახებ განხილული განსხვავებული მოსაზრებები შემდეგნაირია:

- პოლიტიკა, როგორც მთავრობის ხელოვნება;
- პოლიტიკა, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობა;
- პოლიტიკა, როგორც კომპრომისი და კონსენსუსი;
- პოლიტიკა, როგორც ძალაუფლება და რესურსების განაწილება.

პოლიტიკა, როგორც მთავრობის ხელოვნება

„პოლიტიკა არ არის მეცნიერება. . . ის ხელოვნებაა", თქვა კანცლერმა ბისმარკმა, სავარაუდოდ, გერმანიის რაიხსთაგის წინაშე. ხელოვნება, რომელსაც ბისმარკი გულისხმობდა, წარმოადგენდა მთავრობის ოსტატობას, კონტროლი მოეხდინა საზოგადოების ფარგლებში კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების გზით. შეიძლება ეს არის პოლიტიკის კლასიკური დეფინიცია, რომელიც განვითარდა ამ ტერმინის თავდაპირველი მნიშვნელობიდან ანტიკურ საბერძნეთში.

სიტყვა „პოლიტიკა" მომდინარეობს **polis**[3]–დან, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ქალაქ-სახელმწიფოს. ანტიკური საბერძნეთი დაყოფილი იყო დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებად, თითოეულ მათგანს საკუთარი მმართველობის სისტემა ჰქონდა.

3 Polis: (ბერძნული) ქალაქი-სახელმწიფო; კლასიკური გაგებით გულისხმობდა სოციალური ორგანიზაციის უმაღლეს ან ყველაზე სასურველ ფორმას.

ამ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის ყველაზე დიდი და გავლენიანი ათენი იყო, რომელსაც ხშირად უწოდებდნენ დემოკრატიული მთავრობის აკვანს. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკა შეგვიძლია გავიგოთ *პოლის* -ს საქმეებთან დაკავშირებული „რაც *პოლის* -ს ეხება“. ამიტომ ამ დეფინიციის თანამედროვე ფორმაა „რაც შეეხება სახელმწიფოს“. წარმოდგენა პოლიტიკაზე აშკარად ნათელია ტერმინის ყოველდღიურ გამოყენებაში: ადამიანებზე ამბობენ, რომ ისინი „პოლიტიკაში“ არიან, როდესაც მათ უკავიათ მმართველი პოსტები, ან ამბობენ, რომ „შედიან პოლიტიკაში“, როდესაც ისინი მიილტვიან მისკენ. ეს აგრეთვე წარმოადგენს დეფინიციას, რომლის სამუდამოდ დაწესებას აკადემიურმა პოლიტიკურმა მეცნიერებამ შეუწყო ხელი.

ბევრი თვალსაზრისით, შეხედულება, რომ პოლიტიკა ნიშნავს „რაც სახელმწიფოს შეეხება“, წარმოადგენს დისციპლინაზე ტრადიციულ შეხედულებას, რაც ასახულია აკადემიური სწავლების ტენდენციაში – ფოკუსირება მოახდინოს მთავრობის პერსონალსა და აპარატზე. პოლიტიკის შესწავლა თავისი არსით მმართველობის ფორმის შესწავლაა, ან უფრო ფართო გაგებით, უფლებამოსილებების განხორციელებაა. ეს შეხედულება განვითარებულია გავლენიანი ამერიკელი პოლიტოლოგის დევიდ ისტონის ნაშრომებში (1979, 1981), რომლებშიც პოლიტიკა განსაზღვრულია, როგორც „ღირებულებების ავტორიტეტული გადანაწილება“. ამით ის გულისხმობდა, რომ პოლიტიკა მოიცავს განსხვავებულ პროცესებს, რომელთა მეშვეობითაც მთავრობა პასუხობს ზეწოლას უფრო დიდი საზოგადოებიდან, განსაკუთრებით პრივილეგიების, ჯილდოების ან ჯარიმების ასიგნაციის გზით. მაშასადამე, „ავტორიტეტული ღირებულებები“ საზოგადოებაში ფართოდაა მიღებული და მოქალაქეები მასობრივად არიან ამასთან დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკური მრწამსი ასოცირებულია „პოლიტიკასთან“, ანუ ფორმალურად ავტორიტეტულ გადაწყვეტილებებთან, რომლებიც ქმნიან სამოქმედო გეგმას საზოგადოებისთვის.

ხელისუფლება

ხელისუფლების ყველაზე მარტივი ახსნაა „კანონიერი ძალაუფლება“. მაშინ, როდესაც ძალაუფლება არის შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს სხვების ქცევაზე, ხელისუფლება წარმოადგენს ამის გაკეთების უფლებას. ამიტომ ხელისუფლება დაფუძნებულია ავტორიტარულ მოვალეობაზე, დაიმორჩილოს იძულებისა ან მანიპულაციის ნებისმიერ ფორმით. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლება არის კანონიერებასა ან მართლზომიერებაში შეფუთული ძალაუფლება. ვებერი განასხვავებდა ხელისუფლების სამ ტიპს. ისინი ეყრდნობოდნენ განსხვავებულ საფუძვლებს, რომელთა მიხედვითაც შეიძლება იყო დაქვემდებარებული: *ტრადიციული* ხელისუფლება ფესვებგადგმულია ისტორიაში; *ქარიზმატული* ხელისუფლება წარმოიქმნება პიროვნებისაგან და ლეგალურ-რაციონალური ხელისუფლება დასაბუთებულია ობიექტური ნორმებით.

თუმცა ამ დეფინიციაში საკვირველი ის არის, რომ იგი პოლიტიკაზე ძალიან შეზღუდულ წარმოდგენას გვთავაზობს. პოლიტიკა არის ის, რაც ხდება **სახელმწიფოს**[4], სოციალური ორგანიზაციის სისტემის ფარგლებში და რაც კონცენტრირებულია მთავრობის აპარატზე. ამდენად, პოლიტიკა ხორციელდება კაბინეტებში, საკანონმდებლო პალატებში, მთავრობის დეპარტამენტებში და ა.შ. მასში ჩართულია ხალხის ლიმიტირებული და სპეციფიური ჯგუფი, განსაკუთრებით პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოსამსახურეები და ლობისტები. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხის, საზოგადოებებისა და სოციალური აქტივობების უმეტესობა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც პოლიტიკის „გარეთ“ მყოფი. ბიზნესი, სკოლები და სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ჯგუფები, ოჯახები და ა.შ., ამ თვალსაზრისით, „აპოლიტიკურია“, რადგან ისინი არ არიან ჩართულნი „ქვეყნის მართვაში“.

4 სახელმწიფო: საზოგადოება, რომელიც ორგანიზებულია პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების გზით; არისტოტელესათვის – ბევრი ადამიანის მართვა ყველას ინტერესების სასარგებლოდ.

ნიკოლო მაკიაველი (1469-1527)

იტალიელი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი. სამოქალაქო ადვოკატის შვილი, მაკიაველი ცხოვრობდა პოლიტიკურად არასტაბილურ ფლორენციაში, სადაც მიიღო ცოდნა საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. ის მსახურობდა მეორე კანცლერად (1498-1512) და მისიებით იმყოფებოდა საფრანგეთში, გერმანიასა და მთელს იტალიაში. მოკლევადიანიპატიმრობისა და მედიჩების მმართველობის აღდგენის შემდეგ, მაკიაველი ლიტერატურულ მოღვაწეობას შეუდგა. მისი ძირითადი ნაწარმოები „მთავარი“, რომელიც 1531 წელს გამოიცა, ძირითადად, ეფუძნება მის პირად დაკვირვებებს ცეზარე ბორჯიას სახელმწიფოს მართვის უნარსა და პოლიტიკურ ძალაუფლებაზე, რომელიც იმ პერიოდში დომინირებდა. ის სახელმძღვანელოს სახით დაიწერა გაერთიანებული იტალიის მომავალი პრინ-ცისთვის. ზედსართავი სახელი „მაკიაველური“ შემდეგში აღნიშნავდა „ცბიერებას და ორპირობას“.

იმავდროულად, პოლიტიკის, როგორც არსებითად სახელმწიფოს მიერ მართული აქტი-ვობის, აღსაწერად უნდა უგულებელვყოთ მზარდი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ან გლობალური გავლენები თანამედროვე ცხოვრებაზე, როგორიცაა ტრანსნაციონალური ტექნოლოგიისა და მულტინაციონალური კორპორაციების გავლენები. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკის ეს დეფინიცია არის იმ დღეების გადმონაშთი, როდესაც ერთი ეროვნების ხალხით დასახლებული დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეგვიძლია განვიხილოთ, რო-გორც დამოუკიდებელი აქტიორი მსოფლიოს საქმეებში. გარდა ამისა, უფრო და უფრო მეტ აღიარებას იმსახურებს ის საკითხი, რომ კომპლექსური საზოგადოებების მართვა აღარ უნდა იყოს მხოლოდ, მთავრობის საქმე და მასში ჩართული უნდა იქნას საჯარო და კერძო სექტორის უფრო ფართო სპექტრი. ეს აირეკლა იმ იდეაში, რომ მთავრობა შეიცვალა „მართვით“.

თუმცა ეს დეფინიცია შეიძლება კიდევ უფრო შემჭიდროვდეს. ეს აშკარად ჩანს ტენდენცი-აში, პოლიტიკა განიხილონ პარტიული პოლიტიკის ექვივალენტურად.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „პოლიტიკური“ სფერო შეზღუდულია იმ სახელმწიფო აქტი-ორებზე, რომლებიც შეგნებულად არიან მოტივირებულნი იდეოლოგიური შეხედულებებით

მართვა

მართვა მთავრობაზე უფრო ფართო მცნებაა. თუმცა მას ჯერ არა აქვს დამკვიდრებული ან შეთანხმებული დეფინიცია. ის, მისი ყველაზე ფართო თვალსაზრისით, შეეხება სხვადასხვა გზებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება სოციალური ცხოვრების კოორდინირება. ამიტომ მთავრობა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მართვაში ჩართული ერთ-ერთი ინსტიტუცია. შესაძლებელია არსებობდეს „მართვა მთავრობის გარეშე„ (როდესი, 1996). მართვის ძირითადი მეთოდებია ბაზ-რები, იერარქიები და ქსელები. ტერმინის უფრო ფართო გამოყენება ასახავს სახელმწიფო/საზო-გადოების განსხვავებაში საზღვრის წაშლას, რაც გამომდინარეობს ცვლილებებიდან, როგორიცაა: საზოგადოებრივი მმართველობის ახალი ფორმების განვითარება, საჯარო-კერძო პარტნიორობის ზრდა, პოლიტიკური ქსელების მზარდი მნიშვნელობა და სუპრანაციონალური და სუბნაციონალური ორგანიზაციების დიდი გავლენა („მრავალშრიანი მართვა“).

მაშინ, როცა ზოგიერთი მართვას უკავშირებს ბრძანებისა და კონტროლის მექანიზმის კონსულ-ტაციისა და მოლაპარაკებების წარმოებით შეცვლას, სხვები ასაბუთებენ, რომ ეს ნიშნავს „ნაკლებ მართვას„ და თავისუფალ ბაზარს.

არისტოტელე (ძველი წელთაღრიცხვით 384-322)

ბერძენი ფილოსოფოსი. არისტოტელე იყო პლატონის მოსწავლე და ახალგაზრდა ალექსანდრე დიდის აღმზრდელი. ძველი წელთაღრიცხვით 335 წელს მან შექმნა საკუთარი ფილოსოფიის სკოლა ათენში, რომელსაც ეწოდა „პერიპათეტიკური სკოლა“. ეს დაკავშირებულია მის მიდრეკილებასთან საუბრის დროს წინ და უკან სიარულში. მისი 22 შემორჩენილი ტრაქტატი, რომლებიც თავმოყრილია ლექციებზე ჩანაწერებიდან, მოიცავენ ლოგიკას, ფიზიკას, მეტაფიზიკას, ასტრონომიას, მეტეოროლოგიას, ბიოლოგიას, ეთიკას და პოლიტიკას. შუა საუკუნეებში არისტოტელეს ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარა ისლამურ ფილოსოფიას, მოგვიანებით კი ჩართულ იქნა ქრისტიანულ თეოლოგიაში. მისი ყველაზე ცნობილი პოლიტიკური ნაშრომია პოლიტიკა – კვლევა იდეალური კონსტიტუციის შესახებ.

და რომლებიც ისწრაფვიან, განავითარონ ისინი ფორმალურ ორგანიზაციაში, კერძოდ პოლიტიკურ პარტიაში წევრობის მეშვეობით.

ამ მოსაზრების მიხედვითაც პოლიტიკოსებს აღწერენ როგორც „პოლიტიკურს“ მაშინ, როცა სახელმწიფო მოხელეებს განიხილავენ როგორც „აპოლიტიკურს“, რა თქმა უნდა, მანამ, სანამ ისინი მოქმედებენ ნეიტრალურად და პროფესიონალურად. მსგავსად, მოსამართლეებს განიხილავენ „აპოლიტიკურ“ ფიგურებად იმ დროს, როცა ისინი კანონს განმარტავენ მიუკერძოებლად და არსებულ მტკიცებულებებთან შესაბამისობაში. მაგრამ მათ შეიძლება დასწამონ „პოლიტიკურობა“, თუ მათ მიერ გამოტანილ განაჩენზე გავლენას ახდენს პიროვნულად ვინმესთვის უპირატესობის მინიჭება ან წინასწარ შექმნილი აზრის რაიმე სხვა ფორმა.

პოლიტიკასა და სახელმწიფო საქმეებს შორის კავშირი ასევე გვეხმარება ავხსნათ, თუ რატომ უკავშირდება პოლიტიკას ხშირად უარყოფითი და დამამცირებელი იმიჯები. ამის მიზეზი, პოპულარულ ენაზე რომ ვთქვათ, ის არის, რომ იგი ხშირად ასოცირებულია პოლიტიკოსების საქმიანობასთან. პოლიტიკოსებს ხშირად აღიქვამენ, როგორც ძალაუფლების მაძიებელ ფარისევლებს, რომლებიც პირად ამბიციებს მალავენ საჯარო სამსახურისა და იდეოლოგიური მრწამსის უკან. მართლაც, ეს აღქმა უფრო გავრცელდა თანამედროვე პერიოდში, როცა მედიის ინტენსიურმა გახსნილობამ დღის შუქზე გამოიტანა კორუფციისა და არაკეთილსინდისიერების მაგალითები და საფუძველი ჩაუყარა **ანტიპოლიტიკის**[5] ფენომენს. კონვენციონალური პოლიტიკური ცხოვრების პერსონალისა და აპარატის მიუღებლობას ფესვები აქვს გადგმული პოლიტიკაზე, როგორც საკუთარ თავზე ორიენტირებული, ორპირი და უპრინციპო აქტივობის შეხედულებაში. ეს ნათლად ჩანს ისეთ დამამცირებელ ფრაზებში, როგორიცაა „ოფისის პოლიტიკა“ და „პოლიტიკანობა“. პოლიტიკის ამგვარ იმიჯს ზოგჯერ უკავშირებენ ნიკოლო მაკიაველის ნაწარმოებებს, რომელიც *„მთავარში“* ([1531] 1961) ავითარებს მკაცრად რეალისტურ აღწერას და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ პოლიტიკური ლიდერები მიმართავენ ცბიერებას, სისასტიკეს და მანიპულაციას.

პოლიტიკაზე ამგვარი უარყოფითი შეხედულება ასახავს არსებითად ლიბერალურ აღქმას იმისა, რომ ინდივიდები საკუთარ თავზე ორიენტირებულები არიან, პოლიტიკური ძალაუფლება კორუმპირებულია, რადგან ის ხელს უწყობს „ძალაუფლების მქონე“ პირებს პი-

5 ანტიპოლიტიკა: იმედის გაცრუება ფორმალური და ოფიციალური პოლიტიკური პროცესების გამო, რაც გამოიხატება პოლიტიკაში არმონაწილეობით, სისტემის მოწინააღმდეგე პარტიების მხარდაჭერით ან პირდაპირი მოქმედებით.

როვნული გამორჩენის მიზნით და სხვების ხარჯზე გამოიყენონ თავიანთი პოზიცია. ეს შესანიშნავადაა გამოხატული ლორდ აქტონის (1834-1902) აფორიზმში: „ძალაუფლება ხრწნის, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება – ხრწნის აბსოლუტურად“. თუმცა იმ ადამიანებიდან, რომლებიც პოლიტიკას ასე აღიქვამენ, მხოლოდ ცოტას ეპარება ეჭვი, რომ პოლიტიკური აქტივობა სოციალური არსებობის გარდაუვალი და მუდმივი ატრიბუტია. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება იყვნენ მექრთამე პოლიტიკოსები, უნდა ვაღიაროთ (თუნდაც ეს არ გვსიამოვნებდეს), რომ ისინი ყოველთვის ჩვენს გვერდით არიან. გარკვეული მექანიზმის გარეშე რომ მოვახდინოთ ავტორიტეტული ღირებულებების ასიგნაცია, საზოგადოება, უბრალოდ, სამოქალაქო ომში ჩაებმებოდა ყველაფრის წინააღმდეგ, როგორც ამას ასაბუთებდნენ სოციალური კონტრაქტის ადრინდელი თეორეტიკოსები. ამდენად, ამოცანა მდგომარეობს არა იმაში, რომ მოისპონ პოლიტიკოსები და დასრულდეს პოლიტიკა, არამედ იმის გარანტირებაში, რომ პოლიტიკა ხორციელდებოდეს შემოწმებებისა და შეზღუდვების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ხელისუფლება ძალაუფლებას ბოროტად არ გამოიყენებს.

ძალაუფლება

მისი ყველაზე ფართო გაგებით, ძალაუფლება არის უნარი მიაღწიო სასურველ შედეგს და ეს ზოგჯერ „ძალაუფლების“ თვალსაზრისით მიმართულია რაღაცის კეთებისკენ. მოიცავს ყველაფერს, დაწყებული უნარიდან – შეინარჩუნოს სიცოცხლე და დამთავრებული მთავრობის უნარით – გააუმჯობესოს ეკონომიკური წინსვლა. თუმცა, პოლიტიკაში ძალაუფლება, ჩვეულებრივ, მოიაზრება, როგორც ურთიერთობა. ეს არის უნარი, გავლენა მოახდინო სხვების ქცევაზე იმგვარი მოქმედებით, რაც მათ არჩევანს არ შეესაბამება. ის მიმართულია იქითკენ, რომ ჰქონდეს „ძალაუფლება ხალხზე“. უფრო ვიწროდ რომ შევხედოთ, ძალაუფლება შეიძლება ასოცირდებოდეს უნართან – დასაჯოს ან დააჯილდოვოს. ეს უახლოვდება ძალას ან მანიპულაციას, „გავლენისაგან“ განსხვავებით, რომელიც ასევე მოიცავს რაციონალურ დარწმუნებას.

პოლიტიკა და საზოგადოებრივი საქმეები

პოლიტიკის მეორე და უფრო ფართო კონცეფცია სცილდება მთავრობის ვიწრო არეალს და მოიაზრება, როგორც „საზოგადოებრივი ცხოვრება“ ან „საზოგადოებრივი ურთიერთობები“ (1979, 1981). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განსხვავება „პოლიტიკურსა“ და „აპოლიტიკურს“ შორის ემთხვევა დაყოფას ცხოვრების საზოგადოებრივ სფეროდ და იმად, რაც შეიძლება მოვიაზროთ „კერძო“ სფეროდ. პოლიტიკაზე ამგვარი შეხედულება ხშირად უკავშირდება განთქმული ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს ნაშრომებს. არისტოტელემ თავის ნაშრომში „პოლიტიკა“ განაცხადა, რომ „ადამიანი თავისი ბუნებით პოლიტიკური ცხოველია“, რითაც გულისხმობდა, რომ ადამიანს მხოლოდ პოლიტიკური საზოგადოების შიგნით შეუძლია იცხოვროს „კარგი ცხოვრებით“. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკა წარმოადგენს ეთნიკურ აქტივობას, რომელიც ეხება „სამართლიანი“ საზოგადოების შექმნას. ამას უწოდებდა არისტოტელე „მთავარ მეცნიერებას“. თუმცა, სად უნდა გაივლოს ზღვარი „საზოგადოებრივ“ ცხოვრებასა და „კერძო“ ცხოვრებას შორის? საზოგადოებრივ სფეროსა და კერძო სფეროს შორის ტრადიციული განსხვავება შეესატყვისება სახელმწიფოდ და სამოქალაქო საზოგადოებად დაყოფას. სახელმწიფოს ინსტიტუციები (მთავრობის აპარატები, სასამართლოები, პოლიცია, ჯარი, სოციალურ-უსაფრთხოების სისტემა და ა.შ.) შეგვიძლია განვიხილოთ როგორც „საზოგადოებრივი“, ვინაიდან ისინი პასუხისმგებელნი არიან საზოგადოებრივი ცხოვრების კოლექტიურ ორგანიზაციაზე. გარდა ამისა, ისინი ფინანსდებიან საზოგადოების ხარჯზე, გადასახადებიდან. ამისგან განსხვავებით, სამოქალაქო საზოგადოება შედგება „პატარა ოცეულებისგან“, როგორც მას ედმუნდ ბურკემ უწოდა, ე.ი. ინსტიტუციებისგან, როგორიცაა ოჯახი და ნათესაური ჯგუფები, კერძო ბიზნესი, სავაჭრო კავშირები, კლუბები, საზოგადოებრივი ჯგუფები და ა.შ. ისინი წარმოადგენენ „კერძოს“ იმ თვალსაზრისით, რომ შექმნილნი არიან ინდივიდუალური მოქალაქეებისგან, რათა დაიკმაყოფილონ უფრო საკუთარი ინტერესები, ვიდრე შედარებით დიდი საზოგა-

სამოქალაქო საზოგადოება

ტერმინი სამოქალაქო საზოგადოება სხვადასხვანაირადაა განსაზღვრული. თავდაპირველად ის ნიშნავდა „პოლიტიკურ საზოგადოებას“, საზოგადოებას, რომელსაც მართავდა კანონი, სახელმწიფოს ხელისუფლება. როგორც წესი, ის განსხვავებულია სახელმწიფოსგან და ტერმინი გამოიყენება „კერძო“ ინსტიტუციების აღსაწერად, რომლებიც დამოუკიდებელი არიან მთავრობაზე და ორგანიზებულნი არიან ინდივიდების მიერ საკუთარი მიზნების ძიებაში. ამიტომ „სამოქალაქო საზოგადოება“ ეხება ავტონომიური ჯგუფებისა და ასოციაციების სფეროს: ბიზნესებს, ინტერესთა ჯგუფებს, კლუბებს, ოჯახებსა და ა.შ. თუმცა, ჰეგელი ანსხვავებდა ოჯახსა და სამოქალაქო საზოგადოებას და უკანასკნელს განიხილავდა, როგორც ეგოიზმისა და თავკერძობის სფეროს.

დოების ინტერესები. „საზოგადოებრივად/კერძოდ“ დაყოფის საფუძველზე პოლიტიკა შეზღუდულია თვითონ სახელმწიფოს აქტივობებით და იმ პასუხისმგებლობებით, რომლებსაც შესაბამისად ახორციელებენ საზოგადოებრივი ორგანოები. ცხოვრების ის სფეროები, რომლებშიც ინდივიდებს შეუძლიათ იმოღვაწეონ დამოუკიდებლად, (ეკონომიკური, სოციალური, ოჯახური, პირადი, კულტურული და მხატვრული სფეროები და ა.შ.), აშკარად „აპოლიტიკურია“.

„საზოგადოებრივად/კერძოდ“ ალტერნატიული გაყოფა ზოგჯერ მოითხოვს უფრო ზუსტ დაყოფას „პოლიტიკურად“ და „პირადულად“ (იხილე ცხრილი 1.) თუმცა სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება განვასხვავოთ სახელმწიფოსგან. მიუხედავად ამისა, ის მოიცავს მთელ რიგ ინსტიტუციებს, რომლებიც საჯაროდ მოქმედებენ და რომლებიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იმპლიკაციაა ის ფაქტი, რომ იგი აფართოებს ჩვენს წარმოდგენას პოლიტიკის შესახებ, განსაკუთრებით კი, ეკონომიკა გადააქვს კერძოდან საზოგადოებრივ სფეროში. ამდენად, პოლიტიკის გარკვეული ფორმის პოვნა შესაძლებელია სამუშაო ადგილზე. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს თვალსაზრისი ბიზნეს ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ ჯგუფებს, კლუბებს და სავაჭრო კავშირებს აღიქვამს, როგორც „საჯაროს“, ეს მაინც შეზღუდული წარმოდგენაა პოლიტიკაზე. ამ პერსპექტივის მიხედვით, პოლიტიკა არ უნდა ჩაერიოს „კერძო“ საქმეებში და ორგანიზაციებში.

განსაკუთრებით ფემინისტმა მოაზროვნეებმა მიუთითეს, რომ ეფექტურია, პოლიტიკა გაჩერდეს კარის წინ. მას არა აქვს საქმე ოჯახში, ოჯახურ ცხოვრებაში, ან პიროვნულ ურთიერთობებში. პოლიტიკოსების ამ წარმოდგენას ასახავს ტენდენცია, ნათლად გაიმიჯნოს მათი პროფესიული მოქმედება და პირადი ოჯახური ქცევა. ვთქვათ, ისინი ატყუებენ თავიანთ პარტნიორებს ან ცუდად ექცევიან საკუთარ შვილებს, მათ შეუძლიათ, უარყონ ამ საქციელის პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან ეს არ ეხება მათ მოქმედებას საზოგადოებრივ საქმეებთან მიმართებაში.

ცხრილი 1. საჯაროდ/კერძოდ დაყოფის შესახებ ორი შეხედულება

საზოგადოებრივი	**კერძო**
სახელმწიფო მთავრობის აპარატი	სამოქალაქო საზოგადოება ავტონომიური ორგანოები: ბიზნესები, სავაჭრო კავშირები, კლუბები, ოჯახები და ა.შ.
საზოგადოებრივი	**კერძო**
საზოგადოებრივი სფერო: პოლიტიკა, კომერცია, სამსახური, ხელოვნება, კულტურა და ა.შ.	პირადული სფერო: ოჯახი და ოჯახური ცხოვრება

პოლიტიკაზე, როგორც მნიშვნელოვან „საზოგადოებრივ“ აქტივობაზე წარმოდგენამ შექმნა მისი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი იმიჯი. არისტოტელეს პერიოდის ტრადიციაში პოლიტიკა ზუსტად მისი „საზოგადოებრივი“ ხასიათის გამო აღიქმებოდა, როგორც კეთილშობილური და საქმეში ჩახედული აქტივობა. ამ პოზიციას მტკიცედ იზიარებს **ჰანა არენდტი, რომელიც თავის ნაშრომში „ადამიანის არსებობის პირობები“ (1958)** ამტკიცებდა, რომ პოლიტიკა წარმოადგენს ადამიანის აქტივობის ყველაზე მნიშვნელოვან ფორმას, რადგან ის მოიცავს ინტერაქციას თავისუფალ და თანასწორ მოქალაქეებს შორის. ამდენად, ეს ანიჭებს აზრს ცხოვრებას და ამტკიცებს ყოველი ინდივიდის უნიკალურობას. თეორეტიკოსები, როგორებიცაა ჟან-ჟაკ რუსო და ჯონ სტუარტ მილი (პოლიტიკური მონაწილეობას განიხილავდნენ, როგორც დადებით ფაქტს) იგივე დასკვნამდე მივიდნენ. რუსო ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ყველა მოქალაქის პირდაპირ და მუდმივ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში შეუძლია სახელმწიფო დააკავშიროს საერთო კეთილდღეობასთან, რასაც მან უწოდა „საერთო სურვილი“. მილის აზრით, „საზოგადოებრივ“ ურთიერთობებში ჩაბმა საგანმანათლებლო ხასიათსაც ატარებს, რადგან ხელს უწყობს ინდივიდის პიროვნულ, მორალურ და ინტელექტუალურ განვითარებას. თუმცა ამის საპირისპიროდ პოლიტიკა, როგორც საზოგადოებრივი აქტივობა ასახულია, როგორც არასასურველი ჩარევის ფორმა. ლიბერალი თეორეტიკოსები განსაკუთრებით წარმოაჩენენ სამოქალაქო საზოგადოების უპირატესობას სახელმწიფოსთან მიმართებაში. ამის საფუძვლად მოყავთ ფაქტი, რომ არჩევანის სფეროა „პირადული“ ცხოვრება, პიროვნული თავისუფლება და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. ეს განსაკუთრებით ნათლადაა ნაჩვენები „პოლიტიკური“ სფეროს შევიწროების მცდელობებით, რაც, ჩვეულებრივ, გამოხატულია სურვილით „არ დაუშვა“

ჰანა არენდტი (1906-1975)

გერმანელი პოლიტიკური თეორეტიკოსი და ფილოსოფოსი. ჰანა არენდტი გაიზარდა საშუალო ფენის ებრაულ ოჯახში. 1933 წელს ის გერმანიიდან ნაციზმს გაექცა და საბოლოოდ დაფუძნდა აშშ-ში, სადაც შეიქმნა მისი ძირითადი შრომები. მისი მრავალფეროვანი, იდიოსინკრეზულიც კი, ნაშრომები განიცდიან ჰაიდეგერის (1889-1976) და იასპერსის (1883-1969) ეგზისტენციალიზმის გავლენას; ის მას აღწერდა, როგორც „ფიქრს ბარიერების გარეშე“. მისი მთავარი ნაშრომებია: „ტოტალიტარიზმის წყაროები“(1951), „ადამიანის არსებობის პირობები“ (1958), „რევოლუციის შესახებ“ (1963) და „აიხმანი იერუსალიმში“ (1963), რომელიც მან აღწერა როგორც კვლევა „ბოროტების ბანალურობის“ შესახებ.

პოლიტიკა პირადულ აქტივობებში – როგორიცაა ბიზნესი, სპორტი და ოჯახური ცხოვრება. ამ თვალსაზრისით, მარტივად რომ ვთქვათ, პოლიტიკა არასასურველია, რადგან ის ზღუდავს ხალხს, იმოქმედოს თავისი არჩევანით. მაგალითად, ის შეიძლება ჩაერიოს იმაში, თუ როგორ აწარმოებენ ფირმები ბიზნესს, როგორ და ვისთან ერთად ვართ დაკავებული სპორტით ან როგორ ვზრდით ჩვენს შვილებს.

პოლიტიკა, როგორც კომპრომისი და კონსენსუსი

პოლიტიკის მესამე კონცეფცია არსებითად არ უკავშირდება იმ ასპარეზს, რომლის ფარგლებში ხდება პოლიტიკის გატარება და იმ გზასთან, რომლის მეშვეობითაც იღებენ გადაწყვეტილებებს. პირველ რიგში, პოლიტიკა მოიაზრება როგორც კონფლიქტის მოგვარების განსაკუთრებული საშუალება: უფრო მეტად კომპრომისზე წასვლით, შერიგების ან მოლაპარაკებების გზით, ვიდრე ძალით ან შიშველი ძალმომრეობით. ეს იგულისხმება პოლიტიკის მნიშვნელობის გამოხატვაში ფრაზით – „ყველაფერი შესაძლებლის ხელოვნება“. მსგავსი დეფინიცია დამახასიათებელია ტერმინის ყოველდღიურ გამოყენებაში: მაგალითად, პრობლემის გადაჭრის აღწერა, როგორც „პოლიტიკური“ გადაჭრა, რაც გულისხმობს მშვიდობიან დებატებს და არბიტრაჟს. ამას უპირისპირდება ის, რასაც ხშირად უწოდებენ „სამხედრო გზით“ გადაჭრას. კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, პოლიტიკის ეს ხედვა უკავშირდება არისტოტელეს ნაშრომებს და განსაკუთრებით მის რწმენას იმის შესახებ, რომ რასაც მან უწოდა „სახელმწიფო“. ის მთავრობის იდეალურ სისტემას წარმოადგენს, რადგან აერთიანებს არისტოკრატიულ და დემოკრატიულ მახასიათებლებს. ამ ხედვის ერთ-ერთ წამყვან, თანამედროვე მაგალითს წარმოადგენს ბერნარდ კრიკი. თავის კლასიკურ კვლევაში „პოლიტიკის დასაცავად“ კრიკმა შემოგვთავაზა შემდეგი განსაზღვრება:

„პოლიტიკა არის აქტივობა, რომლის დროსაც განსხვავებული ინტერესები წესის მოცემულ ერთეულში შეჯერებულია და ძალები გადანაწილებულია მთელი საზოგადოების კეთილდღეობისა და გადარჩენისათვის, მათი მნიშვნელობის პროპორციულად“ (კრიკი, [1962] 2000:21).

ამ თვალსაზრისით, პოლიტიკის გასაღები არის ძალაუფლების გადანაწილება სხვადასხვა სფეროებზე. კონფლიქტის გარდაუვალობის შემთხვევაში, კრიკის მტკიცებით, თუ სოციალური ჯგუფები და ინტერესები ფლობენ ძალაუფლებას, ისინი კონსენსუსამდე უნდა მივიდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანი კრახს განიცდის. ამიტომ დაახასიათა მან პოლიტიკა, როგორც „პრობლემის გადაჭრა შერიგების, ვიდრე ძალადობის და იძულების გზით“. პოლიტიკაზე ამგვარი შეხედულება ასახავს ლიბერალურ-რაციონალისტური

კონსენსუსი

ტერმინი კონსენსუსი აღნიშნავს ურთიერთშეთანხმებას. მაგრამ ის, ჩვეულებრივ, ეხება განსაკუთრებული ტიპის ურთიერთშეთანხმებას. პირველ რიგში, ის გულისხმობს ფართო ურთიერთშეთანხმებას, რომლის პირობები აღიარებულია ინდივიდებისა და ჯგუფების ფართო სპექტრის მიერ. მეორე, ის გულისხმობს ურთიერთშეთანხმებას ფუნდამენტური ან ძირითადი პრინციპების შესახებ, რაც განსხვავდება ზუსტი და აკურატული ურთიერთშეთანხმებისგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონსენსუსი უშვებს უთანხმოებას კონტურებისა და დეტალების საკითხების შესახებ. ტერმინი „პოლიტიკასთან დაკავშირებული კონსენსუსი“ გამოიყენება ორი თვალსაზრისით: *პროცედურული* კონსენსუსი არის გადაწყვეტილებების მიღებისათვის მზადყოფნა კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების წარმოების გზით, ან პოლიტიკურ პარტიებს ან მთავრობასა და ძირითად ინტერესებს შორის. *მთავარი* კონსენსუსი არის ორი ან მეტი პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიური პოზიციების ნაწილობრივ დამთხვევა, რაც ასახულია ურთიერთშეთანხმებაში ფუნდამენტური პოლიტიკური მიზნების შესახებ. ამის მაგალითებია გაერთიანებული სამეფოს სოციალ-დემოკრატიული კონსენსუსი 1945 წლის შემდეგ და გერმანიის კონსენსუსი სოციალური ბაზრის შესახებ.

პრინციპების ერთგულებას. ის ეფუძნება დებატებისა და დისკუსიების ეფექტურობის ღრმა რწმენას, ასევე რწმენას, რომ საზოგადოებას ახასიათებს უფრო კონსენსუსი, ვიდრე შეურიგებელი კონფლიქტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებული უთანხმოებები შესაძლებელია გადაიჭრას დაშინებისა და ძალადობის გარეშე. თუმცა, კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ კრიკის კონცეფცია პოლიტიკის შესახებ ძალიან ტენდენციურია და პოლიტიკის იმ ფორმას შეესაბამება, რომელიც სახეზეა დასავლეთის პლურალისტურ დემოკრატიებში. სინამდვილეში, მან პოლიტიკა გაუთანაბრა არჩევნებს და პარტიებს შორის შეჯიბრებას. შედეგად, მისი მოდელი ბევრს ვერაფერს გვეტყვის, ვთქვათ, ერთპარტიულ სახელმწიფოებსა და სამხედრო რეჟიმებზე. პოლიტიკაზე აღნიშნულ შეხედულებას უდავოდ დადებითი ხასიათი აქვს. პოლიტიკა, რასაკვირველია, არ არის უტოპიური გადაწყვეტილება (კომპრომისი ნიშნავს ყველა მხარის დათმობაზე წასვლას, როცა და არც ერთი მხარე არ რჩება სრულად კმაყოფილი), მაგრამ ეს უდაოდ უკეთესია მის ალტერნატივაზე: სისხლისღვრასა და სისასტიკეზე. ამდენად, პოლიტიკა მოიაზრება, როგორც ცივილიზებული და ცივილიზატორული ძალა. ხალხი უნდა წაახალისო, რომ პატივი სცეს პოლიტიკას, როგორც აქტივობას და მოამზადო, ჩაერთოს საკუთარი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა, კრიკი პოლიტიკას აღიქვამდა, როგორც საბრძოლველად მზადმყოფსა და ხშირად უგულვებელყოფილ აქტივობად. პოლიტიკის მთავარ მტრად მას მიაჩნდა „ნებისმიერ ფასად თავდაჯერებული ყოფნის სურვილი“. ის გვაფრთხილებდა, რომ ეს მრავალი ფორმითაა გამოხატული, მათ შორის: პოლიტიკური იდეოლოგების მაცდუნებელი გავლენა, დემოკრატიის ბრმა ნდობა, მძვინვარე ნაციონალიზმის გავლენა და მეცნიერების შეპირება, გამოააშკარაოს ობიექტური სიმართლე.

პოლიტიკა, როგორც ძალაუფლება

პოლიტიკის მეოთხე დეფინიცია ყველაზე ფართო და ყველაზე რადიკალურია. პოლიტიკის განსაზღვრულ სფეროში (მთავრობა, სახელმწიფო ან „საჯარო“ სფერო) შეზღუდვაზე მეტად, ამ შეხედულების მიხედვით, პოლიტიკა მოქმედებს ყველა სოციალურ აქტივობაში და ადამიანის არსებობის ყველა სიტუაციაში. **ადრიან ლეფტვიჩმა ნაშრომში „რა არის პოლიტიკა? აქტივობა და მისი კვლევა“ (1984:64)** აღნიშნა შემდეგი: „პოლიტიკა არის ყველა კოლექტიური სოციალური აქტივობის საფუძველში“ – ფორმალური და არაფორმალური, საჯარო და კერძო, ადამიანების ყველა ჯგუფში, დაწესებულებასა და საზოგადოებაში. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკას ადგილი აქვს სოციალური ინტერაქციის ყველა დონეზე; მას ვხვდებით როგორც ოჯახებში და მეგობრების მცირე ჯგუფებში, ისე მთელ ერში და გლობალურ სივრცეში. მაგრამ რა არის პოლიტიკური აქტივობისათვის დამახასიათებელი? რა მიჯნავს პოლიტიკას სოციალური ქცევის ნებისმიერი სხვა ფორმისგან?

ფართო თვალსაზრისით, პოლიტიკა ეხება სოციალური არსებობის მანძილზე რესურსების წარმოებას, დისტრიბუციასა და მოხმარებას. პოლიტიკა, ძირითადად, ძალაუფლებაა, უნარი – ნებისმიერი გზით მიაღწიო სასურველ შედეგს. ძალაუფლებაზე ეს შეხედულება ლაკონურადაა შეჯამებული **ჰაროლდ ლასველის წიგნის სათაურში „პოლიტიკა: ვინ რას, როდის, როგორ აღწევს?“ (1936).** ამ გადასახედიდან, პოლიტიკა არის მრავალფეროვნება და კონფლიქტი, მაგრამ მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია დეფიციტის არსებობა: ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ადამიანური მოთხოვნილებები და სურვილები უსასრულოა, ხოლო რესურსები მათ დასაკმაყოფილებლად ყოველთვის შეზღუდულია. აქედან გამომდინარე, პოლიტიკა შეიძლება მოიაზროს, როგორც ბრძოლა ამ რესურსებისთვის და ძალაუფლება – რისი მეშვეობითაც ხორციელდება ეს ბრძოლა.

ძალაუფლების შესახებ ამ მოსაზრების ადვოკატები არიან ფემინისტები და მარქსისტები. თანამედროვე ფემინისტებმა გამოხატეს განსაკუთრებული ინტერესი იდეასთან „პოლიტიკური“ დაკავშირებით. ეს ჩანს იმ ფაქტიდან, რომ პოლიტიკის საყოველთაოდ მიღებული

ფოკუსირება...

ძალაუფლების „სახეებზე“

- შეიძლება ვთქვათ, რომ ძალაუფლება ყოველთვის ხორციელდება, როდესაც A აკეთებინებს B-ს რაღაცას, რასაც ის სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა. თუმცა, A-მ სხვადასხვა გზით შეიძლება მოახდინოს გავლენა B-ზე. ეს გვაძლევს საშუალებას, განვასხვაოთ ძალაუფლების „სახეების“ განსხვავებული განზომილებები.

- **ძალაუფლება, როგორც გადაწყვეტილების მიღების საშუალება:** ძალაუფლების ეს სახე შედგება შეგნებული მოქმედებებისაგან, რომლებიც რაღაც გზით გავლენას ახდენენ გადაწყვეტილებების შინაარსზე. ამ ფორმის კლასიკური აღწერა მოცემულია **რობერტ დალის ნაშრომში „ვინ მართავს? დემოკრატია და ძალაუფლება ამერიკულ ქალაქში“ (1961)**. ავტორი მსჯელობს იმის თაობაზე, თუ ვინ ფლობს ძალაუფლებას გადაწყვეტილებების ანალიზისას იმის გათვალისწინებით, თუ რას ანიჭებენ მონაწილე პირები უპირატესობას. მიუხედავად ამისა, მსგავს გადაწყვეტილებებზე სხვადასხვა გზით შეიძლება გავლენის მოხდენა. **ქეიტ ბოულდინგი თავის ნაშრომში „ძალაუფლების სამი სახე“ (1989)** ანსხვავებს: ძალის ან დაშინების (ჯოხი) გამოყენებას; პროდუქტიულ გაცვლას, რომელსაც ორივე მხარისათვის სარგებელი მოაქვს (შეთანხმება) და ვალდებულებებისა და ლოიალურობის შექმნას (კოცნა).

- **ძალაუფლება, როგორც დღის წესრიგის დადგენის გზა:** ძალაუფლების მეორე სახე, რომელიც გვხვდება ბაჩრაჩთან და ბარაცთან (1962), წარმოადგენს უნარს, მოახდინოს გადაწყვეტილებების მიღების პრევენცია – რეალურად ეს არის ის, „რომელიც არ იღებს გადაწყვეტილებებს“. იგი მოიცავს უნარს, შეადგინოს ან გააკონტროლოს დღის წესრიგი და, ამდენად, ხელი შეუშალოს იმას, რომ პრობლემები და შეთავაზებები პირველ ადგილზე მოხვდეს. მაგალითად, კერძო ბიზნესს შეუძლია ძალაუფლების გამოვლენა როგორც კამპანიის წარმოებით, რომ დაამარცხოს მომხმარებელთა დაცვის შემოთავაზებული კანონმდებლობა (პირველი სახე), ისე ლობირების გაწევით პარტიებისა და პოლიტიკოსებისათვის, რომ ხელი შეუშალოს მომხმარებელთა უფლებების საკითხის საჯაროდ განხილვას (მეორე სახე).

- **პოლიტიკა, როგორც აზრის კონტროლი**: ძალაუფლების მესამე სახე წარმოადგენს უნარს, გავლენა მოახდინოს სხვაზე აზრების, სურვილებისა თუ მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაში (ლუკესი, 1974). ეს ძალაუფლება გამოხატულია, როგორც ინდოქტრინაცია ან ფსიქოლოგიური კონტროლი. ამის მაგალითია სარეკლამო ინდუსტრიის უნარი, შეასუსტოს წნეხი მომხმარებელთა დაცვის უფრო მკაცრ კანონებზე იმგვარად, რომ დაარწმუნოს მომხმარებლები იმაში, რომ მათ ინტერესებზე უკვე ზრუნავს ბიზნესი (მაგ.„გარემოს მიმართ მეგობრული“ პროდუქტების ფორმით). პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალაუფლების ამ ფორმით განხორციელებას ხედავენ პროპაგანდის გამოყენებაში, უფრო ზოგადად, იდეოლოგიის გავლენაში.

დეფინიციები ქალებს პოლიტიკიდან გამორიცხავენ. ტრადიციულად, ქალების ცხოვრება შეზღუდული იყო არსებობის „პირადული“ სფეროთი და კონცენტრირებული იყო ოჯახზე და საოჯახო პასუხისმგებლობებზე. ამის საპირისპიროდ, კაცები ყოველთვის დომინირებდნენ კონვენციონალურ პოლიტიკაში და „საჯარო“ ცხოვრების სხვა სფეროებში. რადიკალური ფემინისტები ამიტომ თავს ესხმიან „საჯაროდ/კერძოდ“ დაყოფას და ამის ნაცვლად

აცხადებენ, რომ „პირადი არის პოლიტიკური“. ეს სლოგანი ფაქიზად ათავსებს კაფსულაში რადიკალურ ფემინისტურ შეხედულებას, რომ რაც კი ხდება საოჯახო, ოჯახის და პირად ცხოვრებაში, ეს ძალიან პოლიტიკურია და, მართლაც, ეს არის მთელი პოლიტიკური ბრძოლების საფუძველი. ნათელია, ეს პოზიცია ხაზს უსვამს პოლიტიკის შესახებ უფრო რადიკალურ შეხედულებას. ეს მოსაზრება შეჯამებულია **ქეით მილეტის ნაშრომში „სექსუალური პოლიტიკა“ (1969:23),** რომელშიც ის პოლიტიკას განსაზღვრავს, როგორც „ძალაუფლებით მოწყობილ ურთიერთობებს, ღონისძიებებს, რისი მეშვეობითაც პიროვნებათა ერთი ჯგუფი კონტროლდება მეორე ჯგუფის მიერ“. შეიძლება ითქვას, რომ ფემინისტები ეხებიან „ყოველდღიური ცხოვრების პოლიტიკას“. მათი თვალთახედვით, ურთიერთობები ოჯახის შიგნით, მეუღლეებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის ისეთივე პოლიტიკურია, როგორც ურთიერთობები დამქირავებლებსა და დაქირავებულებს, ან მთავრობებსა და მოქალაქეებს შორის. მარქსისტები ტერმინს „პოლიტიკა“ იყენებდნენ ორი მნიშვნელობით. ერთ დონეზე მარქსი (იხილე გვ.53) „პოლიტიკას“ იყენებდა საყოველთაოდ აღიარებული მნიშვნელობით, რაც ეხებოდა სახელმწიფოს აპარატს. ამგვარად, კომუნისტური პარტიის მანიფესტში ([1848] 1967) იგი პოლიტიკურ ძალაუფლებას მოიხსენიებდა, როგორც, უბრალოდ, ერთი კლასის ორგანიზებულ ძალაუფლებას მეორე კლასის შესავიწროვებლად“. მარქსისათვის პოლიტიკა სამართალთან და კულტურასთან ერთად „ზედნაშენის“ ნაწილია, რომელიც გამორჩეულია ეკონომიკური „საფუძვლისგან“, რაც წარმოადგენს სოციალური ცხოვრების რეალურ საძირკველს. თუმცა, ის არ აღიქვამდა ეკონომიკურ „საფუძველს“ და სამართლებლივ და პოლიტიკურ „ზედნაშენს“, როგორც მთლიანად დაცალკევებულს. მას სჯეროდა, რომ „ზედნაშენი“ ამოიზარდა ეკონომიკური „საძირკველიდან“ და მას ასახავდა. ამიტომ, უფრო ღრმა დონეზე ამ თვალთახედვით, პოლიტიკური ძალაუფლება ფესვგადგმულია კლასობრივ სისტემაში; როგორც ლენინმა აღნიშნა, „პოლიტიკა არის ეკონომიკის ყველაზე კონცენტრირებული ფორმა“. ეწინააღმდეგებოდნენ რა რწმენას, რომ პოლიტიკა შეიძლება შეზღუდული იყოს სახელმწიფოზე და ვიწრო საჯარო სფეროზე, მარქსისტებს, შეიძლება ითქვას, სჯეროდათ, რომ „ეკონომიკური არის პოლიტიკური“. ამ გადასახედიდან, სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც, მარქსისტების აზრით, კლასობრივი ბრძოლაა, წარმოადგენს პოლიტიკის დედაარსს.

ამგვარი თვალსაზრისები პოლიტიკას ახასიათებენ მეტად უარყოფითი ტერმინებით. მარტივად, პოლიტიკა ეხება შევიწროებას და დამორჩილებას. რადიკალური ფემინისტები მიიჩნევენ, რომ საზოგადოება პატრიარქალურია, რომელშიც ქალები სისტემატურად არიან დაქვემდებარებული და დამორჩილებული მამაკაცების ძალაუფლებაზე. ტრადიციულად, მარქსისტები ასაბუთებდნენ, რომ კაპიტალისტური საზოგადოების პოლიტიკის დამახასიათებელი ნიშანია ბურჟუაზიის მიერ პროლეტარიატის ექსპლუატაცია. ერთის მხრივ, ამ უარყოფით აზრებს აბალანსებს ის ფაქტი, რომ პოლიტიკა ასევე მოიაზრება როგორც საშუალება, რომლის მეშვეობითაც გამოწვევა შეიძლება წაუყენო უსამართლობასა და დომინანტობას. მაგალითად, მარქსმა განჭვრიტა, რომ კლასობრივ ექსპლუატაციას დაძლევდა პროლეტარული რევოლუცია და რადიკალური ფემინისტები აცხადებენ, რომ გენდერული ურთიერთობის მოთხოვნილება შეიცვალა სექსუალური რევოლუციის მეშვეობით. თუმცა ისიც ნათელია, რომ თუ პოლიტიკა ასახულია, როგორც ძალაუფლება და ბატონობა, მაშინ მას არ უნდა შევხედოთ, როგორც სოციალური არსებობის აუცილებელ მახასიათებელს. ფემინისტებს აინტერესებთ „სექსუალური პოლიტიკის“ ბოლო, რომელსაც მიაღწიეს არასექსისტი საზოგადოების ჩამოყალიბებით, სადაც ხალხს შეაფასებენ პიროვნული და არა გენდერული ღირებულების საფუძველზე. მარქსისტებს სჯერათ, რომ „კლასობრივი პოლიტიკა“ დასრულდება უკლასო, კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბებით. ეს, სავარაუდოდ, მიგვიყვანს სახელმწიფოს გამოფიტვამდე და ასევე – დაასრულებს პოლიტიკას მისი საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით.

პოლიტიკის შესწავლა

მიდგომები პოლიტიკის შესწავლასთან დაკავშირებით

პოლიტიკური აქტივობის ბუნების შესახებ უთანხმოებას ადარებენ კამათს – პოლიტიკის, როგორც აკადემიური დისციპლინის ბუნებაზე.

ინტელექტუალური გამოკითხვის ერთ-ერთი უძველესი სფერო, პოლიტიკა თავიდან მოიაზრებოდა, როგორც ფილოსოფიის, ისტორიის ან სამართლის იარაღი. მისი მთავარი მიზანი იყო იმ პრინციპების აღმოჩენა, რომლებზეც უნდა იყოს დაფუძნებული ადამიანების საზოგადოება. თუმცა, მე-19 საუკუნის ბოლოდან ეს ფილოსოფიური აქცენტი თანდათანობით შეიცვალა მცდელობით, პოლიტიკა გადაექციათ სამეცნიერო დისციპლინად. ამ განვითარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია 1950-60-იან წლებში ადრინდელი ტრადიციის, როგორც უაზრო მეტაფიზიკის ღია უარყოფით. თუმცა, იმ პერიოდიდან მოიკლო ენთუზიაზმმა, განეხილათ პოლიტიკა, როგორც ზუსტი მეცნიერება და თავიდან აღიარეს პოლიტიკური ღირებულებებისა და ნორმატიული თეორიების დიდი აუცილებლობა. მაშინ, როცა ყველასათვის მისაღები უნივერსალური ღირებულებების „ტრადიციულ“ ძიებაზე, ძირითადად, უარი თქვეს, დაჟინებით საუბრობდნენ იმაზე, რომ მხოლოდ მეცნიერება უზრუნველყოფს სიმართლის დადგენის რესურსებით. აქედან გამომდინარე, დისციპლინა დღეს უფრო ნაყოფიერი და საინტერესოა სწორედ იმიტომ, რომ მთელ რიგ თეორიულ მიდგომებსა და ანალიზის მრავალ სკოლას მოიცავს.

ფილოსოფიური ტრადიცია

პოლიტიკური ანალიზის სათავე უკავშირდება ძველ საბერძნეთს და ეს ტრადიცია ჩვეულებრივ ეხება „პოლიტიკურ ფილოსოფიას“. მთავარი საზრუნავი, ძირითადად, უკავშირდებოდა ეთიკურ, ინსტრუქციულ და **ნორმატიულ**[6] საკითხებს, რომელიც უფრო ასახავდა დამოკიდებულებას, თუ რა „შეუძლია“, რა „უნდა გააკეთოს“ ან რისი „გაკეთება ევალება“, ვიდრე იმასთან, თუ რა „არსებობს“.

პლატონს და არისტოტელეს ჩვეულებრივ უწოდებენ ამ ტრადიციის დამაარსებელ მამებს. მათი იდეები განმეორებულია შუა საუკუნეების ისეთი თეორეტიკოსების ნაშრომებში,

პლატონი (427-347 წწ. ძველი წელთაღრიცხვით)

ბერძენი ფილოსოფოსი. პლატონი დაიბადა არისტოკრატულ ოჯახში. იგი სოკრატეს მიმდევარი იყო, რომელიც მისი ეთიკური და ფილოსოფიური დიალოგების მთავარ ფიგურას წარმოადგენს. სოკრატეს სიკვდილის შემდეგ 399 წელს ძველი წელთაღრიცხვით, პლატონმა დააარსა საკუთარი აკადემია ათენის ახალი მმართველი კლასის სწავლების მიზნით. პლატონი ფიქრობდა, რომ მატერიალური სამყარო შედგებოდა აბსტრაქტული და მუდმივი „იდეების“ არასრულყოფილი ასლებისგან. მისი პოლიტიკური ფილოსოფია, გადმოცემული ნაშრომებში „რესპუბლიკა“ და „კანონები“, წარმოადგენს იდეალური სახელმწიფოს აღწერის მცდელობას მართლმსაჯულების თეორიის ტერმინებით. პლატონის ნაშრომებმა დიდი გავლენა მოახდინა ქრისტიანობაზე და ზოგადად ევროპულ კულტურაზე.

6 ნორმატიული: მართვის ღირებულებებისა და სტანდარტების რეცეპტი; რა ჯობია, „რომ იყოს“ იმასთან შედარებით, რაც „არის“

როგორებიცაა ავგუსტინე (354-430) და აქვინელი (1225-74). პლატონის ნაშრომების ცენტრალური თემა, მაგალითად, იყო მცდელობა აღეწერა იდეალური საზოგადოების ბუნება, რომელსაც, მისი ხედვით, ჰქონდა მოწყალე დიქტატურის ფორმა და სადაც ბატონობდა ფილოსოფოსი მეფეების კლასი.

ამგვარმა ნაშრომებმა შექმნეს საფუძველი, რომელზეც ამოიზარდა პოლიტიკისადმი „ტრადიციული“ მიდგომა. ეს მოიცავს იდეებისა და დოქტრინების ანალიტიკურ კვლევას, რაც შეადგენდა პოლიტიკური აზროვნების მთავარ მომენტს. ჩვეულებრივ, ამან მიიღო პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ფორმა, რომელიც ფოკუსირებას ახდენს „მთავარი“ მოაზროვნეების კოლექციაზე (მაგალითად, რომელიც მოიცავს აზრებს პლატონიდან მარქსამდე) და „კლასიკური“ ტექსტების კრიტერიუმზე. ამ მიდგომას აქვს ლიტერატურული ანალიზის ხასიათი. პირველ რიგში, მისი ინტერესის საგანს შეადგენს იმის შემოწმება, თუ რა თქვეს მთავარმა მოაზროვნეებმა, როგორ განავითარეს ან გაამართლეს მათ თავიანთი მოსაზრებები და ინტელექტუალური კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც ისინი მუშაობდნენ. თუმცა მსგავსი ანალიზები შეიძლება შესრულდეს კრიტიკულად და სკურპულოზურად. ის ვერ იქნება **ობიექტური**[7] ნებისმიერი მეცნიერული თვალსაზრისით, რადგან ეხება ისეთ ნორმატიულ საკითხებს, როგორიცაა – „რატომ უნდა დავემორჩილო სახელმწიფოს?“, „როგორ უნდა განაწილდეს გასამრჯელო?“ და „სად არის ინდივიდუალური თავისუფლების საზღვარი?“

ემპირიული ტრადიცია

მიუხედავად იმისა, რომ აღწერილობითი ანუ ემპირიული ტრადიცია ნორმატიულ თეორიულ მსჯელობაზე ნაკლებად იყო ცნობილი, ის მაინც გვხვდება პოლიტიკური აზროვნების საწყის ეტაპზე. ეს ჩანს არისტოტელეს მცდელობაში, მოახდინოს კონსტიტუციების კლასიფიკაცია, მაკიაველის რეალისტურ მოსაზრებაში სახელმწიფოს მართვის უნართან დაკავშირებით და მონტესკიუს სოციოლოგიურ თეორიაში მთავრობისა და სამართლის შესახებ. სხვადასხვა მეთოდებით ეს ნაშრომები წარმოადგენს იმის საფუძველს, რასაც დღეს *შედარებით მთავრობას* უწოდებენ და რომელმაც განავითარა დისციპლინისადმი არსებითად ინსტიტუციონალური მიდგომა. ემპირიული მიდგომა პოლიტიკური ანალიზისადმი ხასიათდება მცდელობით, შესთავაზოს პოლიტიკური რეალობის მიუკერძოებელი და სამართლიანი შეფასება. მიდგომა არის აღწერილობითი, რადგან მისი მიზანია ანალიზი და ახსნა მაშინ, როცა ნორმატიული მიდგომა არის „დირექტივის მიმცემი“ იმ თვალსაზრისით, რომ იგი მსჯელობს და იძლევა რეკომენდაციებს.

აღწერილობითი პოლიტიკური ანალიზის ფილოსოფიური საძირკველი გამომდინარეობს დოქტრინიდან ემპირიზმის შესახებ, რომელიც გავრცელდა მე-17 საუკუნის ისეთი თეორეტიკოსების ნაშრომებიდან, როგორებიცაა ჯონ ლოკი და დევიდ ჰუმი (1711-1776). დოქტრინამ ემპირიზმის შესახებ განავითარა რწმენა, რომ გამოცდილება არის მხოლოდ ცოდნის საფუძველი და ამიტომ ყველა ჰიპოთეზა და თეორია უნდა გამოიცადოს დაკვირვების პროცესში. მე-19 საუკუნეში მსგავსი იდეები კიდევ უფრო განვითარდა და ჩამოყალიბდა ინტელექტუალური მოძრაობა „პოზიტივიზმის„ სახით, რომელიც განსაკუთრებით ასოცირდება ავგუსტ კომტის (1798-1857) ნაშრომებთან. ეს დოქტრინა აცხადებდა, რომ სოციალური მეცნიერებები, ამ შემთხვევაში ფილოსოფიური გამოკვლევის ყველა ფორმა, მკაცრად უნდა მიჰყვებოდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდებს. როგორც კი მეცნიერება განიხილეს, როგორც ერთადერთი სანდო საშუალება სიმართლის დასადგენად, დაუძლეველი გახდა ზეწოლა, რომ განვითარებულიყო პოლიტიკური მეცნიერება.

---

7 ობიექტური: რაც დამკვირვებლის ცნობიერების გარეთ არსებობს, მტკიცებადი; არ არის შებღალული გრძნობებით, ღირებულებებითა და წინასწარ აკვიატებული უარყოფითი შეხედულებებით.

მეცნიერული ტრადიცია

პირველი თეორეტიკოსი, რომელიც შეეცადა პოლიტიკა მეცნიერულად აეხსნა, იყო კარლ მარქსი. იყენებდა რა თავის ე.წ. ისტორიის მატერიალისტურ კონცეფციას, მარქსი ცდილობდა, გამოევლინა ისტორიული განვითარების მამოძრავებელი ძალა. ამან მისცა შესაძლებლობა, განეჭვრიტა მომავალი „კანონებზე" დაყრდნობით, რომელთაც ისეთივე სტატუსი ჰქონდათ მტკიცების თვალსაზრისით, როგორიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების „კანონებს". მეცნიერული ანალიზების პოპულარობამ ასევე მე-19 საუკუნეში აიღო სათავე ოქსფორდის, პარიზისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში, ხოლო 1906 წლისათვის გამოიცა American Political Science Review. თუმცა, პოლიტიკური მეცნიერებების მიმართ ენთუზიაზმმა პიკს მიაღწია 1950-1960-იან წლებში, რადგან განსაკუთრებით აშშ-ში, გამოვლინდა პოლიტიკური ანალიზის ფორმა, რომელიც ძალიან უკავშირდებოდა **ბიჰევიორალიზმს**[8]. თავიდან ამან პოლიტიკას მისცა სანდო სამეცნიერო მანდატები, რისი ნაკლებობაც მანამდე შეინიშნებოდა: ობიექტური და რაოდენობრივი განსაზღვრისადმი დაქვემდებარებული მონაცემები, რომლებთან მიმართებაშიც შესაძლებელი იყო ჰიპოთეზების შემოწმება. პოლიტიკურმა ანალიტიკოსებმა, როგორიც იყო, მაგალითად, დევიდ ისტონი, გამოაცხადეს, რომ პოლიტიკას შეეძლო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდოლოგიის შეთვისება. ამან კი გაზარდა კვლევების გავრცელება იმ სფეროებში, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდნენ რაოდენობრივი კვლევის ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა: ელექტორატის ქცევა, კანონმდებლების ქცევა და მუნიციპალური პოლიტიკოსებისა და ლობისტების ქცევა.

თუმცა ბიჰევიორალიზმი 1960-იანი წლებიდან მზარდი წნეხის ქვეშ მოექცა. პირველ რიგში, გამოითქვა პრეტენზია, რომ ბიჰევიორალიზმი მნიშვნელოვნად ზღუდავდა პოლიტიკური ანალიზის კომპეტენციას, ხელს უშლიდა მას, გაერღვია საზღვრები, რაც აშკარად თვალშისაცემი იყო. მიუხედავად ამისაა, ბიჰევიორალური ანალიზი უდაოდ გააგრძელებს ფასდაუდებელ განჭვრეტას ისეთ სფეროებში, როგორიც ელექტორატთან დაკავშირებული კვლევებია. რაოდენობრივი მონაცემების განსაზღვრის ვიწრო აკვიატებული იდეა პოლიტიკის დისციპლინის მნიშვნელობას კიდევ უფრო შემცირებით ემუქრება.

უფრო მეტად დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ პოლიტიკური მეცნიერების მთელმა თაობამ ზურგი შეაქცია ნორმატიული პოლიტიკური აზროვნების მთელ ტრადიციას. კონცეფციები, როგორებიცაა: „თავისუფლება", თანასწორობა", „სამართლიანობა" და „უფლებები" ზოგჯერ უარყოფილია, როგორც უაზრო, რადგან ისინი არ იყვნენ **ემპირიულად**[9] კონტროლირებადი ორგანიზმები. უკმაყოფილება ბიჰევიორალიზმთან დაკავშირებით 1970-იან წლებში გადაიზარდა ნორმატიული საკითხებისადმი ინტერესის გამოცოცხლებაში, რაც ასახულია თეორეტიკოსების – ჯონ როულის და რობერტ ნოზიკის ნაშრომებში.

გარდა ამისა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ბიჰევიორალიზმის მეცნიერული თვისებები (როლი). მტკიცება, რომ ბიჰევიორალიზმი ობიექტური და უტყუარია, არის პრეტენზია იმისა, რომ ის „შეფასებითი განსჯისგან თავისუფალია", ე.ი. ის არ არის შებღალული ეთიკური ან ნორმატიული შეხედულებებით. თუმცა თუ ანალიზი ფოკუსირებულია თვალსაჩინო ქცევაზე, მაშინ რთულია გააკეთო იმაზე მეტი, ვიდრე აღწერო არსებული პოლიტიკური შეთანხმებები, რაც ზუსტად იმას ნიშნავს, რომ *სტატუს კვო* დაკანონებუ-

8 ბიჰევიორალიზმი: რწმენა, რომლის მიხედვით სოციალური თეორიები უნდა შეიქმნას მხოლოდ თვალსაჩინო ქცევის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს რაოდენობრივი განსაზღვრებისადმი დაქვემდებარებული მონაცემებით კვლევისათვის.

9 ემპირიული: დაფუძნებული დაკვირვებასა და ექსპერიმენტზე; ემპირიული ცოდნა წარმოქმნილია შეგრძნებებთან დაკავშირებული მონაცემებიდან და გამოცდილებიდან.

ლია. კონსერვატიულ ღირებულებასთან დაკავშირებული, წინასწარ შექმნილი უარყოფითი შეხედულებები გამოჩნდა იმ ფაქტით, რომ „დემოკრატიას“ საბოლოოდ შეუცვალეს განსაზღვრება კონტროლირებადი ქცევის თვალსაზრისით. ამგვარად, „პოპულარული თვითმმართველობის“ (სიტყვა-სიტყვით მართვა ხალხის მიერ) ნაცვლად დემოკრატია გაუტოლდა ელიტის კონკურენტ ფენებს შორის ბრძოლას ძალაუფლების მოსაპოვებლად – პოპულარული არჩევნების მექანიზმის მეშვეობით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დემოკრატია ნიშნავს იმას, თუ რა ხდება განვითარებული დასავლეთის ე.წ. დემოკრატიული პოლიტიკის სისტემებში.

ბოლოდროინდელი განვითარებები

პოლიტიკისადმი ბოლოდროინდელ თეორიულ მიდგომებს შორის არის ე.წ. ფორმალური პოლიტიკური თეორია, რომელიც ცნობილია „პოლიტიკური ეკონომიკის“, „საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის“ და „რაციონალური არჩევანის თეორიის“ სახელებით. ანალიზისადმი ასეთი მიდგომა განსაკუთრებით მიესადაგება ეკონომიკური თეორიის მაგალითს, რომელიც მოიცავს პროცედურულ წესებზე დაფუძნებული მოდელების შექმნას, რომლებიც შეეხება ინდივიდების რაციონალურ, თავის თავზე ორიენტირებულ ქცევას. ფორმალური პოლიტიკური თეორია, რომელიც ყველაზე უფრო მყარადაა ფესვგადგმული აშშ-ში და განსაკუთრებით ასოცირებულია ე.წ. ვირჯინიის სკოლასთან, უზრუნველყოფს სასარგებლო ანალიტიკური მექანიზმით, რაც საშუალებას იძლევა, ჩავიხედოთ ამომრჩევლების, ლობისტების, ბიუროკრატებისა და პოლიტიკოსების ქცევაში; ასევე სახელმწიფოს ქცევაში საერთაშორისო სისტემის ფარგლებში. ამ მიდგომამ დიდი გავლენა იქონია პოლიტიკურ ანალიზზე იმ ფორმით, რასაც უწოდებენ ინსტიტუციონალური საზოგადოებრივი არჩევანის თეორიას. მწერლების – ენტონი დოუნსის, მანკურ ოლსონის და უილიამ ნისკანენის მიერ – მსგავსი ტექნიკის გამოყენება პარტიებს შორის კონკურენციის, ინტერესთა ჯგუფების ქცევის და ბიუროკრატიაზე პოლიტიკის გავლენის შესახებ – განხილულია ბოლო თავებში. ეს მეთოდი ასევე გამოიყენეს თამაშების თეორიის ფორმით, რომელიც შემუშავდა უფრო მათემატიკის, ვიდრე ეკონომიკის სფეროსთვის. ამას მოსდევს პირველი პრინციპების გამოყენება ინდივიდუალური ქცევის თავსატეხების გასაანალიზებად. თამაშების თეორიაში ყველაზე ცნობილი მაგალითი არის „პატიმრების“ დილემა (იხილე გამოსახულება 2.).

თუმცა რაცონალური არჩევანის თეორიას არავითარ შემთხვევაში არა აქვს შეხება საყოველთაოდ აღიარებულ პოლიტიკურ ანალიზთან. მაშინ როცა მისი მომხრეები ამტკიცებენ, რომ მას დიდი სიზუსტე შემოაქვს პოლიტიკური ფენომენის განხილვაში, მისი კრიტიკოსები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ მის ძირითად ვარაუდებს. მაგალითად, მან შეიძლება მეტისმეტად მაღალი შეფასება მისცეს ადამიანის რაციონალურობას, და უგულვებელყოს ფაქტი, რომ ხალხს იშვიათად აქვს პრივილეგირებული მიზნების ნათელი მიმართულება და იშვიათად იღებენ გადაწყვეტილებებს სრულყოფილი და ზუსტი ცოდნის საფუძველზე. გარდა ამისა, ინდივიდის აბსტრაქტული მოდელის საქციელიდან გამომდინარე რაციონალური არჩევანის თეორია არასაკმარის ყურადღებას უთმობს სოციალურ და ისტორიულ ფაქტორებს, სხვა საკითხების გარდა, ვერ ცნობს (აღიარებს) იმას, რომ ადამიანის ანგარება არა მარტო თანდაყოლილი, არამედ შეიძლება სოციალურად განპირობებულიც იყოს. შედეგად, მიდგომების მთელი რიგი უნდა იქნას ადაპტირებული პოლიტიკის, როგორც აკადემიური დისციპლინის შესასწავლად.

ფოკუსირება...

პატიმრების დილემაზე

ცალ-ცალკე საკნებში მოთავსებული ორი დამნაშავე დგას არჩევანის წინაშე, „დააბეზღონ“ თუ „არ დააბეზღონ“ ერთმანეთი. თუ მხოლოდ ერთ-ერთი აღიარებს დანაშაულს, მაგრამ მოიტანს მტკიცებულებას იმისათვის, რომ მეორე ცნონ დამნაშავედ, მას ბრალის გარეშე გაათავისუფლებენ. მთელი პასუხისმგებლობა მის პარტნიორს დაეკისრება და მას ათი წლით თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიან. თუ ორივე დამნაშავე აღიარებს დანაშაულს, თითოეულს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესჯება. თუ ორივე უარს იტყვის დანაშაულის აღიარებაზე, მათ უმნიშვნელო ბრალი წაეყენებათ და მხოლოდ თითო-თითო წლით მიესჯებათ თავისუფლების აღკვეთა. არჩევანის უფლება ნაჩვენებია გამოსახულებაში (2.) დილემის წარმოდგენით, რომლის წინაშეც დამნაშავეები დგანან, სავარაუდოა, რომ ორივე აღიარებს დანაშაულს იმის შიშით, რომ თავად თუ არ გააკეთებენ ამას, სხვა „დააბეზღებს“ მათ და ისინი მაქსიმალურ განაჩენს მიიღებენ.

ბედის ირონიაა, მაგრამ თამაში აჩვენებს, რომ რაციონალურ ქცევას შეიძლება მოჰყვეს ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელი შედეგი (პატიმრები მთლიანობაში 12 წელს გაატარებენ ციხეში). სინამდვილეში, ისინი ისჯებიან იმის გამო, რომ ერთმანეთთან ვერ თანამშრომლობენ ან არ ენდობიან ერთმანეთს. თუმცა, თუ თამაშს რამდენჯერმე გაიმეორებ, შესაძლებელია, დამნაშავეებმა ისწავლონ, რომ საკუთარი ინტერესის დაცვა თანამშრომლობის გზით შეიძლება იყოს წარმატებული. ეს გაამხნევებს ორივეს, უარი თქვან აღიარებით ჩვენებაზე.

გამოსახულება 2.
არჩევანის უფლება
პატიმრების დილემაში

	პატიმარი B: აღიარებს დანაშაულს	პატიმარი B: არ აღიარებს დანაშაულს
A:	**A: B:** 6, 6	**A: B:** 0, 10
A:	**A: B:** 10, 0	**A: B:** 1, 1

ამან თანამედროვე პოლიტიკური ანალიზი გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა. ნორმატიულ, ინსტიტუციონალურ და ბიჰეივორულ მიდგომებს დაემატა არა მხოლოდ რაციონალური არჩევანის თეორია, არამედ უფრო ახალი იდეები და თემების ფართო სპექტრი. განსაკუთრებით 1970-იანი წლებიდან ფემინიზმმა აამაღლა ცნობიერება გენდერული განსხვავებებისა და პატრიარქალური სტრუქტურების მნიშვნელობის თაობაზე. ამ პროცესში მიმდინარე გამოკითხვებმა ჩამოაყალიბა მოსაზრებები „პოლიტიკურის" შესახებ. „ახალმა ინსტიტუციონალიზმმა" **ინსტიტუციების**[10] ფორმალური, სტრუქტურული ასპექტებიდან ყურადღება გადაიტანა მათ მნიშვნელობაზე უფრო ფართო კონტექსტში, მათ ფაქტიურ ქცევაზე და პოლიტიკური პროცესის შედეგებზე. მწვანე პოლიტიკამ ეჭვი შეიტანა პოლიტიკური და სოციალური საკითხების გაგებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოლიტიკური და სოციალური თეორიისა და დახელოვნებული გლობალური მიდგომების ანთროპოცენტრულ აქცენტებში (მნიშვნელობაში). კრიტიკულმა თეორიამ, რომელიც ფესვგადგმულია 1923 წელს დაფუძნებულ ფრანკფურტის სკოლის ნეომარქსიზმში, გააკრიტიკა ყველა სოციალური მეთოდი (მათ შორის ფროიდი და ვებერი), რომლებიც მოიცავს გავლენების ფართო სპექტრს. პოსტმოდერნიზმმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა აბსოლუტური და უნივერსალური სიმართლის იდეა და **საუბრის**[11] თეორიის მრავალ საკითხებს შორის რაციონალური მარცვლების ამორჩევის საშუალება მოგვცა. საბოლოოდ, მთავარი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებაა ის, რომ პოლიტიკურ ფილოსოფიასა და პოლიტიკურ მეცნიერებას დღეს ნაკლებად უყურებენ, როგორც გამოკითხვის (ცნობების შეკრების) გამორჩეულ მოდელებს, და კიდევ უფრო ნაკლებად, როგორც მეტოქეებს. ნაცვლად ამისა, მათ უბრალოდ აღიარებენ, როგორც პოლიტიკური ცოდნის გამოვლენის კონტრასტულ გზებს.

მეცნიერება, სამეცნიერო მეთოდოლოგია

მეცნიერება (ლათინური სიტყვიდან *სციენტია*, რაც ნიშნავს ცოდნას) წარმოადგენს კვლევის სფეროს, რომლის მიზანია ფენომენების სარწმუნო ახსნის შემუშავება განმეორებადი ექსპერიმენტების, დაკვირვებისა და დედუქციის გზით. „სამეცნიერო მეთოდი", რომლის დროსაც ამტკიცებენ ჰიპოთეზებს (ადასტურებენ მათ სიმართლეს), არსებულ მტკიცებულებასთან მიმართებაში მათი შემოწმების გზით, განიხილება, როგორც შეფასებითი განსჯისგან თავისუფალი და ობიექტური სიმართლის სააშკარაოზე გამოტანის საშუალება. თუმცა, კარლ პოპერმა (1902-1904) ივარაუდა, რომ მეცნიერებას მხოლოდ ჰიპოთეზების გაყალბება შეუძლია, მას შემდეგ რაც „ყოველთვის შეიძლება, რომ „ფაქტები" უარყოფილ იქნას მოგვიანებით ჩატარებული ექსპერიმენტებით. სამეცნიერო მეთოდოლოგია არის რწმენა, რომ სამეცნიერო მეთოდი სანდო ცოდნის ერთადერთი წყაროა და ამგვარად, ის ინტენსიურად უნდა იქნას გამოყენებული სფეროებში, როგორებიცაა: ფილოსოფია, ისტორია და პოლიტიკა, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. დოქტრინები, როგორებიცაა: მარქსიზმი, უტილიტარიზმი და რასიზმი ამ გაგებით სამეცნიეროა.

შეიძლება პოლიტიკის შესწავლა მეცნიერული იყოს?

მიუხედავად იმის საყოველთაოდ აღიარებისა, რომ პოლიტიკის სიზუსტისა და კრიტიკულობისათვის, მისი შესწავლა ფართო გაგებით მეცნიერული უნდა იყოს, ზოგიერთები მაინც კამათობენ, რომ ის უფრო მეტად მეცნიერული უნდა იყოს ამის მკაცრი მნიშვნელობით: ეს იმას ნიშნავს, რომ მან შეიძლება გამოიყენოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდოლოგია. ეს მოთხოვნა განავითარეს მარქსისტებმა და სოციალური

10 ინსტიტუციები: კარგად ჩამოყალიბებული ორგანო ფორმალური როლითა და სტატუსით; უფრო ფართოდ რომ განვიხილოთ, წესების ნაკრები, რომლებიც უზრუნველყოფს რეგულარულ და პროგნოზირებად ქცევას, 'თამაშის წესებს'.

11 საუბარი: ინტერაქცია ადამიანებს შორის, განსაკუთრებით კომუნიკაცია; საუბარი შეიძლება ამჟღავნებდეს და განმარტავდეს ძალებს შორის ურთიერთობას.

მეცნიერებების პოზიტივისტმა მეცნიერებმა და ეს იყო 1950-იანი წლების „ბიჰევიორული რევოლუციის“ ცენტრალური საკითხი. პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმზიდველობა გასაგებია. ის გვპირდება „სიმართლისა“ და „ტყუილის“ გარჩევის მიუკერძოებელ და საიმედო საშუალებას და, ამდენად, ჩვენთვის ხელმისაწვდომს ხდის პოლიტიკურ სამყაროზე ობიექტურ ცოდნას. ამის მიღწევისთვის საჭირო გასაღები ის არის, რომ გავარჩიოთ „ფაქტები“ (ემპირიული მტკიცებულება) და „ღირებულებები“ (ნორმატიული ან ეთიკური შეხედულებები). ფაქტები ობიექტურია იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელია მათი დამაჯერებელი და თანმიმდევრული დემონსტრირება; შესაძლებელია მათი დამტკიცება. ამის საწინააღმდეგოდ, ღირებულებები არსებითად სუბიექტურია და გემოვნების საგანია.

თუმცა პოლიტიკური მეცნიერების შექმნის ნებისმიერი მცდელობა აწყდება სამ სიძნელეს:

პირველი მონაცემებთან დაკავშირებული პრობლემაა. რაც უნდა ითქვას, ადამიანები არ არიან თავკომბალები, რომ წაიყვანო ლაბორატორიაში და დააკვირდე მიკროსკოპში. ჩვენ ვერ ჩავწვდებით ადამიანს და ვერ ჩავატარებთ განმეორებად ექსპერიმენტებს ადამიანის ქცევაზე. ამიტომ ის, რაც შეგვიძლია გავიგოთ ადამიანის ცალკეულ ქცევაზე, შეზღუდული და ზერელეა. ზუსტი მონაცემების არქონის გამო ჩვენ გვექნება არასანდო საშუალებები ჰიპოთეზების შესამოწმებლად. პრობლემის დაძლევის ერთადერთი გზაა მოაზროვნე სუბიექტის სრული უგულებელყოფა **დეტერმინიზმის**[12] შესახებ დოქტრინის მიმხრობის გზით. ამის ერთი მაგალითია ბიჰევიორიზმი (რაც დაპირისპირებულია ბიჰევიორალიზმთან). ეს არის ფსიქოლოგიური სკოლა, რომელიც ასოცირდება ჯონ ბ. ვატსონთან (1878-1958) და ბ. ფ. სკინერთან (1904-1990). ამ თეორიის მიხედვით, ადამიანის ქცევა საბოლოოდ შეიძლება აიხსნას პირობითი რეაქციებითა და რეფლექსებით. სხვა მაგალითს წარმოადგენს მარქსიზმის დაუმთავრებელი ფორმა „დიალექტიკური მატერიალიზმი“, რომელიც დომინირებდა სსრკ-ს ინტელექტუალურ გამოკითხვებში.

მეორე – არსებობს სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია დაფარული ღირებულებების არსებობასთან. ძნელია, მარცხი არ განიცადოს იმ იდეამ, რომ პოლიტიკის შესახებ მოდელები და თეორიები მთლიანად თავისუფალია შეფასებითი განსჯისგან, თუ მათ უფრო დაწვრილებით შევისწავლით. ფაქტები და ღირებულებები ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რომ ხშირად შეუძლებელია მათი ცალ-ცალკე გამოკვლევა. ეს იმიტომაა, რომ თეორიები უცვლელადაა აგებული ადამიანის ბუნების, ადამიანთა საზოგადოების, სახელმწიფოს როლის და ა.შ. შესახებ ვარაუდებზე, რაც ფარავს პოლიტიკურ და იდეოლოგიურ იმპლიკაციებს. კონსერვატიულ ღირებულებებზე **წინასწარ შექმნილი შეხედულებების**[13] იდენტიფიცირება შესაძლებელია ბიჰევიორალიზმში, რაციონალური არჩევანის თეორიასა და სისტემების თეორიაში. მსგავსად, ფემინისტური პოლიტიკური თეორიები დანერგილია გენდერული დაყოფის ბუნებასა და მნიშვნელობაზე ვარაუდებში.

მესამე – სოციალურ მეცნიერებებში არსებობს მითი ნეიტრალიტეტის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებს შეუძლიათ აწარმოონ კვლევები ობიექტურად და მიუკერძოებლად, არ გამოთქვან ვარაუდები იმის შესახებ, თუ რის აღმოჩენას აპირებენ, ამის მიღწევა რთული და, შეიძლება, შეუძლებელიცაა პოლიტიკაში. თუმცა პოლიტიკა გარკვეულია, ის ეხება საზოგადოების სტრუქტურასა და ფუნქციონირე-

12 დეტერმინიზმი: რწმენა, რომლის მიხედვით ადამიანების მოქმედებები და არჩევანი მთლიანად განპირობებულია გარეგანი ფაქტორებით; დეტერმინიზმი გულისხმობს, რომ თავისუფალი ნება მითია.

13 წინასწარ შექმნილი შეხედულებები: სიმპათიები ან ცრუ შეხედულებები, რომლებიც (ხშირად შეუგნებლად) ახდენენ გავლენას ადამიანების დასკვნებზე; წინასწარ შექმნილი შეხედულებები გულისხმობენ დამახინჯებას.

ბას, რომელშიც ვცხოვრობთ და გავიზარდეთ. ოჯახური ტრადიცია, სოციალური გამოცდილება, ეკონომიკური პოზიცია, პირადი სიმპათიები და სხვა ერთმანეთთანაა შერწყმული და ქმნის წინასწარ აკვიატებული შეხედულებების ნაკრებს პოლიტიკასა და სამყაროზე ჩვენს ირგვლივ. ეს იმას ნიშნავს, რომ მეცნიერული ობიექტურობა აბსოლუტური მიუკერძოებლობის ან ნეიტრალიტეტის მნიშვნელობით ყოველთვის იქნება მიუღწეველი მიზანი პოლიტიკურ ანალიზში, რაც უნდა ზუსტი იყოს ჩვენი კვლევითი მეთოდები. შეიძლება სანდო ცოდნის აკუმულაციის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს არა წინასწარ შექმნილი ცუდი აზრი, როგორც ასეთი, არამედ ის, რომ აღიარო ეს ცუდი აზრები, რომლებიც არეკლილია პოლიტიკური ნეიტრალიტეტის ყალბ მოთხოვნებში.

კონცეფციები, მოდელები და თეორიები

კონცეფციები, მოდელები და თეორიები წარმოადგენენ პოლიტიკური ანალიზის ინსტრუმენტებს. თუმცა პოლიტიკასთან დაკავშირებული უმეტესი სხვა საკითხების მსგავსად, ანალიტიკური ინსტრუმენტებიც სიფრთხილით უნდა გამოიყენო. თავიდან, მოდით, განვიხილოთ კონცეფციები. **კონცეფცია** წარმოადგენს ზოგად იდეას რაღაც საკითხის შესახებ, რაც, ჩვეულებრივ, გამოხატულია ერთი სიტყვით ან მოკლე ფრაზით. კონცეფცია მეტია, ვიდრე შესაბამისი არსებითი სახელი ან რაღაც საგნის დასახელება. მაგალითად, ეს დაახლოებით ისეთი განსხვავებაა, რომ ილაპარაკო კატაზე (განსაკუთრებულ და უნიკალურ კატაზე) და გქონდეს კონცეფცია „კატის“ შესახებ (იდეა კატის შესახებ). კონცეფცია კატის შესახებ არ არის „საგანი“, ეს „იდეაა“, იდეა, რომელიც შედგება სხვადასხვა ატრიბუტებისაგან, რომლებიც კატას ანიჭებენ დამახასიათებელ თვისებებს: „ბეწვიანი“, ძუძუმწოვარი“, „პატარა“, „მოშინაურებული“, „იჭერს ვირთხებს და თაგვებს“ და ა.შ. აქედან გამომდინარე, „თანასწორობის“ კონცეფცია წარმოადგენს პრინციპს ან იდეალს. ეს განსხვავდება ტერმინის გამოყენებისაგან, როცა ვამბობთ, რომ მორბენალი „გაუთანაბრდა“ მსოფლიო რეკორდს, ან რომ მემკვიდრეობა „თანაბრად“ უნდა განაწილდეს ორ ძმას შორის. ასევე „პრეზიდენტობის“ შესახებ წარმოდგენა ეხება არა ერთ სპეციფიურ პრეზიდენტს, არამედ იდეების ნაკრებს აღმასრულებელი ძალაუფლების ორგანიზაციის შესახებ.

იდეალური ტიპი

იდეალური ტიპი (ზოგჯერ „სუფთა“ ტიპი) წარმოადგენს მენტალურ კონსტრუქციას, რომლითაც ცდილობენ, სხვა შემთხვევაში თითქმის უსაზღვროდ რთული რეალობიდან გამომდინარე, შექმნან ლოგიკური წარმოდგენა უკიდურესობის ჩვენების გზით. იდეალური ტიპები პირველად ეკონომიკაში გამოიყენეს, მაგალითად, სრულყოფილი შეჯიბრების შესახებ წარმოდგენაში. მაქს ვებერმა სოციალურ მეცნიერებებში განავითარა ეს თემა და იდეალური ტიპები წარმოადგინა, როგორც განმარტებითი ინსტრუმენტები, და არა – როგორც რეალობის იგივეობები. ისინი არც მთლიანად „იყენებენ რეალობას“ და არც ეთიკურ იდეალს სთავაზობენ. ვებერისეული მაგალითები მოიცავენ ავტორიტარიზმისა და ბიუროკრატიის ტიპებს.

რა წარმოადგენს კონცეფციების ღირებულებას? კონცეფციები წარმოადგენენ ინსტრუმენტებს, რომლებითაც ვფიქრობთ, ვაკრიტიკებთ, ვმსჯელობთ, ვხსნით და ანალიზს ვაკეთებთ. გარე სამყაროს უბრალოდ აღქმა არ გვაძლევს ცოდნას ამის შესახებ. მსოფლიო რომ აღვიქვათ, უნდა შევიქმნათ მასზე წარმოდგენა და ამას კონცეფციების შემუშავების გზით ვაკეთებთ. სრულიად მარტივია, რომ კატა, როგორც კატა ისე რომ აღვიქვათ, პირველ რიგში უნდა გვქონდეს წარმოდგენა, რა არის ის. კონცეფციები ასევე გვეხმარება ობიექტების კლასიფიკაციაში იმის აღქმით, რომ მათ მსგავსი ფორმები ან მსგავსი თვისებები აქვთ. მაგალითად, კატა არის „კატების“ ოჯახის წევრი. ამიტომ წარმოდგენები „ზოგადია“: ისინი შეიძლება ეხებოდეს ბევრ ობიექტს, ნამდვილად, ნებისმიერ ობიექტს, რომელსაც გააჩნია ძირითადი იდეის მახასიათებლები. არ არის გადაჭარბებით ნათქვამი, როცა ვამბობთ, რომ ჩვენი ცოდნა პოლიტიკური მსოფლიოს შესახებ აგებულია კონცეფციების შემუშავებისა და სრულყოფის მეშვეობით, რომლებიც გვეხმარებიან, შევიქმნათ

შთაბეჭდილება მსოფლიოს შესახებ. ამ თვალსაზრისით, კონცეფციები ადამიანების ცოდნის ასაშენებელი ბლოკებია. თუმცა, კონცეფციები შეიძლება არასანდო ელემენტები იყოს. პირველ რიგში, პოლიტიკური რეალობა, რომლის გაგებაც გვსურს, მუდმივად იცვლება და ძალიან კომპლექსურია. არსებობს საშიშროება, რომ კონცეფციები, როგორებიცაა „დემოკრატია“, „ადამიანთა უფლებები“ და „კაპიტალიზმი“ უფრო თანმიმდევრული იქნება, ვიდრე ულამაზო ფაქტები, რომელთა აღწერაც სურთ. მაქს ვებერი ცდილობდა, გადაელახა ეს პრობლემა იმით, რომ შეეცნო „იდეალური ტიპები“. ეს წარმოდგენა გულისხმობს იმას, რომ კონცეფციები, რომლებსაც ვიყენებთ, აგებულია უდავო, ძირითადი და ცენტრალური მახასიათებლების გადარჩევის გზით, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა მახასიათებლები სრულიად უგულებელყოფილია ან მათ ნაკლები ყურადღება ენიჭებათ. ამ თვალსაზრისით, კონცეფცია „რევოლუციის“ შესახებ შეიძლება განვიხილოთ, როგორც იდეალური ტიპი. ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია ფუნდამენტალური და ჩვეულებრივი ძალადობრივი პოლიტიკური ცვლილების პროცესზე. ამგვარად, ის გვეხმარება შევიქმნათ წარმოდგენა, მაგალითად, 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციაზე და 1989-1991 წლების რევოლუციაზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მათ შორის მნიშვნელოვანი პარალელების გავლების გზით. მიუხედავად ამისა, კონცეფცია სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ, რადგან ის ასევე შეიძლება ნიღბავდეს არსებით განსხვავებებს და ამიტომ დაამახინჯოს წარმოდგენა. ამ შემთხვევაში, მაგალითად, რევოლუციის იდეოლოგიური და სოციალური ხასიათის შესახებ. ამიტომ უმჯობესია, კონცეფციებზე ან იდეალურ ტიპებზე ვიფიქროთ არა როგორც „მართალზე“ ან არასწორზე“, არამედ, უბრალოდ, როგორც მეტად ან ნაკლებად „სასარგებლოზე„.

შემდგომი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკური კონცეფციები ხშირად ღრმა იდეოლოგიური პაექრობის საგანს წარმოადგენს. პოლიტიკა ნაწილობრივ არის ბრძოლა ტერმინებისა და კონცეფციების კანონიერ მნიშვნელობაზე. მტრებმა შეიძლება იკამათონ, იბრძოლონ, ომიც კი წამოიწყონ და ამტკიცონ, რომ „იცავენ მშვიდობას“, „მხარში უდგანან დემოკრატიას“ ან „სამართლიანობა მათ მხარესაა“. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ

გამოსახულება 3. პოლიტიკური სისტემა



სიტყვებს, როგორებიცაა „მშვიდობა“, „დემოკრატია“ და „სამართლიანობა“ სხვადასხვა ადამიანებისათვის სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. როგორ შეგვიძლია დავადგინოთ, თუ რა არის „ნამდვილი“ დემოკრატია, „ნამდვილი“ თავისუფლება და „ნამდვილი“ სამართლიანობა? ამის მარტივი პასუხია, რომ ეს არ შეგვიძლია. როგორც ზემოთ, „პოლიტიკის“ განსაზღვრის მცდელობისას, უნდა ვაღიაროთ, რომ იქაც გვაქვს ბევრი პოლიტიკური კონცეფციის სხვადასხვა ვერსიები. ასეთი კონცეფციები უმჯობესია განვიხილოთ, როგორც „არსებითად სადავო“ კონცეფციები (Gallie, 1955/56), რომლებშიც მათთან დაკავშირებული პაექრობა იმდენად შორს მიდის, რომ ვერასდროს შემუშავდება ნეიტრალური ან დამკვიდრებული დეფინიცია. სინამდვილეში, ცალკეული ტერმინი შეიძლება წარმოადგენდეს მთელ რიგ დაპირისპირებულ კონცეფციებს, რომელთაგანაც ვერც ერთს ვაღიარებთ, როგორც მის „სწორ“ მნიშვნელობას. მაგალითად, ერთნაირად კანონიერია პოლიტიკის განსაზღვრა, როგორც სახელმწიფოსთან კავშირში, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვასთან მიმართებაში – როგორც დებატები და შერიგება და როგორც ძალაუფლებისა და რესურსების გადანაწილება.

მოდელები და თეორიები წარმოდგენებზე უფრო ფართოა. ისინი ცალკეული იდეის ნაცვლად იდეების მთელ რიგს მოიცავენ. ჩვეულებრივ **მოდელი**[14] რაღაცას გამოსახავს, ჩვეულებრივი მცირე მასშტაბით, მაგალითად, თოჯინის სახლი ან სათამაშო თვითმფრინავი. ამ თვალსაზრისით, მოდელის მიზანია შეძლებისდაგვარად ზუსტად იყოს მიმსგავსებული ობიექტის ორიგინალს. თუმცა, კონცეპტუალური მოდელებისთვის არ არის საჭირო, რომ მიმსგავსებული იყოს ორიგინალთან. მაგალითად, აბსურდული იქნებოდა იმის დაჟინებული მოთხოვნა, რომ ეკონომიკის *კომპიუტერულ* მოდელს თავად ეკონომიკასთან ფიზიკური მსგავსება ჰქონდეს. კონცეპტუალური მოდელები უფრო მეტად ანალიტიკურ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ; მათი ღირებულება ისაა, რომ ისინი წარმოადგენენ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც მნიშვნელობა მიენიჭება იმას, რაც სხვა შემთხვევაში ფაქტების საგონებელში ჩამგდები და არაორგანიზებული კოლექცია იქნებოდა. უბრალო რეალობაა, რომ ფაქტები თვითონ არ გამოხატავენ თავის სათქმელს: საჭიროა მათი ინტერპრეტაცია და ორგანიზება. მოდელები გვეხმარება ამ ამოცანის შესრულებაში, ვინაიდან ისინი მოიცავენ ურთიერთობათა ქსელს, რომელიც წინა პლანზე წამოწევს შესაბამისი ემპირიული მონაცემების მნიშვნელობას და გამომსახველობას. ამის გაგების საუკეთესო გზაა შემდეგი მაგალითი: პოლიტიკური ანალიზის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოდელია პოლიტიკური სისტემის მოდელი, რომელიც შეიმუშავა დევიდ ისტონმა (1979, 1981). მისი გამოსახვა შესაძლებელია დიაგრამით (იხილე გამოსახულება 3).

ეს ამბიციური მოდელი მიზნად ისახავს, ახსნას როგორც მთელი პოლიტიკური პროცესი, ისე მთავარი პოლიტიკური აქტიორების ფუნქცია იმის მეშვეობით, რასაც სისტემების ანალიზს უწოდებენ. სისტემა წარმოადგენს ორგანიზებულ ან კომპლექსურ მთლიანობას, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ელემენტების ერთობლიობას, რაც აყალიბებს კოლექტიურ ორგანიზმს. პოლიტიკური სისტემის შემთხვევაში კავშირი არსებობს, როგორც ისტონი უწოდებს, „დანახარჯებს“ და „გამოშვებას“ შორის. დანახარჯები პოლიტიკურ სისტემაში შედგება მოთხოვნებისგან და მხარდაჭერებისგან ძირითადი საზოგადოების მხრიდან. მოთხოვნები შეიძლება მერყეობდეს ზეწოლის გამო, რათა გაიზარდოს ცხოვრების სტანდარტები, გაუმჯობესდეს დასაქმების პერსპექტივები, გაიზარდოს სახელმწიფო დაფინანსება უმცირესობებისა და ადამიანთა უფლებების უფრო მეტად დასაცავად. მეორეს მხრივ, მხარდაჭერები წარმოადგენს გზას, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება ხელს უწყობს პოლიტიკურ სისტემას გადასახადების გადახდით, სამართლებლივი ნორმების შესრულებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის მზადყოფნით.

14 მოდელი: ემპირიული მონაცემების თეორიული წარმოდგენა, რომლის მიზანია საკითხზე ნათელი წარმოდგენის გაუმჯობესება. ის ხაზს უსვამს ურთიერთობასა და ინტერაციას.

პარადიგმა

ზოგადი თვალსაზრისით პარადიგმა წარმოადგენს ნიმუშს ან მოდელს, რომელიც ასახავს განსაკუთრებული ფენომენის მნიშვნელოვან მახასიათებლებს, უფრო მეტად იდეალური ტიპის მსგავსად. თუმცა, როგორც ეს კუნმა (1962) გამოიყენა, ის შეეხება ინტელექტუალურ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ ღირებულებებს, თეორიებსა და ვარაუდებს, რომელთა ფარგლებშიც მიმდინარეობს ცოდნის ძიება. ამიტომ, „ნორმალური“ მეცნიერება ყალიბდება ინტელექტუალური სტრუქტურის ფარგლებში. „რევოლუციურ“ მეცნიერებაში ადგილი აქვს ძველი პარადიგმის ახლით ჩანაცვლების მცდელობას. ამ თეორიის რადიკალური იმპლიკაციის მიხედვით, შუძლებელია საბოლოოდ „სიმართლისა“ და „სიცრუის“ დამტკიცება. აღიარებული პარადიგმის შიგნით მოქმედებენ მხოლოდ წინასწარი შეხედულებები, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს.

„სარგებელი“ შედგება მთავრობის გადაწყვეტილებებისგან და მოქმედებებისგან, რაც მოიცავს პოლიტიკის კეთებას, კანონების მიღებას, გადასახადების დაწესებას და სახელმწიფოს ფულადი სახსრების განაწილებას. გასაგებია, რომ ეს „სარგებელი“ ქმნის „უკუკავშირს“, რომელიც საპირისპიროდ ქმნის შემდგომ მოთხოვნებსა და მხარდაჭერებს. ისტონის მიერ შემოთავაზებული მოდელი, ძირითადად, იმას გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური სისტემა ტენდირებს გრძელვადიანი წონასწორობისკენ ან პოლიტიკური სტაბილურობისკენ, რადგან მისი გადარჩენა დამოკიდებულია „სარგებელი“, რაც დაკავშირებულია „ხარჯებთან“.

ამასთან, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ კონცეპტუალური მოდელები საუკეთესო შემთხვევაში წარმოადგენენ იმ რეალობის გამარტივებას, რისი ახსნაც სურთ. ისინი, უბრალოდ, გაგებისთვის საჭირო მექანიზმებია; სანდო ცოდნას ისინი არ ფლობენ. მაგალითად, ისტონის მოდელის შემთხვევაში პოლიტიკური პარტიები და ინტერესთა ჯგუფები წარმოდგენილია როგორც „დაცვა“, რომლის მთავარი ფუნქციაა ხარჯების დინების რეგულირება პოლიტიკურ სისტემაში.

თუმცა, ეს შეიძლება, მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციათაგანი იყოს. პარტიები და ინტერესთა ჯგუფები ასევე მართავენ საზოგადოებრივ აღქმას და ხელს უწყობენ საზოგადოებრივი მოთხოვნების ხასიათის ჩამოყალიბებას. მოკლედ რომ ვთქვათ, სინამდვილეში არსებობს უფრო საინტერესო და უფრო კომპლექსური ინსტიტუციები, ვიდრე ამას გვთავაზობს სისტემის მოდელი. მსგავსად, ისტონის მოდელი უფრო ეფექტურია იმის ახსნისას, თუ როგორ და რატომ პასუხობენ პოლიტიკური სისტემები პოპულარულ ზეწოლებს, ვიდრე ეს მოცემულია განმარტებებში, თუ რატომ იყენებენ ისინი რეპრესიებს და იძულებას, რასაც მეტ-ნაკლებად ყველა ახორციელებს.

ტერმინები **თეორია**[15] და მოდელი პოლიტიკაში ხშირად ერთმანეთს ენაცვლება და გამოიყენება როგორც პოლიტიკური ანალიზის ინსტრუმენტები. თეორიები და მოდელები კონცეპტუალური კონსტრუქციებია, რომლებიც გამოიყენება პოლიტიკური ანალიზის ინსტრუმენტად. თუმცა, უფრო მკაცრად რომ ვთქვათ, თეორია რაღაცის მტკიცებაა. ის გვთავაზობს ემპირიული მონაცემის მთავარი ნაწილის სისტემურ ახსნას. ამის საპირისპიროდ, მოდელი უბრალოდ განმარტებითი მექანიზმია; ის უფრო ჰიპოთეზაა, რომელიც ჯერ უნდა გამოიცადოს. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკაში თუ თეორიებზე ამბობენ, რომ ისინი მეტად ან ნაკლებად „მართალია“, მოდელებზე შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი მეტად ან ნაკლებად „სასარგებლოა“. თუმცა გასაგებია, რომ თეორიები და მოდელები ხშირად გადაჯაჭვულია: ფართო პოლიტიკური თეორიები შეიძლება აიხსნას მოდელების სერიის მეშვეობით. მაგალითად, პლურალიზმის თეორია მოიცავს სახელმწიფოს მოდელს, საარჩევნო კონკურსის მოდელს, ჯგუფების პოლიტიკის მოდელს და ა.შ. თუმცა ვირტუალურად ყველა კონცეპტუალური მექანიზმი, თეორია და მოდელი შეიცავს ნაგულისხმევი ვარაუ-

15 თეორია: ემპირიული მონაცემების სისტემატიური ახსნა, ჩვეულებრივ (ჰიპოთეზებისაგან განსხვავებით) წარმოდგენილია, როგორც საიმედო ცოდნა.

დების დაფარულ ღირებულებებს. ამიტომაცაა რთული მთლიანად ემპირიული თეორიების შექმნა: ღირებულებები და ნორმატიული რწმენები უცვლელად მკვიდრდება. კონცეფციების შემთხვევაში, ეს ჩანს ხალხის ტენდენციურობაში, გამოიყენონ ტერმინები, როგორც „ვაშა-სიტყვები“ (მაგალითად, „დემოკრატია“, „თავისუფლება“ და „სამართლიანობა“) ან – „ფუჰ, სიტყვები“ (მაგალითად, „კონფლიქტი“, „ანარქია“, „იდეოლოგია“ და თვით „პოლიტიკაც“ კი). მოდელები და თეორიები ასევე „გადატვირთულია“ იმ თვალსაზრისით, რომ ისინი შეიცავენ მთელ რიგ წინასწარ შექმნილ უარყოფით შეხედულებებს. მაგალითად, რთულია აღიარო მტკიცება, რომ თეორიები რაციონალური არჩევანის შესახებ (განხილულია ზემოთ) ღირებულებებისადმი ნეიტრალურია. ვინაიდან ისინი დაფუძნებულია ვარაუდზე, რომ ადამიანები ძირითადად ეგოისტები და თავის თავზე ორიენტირებულები არიან, შეიძლება არ არის გასაკვირი, რომ ისინი ხშირად იმოწმებენ პოლიტიკურ დასკვნებს, რომლებიც პოლიტიკურად კონსერვატიულია. მსგავსად, მარქსისტების მიერ შემუშავებული პოლიტიკის კლასობრივი თეორია დაფუძნებულია ფუნდამენტურ თეორიებზე ისტორიისა და საზოგადოების შესახებ და მართლაც, საბოლოო ჯამში, ეყრდნობა სოციალური ფილოსოფიის საფუძვლებს. ამიტომ არსებობს აზრი, რომლის მიხედვითაც ანალიტიკური მექანიზმები, როგორებიცაა მოდელები და მიკროთეორიები შექმნილია ფართო მაკროთეორიების საფუძველზე. პოლიტიკური ანალიზის ეს მთავარი თეორიული ინსტრუმენტები იხილავენ ძალაუფლების საკითხებს და სახელმწიფოს როლს: პლურალიზმი, ელიტიზმი, კლასობრივი ანალიზი და ა.შ. თუმცა, უფრო დაბალ დონეზე ბევრი ასეთი მაკროთეორია ასახავს ამა თუ იმ მთავარი იდეოლოგიური ტრადიციის ვარაუდებს და რწმენებს. ეს ტრადიციები მუშაობს უფრო იმის მსგავსად, რასაც თომას კუნმა პარადიგმა უწოდა ნაშრომში *“სამეცნიერო რევოლუციების სტრუქტურა“* (1962). პარადიგმა წარმოადგენს პრინციპების, დოქტრინებისა და თეორიების ურთიერთდაკავშირებულ ნაკრებს, რომელიც გვეხმარება ინტელექტუალური გამოკითხვის პროცესის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. სინამდვილეში პარადიგმა აყალიბებს სტრუქტურას, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს ცოდნის ძიება. ეკონომიკაში ეს შეიმჩნევა კეინსიანიზმის მონეტარიზმით შეცვლაში (და შეიძლება ველოდოთ ცვლილებას უკან ნეოკეინსიანიზმისკენ). ტრანსპორტის პოლიტიკაში ეს ჩანს მწვანე იდეების წარმოქმნაში. კუნის მიხედვით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე ყოველთვის ერთადერთი პარადიგმა დომინირებს; მეცნიერება ვითარდება „რევოლუციების“ სერიის მეშვეობით, რომელშიც ძველ პარადიგმას ახალი ცვლის. თუმცა პოლიტიკური და სოციალური გამოკითხვები განსხვავებულია, სადაც სახეზეა კამათისა და დაპირისპირებული პარადიგმების ბრძოლის ველი. ეს პარადიგმები იღებენ ფართო სოციალური ფილოსოფიების ფორმას, რასაც ჩვეულებრივ პოლიტიკურ იდეოლოგიებს უწოდებენ: ლიბერალიზმს, კონსერვატიზმს, ფაშიზმს, ფემინიზმს და ა.შ. თითოეული წარმოადგენს სოციალური არსებობის შესახებ საკუთარ მოსაზრებას, თითოეული მათგანი გვთავაზობს განსაკუთრებულ შეხედულებას სამყაროზე. ამ იდეოლოგიების, როგორც პარადიგმების გამოსახვა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ უმეტესობა, თუ არა ყველა პოლიტიკური ანალიზი ვიწრო იდეოლოგიურია იმ თვალსაზრისით, რომ ის ავითარებს განსაკუთრებული ჯგუფის ან კლასის ინტერესებს. უფრო მეტად, ეს უბრალოდ აღიარებს (შეიცნობს), რომ პოლიტიკური ანალიზი ჩვეულებრივ ხორციელდება განსაკუთრებული იდეოლოგიური ტრადიციის საფუძველზე. მაგალითად, აკადემიური პოლიტიკური მეცნიერების დიდი ნაწილი შეიქმნა ლიბერალურ-რაციონალისტური ვარაუდების შესაბამისად და ამიტომ ეტყობა ლიბერალური მემკვიდრეობის კვალი.

გამოსახულება 4. კონცეპტუალური ანალიზის დონეები

კონცეფციები	მაგალითები: ძალაუფლება, სოციალური კლასები, უფლებები, სამართალი
მოდელები ან მიკროთეორიები	მაგალითები: სისტემების ანალიზი, საზოგადოებრივი არჩევანი, თამაშის თეორია
მაკროთეორიები	მაგალითები: პლურალიზმი, ელიტიზმი, ფუნქციონალიზმი
იდეოლოგიური ტრადიციები/პარადიგმები	მაგალითები: ლიბერალიზმი, მარქსიზმი, ფემინიზმი

შეჯამება

- პოლიტიკა წარმოადგენს აქტივობას, რომლის მეშვეობით ხალხი ადგენს, იცავს და აუმჯობესებს ძირითად წესებს, რომლებითაც იგი ცხოვრობს. ის არის მნიშვნელოვანი სოციალური აქტივობა, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული ერთის მხრივ, მრავალფეროვნების და კონფლიქტის არსებობასთან, მეორეს მხრივ, კი თანამშრომლობისთვის მზადყოფნასთან და კოლექტიურად მოქმედებასთან. პოლიტიკას უპირატესად განიხილავენ, როგორც კონფლიქტის გადაჭრის ძიებას, ვიდრე მის წარმატებას, რადგან ყველა კონფლიქტი არ არის დარეგულირებული ან შეუძლებელია მათი გადაჭრა.

- სხვადასხვა მოაზროვნეებს და სხვადასხვა ტრადიციებში პოლიტიკა განსხვავებულად ესმოდათ. პოლიტიკა განიხილებოდა, როგორც მთავრობის ხელოვნება ან „რაც სახელმწიფოს შეეხება“; როგორც საზოგადოებრივი საქმეების წარმოება და მართვა, როგორც კონფლიქტის გადაჭრა დებატებისა და კომპრომისის გზით და როგორც რესურსების წარმოება, დისტრიბუცია და გამოყენება სოციალური არსებობისას.

- მიმდინარეობს საყურადღებო დებატები „პოლიტიკური“ სფეროს შესახებ. ტრადიციულად, პოლიტიკა, ვიწრო გაგებით, მოიცავდა ინსტიტუციებსა და აქტიორებს, რომლებიც მოქმედებდენ სოციალური არსებობის კოლექტიურ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ „საჯარო“ სფეროში. თუმცა, როცა პოლიტიკა აღიქმება, როგორც ძალაუფლებაზე აგებული ურთიერთობა, მაშინ მას ასევე ადგილი აქვს „პირად“ სფეროშიც.

- ბევრი მიდგომა იქნა შერჩეული პოლიტიკის, როგორც აკადემიური დისციპლინის შესასწავლად. ისინი მოიცავენ პოლიტიკურ ფილოსოფიას ან ნორმატიული თეორიის ანალიზს, ემპირიულ ტრადიციას, განსაკუთრებით დაკავშირებულს ინსტიტუციებისა და სტრუქტურების შესწავლასთან, მეცნიერული სიზუსტის დამკვიდრების მცდელობებს ბიჰევიორული ანალიზის მეშვეობით და მრავალ თანამედროვე მიდგომას რაციონალური არჩევანის თეორიის ჩათვლით.

- პოლიტიკის შესწავლა იმდენადაა სამეცნიერო, რომ შესაძლებელია ობიექტური ცოდნის მიღება პოლიტიკური სამყაროს შესახებ ფაქტებსა და ფასეულობებს შორის განსხვავებების დანახვის გზით. მიუხედავად ამისა, ამ ამოცანას ბარიერს

უქმნის სანდო მონაცემების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სირთულე, ღირებულებები, რომლებიც ბუნდოვნადაა გადმოცემული პოლიტიკურ მოდელებსა და თეორიებში და წინასწარ შექმნილი უარყოფითი შეხედულება, რომელიც გააჩნია პოლიტიკის ყველა სტუდენტს.

- კონცეფციები, მოდელები და თეორიები წარმოადგენენ პოლიტიკური ანალიზის ინსტრუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ცოდნის ე.წ. აგურებს. თუმცა, არსებობს მხოლოდ ანალიტიკური მექანიზმები. ისინი მაინც გვეხმარება საგნების უკეთ გაგებაში და უფრო დასრულებული და თანმიმდევრულია, ვიდრე დაულაგებელი და რთული რეალობა, რომლის აღწერაც მათ სურთ. საბოლოოდ, ყველა პოლიტიკური და სოციალური გამოკითხვა ტარდება განსაკუთრებული ინტელექტუალური სტრუქტურის ან იდეოლოგიური პარადიგმის ფარგლებში.

კითხვები დისკუსიისთვის:

- თუ პოლიტიკა არსებითად სოციალურია, რატომ არ არის ყველა სოციალური აქტივობა პოლიტიკური?
- რატომაა პოლიტიკა ხშირად უარყოფით ასოციაციებთან დაკავშირებული?
- როგორ შეიძლება პოლიტიკის, როგორც საყურადღებო და კეთილშობილური აქტივობის დაცვა?
- აუცილებელია თუ არა პოლიტიკა? შეიძლება ოდესმე მისი დასრულება?
- რატომ იყო პოლიტიკური მეცნიერებების იდეა ასეთი მიმზიდველი?
- შესაძლებელია პოლიტიკის ობიექტური, წინასწარ შექმნილი უარყოფითი შეხედულებების გარეშე შესწავლა?

დამატებითი საკითხავი მასალა:

Ball, A. and B. Guy Peters „თანამედროვე პოლიტიკა და მთავრობა“ (მე-5 გამოცემა) (Basingstoke: Palgrave and New York: Chatham House Publishers Inc., 2000). პოპულარული მოკლე შესავალი პოლიტიკაში, რომელიც მოიცავს თემებისა და საკითხების ფართო სპექტრს;

Crick, B. „პოლიტიკის დასაცავად“ (შესწორებული გამოცემა) (Harmondsworth and New York: Penguin, 2000). დამაფიქრებელი და მასტიმულირებელი მცდელობა პოლიტიკის გასამართლებლად (გაგებული აშკარა ლიბერალური თვალსაზრისით) მისი მტრების წინააღმდეგ;

Heywood, A. „კონცეფციები პოლიტიკაში“ (Basingstoke: Palgrave, 2000). პოლიტიკურ ანალიზთან დაკავშირებული ძირითადი იდეებისა და კონცეფციების ნათელი და ხელმისაწვდომი მეგზური;

Leftwich, A. (ed.) „რა არის პოლიტიკა? აქტივობა და მისი შესწავლა“ (Oxford and New York: Blackwell, 1984). ესსეების ძალიან სასარგებლო კრებული, რომელიც განიხილავს პოლიტიკის განსხვავებულ კონცეფციებს და განსხვავებულ მოსაზრებებს დისციპლინის შესახებ;

Marsh, D. and G. Stoker (eds) „თეორია და მეთოდები პოლიტიკურ მეცნიერებაში“ (მე-2 გამოცემა) (Basingstoke: Palgrave, 2002). პოლიტოლოგიის დისციპლინის ბუნებისა და თვალსაწიერის ხელმისაწვდომი, ამას გარდა, ამომწურავი და დახვეწილი გამოკვლევა.

ენდრიუ ჰეივუდი

შესავალი: როგორ გავიგოთ იდეოლოგია *

ყველა ადამიანი პოლიტიკურად აზროვნებს; საკუთარ შეხედულებათა გამოსახატად ან აზრის გამოსათქმელად, ცნობიერად თუ არაცნობიერად, პოლიტიკურ იდეებსა და ცნებებს იყენებს. ყოველდღიურ მეტყველებაში წამდაუწუმ ვხდებით ტერმინებს: „თავისუფლება“, „სამართლიანობა“, „თანასწორობა“, „სამართალი“, „უფლებები“. ამის მსგავსად, სიტყვებს „კონსერვატიული“, „ლიბერალური“, „სოციალისტური“, „კომუნისტური“, „ფაშისტური“ ასევე ხშირად მიმართავენ საკუთარი ან სხვათა შეხედულებების დასახასიათებლად და თუმცა ასეთი ტერმინები ჩვეული, ბანალურიც კია, მათ იშვიათად ხმარობენ ზუსტი და პირდაპირი მნიშვნელობით. რა არის, ვთქვათ „თანასწორობა”? რას ნიშნავს გამოთქმა: ყველა ადამიანი თანასწორია? იბადებიან თანასწორებად? საზოგადოება მათ როგორც თანასწორთ, ასე უნდა განიხილავდეს? ადამიანებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები, შესაძლებლობები, პოლიტიკური გავლენა, ხელფასი? ჩვეულებრივ, არასწორად ხმარობენ ისეთ სიტყვებსაც, როგორიცაა „კომუნისტი“ და „ფაშისტი“. რას ნიშნავს, როცა ვინმეს „ფაშისტს“ ვუწოდებთ? როგორია და რას ემყარება ფაშისტების ღირებულებები და მრწამსი, და რატომ ერთგულებენ ისინი მათ? რით განსხვავდება კომუნისტების შეხედულებები, ვთქვათ, ლიბერალების, კონსერვატორების ან სოციალისტების შეხედულებებისგან? ეს წიგნი მთავარი პოლიტიკური იდეოლოგიების ძირეულ იდეებსა და დოქტრინებს განიხილავს. ამ შესავალ თავში განვიხილავთ იდეების როლს პოლიტიკაში, პოლიტიკურ იდეოლოგიის ბუნებას, მემარჯვენე/მემარცხენე სპექტრის მნიშვნელობას იდეოლოგიათა კლასიფიკაციისთვის და იდეოლოგიათა მთავარ გამოწვევებს ოცდამეერთე საუკუნეში.

იდეათა როლი

იდეებსა და იდეოლოგიებს დიდ მნიშვნელობას ყველა პოლიტიკური მოაზროვნე როდი ანიჭებს. პოლიტიკას არცთუ იშვიათად, ლამის ძალაუფლებისათვის შიშველ ბრძოლასთან აიგივებენ. თუ ეს ასეა, პოლიტიკური იდეები უბრალო პროპაგანდა, საარჩევნო ხმების ან საყოველთაო მხარდაჭერის მოსაპოვებლად შერჩეული სიტყვებისა და ლოზუნგების ერთგვარი ფორმა ყოფილა. შესაბამისად იდეები და იდეოლოგიები, უბრალოდ, „ვიტრინის მორთულობაა“, რომელსაც პოლიტიკური ცხოვრების ღრმა რეალობათა შესანიღბად იყენებენ. ეს, რა თქმა უნდა, ბიჰევიორისტთა პოზიციაა – ფსიქოლოგიის მიმდინარეობისა, რომელიც ჯონ უოტსონისა (1878-1958) და ბ.ფ. სკინერის (1904-1990) სახელებს უკავშირდება. ბიჰევიორიზმის გადასახედიდან, ადამიანი ოდნავ თუ განსხვავდება ბიოლოგიური მანქანისგან, რომელიც გარეგანი სტიმულის საპასუხოდ მოქმედებს (უფრო სწორად რეაგირებს). მოაზროვნე სუბიექტს, ისევე როგორც მის იდეებს, ღირებულებებს, გრძნობებსა და ზრახვებს მნიშვნელობა, უბრალოდ, არ ენიჭება. ზედმიწევნით მსგავს შეხედულებას გვთავაზობდა „დიალექტიკური მატერიალიზმიც” – საბჭოთა კავშირისა და სხვა ორთოდოქსული კომუნისტური სახელმწიფოების ინტელექტუალურ კვლევებში გაბატონებული მარქსიზმის უხეში ფორმა. ამ მიმდინარეობის მომხრეთა აზრით, პოლიტიკური იდეები მხოლოდ იმ პირთა ეკონომიკური თუ კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა განიხილებოდეს, ვინც მათ გამოხატავს. იდეებს „მატერიალური ბაზისი“ აქვს, დამოუკიდებლად ისინი ყოველგვარ საზრისს ან მნიშვნელობას მოკლებულია. შესაბამისად ორთოდოქსი და მარქსისტები პოლიტიკას მხოლოდ და მხოლოდ სოციალური კლასისადმი კუთვნილების კონტექსტში

* წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს ერთი თავის თარგმანს წიგნისა: „პოლიტიკური იდეოლოგიები: შესავალი“, მესამე გამოცემა.

განიხილავენ და პოლიტიკურ იდეოლოგიებს მარტოოდენ კონკრეტულ კლასთა ინტერესების გამოხატულებად მიიჩნევენ.

არსებობს საწინააღმდეგო არგუმენტიც. მაგალითად, ჯონ მეინარდ კეინზის (იხ.: გვ.71) მტკიცებით, მსოფლიოს ძირითადად ეკონომისტთა და პოლიტიკის ფილოსოფოსთა იდეები მართავს. მოგვყავს ნაწყვეტი მისი ზოგადი თეორიის (John Maynard Keynes, General Theory) დასკვნითი გვერდებიდან:

> პრაქტიკული გონების ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს რაიმე სახის ინტელექტუალური გავლენისგან სრულიად გათავისუფლებულად მიიჩნევენ, ჩვეულებრივ, რომელიმე განსვენებული ეკონომისტის მონები არიან. ხელისუფლებაში მყოფი გიჟები, რომელთაც ხმები გარედან ჩაესმით, თავიანთ სიშლაგეს რამდენიმე წლის წინ მოღვაწე რომელიმე აკადემიური მჯღაბნელის შრომებიდან წურავენ (Keynes, [1936] 1963, გვ.383).

ეს პოზიცია სულაც არ უარყოფს იმას, რომ იდეები პრაქტიკული გარემოებებით განპირობებული პასუხებია; ის წარმოაჩენს თუ რამდენად განსაზღვრავს შეხედულებები და თეორიები ადამიანთა ქმედებებს. საბოლოო ჯამში, მსოფლიოს „აკადემიური მჯღაბნელები“ განაგებენ. ასეთი შეხედულებების მიხედვით, მაგალითად, თანამედროვე კაპიტალიზმი მნიშვნელოვანწილად ადამ სმითისა (იხ.გვ.59) და დევიდ რიკარდოს (1772-1823) კლასიკური ეკონომიკიდან მოდის, საბჭოთა კომუნიზმი კარლ მარქსისა (იხ.: გვ.145) და ვ.ი. ლენინის (იხ.გვ.151) შრომების თარგზეა გამოყვანილი, ნაცისტური გერმანიის ისტორიის გაგება კი მხოლოდ ჰიტლერის Mein Kampf-ის დოქტრინებიდან თუა შესაძლებელი.

სინამდვილეში, პოლიტიკური ცხოვრების ზემოაღნიშნული ორივე შეფასება ცალმხრივი და არაადეკვატურია. პოლიტიკური იდეები ქონებრივი უფლებების ან პირად ამბიციათა ოდენ პასიური ასახვა როდია, მათ თვით პოლიტიკური გამოწვევისა და წარმართვის და, ამგვარად, მატერიალური ცხოვრების ჩამოყალიბების უნარი გააჩნიათ. ამასთან, პოლიტიკური იდეები ვაკუუმში არ იბადება: წვიმასავით ციდან არ მოდის. ყველა პოლიტიკურ იდეას საკუთარი სოციალური და ისტორიული გარემო-პიროებები და ის პოლიტიკური ამბიციები აყალიბებს, რომლებსაც ემსახურება. მარტივად რომ ვთქვათ, პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა ერთმანეთისგან განუყოფელია. ამიტომ პოლიტიკური ცხოვრების შეჯერებული და დამაჯერებელი შეფასება, ერთი მხრივ, იდეებისა და იდეოლოგიების, ხოლო მეორე მხრივ ისტორიულ და მატერიალურ ძალთა მუდმივ ურთიერთქმედებას უნდა გულისხმობდეს.

იდეები და იდეოლოგიები პოლიტიკურ ცხოვრებაზე სხვადასხვაგვარად ზემოქმედებს. პირველ რიგში, ისინი სამყაროს გაგებისა და ახსნის პერსპექტივას გვთავაზობს. ადამიანები სამყაროს ხედავენ არა ისეთს, როგორიც არის, არამედ ისეთს, როგორადაც ის წარმოუდგენიათ; სხვა სიტყვებით – ისინი სამყაროს ღრმად გამჯდარი რწმენის, აზრებისა და ვარაუდების რიდეში უმზერენ. ცნობიერად თუ არაცნობიერად, ყველა ადამიანი პოლიტიკურ მრწამსთა და ღირებულებათა გარკვეული ერთობლიობის მიმდევარი ხდება, რომელიც მის ქცევაზე ზემოქმედებს და წარმართავს. ამგვარად, პოლიტიკური იდეები და იდეოლოგიები სახავს ამოცანებს, რომლებიც პოლიტიკურ აქტივობას განაპირობებს. ამ მხრივ, პოლიტიკოსები ორი სრულიად განსხვავებული გავლენის ქვეშ შეიძლება მოექცნენ. უდავოა, რომ ყველა პოლიტიკოსი ძალაუფლებას მიელტვის. ეს აიძულებს მათ, პრაგმატულნი იყვნენ, ელექტორატისთვის პოპულარულ პოლიტიკას და იდეებს მიემხრონ, ან ისეთი ძლიერი ჯგუფების მხარდაჭერა მოიპოვონ, როგორიცაა ბიზნესი ან ჯარი. თუმცა, პოლიტიკოსები იშვიათად მიელტვიან ძალაუფლებას მარტოოდენ ძალაუფლების გამო. მათ გააჩნიათ მრწამსიც, ღირებულებებიცა და იმის ცოდნაც, როგორ გამოიყენონ ძალაუფლება მისი მოპოვების შემდეგ.

სხვადასხვა პოლიტიკოსის შემთხვევაში ფარდობა პრაგმატულ და იდეოლოგიურ მოსაზრებებს შორის აშკარად განსხვავებულია; ის განსხვავებულია ცალკე აღებული რომელიმე პოლიტიკოსის კარიერის სხვადასხვა ეტაპზეც. ზოგიერთი, მაგალითად, ადოლფ ჰიტლერი (იხ.გვ.255) გააფთრებით, ფანატიკურადაც კი, წმინდა იდეოლოგიურ მიზნებს ემსახურებოდა. ჰიტლერის შრომები მომწამვლელი ანტისემიტიზმითაა გაჟღენთილი (იხ.გვ. 269); მათში ღიად იკითხება მისი სურვილი, აღმოსავლეთ ევროპაში დაეარსებინა გერმანიის ბატონობის ქვეშ მყოფი რასობრივი იმპერია. მარქსისტ რევოლუციონერებს, ლენინის მსგავსად, უკლასო, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა ჰქონდათ მიზნად დასახული. და მაინც, ვერც ერთი პოლიტიკოსი იდეოლოგიური მრწამსით დაბრმავების უფლებას თავს ვერ მისცემს: ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების მიზნით მათ, სულ მცირე, სტრატეგიულ კომპრომისებზე მაინც უხდებათ წასვლა. გერმანიაში 1933 წელს, ჰიტლერის კანცლერად დანიშვნის შემდეგ, ანტისემიტური შეტევები უდავოდ გაძლიერდა, მაგრამ რასობრივი განადგურების პოლიტიკის განხორციელებას, რაც ზოგიერთის რწმენით, ყოველთვის მისი მთავარი ამოცანა იყო, ჰიტლერი მხოლოდ ომის წლებში შეუდგა. კაპიტალიზმის სიძულვილის მიუხედავად, 1921 წელს ლენინმა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა წამოიწყო, რომელიც რუსეთშე ნებას რთავდა კერძო საწარმოებს, შეზღუდულად, მაგრამ მაინც ეარსებათ. სხვა პოლიტიკოსები, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, და არა მხოლოდ იქ, ლამის პოლიტიკურ საქონლად ქცეულან. ისინი კარგად შეფუთულნი იყიდებიან იმიჯისა და ავტორიტეტის გამო; იდეებსა და პოლიტიკურ ხაზს უმნიშვნელო ან სულაც არანაირ ყურადღებას არ აქცევენ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ამერიკელი პოლიტიკოსები, უბრალოდ, ძალაუფლებას გამოდევნებული პრაგმატისტები იყვნენ. ამერიკის პოლიტიკაში იდეათა და ღირებულებათა მნიშვნელობა იმ ფაქტის გამო იჩქმალება, რომ ორივე მთავარი პარტია, რესპუბლიკელებიცა და დემოკრატებიც, ერთსა და იმავე ფართო იდეოლოგიურ მიზნებს ემსახურება. ამერიკელ პოლიტიკოსთა უმეტესობა მხარს უჭერს ე.წ. „ამერიკულ იდეოლოგიას“, ლიბერალურ-კაპიტალისტურ ღირებულებათა სისტემას, რომელიც გულისხმობს თავისუფალი ბაზრის ეკონომიკის უპირატესობათა და ამერიკის კონსტიტუციაში ხორცშესხმული პრინციპების პატივისცემას.

პოლიტიკური იდეები პოლიტიკური სისტემების ბუნების ფორმირებასაც უწყობს ხელს. მსოფლიოში არსებული სამთავრობო სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან და ყოველთვის კონკრეტულ ღირებულებებს ან პრინციპებს უკავშირდება. აბსოლუტური მონარქიები ღრმად ფესვგადგმულ რელიგიურ იდეებს ემყარება, განსაკუთრებით, მეფეთა ღვთიურ უფლებას. პოლიტიკურ სისტემებს თანამედროვე დასავლურ ქვეყანათა უმრავლესობაში საფუძვლად ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპები უდევს. დასავლურ სახელმწიფოებს ახასიათებს შეზღუდული და კონსტიტუციური მთავრობის იდეების პატივისცემა. მათ სჯერათ, რომ მთავრობა წარმომადგენლობითი უნდა იყოს, რეგულარულსა და კონკურენტულ არჩევნებზე დამყარებული. ტრადიციული კომუნისტური პოლიტიკური სისტემებიც ამგვარადვე იცავს მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებს. კომუნისტურ სახელმწიფოებში ერთი პარტია ბატონობდა, მმართველი კომუნისტური პარტია, რომლის გავლენაც ემყარებოდა ლენინის რწმენას, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტია გამოხატავს მუშათა კლასის ინტერესებს. თვით ის ფაქტი რომ მსოფლიო ეროვნულ სახელმწიფოებადაა დაყოფილი და რომ ძალაუფლება, ჩვეულებრივ, ეროვნულ დონეზე მოიაზრება, ასახავს გავლენას, რომელიც პოლიტიკურ იდეებს, ამ შემთხვევაში ნაციონალიზმის იდეას, კიდევ უფრო ზუსტად – ეროვნული თვითგამორკვევის იდეას გააჩნია.

დასასრულს, პოლიტიკური იდეები და იდეოლოგიები ერთგვარი სოციალური დუღაბის როლს შეიძლება ასრულებდეს, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი სოციალურ ჯგუფებს და რა თქმა უნდა მთელ საზოგადოებებს გამაერთიანებელი მრწამსითა და ღირებულებებით უზრუნველყოფს. პოლიტიკური იდეოლოგიები, საზოგადოდ, კონკრეტულ სოციალურ კლასებთან ასოცირდება, მაგალითად, ლიბერალიზმი – საშუალო ფენასთან, კონსერვატიზმი

– მიწათმფლობელ დიდგვაროვნებთან, სოციალიზმი – მუშათა კლასთან და ა.შ. ეს იდეები სოციალური კლასის ცხოვრებისეულ გამოცდილებებს, ინტერესებსა და მისწრაფებებს ასახავს და ამდენად ხელს უწყობს მიკუთვნებულობისა და სოლიდარობის გრძნობის გამომუშავებას. თუმცა, იდეებსა და იდეოლოგიებს ასევე შეუძლიათ სხვადასხვა პოზიციაზე მდგომი ჯგუფები და კლასები შეაკავშირონ საზოგადოების შიგნით. მაგალითად დასავლეთის სახელმწიფოთა უმეტესობაში არსებობს ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებათა გამაერთიანებელი საბაზისო პრინციპები, ხოლო ისლამის სახელმწიფოებში ისლამმა ზნეობრივ პრინციპთა და მრწამსთა საერთო სისტემა ჩამოაყალიბა. საზოგადოების ერთიანი პოლიტიკური კულტურის შექმნით პოლიტიკური იდეები წესრიგისა და სოციალური სტაბილურობის დამყარებას უწყობს ხელს.

საზოგადოების შიგნით ბუნებრივად შეიძლება განვითარდეს პოლიტიკურ იდეათა და ღირებულებათა ერთიანი სისტემა. მაგრამ შესაძლებელია ის ზემოდანაც იყოს თავს მოხვეული, როგორც მორჩილების დანერგვის მცდელობა და ამდენად, სოციალური კონტროლის ფუნქციასაც ასრულებდეს. ღირებულებები ელიტარული ჯგუფებისა, როგორებიცაა: პოლიტიკური და სამხედრო ლიდერები, მთავრობის წევრები, მიწათმფლობელები ან მეწაარმეები, მნიშვნელოვნად შეიძლება დასცილდეს მასათა ღირებულებებს. სახელისუფლებო ელიტამ, შესაძლოა, პოლიტიკური იდეები ოპოზიციის შესაკავებლად გამოიყენოს და დაპირისპირება იდეოლოგიურ მანიპულაციათა გზით შეზღუდოს. ასეთი რამ ძალზე აშკარად ხდებოდა იმ რეჟიმთა შემთხვევაში, რომლებიც „ოფიციალურ“ იდეოლოგიებს განკარგავდნენ, ვთქვათ, ნაცისტურ გერმანიაში და საბჭოთა კავშირში. ორივე შემთხვევაში ოფიციალური ან პოლიტიკური „საიმედო“ მრწამსი – ნაციონალურ-სოციალისტური და მარქსისტულ-ლენინური – ბატონობდა პოლიტიკურ ცხოვრებაზე და რასაკვირველია, ყველა სოციალურ ინსტიტუტზე: ხელოვნებაზე, კულტურაზე, განათლებაზე, მედიაზე და ა.შ. საწინააღმდეგო აზრები და შეხედულებები უბრალოდ ცენზურას ექვემდებარებოდა ან ითრგუნებოდა. ზოგიერთთა მტკიცებით, იდეოლოგიური მანიპულაციის უფრო დახვეწილ ფორმას ყველა საზოგადოებაში ვხვდებით. ამის ნათელსაყოფად გამოდგებოდა მარქსისტული მრწამსი, რომელსაც მომდევნო ნაწილში განვიხილავთ და რომლის თანახმადაც, კულტურას კაპიტალისტურ საზოგადოებებში უპირატესად ის იდეები განაგებს, რომლებიც ეკონომიკურად გაბატონებული კლასის სამსახურშია.

რა არის იდეოლოგია?

ეს წიგნი უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ იდეოლოგიათა კვლევაა და არა – იდეოლოგიის ბუნების ანალიზი. ამასთან დაკავშირებული აღრევა, როგოც წესი, ძირითადად იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ თუმც „იდეოლოგიისა“ და „იდეოლოგიებს“ შორის აშკარა კავშირი არსებობს, კვლევის თვალსაზრისით, ისინი საკმაოდ განსხვავებული საგნებია. „იდეოლოგიის“ შესწავლა კონკრეტული ტიპის პოლიტიკური აზროვნების განხილვას ნიშნავს, რომელიც, განსხვავდება, ვთქვათ, პოლიტიკური მეცნიერებისგან ან პოლიტიკური ფილოსოფიისგან. პოლიტიკური იდეოლოგიის კვლევა გულისხმობს აზროვნების ამ კატეგორიის ბუნების, როლისა და მნიშვნელობის ანალიზს; შემდეგი კითხვის მსგავს კითხვებზე პასუხის ძიებას: პოლიტიკურ იდეათა და არგუმენტთა რომელი ერთობლიობები უნდა კლასიფიცირდებოდეს როგორც იდეოლოგიები? მაგალითად, გამათავისუფლებელია იდეოლოგია თუ მჩაგვრელი, ჭეშმარიტია თუ მცდარი და ა.შ? ასევე, არის თუ არა კონსერვატიზმი და ნაციონალიზმი იდეოლოგიები იმავე გაგებით, როგორითაც ლიბერალიზმი და სოციალიზმი?

მეორე მხრივ, „იდეოლოგიათა“ კვლევა პოლიტიკური აზროვნების არსის ანალიზს, სხვადასხვა იდეოლოგიური ტრადიციის წიაღში ამ ტრადიციების მერვე წარმოქმნილი იდეების, დოქტრინებისა და თეორიების შესწავლას ნიშნავს. მაგალითად, რას გვეუბნება ლიბერა-

ლიზმი თავისუფლების შესახებ? როგორ იცავენ ანარქისტები უსახელმწიფოო საზოგადოების იდეას? რატომ თვლიდნენ ფაშისტები ბრძოლასა და ომს სასარგებლოდ? მაგრამ ასეთი „შინაარსობრივი“ საკითხების გასაანალიზებლად აუცილებელია პოლიტიკური აზროვნების იმ „ტიპის“ განხილვა, რომელსაც ვეხებით. ვიდრე ეგრეთ წოდებული იდეოლოგიების დამახასიათებელ იდეებსა და დოქტრინებს განვიხილავდეთ, გვმართებს დავფიქრდეთ, რატომ მოხდა იდეათა ამ ერთობლიობების გაერთიანება იდეოლოგიათა კატეგორიაში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, რას გვაძლევს ასეთი კატეგორიზაცია? რა შეიძლება შევიტყოთ, მაგალითად, ლიბერალიზმის, სოციალიზმის, ფემინიზმისა და ფაშიზმის შესახებ, თუ მათ იდეოლოგიებად კლასიფიკაციას მოვახდენთ?

იდეოლოგიის ცნებები

პირველი პრობლემა იდეოლოგიის ბუნების განხილვის გზაზე ის არის, რომ არ არსებობს ამ ტერმინის რამდენადმე დადგენილი ან შეთანხმების საფუძველზე მიღებული დეფინიცია. არსებობს მხოლოდ ურთიერთსაწინააღმდეგო დეფინიციები. დევიდ მაკლელანის (1995) განმარტებით, „იდეოლოგია სოციალურ მეცნიერებათა მთელ სისტემაში ყველლა მოუხელთებელი ცნებაა“. ცოტა პოლიტიკურ ტერმინს თუ გამოუწვევია ასეთი ღრმა და მძაფრი წინააღმდეგობა. ამას ორი მიზეზი აქვს. პირველ რიგში, რამდენადაც იდეოლოგიის ყველა ცნება თეორიისა და პრაქტიკის კავშირს აღიარებს, ეს ტერმინი წარმოაჩენს წინა ქვეთავში მოხსენიებული უაღრესად მწვავე დებატების არსებობას პოლიტიკაში იდეათა როლისა და ერთი მხრივ, მრწამსებსა და თეორიებს, ხოლო მეორე მხრივ, მატერიალურ ცხოვრებას ან პოლიტიკურ ქცევას შორის ურთიერთმიმართების შესახებ. მეორე რიგში, შეუძლებელია იდეოლოგიის ცნების გამოყენება პოლიტიკურ იდეოლოგიათა შორის გაჩაღებული ბრძოლისგან. თითქმის მთელი თავისი არსებობის მანძილზე ტერმინი „იდეოლოგია“ პოლიტიკური იარაღის როლს ასრულებდა, მოქიშპე იდეათა ან მრწამსთა ერთობლიობების კრიტიკის ან გმობის მექანიზმი იყო. მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაინერგა ფართოდ იდეოლოგიის გარკვეულწილად ნეიტრალური და აშკარად ობიექტური კონცეფცია, მაგრამ უთანხმოება იდეოლოგიის სოციალური როლისა და პოლიტიკური მნიშვნელობის ირგვლივ მას შემდეგაც გრძელდებოდა. აი ზოგიერთი იმ მნიშვნელობათაგანი, რომელთაც იდეოლოგიას მიაწერდნენ:

- პოლიტიკური რწმენის სისტემა
- ქმედებაზე ორიენტირებული პოლიტიკურ იდეათა სისტემა.
- მმართველი კლასის იდეები.
- კონკრეტული სოციალური კლასის ან ჯგუფის მსოფლმხედველობა.
- პოლიტიკური იდეები, რომლებიც კლასობრივ ან სოციალურ ინტერესებს განასახიერებს ან გამოხატავს.
- იდეები, რომლებიც ექსპლუატირებულ ან ჩაგრულ ფენებში მცდარ/ყალბ თვითშეგნებას ავრცელებს.
- იდეები, რომლებიც ინდივიდს გარკვეულ სოციალურ კონტექსტსში ათავსებს და კოლექტიური კუთვნილების გრძნობას წარმოშობს.
- პოლიტიკური სისტემის ან რეჟიმის ლეგიტიმაციის მიზნით ოფიციალურად სანქცირებულ იდეათა ერთობლიობა.

- ყოვლისმომცველი პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც აცხადებს მონოპოლიას ჭეშმარიტებაზე.

- პოლიტიკურ იდეათა აბსტრაქტული და უაღრესად სისტემური წყება.

ყოველივეს მიუხედავად, ამ ტერმინის წარმომავლობა ნათელია. სიტყვა იდეოლოგია საფრანგეთის რევოლუციის დროს გამოიგონა ანტონ დესტა დე ტრესიმ (1754-1836), საჯაროდ კი ის პირველად 1796 წელს გამოიყენეს. დე ტრესისათვის idéologie ნიშნავდა ახალ „მეცნიერებას იდეათა შესახებ“, სიტყვასიტყვით, იდეა-ოლოგიას. განმანათლებლობისათვის დამახასიათებელი რაციონალისტურიგატაცებით, მას სწამდა, რომ შესაძლებელი იყო იდეათა წარმომავლობის ობიექტური ახსნა, და აცხადებდა, რომ ეს ახალი მეცნიერება იმავე სტატუსს დაიმკვიდრებდა, როგორც ტრადიციულ მეცნიერებებს, მაგალითად, ბილოგიას ან ზოოლოგიას, ჰქონდა. დე ტრესი კიდევ უფრო შორს მიდიოდა: რაკი ყველა კვლევა იდეებს ემყარება, იდეოლოგია საბოლოოდ მეცნიერებათა დედოფლად უნდა ეცნოთ. მაგრამ, ამ ამაღლებული მოლოდინის მიუხედავად, ტერმინის პირველად მნიშვნელობას მის შემდგომდროინდელ გამოყენებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

მთავარი პოლიტიკური ტერმინის სახით იდეოლოგიის წარმატებული გავრცელების სათავეს კარლ მარქსის შრომებიდან იღებს. მნიშვნელოვანწილად სწორედ მარქსისა და მარქსისტ მოაზროვნეთა მომდევნო თაობების ამ ტერმინით დაინტერესებით აიხსნება ის პოპულარობა, რომლითაც იდეოლოგია თანამედროვე სოციალურ და პოლიტიკურ აზროვნებაში სარგებლობს. და მაინც, მნიშ[ნელობა, რომელსაც ამ ცნებას მარქსი ანიჭებდა, ძალზე განსხვავდება იმ მნიშვნელობისაგან, რომელსაც მას პოლიტიკური ანალიზის ძირითად მიმართულებაში მიაწერენ. მარქსმა ეს ტერმინი თავისი ადრეული ნაშრომის სათაურში *გერმანული იდეოლოგია (The German Ideology, [1846] 1970)* გამოიყენა, რომელიც გაუყრელ თანამოაზრე ფრიდრიხ ენგელსთან (1820-95) ერთად დაწერა. ამ ნაშრომში ყველაზე კარგად ჩანს, როგორ ესმის მარქსს იდეოლოგია:

> მმართველი კლასის იდეები ყველა ეპოქაში წარმმართველი იდეებია, ე.ი. კლასი, რომელიც საზოგადოების მმართველი მატერიალური ძალაა, იმავდროულად წარმმართველი ინტელექტუალური ძალაცაა. კლასი, რომლის ხელთაცაა მატერიალური წარმოების საშუალებები, იმავდროულად სულიერ პროდუქციასაც აკონტროლებს, ისე რომ, აქედან გამომდინარე, ზოგადად რომ ვთქვათ, იმათი იდეები, ვისაც სულიერი წარმოების საკმარისი საშუალებები არა აქვს, მას ემორჩილება. (Marx and Engels, 1970, გვ.64)

იდეოლოგიის მარქსისეულ კონცეფციას რამდენიმე საკვანძო ნიშანი აქვს. ჯერ ერთი, იდეოლოგია ილუზიასა და მისტიფიკაციას შეეხება; ის სამყაროს შესახებ ყალბ ან მცდარ შეხედულებას აყალიბებს, რომელსაც ენგელსი მოგვიანებით „ყალბ/მცდარ თვითშეგნებას“ უწოდებს. მარქსი იდეოლოგიას კრიტიკულ ცნებად იყენებდა, რომლის მიზანიც მეთოდური მისტიფიკაციის პროცესისათვის ფარდის ახდაა. საკუთარ იდეებს ის მეცნიერულის რანგში განიხილავდა, რადგან საგულდაგულოდ გააზრებულად მიაჩნდა ისტორიისა და საზოგადოების ზემოქმედების როლის წარმოსაჩენად. ამდენად, იმ მნიშვნელობისათვის, რომელსაც მარქსი ამ ტერმინში დებს, გადამწყვეტია კონტრასტი იდეოლოგიასა და მეცნიერებას შორის, სიყალბესა და ჭეშმარიტებას შორის. მეორეც, იდეოლოგია კავშირშია კლასობრივ სისტემასთან. მარქსის რწმეით, სიყალბეს რომელიც იდეოლოგიაში იმალება, ის განაპირობებს, რომ იდეოლოგია საზოგადოების მიმართ მმართველი კლასის ინტერესებსა და პერსპექტივას ასახავს. მმართველ კლასს არ სურს, საკუთარი თავი მჩაგვრელად შეარიგოს. ამგვარად კლასობრივი სისტემა თავდაყირაა წარმოდგენილი. ეს ცნება მარქსმა *ცამერა ობსცურა-ს* სახით შემოიტანა, რაც ობიექტივით გადაღებულ ან თვალით დანახულ შებრუნებუ გამოსახულებას ნიშნავს. ლიბერალიზმი, რომელიც ისეთ უფლებებს აღწერს,

რომლეითაც მხოლოდ შეძლებულნი და პრივილეგირებულნი შეიძლება სარგებლობდნენ, როგორც საყოველთაო უფლებამოსილებებით, შესაბამისად, იდეოლოგიის კლასიკური მაგალითია.

მესამეც, იდეოლოგია ძალაუფლების გამოხატულებაა. იმ წინააღმდეგობათა დაფარვით, რომლებსაც ეფუძნება კაპიტალიზმი ყველა სხვა კლასობრივი საზოგადოების მსგავსად, იდეოლოგია მიმართულია, ექსპლუატირებული პროლეტარიატის წინაშე შენიღბოს საკუთარი ექსპლუატატორობის ფაქტი, რითაც საფუძველს უმაგრებს უთანასწორო კლასობრივი ძალაუფლების სისტემას. იდეოლოგია, სინამდვილეში, მოცემული პერიოდის „მმართველ“ იდეებს წარმოადგენს. და ბოლოს, მარქსი იდეოლოგიას განიხილავდა როგორც დროებით მოვლენას. ის მხოლოდ იქამდე გასტანს, სანამ მისი წარმომშობი კლასობრივი სისტემა იარსებებს. პროლეტარიატის, მარქსისავე სიტყვებით – კაპიტალიზმის „სამარის მთხრელის“, დანიშნულბაა არა კლასობრივი საზოგადოების ახალი ფორმის ჩამოყალიბება, არამედ -მატერიალურ ფასეულობებზე კოლექტიური საკუთრების შემოღებით კლასობრივი უთანასწორობის საერთოდ გაუქმება. ამგვარად, პროლეტარიატის ინტერესები მთელი საზოგადოების ინტერესებს ემთხვევა. მოკლედ, პროლეტარიატი არ საჭიროებს იდეოლოგიას, რადგან ის ერთადერთი კლასია, რომელსაც ილუზიები არ სჭირდება.

მარქსისტთა შემდგომმა თაობებმა იდეოლოგიისადმი, ვგონებ, უფრო დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს, ვიდრე თავად მარქსმა. ამის მიზეზი მნიშვნელოვანწილად ისაა, რომ მარქსის თავდაჯერებული წინასწარმეტყველება კაპიტალიზმის ბედის შესახებ ერთობ ოპტიმისტური გამოდგა; ამან მარქსისტთა მომდევნო თაობებს გზა გაუხსნა, მთელი ყურადღება იდეოლოგიაზე მიემართათ როგორც ერთ-ერთ ფაქტორზე, რომელიც წარმოების კაპიტალისტური ფორმის უჩვეულო მოქნილობას ხსნის. თუმცა ამ ტერმინმა, მნიშვნელობის თვალსაზრისით, საგრძნობი ცვლილებებიც განიცადა. ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ იდეოლოგია ყველა კლასის მახასიათებლად განიხილებოდა. ლენინი თავის წიგნში *რა ვაკეთოთ?* ([1902] 1988) პროლეტარიატის იდეებს აღწერდა როგორც „სოციალისტურ იდეოლოგიას“, ან „მარქსისტულ იდეოლოგიას” – ასეთი გამოთქმები მარქსს აბსურდულად მოეჩვენებოდა. ლენინისა და მეოცე საუკუნის მარქსისტთა უმეტესობის შეფასებით, იდეოლოგია კონკრეტული სოციალური კლასისათვის დამახასიათებელ იდეებს აღნიშნავდა, იდეებს, რომლებიც მის ინტერესებს წინა პლანზე აყენებდა, მიუხედავად კლასობრივი მდგომარეობისა. მიუხედავად იმისა, რომ, ყველა სხვა კლასის მსგავსად, პროლეტარიატს, ასევე როგორც ბურჟუაზიას, გარკვეული იდეოლოგია აქვს, ამ ტერმინს უარყოფითი თუ დამამცირებელი კონოტაციეი ჩამოყალიბებული ჰქონდა. იდეოლოგია აღარ გულისმობდა აუცილებელ სიყალბესა და მისტიფიკაციას, აღარც მეცნიერებას უპირისპირდებოდა; „მეცნიერული სოციალიზმი“ (მარქსიზმი) პროლეტარული იდეოლოგიის ფორმად იქნა აღიარებული. მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგიის ლენინისეული კონცეფცია არსებითად ნეიტრალური იყო, ლენინს კარგად ესმოდა, რა როლს თამაშობდა იდეოლოგია კაპიტალისტური სისტემის შენარჩუნებაში. ლენინის აზრით, „ბურჟუაზიული იდეოლოგიის“ მიერ დამონებული პროლეტაარიატი კლასობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას დამოუკიდებლად ვერასოდეს შეძლებდა. ამიტომ ლენინი მიუთითებდა „ავანგარდული“ პარტიის აუცილებლობაზე, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა მუშათა მასებს მათი რევოლურიური პოტენციალის განხორციელების გზაზე.

ალბათ, არ შევცდებით, იდეოლოგიის მარქსისტული თეორიის შემდგომ განვითარებას ანტონიო გრამშის სახელს თუ დავუკავშირებთ. გრამშის ([1935] 1971) აზრით, კაპიტალისტური კლასობრივი სისტემა, უბრალოდ უთანასწორო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლრბას კი არ ემყარება, არამედ, გრამშისავე განმარტებით, – ბუჟუაზიულ იდეათა და თეორიათა „ჰეგემონიას“. ჰეგემონია ლიდერობას ან ბატონობას ნიშნავს, იდეოლოგიური ჰეგემონიის მნიშვნელობით ის გამოხატავს ბურჟუაზიული იდეების უნარს, განდევნოს სა-

პირისპირო აზრები და, საბოლოო ჯამში, თავისი პერიოდის საყოველთაოდ გავრცელებულ საღ აზრად იქცეს. გრამშიმ აჩვენა, თუ რამდენადაა იდეოლოგია გამჯდარი საზოგადოებაში ყველა დონეზე: ხელოვნებასა და ლიტერატურაში, განათლების სისტემასა და მასმედიაში, ყოველდღიურ მეტყველებასა და ხალხურ კულტურაში. გრამშის მტკიცებით, ბურჟუაზიულ ჰეგემონიასთან დაპირისპირება მხოლოდ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ დონეზე, ანუ სოციალისტურ პრინციპებზე , ღირებულებებსა და თეორიებზე დამყარებული მოწინააღმ-დეგე „პროლეტარული ჰეგემონიის" ჩამოყალიბებით თუ შეიძლება.

კაპიტალიზმის უნარს, რომელიც ლეგიტიმურობის შექმნით სტაბილურობის მიღწევას გულისხმობს, განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობდა ფრანკფურტის სკოლაც – უპირატესად გერმანული წარმოშობის ნეომარქსისტთა ჯგუფი, რომელიც ნაცისტური გერმანიიდან გაქცევის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა. ამ ჯგუფის საყოველთაოდ ცნობილი წევრი ჰერბერტ მარკუზე (იხ. გვ. 155) თავის ნაშრომში *ერთ-განზომილებიანი ადამიანი* (Marcuse, One Dimensional Man, 1964) ამტკიცებს, რომ განვი-თარებულმა ინდუსტრიულმა საზოგადოებამ საკუთარი იდეოლოგიის უნარის – მართოს აზროვნება და არ ცნოს ოპოზიციური შეხედულებების გამოხატვის უფლება-ძირითად გამოვლენად „ტოტალიტარულობა" დაადგინა.

ყალბი მოთხოვნილებების შექმნითა და ადამიანის ხარბ მომხმარებლებად გადაქცევით თანამედროვე საზოგადოებებს ძალუძთ, საყოველთაო და „გამანადგურებელი" სიუხვის გავრცელების გზით კრიტიციზმის პარალიზება მოახდინონ. მარკუზეს მიხედვით, ლიბერა-ლური კაპიტალიზმის აშკარა შემწყნარებლობაც კი რეპრესიულ მიზანს ემსახურება, რადგან აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლისა და კამათის შთაბეჭდილების შექმნით მალავს, თუ რა მასშტაბებს აღწევს იდეოლოგიური დამუშავება და იდეოლოგიური კონტროლი.

იდეოლოგიის არამარქსისტულ კონცეფციის კონსტრუირების ერთ ერთი ადრეული მცდე-ლობა ეკუთვნის გერმანელ სოციოლოგ კარლ მანჰაიმს (1893-1947). მარქსის არ იყოს, მასაც მიაჩნდა, რომ ადამიანთა იდეები მათ სოციალურ გარემო-პირობებში ყალიბდება, მაგრამ, მარქსისაგან განსხვავებით, იგი ისწრაფოდა, იდეოლოგია მისი ნეგატიური ქვე-ტექსტებისაგან გაეთავისუფლებინა. თავის ნაშრომში *იდეოლოგია და უტოპია (Mannhe-im, Ideology and Utopia,* [1929] 1960) მანჰაიმი იდეოლოგიებს აღწერდა როგორც აზროვნე-ბის სისტემებს, რომლებიც კონკრეტული სოციალური წყობის დაცვას ემსახურებიან და

ანტონიო გრამში (Antonio Gramsci, 1891-1937)

იტალიელი მარქსისტი და სოციალური თეორიტიკოსი. დაბალი რანგის სახელმწიფო მოხელის ვაჟი, გრამში სოციალისტურ პარტიაში 1913 წელს შევიდა, 1921 წელს კი ახლად ჩამოყალიბებული იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი გახდა. 1924 წელს მას იტალიის პარლამენ-ტის წევრად ირჩევენ, მაგრამ 1926 წელს მუსოლინიმ დააპატიმრა. გრამშიმ სიცოცხლის დარჩენილი წლები ციხეში გაატარა.

1929-1935 წლებში დაწერილ *ციხის ჩანაწერებში (Prison Notebooks) (Gramsci, 1971),* გრამშიმ სცადა, ორთოდოქსული მარქსიზმის წიაღში აქცენტი ეკონომიკურ ან მატერიალურ ფაქტორებზე გადაე-ტანა. ის უარყოფდა „მეცნიერული" დეტერმინიზმის ნებისმიერ ფორმას და ჰეგემონიის თეორიის ბაზაზე პოლიტიკური და ინტელექტუალური ბრძოლის მნიშვნელობას გამოკვეთდა. ცხოვრების ბოლომდე გრამში ლენინისტად და რევოლუციონერად დარჩა. რევოლუციის იდეებისადმი მისმა განსაკუთრებულმა ერთგულებამ და „ნების ოპტიმიზმმა" გრამში ახალ მემარცხენე მოძრაობასაც აზიარა.

რომლებიც ფართოდ გამოხატავენ მმართველი ან გაბატონებული ჯგუფების ინტერესებს. მეორე მხრივ, უტოპიები მომავლის იდეალიზებული განსახიერებებია, რომლებიც ჩაგრული ან დაქვემდებარებული ჯგუფების ინტერესების. მეორე მხრივ, უტოპიები მომავლის იდეალიზებული განსახიერებებია, რომლებიც ჩაგრული ან დაქვემდებარებული ჯგუფების ინტერესების განუხრელ სამსახურში მყოფ რადიკალურ სოციალურ ცვლილებებს გულისხმობს. მან ერთმანეთისაგან გამიჯნა ასევე იდეოლოგიის „კონკრეტული" და „ტოტალური" გაგებები. „კონკრეტული" იდეოლოგიები განსაკუთრებული ინდივიდების, ჯგუფების ან პარტიების მრწამსი და იდეებია, „ტოტალური" იდეოლოგიები კი სოციალური კლასის, საზოგადოების ან სულაც ისტორიული პერიოდის მთელ *Weltanschauug*-ს, ანუ „მსოფლმხედვლობას" მოიცავს. ამ თვალსაზრისით, მარქსიზმი, ლიბერალური კაპიტალიზმი და ისლამური ფუნდამენტალიზმი „ტოტალურ" იდეოლოგიებად შეიძლება ჩაითვალოს. და მაინც, მანჰაიმს მიაჩნდა, რომ ყველა იდეოლოგიური სისტემა, უტოპიათა ჩათვლით, გამრუდებულ-დამახინჯებულია, რადგან თითოეული მათგანი სოციალური რეალობის ნაწილობრივ და უცილობლად საკუთარ ინტერესებზე დამყარებულ ხედვას გვთავაზობს. თუმცა, იმასაც ამბობდა, რომ ობიექტური ჭეშმარიტების პოვნის მცდელობაზე ბოლომდე უარი არ უნდა ვთქვათ. მანჰაიმის მიხედვით, ობიექტურობა, მკაცრი აზრით ნაკრძალია „სოციალურად თავისუფალი ინტელიგენციისა", ინტელექტუალთა კლასისა, რომელიც ერთადერთია, ვისაც შეუძლია დისციპლინირებული და მიუკერძოებელი კვლევა აწარმოოს, რადგან საკუთარი ეკონომიკური ინტერესები არ გააჩნია.

იდეოლოგიის ცნების შემდგომ განვითარებაზე ღრმა კვალი დაამჩნია ომთაშორის პერიოდში წარმოშობილმე ტოტალიტარულმა დიქტატორულმა რეჟიმებმა და XX ს-ის 50-60-იანი წლების ცივი ომის უაღრესად დაძაბულმა იდეოლოგიურმა უთანხმოებებმა. სახელდობრ, ლიბერალი თეორიტიკოსები ფაშისტური იტალიის, ნაცისტური გერმანიისა და სტალინისტური რუსეთის რეჟიმებს ახასიათებდნენ როგორც მმართველობის ინსტორიულად ახალ და განსაკუთრებულად მჩაგვრელ სისტემებს; წარმოაჩენდნენ როლს, რომელსაც „ოფიციალური" იდეოლოგიები თამაშობდნენ როგორც დებატებისა და კრიტიციზმის შეზღუდვაში, ისე ორგანიზებული მორჩილების განმტკიცებაში. სრულიად განსხვავებული პოზიციების ავტორები, ისეთები როგორებიც არიან კარლ პოპერი (1902-94), ჰანა არენდტი (1906-75), ჯ.ლ. ტელმონი და ბერნარდ ქრიკი, ასევე „იდეოლოგიის აღსასრულის" თეორიტიკოსები, რომლებსაც მე-11 თავში განვიხილავთ, ტერმინ „იდეოლოგიის" მნიშვნელობის დავიწროებამდე მივიდნენ, მის მთავარ მაგალითებად ფაშიზმსა და კომუნიზმს ასახელებდნენ. ასეთი მნიშვნელობით, იდეოლოგიები აზროვნების „ჩაკეტილი" სისტემებია, რომლებიც ჭეშმარიტებაზე მონოპოლიის პრეზენტაციით მოწინააღმდეგე იდეათა და რწმენათა შემწყნარებლობაზე უარს ამბობს. ამგვარად, იდეოლოგიები „საერო რელიგიებია"; მათ „გაერთმთლიანების" ბუნება აქვს და წარმოადგენს სოციალური კონტროლის ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს მორჩილებასა და დაქვემდებარებას. ამ კრიტერიუმით, ყველა პოლიტიკური მრწამსი როდია იდეოლოგია. მაგალითად, ლიბერალიზმი, რომლის ამოსავალი პრინციპები თავისუფლებისადმი ღრმა ერთგულება, შემწყნარებლობა და მრავალფეროვნებაა, აზროვნების „ღია" სისტემის ნათელი მაგალითია (პოპერი, 1945.)

ასევე შესაძლებელია იდეოლოგიის ნიშანდობლივად კონსერვატიული ცნების დადგენაც. მისი წყარო აბსტრაქტულ პრინციპთა და ფილოსოფიათა მიმართ ხანგრძლივი კონსერვატიული უნდობლობაა, რომელიც რაციონალიზმისა და პროგრესისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებიდან მომდინარეობს. ასეთი ხედვით, სამყარო უსასრულოდ რთული და ადამიანის გონებისათვის თითქმის მიუწვდომელია. ამ მიმართულებით ყველაზე თვალსაჩინო თანამედროვე წარმომადგენელი ბრიტანელი პოლიტიკური ფილოსოფოსი მაიკლ ოუკშოთია (1901-90). თავის წიგნში *რაციონალიზმი პოლიტიკა* (Oakeshott, Rationalism in Politics, 1962), ოუკშოთი ამბობს: „პოლიტიკური აქტიურობა უკიდეგანო და უძირო ზღვაში ცურვას ჰგავს". ამ თვალთახედვით, იდეოლოგიები აზროვნების აბსტრაქტულ სისტემებად

აღიქმება, ისეთ იდეებად, რომლების ცოსიალური რეალობის გამარტივებისა და დამახინ-ჯებისკენაა მიმართული, რადგან ამის ახსნის პრეტენზია აქვთ, რაც აშკარად, ყოვლად გაუგებარია. ამგვარად, იდეოლოგია დოგმატიზმთან-რეალური სამყაროს სირთულეთაგან გათავისუფლებულ მუდმივ ან სქოლასტიკურ დოქტრინებთანაა გათანაბრებული. კონსერ-ვატორებმა უარყვეს პოლიტიკის „იდეოლოგიური“ სტილი, რომელიც მსოფლიოს აბსტრაქ-ტული პრინციპებისა თუ წინასწარ ჩამოყალიბებული თეორიების შესაბამისად გარდაქმნის მცდელობებს ეფუძვნება. ვიდრე ახალი მემარჯვენე მოძრაობის ეგზომ იდეოლოგიური პოლიტიკის გავლენის ქვეშ მოექცეოდნენ, კონსერვატორები, ოუკშოთს თუ დავესესხებით, „ტრადიციონალისტურ პოზიციას“ არჩევდნენ, რომელიც იდეოლოგიას უარყოფს, პრაგ-მატიზმს ემხრობა და გამოცდილებასა და ისტორიას ადამიანური ქცევის ყველაზე სანდო ორიენტირად სახავს.

თუმცა, 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, ტრადიციული სოციალური და პოლიტიკუ-რი ანალიზის მოთხოვნების შესაბამისად, ტერმინ „იდეოლოგიის სახეცვლამ მისი უფრო ფართოდ გავრცელება განაპირობა. იდეოლოგია ნეიტრალურ და ობიექტურ ცნებად დამ-კვიდრდა, მას ჩამოსცილდა ის პოლიტიკური დატვირთვა, რომელიც წინათ მიეწერებოდა. ასე, მაგალითად, მარტინ სელინჯერი (1976) იდეოლოგიას განმარტავს როგორც „იდეათა სისტემას, რომლის საშუალებითაც ადამიანები აყალიბებენ, ხსნიან და ასაბუთებენ ორგა-ნიზებული სოციალური ქმედების მიზნებსა და საშუალებებს, სულერთია, რისკენაა მიმარ-თული ასეთი ქმედება – მოცემული სოციალური წყობის შენარჩუნების, გაუმჯობესების, აღმოფხვრისა თუ ხელახალი შენებისაკენ“. აქედან გამომდინარე, იდეოლოგია ქმედებაზე ორიენტირებული აზროვნების სისტემაა. ამგვარი განსაზღვრის შემდეგ ის აღარაა კარგი ან ცუდი, ჭეშმარიტი ან მცდარი, ღია ან ჩაკეტილი, გამათავისუფლებელი ან მჩაგვრელი – იდეოლოგია ყველაფერი შეიძლება იყოს.

ამ სოციალურ-მეცნიერული ცნების ჭეშმარიტი ღირებულება ისაა, რომ ინკლუზიურია, რადგან ყველა „იზმს“ შეიძლება მიესადაგოს: ლიბერალიზმსაც და მარქსიზმსაც, კონსერ-ვატიზმსაც და ფაშიზმსაც და ა.შ. იდეოლოგიის ნეგატიურ ცნებათა ნაკლი კი მათი შეზ-ღუდვითობაა. მარქსი ლიბერალურ და კონსერვატიულ იდეებს იდეოლოგიურს უწოდებდა, ხოლო საკუთარ იდეებს მეცნიერულად მიიჩნევდა; ლიბერალები კომუნიზმსა და ფაშიზმს იდეოლოგიათა რანგში განიხილავენ, მაგრამ ლიბერალიზმს ასეთად არ თვლიან; ტრადიცი-ული კონსერვატორები, ლიბერალიზმს, მარქსიზმსა და ფაშიზმს, როგორც იდეოლოგიურს, გმობენ, კონსერვატიზმს კი უბრალოდ „განწყობად“ გვიხატავენ. და მაინც, იდეოლოგიის

პრაგმატიზმი

პრაგმატიზმი, საზოგადოდ, პრაქტიკული გარემოებების კვლევას უფრო გულისხმობს, ვიდრე თეორიული დოქტრინებისას, ანუ გულისხმობს იმის კვლევას, თუ რისი მიღწევა შეიძლება რეალურ სამყაროში, განსხვავებით იმისაგან, რის მიღწევასაც იდეალური სამყარო გვავალდებულებს. როგორც ფილოსოფიური დოქტრინა (დაკავშირებული, როგორც წესი, ისეთ ფილოსოფიათა სახელე-ბთან, როგორებიცაა უილიამ ჯეიმსი (1842-1910) და ჯონ დიუი (1859-1952)), პრაგმატიზმი გვასწავ-ლის, რომ რწმენათა მნიშვნელობისა და მოტივაციის შეფასება მათი პრაქტიკული შედეგებით უნდა მოხდეს. თუმცა დეფინიციის მიხედვით, პოლიტიკის პრაგმატული სტილი არაიდეოლოგიურია, მისი გაიგივება უპრინციპო ოპორტუნიზმთან არ შეიძლება. პრაგმატიზმი ცვლილებისადმი ფრთხილ და-მოკიდებულებას გულისხმობს; იგი უარყოფს რადიკალურ რეფორმებსა და რევოლუციას, როგორც უცნობში შეღწევას; ნაცვლად ამისა, აქტიურ დარეგულირებასა და, სავარაუდოდ, ევოლუციურ პროგრესსაც უჭერს მხარს.

ნებისმიერ ნეიტრალურ ცნებასაც ახლავს საშიშროებები. კერძოდ, პოლიტიკური დატვირთვის თავიდან მოცილებით ამ ტერმინმა იმდენად შემოარავი და განზოგადებული სახე შეიძლება მიიღოს, რომ კრიტიკული სიმძაფრე სრულიად დაკარგოს. თუკი იდეოლოგია ტოლფასია ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა „რწმენითი სისტემა“, „მსოფლმხედველობა“, „დოქტრინა“ ან „პოლიტიკური ფილოსოფია“, განა თვალთმაქცობა არაა, კიდევ ვამტკიცოთ, რომ მას საკუთარი და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს? ამ მხრივ ორ საკითხს საგანგებოდ გამოვყოფდი: რა მიმართულებებია იდეოლოგიასა და ჭეშმარიტებას შორის და როგორ შეიძლება იდეოლოგია იყოს ძალაუფლების ფორმა?

იდეოლოგია, ჭეშმარიტება და ძალაუფლება

იდეოლოგიის რაიმეგვარი მოკლე ან ერთ წინადადებაში მოქცეული განმარტება პასუხებზე უფრო მეტ კითხვას წარმოშობს. და მაინც, ის სასარგებლო და დაუცილებელი ამოსავალი წერტილი იქნება. ამ წიგნში იდეოლოგია შემდეგნაირად არის გაგებული:

> იდეოლოგია იდეათა მეტ-ნაკლებად მწყობრი სისტემაა, რომელიც საფუძვლს უქმნის ორგანიზებულ პოლიტიკურ ქმედებას, სულერთია რა მიზანს ემსახურება ის: არსებული სისტემის ან ძალაუფლების შენარჩუნებას, სახეცვლასა თუ დამხობას. ამდენად ყველა იდეოლოგია გვთავაზობს: (ა) არსებული წყობის შეფასებას, ჩვეულებრივ, „მსოფლმხედველობის“ სახით, (ბ) სასურველი მომავლის მოდელს – „კარგი საზოგადოების“ ხედვას, და (გ) გეგმას, თუ როგორ შეიძლება და უნდა განხორციელდეს პოლიტიკური ცვლილება – როგორ მივიდეთ (ა)-დან (ბ)-მდე.

ეს დეფინიცია არც ორიგინალურია და არც ნოვატორული და ამ ტერმინის სოციალურ მეცნიერულ მნიშვნელობასთან სრულ შესაბამისობაშია. და მაინც, იდეოლოგიის ფენომენის ზოგიერთ მნიშვნელოვან და დამახასიათებელ ნიშანზე მიგვითითებს. კერძოდ, წარმოაჩენს, რომ იდეოლოგიის პრობლემურობა დესკრიციულ საზღვრებს შორის მერყეობიდან მომდინარეობს. ერთი სიტყვით, იდეოლოგია ორი სახის სინთეზს წარმოშობს: ერთი მხრივ, აერთიანებს გაგებასა და ვალდებულებას, ხოლო მეორე მხრივ – აზროვნებასა და ქმედებას.

პირველი სახის სინთეზთან, ანუ გაგებისა და ვალდებულების შერწყმასთან დაკავშირებით იდეოლოგია აბუნდოვანებს განსხვავებას იმათ შორის, რაც „არის“ და რაც „ უნდა იყოს“. იდეოლოგიების დესკრიფციულობა იმას ნიშნავს, რომ ისინი, სინამდვილეში, ცალკეულ ადამიანებსა და ჯგუფებს სთავაზობენ მათი საზოგადოების ფუნქციონირების ერთგვარ ინტელექტუალურ გეგმას და, კიდევ უფრო ვრცლად, სამყაროს ზოგად ხედვას. ეს, მაგალითად, გვეხმარება იდეოლოგიის ინტეგრირების მნიშვნელოვანი უნარის ახნაში, უნარისა, რომელიც ადამიანების კონკრეტულ სოციალურ გარემოში „მოთავსებას“ გულისხმობს. ასეთი დესკრიფციული გაგება ღრმადაა გამჯდარი როგორც არსებული სოციალური მოწყობის შესატყვისობის, ისე ალტერნატიული ან მომავალი საზოგადოების ბუნების შესახებ ნორმატიულ ან პრესკრიფციულ რწმენათა სისტემაში. ამდენად, იდეოლოგია ძლიერი ემოციური ბუნებისაა: ის იმედებისა და შიშების, კეთილგანწყობისა და სიძულვილის, მრწამსთა და გაგების გამოხატვის საშუალებაა.

რამდენადაც (ა) და (ბ) მომენტები ურთიერთდაკავშირებულია, „ფაქტები“ იდეოლოგიებში გარდაუვლად მიდრეკილია „ღირებულებებთან“ შერწმისა და აღრიცხვისაკენ. ამას ისიც მოწმობს, რომ შეუძლებელია იდეოლოგისა და მეცნიერების რაიმეგვარი მკაფიო გამიჯვნა. ამ მხრივ, კარგი იქნებოდა, თუ იდეოლოგიებს პარადიგმებად განვიხილავდით, როგორც ამას აკეთებს თომას კუნი თავის წიგნში *მეცნიერული რევოლუციების სტრუქტურა* (The Structure of Scientific Revolutions, 1962). ასეთ შემთხვევაში იდეოლოგია შეიძება აღვიქვათ იმ პრინციპითა, დოქტრინათა და თეორიათა ერთობლიობად, რომლებიც ინტელექტუალური

კვლევს პროცესის სტრუქტურირებაში გვეხმარება. სინამდვილეში იგი ქმნის ჩარჩოს, რომლის შიგნითაც პოლიტიკური ცოდნის – პოლიტიკური დისკურსის ენის – ძიება მიმდინარეობს. მაგალითად, აკადემიური პოლიტიკური მეცნიერებისა და, კიდევ უფრო აშკარად – ეკონომიკურ მეცნიერებათა ინდივიდუალისტური და რაციონალისტური ვარაუდები, უდავოდ, ლიბერალური წარმომავლობისაა. იდეოლოგიის როგორც ინტელექტუალური ჩარჩოს ან პოლიტიკური ენის გაგება, ასევე მნიშვნელოვანია, რადგან ის წარმოაჩენს სიღრმეს, რომლითაც იდეოლოგია ადამიანური გაგების სტრუქტურირებას ახდენს. საკუთარ რწმენათა იდეოლოგიურობის უარყოფის ტენდენცია (მაშინ როცა სხვებს ხშირად ზუსტად იმავე ცოდვის ჩადენის გამო ვკიცხავთ) იმით შეიძლება ავხსნათ, რომ სწორედ იმ კონცეფციათა შემოთავაზებებით, რომლებიც სამყაროს გასაგებს ხდის, ჩვენი იდეოლოგია ეფექტურად ინიღბება (უჩინარდება). ვერ ვამჩნევთ, ან არ გვინდა შევამჩნიოთ, რომ სამყაროს აღვიქვამთ ისეთს, როგორადაც მას აჩენს ჩვენსავე თეორიებისა და ვარაუდების რიდე, და ამის მიხედვით ვანიჭებთ მას (სამყაროს) მნიშვნელობას.

მეორე სახის სინთეზი, აზროვნებისა და ქმედების ნაზავი, რომელიც (ბ) და (გ) მომენტთა კავშირით გამოიხატება, არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამაზე ყურადღებას ამახვილებდა სელიჯერი (1976) იდეოლოგიის, მისსავე ტერმინებს თუ ვიხმართ, „ფუნდამენტურ“ და „ოპერატიულ“ დონეებზე საუბრისას. ფუნდამენტურ დონეზე იდეოლოგიები პოლიტიკურ ფილოსოფიებს ჰგავს, რადგან აბსტრაქტულ იდეებსა და თეორიებს ეხება. რაც შეეხება ამ იდეოლოგიების მხარდამჭერებს, მათი გამოკვლევები ზოგჯერ შემართებას მოკლებულად შეიძლება მოგვეჩვენოს. ტერმინს „იდეოლოგუე“ ხშირად კონკრეტულ იდეოლოგიათა დაუღვინებელი ან მორიდებული მხარდამჭერების დასახასიათებლად იყენებენ, თუმცა, იდეოლოგიური ტრადიციის განვითარებაში წვლილი ისეთ პატივცემულ პოლიტიკურ ფილოსოფიებსაც მიუძღვით, როგორებიც არიან ჯონ ლოკი (იხ.გვ.45), ჯონ სტიუარტ მილი (იხ.გვ. 34) და ფრიდრიხ ჰეიეკი (იხ.გვ. 108). ოპერატიულ დონეზე კი იდეოლოგიები ფართო პოლიტიკურ მოძრაობათა ფორმას იღებს და ხალხის მობილიზაციასა და ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ერთვება. ასეთი იერსახით იდეოლოგია შეიძლება გამოისახოს მოწოდებებში, პოლიტიკურ რიტორიკაში, პარტიის მანიფესტებსა და მთავრობის პოლიტიკურ კურსში. იდეოლოგიები, როგორც იდეებზე, ასევე ქმედებებზე ზედმიწევნით ორიენტირებული უნდა იყოს, მაგრამ ზოგიერთი იდეოლოგია, უდავოდ, ერთ დონეზე უფრო ძლიერი, ვიდრე – მეორეზე. მაგალითად ფაშიზმი ყოველთვის ოპერატიულ მიზნებს, გნებავთ, საქმის პოლიტიკას, უსვამდა ხაზს. ანარქიზმი კი, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის შუაწლებიდან მოყოლებული, მნიშვნელოვანწილად, ფუნდამენტურ ან ფილოსოფიურ დონეზეა შემორჩენილი.

და მაინც, იდეოლოგიებს პოლიტიკური ფილოსოფიებისათვის დამახასიათებელი მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფორმა და შინაგანი კონსისტენცია არა აქვს; ისინი მხოლოდ მეტ-ნაკლებადაა თანმიმდევრული. ეს აშკარა უფორმობა ნაწილობრივ იმის შედეგია, რომ იდეოლოგიები აზროვნების ჰერმეტულად დახშული სისტემები არაა; როგორც წესი, ისინი უფრო მუდმივად ცვალებადი იდეათა სისტემებია, რომლებიც სხვა იდეოლოგიებთან ურთიერთქმედებენ და ურთიერთმონაცვლეობენ, რაც იდეოლოგიათა განვითარებას უწყობს ხელს და ისეთი ჰიბრიდული იდეოლოგიების აღმოცენებასაც, როგორიცაა ლიბერალური კონსერვატიზმი, სოციალისტური ფემინიზმი და კონსერვატიული ნაციონალიზმი. ყოველი იდეოლოგია განსხვავებულ, მეტიც – დაპირისპირებულ ტრადიციათა და თვალსაზრისთა სპექტრსაც კი შეიცავს. არცთუ იშვიათად ერთი და იმავე იდეოლოგიის მომხრეთა შორის აზრთა გაცვლა – გამოცვლა უფრო ცხარე და გააფთრებულია, ვიდრე – მოწინააღმდეგე იდეოლოგიათა მომხრეებთან კამათი, რადგან დავა იდეოლოგიის ჭეშმარიტ ბუნებას შეეხება: რას ნიშნავს „ჭეშმარიტი“ სოციალიზმი, „ჭეშმარიტი“ ლიბერალიზმი ან „ჭეშმარიტი“ ანარქიზმი? იდეოლოგიურ ტრადიციათა შიგნითა და გარეთ მიმდინარე დავას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ მასში ხშირად ერთი და იგივე პოლიტიკური ტერმინები მო-

ნაწილეობს. ისეთ ცნებებს, როგორიცაა „თავისუფლება“, „დემოკრატია“, „სამართლიანობა“ და „თანასწორობა“ მოკამათე მხარეები მათი შეხედულებებისათვის დამახასიათებელი მნიშვნელობით იყენებენ. აქ მივადექით პრობლემას, რომელიც უილ. ბ. გელიმ (Gallie, 1955-6) ასეთი სახელი მოუძებნა: „არსებითად საკამათო ცნებები“. ეს არის ცნებები, რომელთა შესახებაც პოლემიკა იმდენად ღრმაა, რომ რაიმე მისაღებ დეფინიციაზე შეთანხმება შეუძლებელია. ამ მხრივ, იდეოლოგიის ცნება, რა თქმა უნდა, „არსებითად საკამათოა“, ისევე, როგორც სხვა ტერმინები, განხილული ჩანართებში „თვალსაზრისები... შესახებ“.

თუმცა, აშკარაა, რომ იდეოლოგიის არათანმიმდევრულობასა და უფორმობას ზღვარი უნდა ჰქონდეს. უნდა არსებობდეს მიჯნა, სადაც იდეოლოგია, რომელიც განსაკუთრებით სათაყვანებელ პრინციპზე უარის თქმით, ან ადრე არასერიოზულად მიჩნეული თეორიის გაზიარებით, საკუთარ თვითმყოფადობას კარგავს ან, შესაძლოა მოწინააღმდეგე იდეოლოგიაში ჩაინთქმება. დარჩება ლიბერალიზმი ლიბერალიზმად, თუკი თავისუფლებისადმი ერთგულებაზე უარს იტყვის? დარჩება სოციალიზმი სოციალიზმად, ძლადობისა და ომის მიდრეკილებებს თუ განავითარებს? მაიკლ ფრიდენის (Freeden, 1996) თანახმად, ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთი გზა, ამოსავალ ცნებებთან დაკავშირებით, იდეოლოგიის მორფოლოგიის, ფორმისა და სტრუქტურის წარმოჩენაა, სწორედ ისე, როგორც ოთახში ავეჯის განლაგება გვკარნახობს, რომელია სამზარეულო, საძინებელი, სასტუმრო ოთახი და ა.შ. ყოველი იდეოლოგია, ამდენად, ცენტრალური, მომიჯნავე და პერიფერიული ცნებების ნაკრებისაგან შედგება, რომელთაგან უკლებლივ ყველა არსებობა აუცილებელი არ არის, რათა თეორია ან დოქტრინა ამ იდეოლოგიის ნაწილად ვაღიაროთ. მაგალითად, სამზარეულო სამზარეულოდ დარჩება, მასში ნიჟარა და გაზქურაც რომ არ იყოს, ვერც ჭურჭლის სარეცხი მანქანიებისა და მიკროტალღოვანუ ღუმელების დანერგვა შეუცვლის მას კარგა ხანს იერსახეს. ინდივიდუალიზმი, თავისუფლება და ადამიანური რაციონალობა, მაგალითად, ლიბერალიზმის ცენტრალურ ცნებათა ჯაჭვად შეიძლება მივიჩნიოთ. ერთ-ერთის გამოკლება დოქტრინის ლიბერალურ პრინციპებს კითხვის ქვეშ არ დააყენებს, მაგრამ, თუ ამ ჯაჭვს ორი ცნება გამოაკლდება, ეს უკვე ახალი იდეოლოგიური ფორმის წარმოქმნის მანიშნებელი იქნება.

რას გვეუბნება ყოველივე ეს იდეოლოგიისა და ჭეშმარიტების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით? მარქსი, როგორც ვნახეთ, იდეოლოგიაში ჭეშმარიტების უწყალო მტერს ხედავდა. მისი აზრით, იდეოლოგია სიყალბეს გულისხმობს, მას მმართველი კლასი ქმნის ექსპლუატაციისა და ჩაგვრის შესანიღბად. როგორც მანჰაიმმა შენიშნა, აღიარო მარქსის კვალდაკვალ, რომპროლეტარიატს ილუზია და იდეოლოგია არ სჭირდება, ერთობ რომანტიზებული შეხედულებაა მუშათა მასებზე, როგორც კაცობრიობის გამათავისუფლებლებზე. თუმცა, არც ამ პრობლემის თავად მაინჰაიმისეულ გადაწყვეტას-თავისუფალი ინტელექტუალებისადმი რწმენას – მივყავართ საჭირო პასუხამდე. ცნობიერად თუ არაცნობიერად, ადამიანთა შეხედულებებს სოციალური და კულტურული ფაქტორები განსაზღვრავს; და რამდენადაც განათლება ეხმარება მათ ამ შეხედულებათა უფრო მკაფიოდ და დამაჯერებლად ჩამოყალიბებაში, იმდენადვე საეჭვოა, იგივე განათკლება ამ შეხედულებებს ოდნავ მაინც ნაკლებად სუბიექტურს ან ცოტათი მეტად მიუკერძოებელს ხდიდეს.

ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს ჭეშმარიტების რაიმე ობიექტური კრიტერიუმი, რომელთან მიმათებაშიც შეგვიძლია იდეოლოგიები განვიხილოთ. მართლაც, იდეოლოგიების მხოლოდ ჭეშმარიტად ან მცდარად შეფასებით მხედველობის მიღმა რჩება ის უმთავრესი მომენტი, რომ ისინი თავის თავში ღირებულებებს, ოცნებებსა და მისწრაფებებს აერთიანებენ, რომლებიც, სწორად მათი ბუნებიდან გამომდინარე, მეცნიერულ ანალიზს არ ექვემდებარება. არავის შეუძლია „ამტკიცოს“, რომ სამართლიანობის ეღტი თეორია მეორეზე უკეთესია, ისევე როგორც შეუძლებელია, ადამიანის ბუნების შესახებ არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო კონცეფციები ქირურგიული ჩარევით შემოწმდეს – ამ

თვალსაზრისები... იდეოლოგიის შესახებ

ლიბერალები, განსაკუთრებით ცივი ომის წლებში იდეოლოგიას განიხილავდნენ როგორც ოფიციალურად სანქცირებულ რწმენით სისტემას, რომელსაც ჭეშმარიტებაზე მონოპოლიის პრეტენზია აქვს, ხშირად ვითომდა მეცნიერულობაზე დამყარებულიც. ამდენად, იდეოლოგია შინაგანი ბუნებით რეპრესიულია, ტოტალიტარულიც კი; მისი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია: კომუნიზმი დაფაშიზმი.

კონსერვატორები იდეოლოგიას**,** ტრადიციულად, რაციონალიზმის თვითდაჯერებულობის გამოხატულებად განიხილავდნენ. იდეოლოგიები აზროვნების დახვეწილი სისტემებია, საშიში და არასაიმედო. ისინი, რეალობისაგან მოწყვეტით, ისეთ პრონცოპებსა და ამოცანებს სახავენ, რომელთაც რეპრესიებამდე მივყავართ ან უბრალოდ განუხორციელებელია. ამ მხრივ, სოციალიზმი და ლიბერალიზმი აშკარად იდეოლოგიურია.

სოციალისტები, მარქსის მიხედვით, იდეოლოგიას აფასებენ როგორც იდეათა ერთიანობას, რომელიც კლასობრივი საზოგადოების წინააღმდეგობებს ნიღბავს, რითაც დამორჩილებულ კლასებში ყალბ ცნობიერებასა და პოლიტიკურ პასიურობას ავითარებს. ლიბერალიზმი მმართველი კლასის იდეოლოგიის კლასიკური ნიმუშია. მოგვიანებით მარქსისტებმა იდეოლოგიის ნეიტრალური კონცეფცია მიიღეს და მას განიხილავდნენ როგორც იდეებს, რომლებიც დამახასიათებელია ნებისმიერი სოციალური კლასისათვის, მათ შორის მუშათა კლასისთვისაც.

ფაშისტები იდეოლოგიას ხშირად უარყოფენ როგორც პოლიტიკური აზროვნების ზედმეტად მეთოდურ, მშრალ და ინტელექტუალიზებულ ფორმას, რომელიც მხოლოდ გონებრივ ანალიზს ემყარება და არა ენთუზიაზმს ან ნებას. მაცისტები ამჯობინებდნენ, საკუთარი იდეები გამოესახათ როგორც Waltanschauung, ანუ „მსოფლმხედველობა“ და არა როგორც სისტემაში მოყვანილი ფილოსოფია.

ეკოლოგისტები, ჩვეულებრივ, ყველა ტრადიციულ პოლიტიკურ დოქტრინას ინდუსტრიალიზმის ზეიდეოლოგიის ნაწილად თვლიან. ამგვარად, მათი აზრით, იდეოლოგია შერყვნილია ქედმაღლურ ჰუმანიზმთან და ზრდაზე ორიენტირებულ ეკონომიკასთან კავშირით – ლიბერალიზმი და სოციალიზმი ამის ნათელი მაგალითებია.

რელიგიური ფუნდამენტალისტები იდეოლოგიად განიხილავენ მთავარ რელიგიურ ტექსტებს, რადგან ღვთით გამჟღავნებული სიტყვის გამოხატვით ისინი საფუძვლიანი სოციალური რეკონსტრუქციის პროგრამას გვთავაზობენ. საერო რელიგიები, ამდენად, უარყოფილია, რადგან რელიგიურ პრინციპებს არ ეფუძვნება და ზნეობრივ არსს მოკლებულია.

გზით ერთხელ და სამუდამოდ ნაჩვენები იქნას, რომ ადამიანებს უფლება აქვთ, რომ თავისუფლება მათი განუყოფელი უფლებაა, რომ ბუნებით ისინი ან თავკერძანი არიან ან ზნექველნი. იდეოლოგიებს გავლენა აქვთ არა იმიტომ, რომ ისინი სიმწყობრესა და ლოგიკურ ანალიზს ექვემდებაარებიან, არამედ იმიტომ, რომ ცალკეულ ადამიანებს, ჯგუფებსა და საზოგადოებებს ეხმარებიან, საზრისი დაინახონ სამყაროში, რომელშიც ცხოვრობენ. ენდრიუ ვინსენტისა არ იყოს (Vincent, 1995), „იდეოლოგიას თანამგზავრის პოზიციიდან ვუჭვრეტთ და არა ნეიტრალური დამკვირვებლისა“.

ასე, რომ იდეოლოგიებს უდავოდ აქვს ჭეშმარიტების დადგენის პრეტენზია; ამ გაგებით, მათ „ჭეშმარიტების რეჟიმები“ შეიძლება ვუწოდოთ. იდეოლოგიები გვთავაზობენ პოლიტიკური დისკურსის ენას, მოსაზრებებსა და ვარაუდებს იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს და როგორ უნდა ფუნქციონირებდეს საზოგადოება; ამდენად ისინი განსაზღვრავენ

როგორც ჩვენს აზროვნებას, ისე – ქმედებასაც. როგორც „ჭეშმარიტების რეჟიმი“, იდეოლოგია ყოველთვის კავშირშია ძალაუფლებასთან. დაპირისპირებული ჭეშმარიტებების, ღირებულებებისა და თეორიების სამყაროში იდეოლოგიები გარკვეული ღირებულებების სხვაზე პრიორიტეტულად აღიარებისაკენ და კონკრეტული თეორიებისა თუ მნიშვნელობათა სისტემებისათვის ლეგიტიმურობის მინიჭებისკენაა მიმართული. მეტიც, იდეოლოგიები სოციალური სამყაროს ინტელექტუალური რუკებით გვამარაგებენ და ამით უზრუნველყოფენ, ერთი მხრივ, ცალკეულ ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს, ხოლო მეორე მხრივ, ძალაუფლების უფრო ფართო სტრუქტურას შორის ურთიერთობის დამყარებას. ამდენად, იდეოლოგიები გადამწყვეტ როლს თამაშობენ როგორც გაბატონებული ძალაუფლებრივი სტრუქტურის შენარჩუნებაში, განიხილავენ რა მას როგორც სამართლიანს, ბუნებრივს, კანონიერს და ა.შ, ისე მის დასუსტებასა და მის მიმართ ეჭვის გაღვივებაში, როდესაც მის უსამართლობებს ან უკანონობებს წაარმოაჩენენ და ყურადღებას ალტერნატიული ძალაუფლებრივი სტრუქტურებისაკენ მიმართავენ.

მემარცხენეობა, მემარჯვენეობა და ცენტრისტობა

პოლიტიკურ იდეათა და იდეოლოგიათა კატეგორიზაციისა და ურთიერთდაკავშირების მრავალი მცდელობა არსებობს. ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ხერხია მათი მემარცხენე-მემარჯვენე პოლიტიკურ სპექტრად დაყოფა. ეს წრფივი სპექტრია, რომელიც პოლიტიკურ მრწამსებს ორ უკიდურესობას – უკუდურეს მემარცხენე და უკიდურეს მემარჯვენე მიმართულებებს – შორის გარკვეულ ზღვარზე განალაგებს. ვისიმე პოლიტიკური შეხედულებების ან მრწამსის დასაჯამებლად ფართოდ გამოიყენება ტერმინები: „მარცხენა ფრთა“ ან „მარჯვენა ფრთა”; ხოლო ერთი იდეის გარშემო ადამიანთა გაერთიანების აღსანიშნად იყენებენ ტერმინებს „მემარცხენეები“, „მემარჯვენეები“ და, რა თქმა უნდა, „ცენტრიდტები“. ასევე თანხმდებიან ამ სექტორში განსხვავებული იდეებისა და იდეოლოგიების განლაგებაზეც. დიაგრამაზე (1) გამოსახული სპექტრი, ალბათ, ბევრისთვის ნაცნობია.

პოპულარობის მიუხედავად, იმის დადგენა, თუ ზუსტად რას ნიშნავს სპექტრი და რამდენად გვეხმარება პოლიტიკური იდეებისა შეხედულებების განსაზღვრასა და დახასიათებაში, იოლი სულაც არ არის. ტერმინები „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ საფრანგეთის რევოლუციის პერიოდიდან მოდის. 1789 წელს დიდგვაროვანთა პირველ კრებაზე განსხვავებული ქონებრივი მდგომარეობის ჯგუფებს განსხვავებული ადგილები ეკავათ. მეფის მხარდამჭერი არისტოკრატები მისგან მარჯვნივ ისხდნენ, რადიკალები კი, მესამე წოდების წევრები, – მარცხნივ. ადგილთა ასეთი განლაგება შენარჩუნდა მომდევნო ფრანგულ თავყრილობებზეც. ტერმინმა „მემარჯვენე“ მალევე დაიმკვიდრა რეაქციულის ან მონარქისტულის გაგება, ხოლო „მემარცხენემ” – რევოლუციის ან ეგალიტარიზმის მომხრე მიმართულების მნიშვნელობა. თუმცა, თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში მემარცხენედ და მემარჯვენედ დაყოფა სულ უფრო რთული ხდება და აღარ გამოხატავს უბრალო არჩევანს რევოლუციისა და რეაქციას შორის. მაგალითად, მართალია , მემარჯვენე შეხედულებები ხშირად რეაქციული შეიძლება იყოს და ადრინდელ, უკეთეს დროში დაბრუნებას ქადაგებდეს, მაგრამ ფაშიზმი, როგორც უკიდურესი მემარჯვენე მიმართულება, რევოლუციურიც იყო, ხოლო იტალიური ფაშიზმის შემთხვევაში -აშკარად შორსმჭვრეტელურიც . ამგვარადვე, თუმცა მემარცხენე შეხედულებები, ჩვეულებრივ, პროგრესულად ან რევოლუციურად მიიჩნევა, სოციალისტები და კომუნისტები დროდადრო ცვლილებებს ეწინააღმდეგებიან. მაგალითად, საყოველთაო კეთილდღეობის/უზრუნველყოფის სახლმწიფოს იცავენ, უარს ამბობენ ცენტრალიზებული დაგეგმვის ეკონომიკის რეფორმირებაზე ან გაუქმებაზე.

წრფივ სპექტრში, როგორც საზოგადოდ მიიჩნევენ, განსხვავებული პოლიტიკური ღირებულებები ან ეკონომიკური პოლიტიკის თაობაზე ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები აისახება. ღირებულებებთან დაკავშირებით, ეს სპექტრი, როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ,

დიაგრამა 1. წრფივი სექტორი

კომუნიზმი | სოციალიზმი | ლიბერალიზმი | კონსერვატიზმი | ფაშიზმი

თანასწორობის შესახებ განსხვავებულ დამოკიდებულებას ასახავს. მემარცხენეები თანასწორობის პრინციპთა ერთგულნი არიან და მისი მიღწევის საკითხში ოპტიმიზმს გამოხატავენ. მემარჯვენეები, როგორც წესი, უარყოფენ თანასწოროის პრინციპს როგორც არასასურველს ან მიუღწეველს. ეს საკითხი ახლო კავშირშია ეკონომიკასთან, კერძოდ, მატერიალურ სიკეთეთა ფლობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პოზიციასთან. კომუნისტები, როგორც უკიდურესი მემარცხენე მიმართულება, სახელმწიფო დაგეგმვის ეკონომიკის მომხრენი არიან; სოციალისტები და თანამედროვე ლიბერალები შერეულ ეკონომიკასა და სახელისუფლო რეგულირებას უჭერენ მხარს; მემარჯვენე კონსერვატორები თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმსა და კერძო საკუთრებას იცავენ. მაგრამ ყველა ასეთ ინტერპრეტაციაში გარკვეული შეუსაბამობებია. მაგალითად, ფაშისტური რეჟიმები ეკონომიკურ მართვასა და სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ, მიუხედავად მათი უკიდურესად მემარჯვენე პოზიციებისა. უფრო მეტიც, გარკვეული არ არის, უნდა მოთავსდეს თუ არა სწრაფ სპექტრში ანარქიზმიც. ანარქისტები მკაცრად იცავენ თანასწორობის იდეას, რაც მათ, წესით, ამ სპექტრში უკიდურეს მემარცხენე პოზიციაზე განალაგებდა, მაგრამ ანარქისტები ასევე უარყოფენ ეკონომიკური მართვისა და მთავრობის ყველა ფორმას, რის საფუძველზეც ისინი უკიდურესი მემარჯვენე ფრთისათვის შეიძლება მიგვეკუთვნებინა.

წრფივი სპექტრის ნაკლი ისაა, რომ მას პოლიტიკა ერთ განზომილებამდე დაჰყავს და მიგვანიშნებს, რომ პოლიტიკური შეხედულებების კლასიფიცირება მხოლოდ ერთი კრიტერიუმის მიხედვითაც შეიძლება იყოს, თანასწორობის პრინციპიცა და ეკონომიკური ფილოსოფიაც. პოლიტიკური იდეოლოგიები რწმენათა, ღირებულებათა და დოქტრინათა მეტად რთული ნაკრებია და მის გამარტივებას ვერანაირი სპექტრი გვერდს ვერ აუვლის. იყო მცდელობები უფრო დახვეწილი პოლიტიკური სპექტრის შექმნისა, რომელსაც ორი ან მეტი განზომილება ექნებოდა. წრფივი სპექტრის კრიტიკას, მაგალითად, ზოგჯერ ის იწვევს, რომ მისი კიდური წევრები, კომუნიზმი და ფაშიზმი, მსგავსებებს ავლენს. კერძოდ, როგორც კომუნისტურმა, ისე ფაშისტურმა რეჟიმმა პოლიტიკური მართვის რეპრესიული, ავტორიტარული ფორმები განავითარა, რომლებსაც ზოგიერთი „ტოტალიტარულს“ უწოდებს. შედეგად ალტერნატიული პოლიტიკური სპექტრი ნალის ფორმის შეიძლება იყოს, რითაც მიგვანიშნებს, რომ კიდური მარცხენა და მარჯვენა ბოლოები შეერთებისკენ

დიაგრამა 2. ნალისებრი სპექტრი



მიისწრაფვის და რითაც ორივეს ლიბერალიზმის, სოციალიზმისა და კონსერვატიზმის „დემოკრატიულ“ მრწამსთაგან განარჩევს (დიაგრამა 2).

კიდევ ერთ სპექტრს გვთავაზობს ჰანს აიზენკი თავის წიგნში *საზრისი და უსაზრისობა ფსიქოლოგიაში (Eysenck, Sence and Nonsense in Psychology, 1964)* აიზენკმა ტრადიციული მემარცხენე-მემარჯვენე სპექტრი საკუთარი სპექტრის ჰორიზონტალურ ღერძად გამოიყენა, მაგრამ მას პოლიტიკური პოზიციების საზომი ვერტიკალური ღერძი დაამატა, რომლის ერთ ბოლოზე „ხისტად მოაზროვნენი“, ანუ ავტორიტარები, ხოლო მეორე ბოლოზე „რბილნი“, ანუ დემოკრატები განალაგა. ამდენად, პოლიტიკური იდეების განლაგება შესაძლებელია როგორც მემარცხენე-მემარჯვენე ღერძზე, ასევე „ხისტისა“ და „სილბოს“ ღერძზეც. ასეთ შემთხვევაში, განსხვავებები, ვთქვათ, ნაციზმსა და სტალინიზმს შორის ნათლად შეიძლება ვაჩვენოთ, თუ მათ მემარცხენე-მემარჯვენე ღერძის კიდურ ბოლოებზე განვალაგებთ, ხოლო მათ მსგავსებებს წარმოვაჩენთ, თუ ორივეს ვერტიკალური ღერძის „ხისტ“ ბოლოზე მყარად მოვათავსებთ (დიაგრამა 3).

ამასთან, ყველა ასეთი სპექტრი სირთულეებს წარმოშობს, რადგან პოლიტიკური იდეების უაღრესად კომპლექსური სისტემების გამარტივებისა და განზოგადებისკენაა მიმართული. საუკეთესო შემთხვევაში ისინი პოლიტიკური იდეებისა და რწმენების აღსაწერად ერთგვარ სტენოგრაფიულ მეთოდად შეიძლება მიგვეჩნია და ამიტომ მათთან დაკავშირებით სიფრთხილე გვმართებს. მკვლევართა უმეტესობა სულ უფრო ხშირად საერთოდ უარყოფს მემარცხენე-მემარჯვენედ დაყოფის იდეას. როგორც გიდენსი (Giddens, 1994) აღნიშნავს, ახალ პოლიტიკურ თემათა წარმოშობამ როგორებიცაა: ფემინიზმი, ცხოველთა უფლებები და გარემო, ტრადიციული მემარცხენე-მემარჯვენე იდეები მნიშვნელოვანწილად დრომოჭმულად აქცია. ამ აზრს მეტად თამამად გამოხატავენ მწვანეები ისეთ ლოზუნგებში, როგორიცაა: „არც მარცხნივ, არც მარჯვნივ, მხოლოდ წინ“. ეს პროცესი გააღრმავა ძველ კლასობრივ დაპირისპირებებზე უარის თქმამაც, რის შედეგადაც, მაგალითად კონსერვატორებს გაუჩნდათ რადიკალიზმისა და იდეოლოგიური პოლიტიკისადმი მზარდი მიდრეკილება, ხოლო სოციალისტები ბაზარმა და კონკურენციამ გაიტაცა. მკვეთრად კონტრასტულ შეხედულებას გვთავაზობს ნორბერტო ბობიო (Bobbio, 1996); მისი აზრით, რადგან მემარცხენეობა და მემარჯვენეობა თანასწორობის შესახებ არსებითად განსხვავებულ დამოკიდებულებებს ასახავს, ეს ტერმინები საზოგადოებრივი და მზარდი გლობალური უთანასწორობის ხალი ფორმების სამყაროში უმნიშვნელო სულაც არ არის.

დიაგრამა 3. ორგანზომილებიანი სპექტრი

პოლიტიკური იდეოლოგიები ოცდამეერთე საუკუნეში

მეოცე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული პოლიტიკურმა, სოციალურმა თუ კულტურულმა ძვრებმა სახე უცვალეს სამყაროს, რომელშიც ვცხოვრობთ; ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისტორიამ „სვლას უმატა“. წარსულს თვალს თუ გადავავლებთ, ბასტილიის დაცემიდან (1789) ბერლინის კედლის დანგრევამდე (1989) ორასწლიანი შუალედი, განსაკუთრებით კი პირველი მსოფლიო ომის დაწყებასა (1914) და 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ იორკსა და ვაშინგტონზე განხორციელებულ ტერორისტულ შეტევებს შორის პერიოდი, თანმიმდევრულობითა და შედარებითი სტაბილურობით ხასიათდება, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე სამყაროს არამდგრადობასა თუ უფორმობასთან შედარებით. 1848 წელს მარქსის მიერ ნატქვამი ფრაზა, „ყოველივე მყარი განქაარდება“, დღეს შემაძრწუნებლად, მაგრამ აშკარგად მართებულად ჟღერს. ზოგისათვის ეს ძვრები „იდეოლოგიათა ხანის“ დასასრულს ნიშნავს; მათი აზრით, მთავარი იდეოლოგიები ახლა თითქმის ჩამოსცილდა პოლიტიკურ ცხოვრებას, რომელსაც ოდესღაც განსაზღვრავდნენ და აყალიბებდნენ. ამ არგუმენტებს წიგნის უკანასკნელ თავში განვიხილავთ. ყოველ შემთხვევაში, ტრადიციული იდეოლოგიები იძულებულია შეეწყოს მრავალ ახალსა და ხშირად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ გამოწვევას, ზოგჯერ კი მათი გავლენით ახლიდან განისაზღვროს თავი. ამ გამოწვევათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

- ცვლადი მსოფლიო წესრიგი
- პოსტმოდერნი და „პოსტ-იზმები”
- გლობალიზაცია

ცვლადი მსოფლიო წესრიგი

მსოფლიო წესრიგი მნიშვნელოვნად შეცვალა ცივი ომის დამთავრებამ, რაც, თავის მხრივ, 1989-91 წლების აღმოსავლეთ ევროპის რევოლუციების სახით კომუნიზმის მარცხის, შედარებით ახლახან კი გლობალური ტერორიზმის „მოსვლის“ (იხ.გვ. 351) შედეგია. „ხანგრძლივი“ ცივი ომის -ან როგორც ჰობსბაუმი (Hobsbawm, 1994) იტყოდა, „მოკლე“ მეოცე საუკუნის, 1914-91 მთავარი მახასიათებელი იყო იდეოლოგიური ბრძოლა კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის, რომელიც კიდევ უფრო გაამძაფრა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ზესახელმწიფოთა სახით დაპირისპირებამ. კომუნიზმის კრახმა მრავალმხრივი და ღრმა იდეოლოგიური კვალი დატოვა, რომელიც როდესაც მსჯელობის საგანია. ერთ-ერთი პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერპრეტაციით, კომუნიზმის პოლიტიკური ასპარეზიდან გასვლის შემდეგ მსოფლიოში ერთადერთ სიცოცხლისუნარიან იდეოლოგიურ მოდელად დასავლური ყაიდის, კერძოდ, ამერიკული ლიბერალური დემოკრატია შემოგვრჩა. ამ შეხედულების ასახვაა ე.წ. „ისტორიის დასასრულის“ თეზისი, რომელსაც მე-11 თავში გავაანალიზებთ. მსგავსმა შედეგებმა, რასაკვირველია, ძლიერი დარტყმა მიაყენა სოციალიზმს. რევოლუციური, განსაკუთრებით საბჭოური, მარქსისტულ-ლენინური სტილის სოციალიზმი გაცვეთილ ძალად იქცა როგორც განვითარებად სამყაროში, ისე პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც. დაზარალდა დემოკრატიული სოციალიზმიც; ზოგიერთის აზრით, ის დასამარების საფრთხის წინაშე დადგა. კერძოდ, ცენტრალური დაგეგმვის იდეის მარცხმა სახელმწიფოს „ზევიდან ქვევით“ მართვის შედარებით მოკრძალებულ ფორმათა მიმართაც კი შეასუსტა რწმენა და დემოკრატი სოციალისტები იქამდე მიიყვანა, რომ მათ ბაზარი სიმდიდრის შექმნის ერთადერთ საიმედო საშუალებად აღიარეს. ამ ძვრებს დაწვრილებით მე-4 თავში განვიხილავთ.

ცივმა ომმა კვალი არა მხოლოდ სოციალისტურ იდეოლოგიას დაამჩნია. უნივერსალური ლიბერალიზმიც შორსაა გამარჯვებისაგან; კომუნიზმის კრახმა ახალი იდეოლოგიური ძალები წარმოშვა. მათგან უმთავრესი იდეოლოგიური მიმართულებებია ნაციონალიზმი,

განსაკუთრებით ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელმაც, როგორც მოწინავე იდეოლოგიამ, მრავალ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში შეცვალა მარქსიზმ-ლენინიზმი; და რელიგიური ფუნდამენტალიზმი, რომელიც, თავის მხრივ, მრავალსახოვანია და სულ უფრო მეტი გავლენა აქვს განვითარებად სამყაროში. მეტიც, ზიანი მიადგა, ზოგჯერ მნიშვნელოვანიც, იმ იდეოლოგიებსაც კი, რომელთათვისაც „სოციალიზმის გარდაცვალებას" სარგებელი უნდა მოეტანა, განსაკუთრებით – ლიბერალიზმსა და კონსერვატიზმს. მეოცე საუკუნეში ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმისათვის დამახასიათებელ ავტორიტეტსა და სიმწყობრეს, გარკვეულწილად, ის გარემოება განაპირობებდა, რომ ისინი სოციალისტური თუ კომუნისტური „მტრისადმი" დაპირისპირებულობის კონტექსტსში განისაზღვრებოდნენ. ასე მაგალითად, მეოცე საუკუნის ბოლოს ახალი მემარჯვენე მოძრაობის გამოჩენა „შემპარავი" (creeping) სოციალიზმისადმი" ზოგადი ანტიპათიისა და საბჭოთა კომუნიზმისადმი განსაკუთრებული მტრული დამოკიდებულების გამოხატულება იყო. ტრადიციული მტრის დამარცხება ან მისთვის ფრთების შეკვეცა იმის ნიშანია, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ლიბერალიზმიცა და კონსერვატიზმიც სულ უფრო დაკარგავს ფორმის მთლიანობას და დანაწევრდება.

2001 წლის 11 სექტემბერი, ნიუ იურკსა და ვაშინგტონზე შემაძრწუნებელი ტერორისტული თავდასხმების დღე, ფართოდ გაიაზრებოდა და როგორც „დღე, როდესაც მსოფლიო შეიცვალა". მაგრამ მთლად ნათელი არ არის, როგორ შეიცვალა იგი; არც ის არის ნათელი, რა მნიშვნელობა აქვს ან შეიძლება ჰქონდეს ამას მთავარი იდეოლოგიებისათვის. გლობალური ტერორიზმის ტალღას, ეჭვს გარეშეა, უდიდესი საერთაშორისო და ნაციონალური შედეგები მოჰყვა. საერთაშორისო დონეზე ჯორჯ უ. ბუშის „ტერორიზმთან ომის" ეგიდით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკიდურესად შემტევი და, გარკვეული თვალსაზრისით, ცალმხრივი საგარეო პოლიტიკური კურსი აირჩია. ამის მაგალითებია თალიბანის რეჟიმის დამხობა ავღანეთში და ომი სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ერაყში. და მაინც, რთულია ასეთ ქმედებათა იდეოლოგიური შედეგების წინასწარ გათვლა. ერთი მხრივ, თუ „ტერორიზმთან ომი" შეძლებს შეზღუდოს ან აღმოფხვრას ანტიდასავლური რელიგიური ამხედრება და მოსპოს ისინი, ვინც ამ შემართებას მხარს უჭერენ, მაშინ მან ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები და ინსტიტუტები ხანგრძლივი დროით საყოველთაო შეიძლება გახადოს. მეორე მხრივ, სემუელ ჰანტინგტონის (Huntington, 1993) *ცივილიზაციათა შეჯახების* თეზისის თანახმად, მან შეიძლება კიდევ უფრო მწვავე ანტიამერიკული და ანტიდასავლური საპასუხო ტალღა წარმოიშვას და ფუნდამენტალიზმი კიდევ უფრო გააძლიეროს. ნაციონალურ დონეზე გლობალური ტერორიზმი, საზოგადოდ, სახელწიფოს პოზიციებს იცავდა, კონკრეტულად კი, მიმართული იყო იმისკენ, რომ

სახელმწიფო ხელისუფლება მყარად დაეფუძნებინა მის უნარზე, რაც მოქალაქეთა დაცვასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში გამოიხატებოდა. ფილიპ ბობიტი კი თავის წიგნში *აქილევსის ფარი* (Philip Bobbit, The Shield of Achilles, 2002) ამბობს, რომ სახელმწიფო, არსებითად, „ომისმქნელი ინსტიტუტია". რამდენადაც ტერორიზმის საფრთხე სამოქალაქო თავისუფლებებსა და ინდივიდუალურ უფლებებზე უფრო მაღლა წესრიგსა და სახელმწიფო უსაფრთხოებას აყენებს, ის კონსერვატიზმისკენ გადახრასა და ლიბერალურ შეხედულებათა ეროზიას შეიძლება დავუკავშიროთ.

პოსტმოდერნი

პოლიტიკურ იდეოლოგიათა გაჩენა იმ პროცესებიდან იწყება, რომლებმაც თანამედროვე სამყაროს არსებობას დაუდო სათავე. მოდერნიზაციის პროცესი სოციალური, პოლიტიკური და კულტურული მახასიათებლებით იზომება. სოციალური თვალსაზრისით, ის ბაზარზე ძლიერ ორიენტირებული კაპიტალისტური ეკონომიკების წარმოშობას უკავშირდება, რომლებშიც მთავარი ძალა ახალი სოციალური კლასები – საშუალო ფენა და მუშათა კლასი

იყო. პოლიტიკური თვალსაზრისით, იგი მონარქიული აბსოლუტიზმის კონსტიტუციური და, საჭიროებებისამებრ, დემოკრატიული მმართველობით ჩანაცვლებას გულისხმობდა. კულტურული თვალსაზრისით, ეს განმანათლებლობის იდეებისა და შეხედულებების გავრცელებაში გამოიხატა, რომლებიც გონებისა და პროგრესისადმი ერთგულების პრინციპზე დამყარებულ რელიგიის, პოლიტიკისა და, საზოგადოდ, სწავლის ტრადიციულ დოქტრინებს უპირისპირდება. „ძირეული“ პოლიტიკური იდეოლოგიები – ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და სოციალიზმი – რომელთაგანაც მათი საპირისპირო შემდგომი იდეოლოგიები წარმოიქმნა და განვითარდა, მოდერნიზაციის პროცესის საწინააღმდეგო რეაქციას ასახავდა.

თუ უმთავრესი პოლიტიკური იდეოლოგიები, თავისებურად, მოდერნიზაციის პროდუქტია, მათი როლისა და ბუნებისათვის შეუძლებელია უდიდესი მნიშვნელობა არ ჰქონდეს თანამედროვედან პოსტმოდერნულ საზოგადოებაზე გადასვლას. თუ მოდერნული საზოგადოებები ინდუსტრიალიზაციისა და კლასობრივი შეკავშირებულობის შედეგია, პოსტმოდერნული საზოგადოებები სულ უფრო დანაწევრებული და პლურალისტური „ინფორმაციული საზოგადოებებია“, რომლებშიც ადამიანები მწარმოებლებიდან მომხმარებლებად გარდაიქმნებიან; ინდივიდუალიზმი კლასის, რელიგიისა და ეთნოსისადმი ერთგულებას ენაცვლება. პოსტმოდერნი, რომელსაც ზოგჯერ გვიან მოდერნს უწოდებენ, სწრაფად ავითარებს ახალ იდეოლოგიურ მოძრაობებს და, ამასთან, უკვე დამკვიდრებულ იდეოლოგიებსაც უცვლის სახეს. ეს უკანასკნელი ტენდენცია აისახა ისეთი საკითხების წინა პლანზე წამოწევაში, როგორიცაა ე.წ. „ცხოვრების სტილი“ და „იდენტობა”; ორივე მათგანი პოსტმატერიალურ მგრძნობელობათა გამახვილებასა და იმ კლასობრივი უნარის დაქვეითებას უკავშირდება, რომელიც სოციალური იდენტობის გრძნობას წარმოშობს. ეს ტენდენცია XX ს-ის 60-იანი წლებიდან გამოიკვეთა ახალ სოციალურ მოძრაობაში, როგორებიცაა: მშვიდობის მოძრაობა, ქალთა მოძრაობა, ჰომოსექსუალთა მოძრაობა, მწვანეთა მოძრაობა, აგრეთვე ახალ იდეოლოგიურ ტრადიციებში, სახელდობრ, რადიკალურ ფემინიზმსა და ეკოლოგიზმში. ახალ იდეოლოგიურ აზროვნებას ბიძგი მისცა არსებულ იდეოლოგიურ ტრადიციებთან პოსტმოდერნიზმის (იხ.გვ.373) იდეების შერწყმის მცდელობებმაც. ამან კი მრავალი „პოსტ-იზმი“ წარმოშვა, მაგალითად, „ჰოსტლიბერალიზმი“, „პოსტმარქსიზმი“, „პოსტფემინიზმი“. თითოეულს შესაბამის თავში განვიხილავთ. პოსტმოდერნიზმის პერსპექტივებზე – ჩაენაცვლოს ტრადიციულ იდეოლოგიურ აზროვნებას, მე-11 თავში ვისაუბრებთ.

გლობალიზაცია

გლობალიზაცია არასაიმედო ოდა არაპირდაპირი ცნებაა. მისი მთავარი თემა, გნებავთ, ტენდენცია კინჩი ომეს (Ohmae, 1989) სიტყვებით, „უსაზღვრებო მსოფლიოს“ წარმოშობაა; ეს ტენდენცია გულისხმობს, რომ ტრადიციული პოლიტიკური საზღვრები, რომლებიც ეროვნულ და სახელმწიფოებრივ საზღვრებს ემთხვევა, ამჟამად შეღწევადი ხდება. ამდენად, გლობალიზაცია სახეს უცვლის სოციალურ სივრცეს: ის ტერიტორიულ საკითხებს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან მუდმივად გაფართოებად კავშირებს „მსოფლიო მომცველი“ (transworld) ან „საზღვრების გადამლახავი“ ბუნება გააჩნია. აი, რამდენიმე თვალნათლივი მაგალითი ამისა: ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის სირთულეს აღარ წარმოადგენს პროდუქციისა და ინვესტიციების გადაადგილება, ფინანსური ბაზრები თითქმის მომენტალუად რეაგირებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მომხდარ ეკონომიკურ ცვლილებებზე, წარმოიშვა, ე.წ. გლობალური საქონელი, როგორიცაა: მთელ მსოფლიოში გავრცელებული კოკა-კოლა, მაკდონალდსის ბიფბურგერები, ნაიკის სპორტული ფეხსაცმელი თუ სტარბუკსის ყავის სახლები.

გლობალიზაცია პოლიტიკურ იდეოლოგიებზე სხვადასხვაგვარად ზემოქმედებს. უპირველესად, დიდია მისი გავლენა ნაციონალიზმსა და სხვა იდეოლოგიურ პროექტებზე, რომელთა ბალავარს ერი წარმოადგენს. მაგალითად, ეროვნულ თვითგამორკვევასთან

დაკავშირებული პოლიტიკური ნაციონალიზმი შესაძლოა უადგილო აღმოჩნდეს. სამყაროში, სადაც ეროვნული სახელმწიფოები „პოსტსუვერენულ“ პირობებში ფუნქციონირებენ, მეორე მხრივ, კულტურული, ეთნიკური და რელიგიური ნაციონალიზმის ფორმები შეიძლება გაძლიერდეს კიდეც იმ ფაქტორის ზეგავლენით, რომ სახელწიფო კარგავს უნარს, დანერგოს პოლიტიკური და სამოქალაქო ლოიალობა. თანამედროვე ლიბერალიზმსა და სოციალურ დემოკრატიას საფრთხის წინაშე აყენებს ისეთი ნაციონალური ეკონომიკური სტრატეგიების ცხოველუნარიანობის შესუსტება, როგორიცაა, მაგალითად, კეინზისეული მოთხოვნის მენეჯმენტი, კონსერვატიზმს კი ტრადიციისა და ეროვნული იდენტობის შესუსტებით გამოხატულ გლობალიზაციის ტენდენციასთან უხდება ჭიდილი. მეორეც, გლობალიზაცია სულაც არ არის ნეიტრალური იდეოლოგიური ძალა. შეიძლება ითქვას, ის მჭიდრო კავშირშია ნეოლიბერალიზმთან, რადგან სახელმწიფოს ხარჯზე ბაზრის გაძლიერების მომხრეა. მესამეც, გლობალიზაციამ რიგი ოპოზიციური ძალა წარმოშვა. მან ხელი შეუწყო რელიგიური ფუნდამენტალიზმის გაძლიერებას განვითარებად სამყაროში, სადაც გლობალიზაციას ხშირად განიხილავენ როგორც დასავლური, უფრო კონკრეტულად – ამერიკული იმპერიალიზმის ფორმას; და ანტიგლობალიზაციას, ანუ ანტიკაპიტალისტურ მოძრაობას განვითარებად სამყაროში, რომლის სათავეც, სხვადასხვა სახით, სოციალისტური, ანარქისტული, ფემინისტური და ეკოლოგისტური იდეებია. გლობალიზაცია, როგორც იდეოლოგია, მე-11 თავშია განხილული.

რეკომენდებული ლიტერატურა

Eagleton, T. *Ideology: An introduction* (London and New Yourk, 1991). წარმოდგენილია იდეოლოგიის განსხვავებული დეფინიციები, ამომწურავადაა განხილული იდეები მარქსიზმის მთავარი მოაზროვნეებით დაწყებული, მრავალი პოსტსტრუქტურალისტის ჩათვლით.

Freeden, M., *Ideologies and Political Theory: A Conceptual Approach* (Oxford: Clarendon Press, 1996). განხილულია უმთავრესი იდეოლოგიები, განსაკუთრებული ყურადრება ეთმობა მათ კონცეპტუალურ აგებულებას.

Journal of Political Ideologies (Abingdon, UK and Cambridge, Mass,. USA: Carfax Publishing). ჟურნალი გამოდის 1996 წლიდან, მასში მოცემულია პოლიტიკური იდეოლოგიის ბუნების ანალიზი და ცალკეულ იდეოლოგიურ ტრადიციათა განხილვა; ვიწრო-სპეციალურია, მაგრამ ამავდროულად მასშტაბური და ავტორიტეტული.

McLellan, D., *Ideology* (Milton Keynes: Open University Press, 2nd edn 1995). გვთავაზობს იდეოლოგიის ძნელადმოსახელთებელი ცნების ნათელ და მოკლე, ამავდროულად ამომწურავ განხილვას.

Schwartzmantel, J. *The age of Ideology: Political Ideologies from the American Revolution to Post-Modern Times* (Basingstoke: Macmillan, 1998). მრავლისმომცველი ანალიზია იმისა, როგორ პასუხობს უდიდესი იდეოლოგიური ტრადიციები პოსტმოდერნული საზოგადოების გამოწვევას.

Seliger, M., *Ideology and Politics* (London: Allen & Unwin, 1976). იდეოლოგიის კარგად გააზრებული შეფასება, ზოგიერთის აზრით – ამ საკითხის კლასიკური ანალიზი.

Thompson, J. B., Studies in the Theory of Ideology (Cambridge: Polity Press, 1984). კარგი შესავალი დისკუსიისთვის იდეოლოგიის ბუნებისა და მნიშვნელობის შესახებ.

ჯონ მასიონისი და კენ პლამერი

ძალაუფლება, მმართველობა და სოციალური მოძრაობები *

მაქს ვებერის კლასიკური იდეები ძალაუფლებასა და მმართველობის შესახებ

ძალაუფლების კლასიკური სოციოლოგიური განსაზღვრება, რომელიც მანამდეც არა ერთხელ შეგვხვედრია, შესაძლებელია, მაქს ვებერის შრომაში (Max Weber 1978; orig. 1921) ვიპოვოთ. ის ამბობს, რომ ძალაუფლება სასურველი დასასრულის მიღწევის საშუალებაა სხვების წინააღმდეგობის მიუხედავად. ძალა – ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალდატანება – შეიძლება ძალაუფლების ძირითადი გამოხატულება იყოს, მაგრამ ვერც ერთი საზოგადოება ხანგრძლივად ვერ იარსებებს, თუ ძალაუფლებას ძალადობა, ძალმომრეობა უდევს საფუძვლად, რადგან ხალხი პირველი შესაძლებლობისთანავე დაარღვევს წესებს, რომლებსაც პატივს არ სცემს. სოციალური ორგანიზაცია, შესაბამისად, ლეგიტიმურობის და თანხმობის გრძნობას ემყარება. სოციოლოგები იყენებენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა იდეოლოგია და ჰეგემონია, როდესაც საქმე არაძალადობრივ ძალაუფლებასთან აქვთ.

სოციალური სტაბილურობის გასაღები ლეგიტიმურობის ფარგლებში ძალის განხორციელებაა. ასეთ აღქმას ვებერი მიჰყავს იქამდე, რომ ყურადღებას ამახვილებს ძალაუფლების კონცეფციაზე, ძალაზე, რომელსაც ხალხი აღიქვამს როგორც ლეგიტიმურს, ვიდრე იძულებითს. როცა მშობლები, მასწავლებლები და პოლიცია თავის სამუშაოს კარგად ასრულებენ, მათი ძალა, როგორც ძალაუფლება, პატივისცემას იმსახურებს. ძალაუფლების წყარო, განაგრძობდა ვებერი, განსხვავდება საზოგადოების ეკონომიკის შესაბამისად. მან გამოყო სამი სახე: ტრადიციული, რაციონალურ-სამართლებრივი და ქარიზმატული.

ტრადიციული მმართველობა *ლეგიტიმირებულია ხანგრძლივად დამკვიდრებული კულტურული ნიმუშების პატივისცემის მეშვეობით.* ანტიკურ პერიოდში ჩინელი იმპერატორების ძლევამოსილება ტრადიციით იყო ლეგიტიმირებული, ისევე როგორც დიდებულთა მმართველობა შუასაუკუნეების ევროპაში. ორივე შემთხვევაში, მემკვიდრეობითი ოჯახი მართავდა ქვეყანას ცხოვრების ტრადიციული, აგრარული გზით და მმართველები აღჭურვილნი იყვნენ თითქმის ღმერთის მსგავსი ძალაუფლებით. თანამედროვე მსოფლიოში ტრადიციული მმართველობა, ძალაუფლება უფრო და უფრო მეტ გამოწვევას აწყდება.

რაციონალურ-ლეგალური მმართველობის უფლება *ლეგიტიმირებულია იურიდიულად დადგენილი წესებითა და რეგულაციებით.* იგი ლეგიტიმურია მთავრობის, ფორმალური ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებას მართავენ. ვებერი ბიუროკრატიას განიხილავს, როგორც რაციონალური, სამრეწველო საზოგადოებების ორგანიზაციულ საფუძველს, ხერხემალს. რაციონალურად დადგენილი წესებით დღეს არა მარტო *მთავრობა* ხელმძღვანელობს სულ უფრო და უფრო მეტ ქვეყანაში, არამედ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასაც უდევს საფუძვლად. მაგალითად, კლასის მასწავლებლების და ლექტორების ავტორიტეტი, ძალაუფლება ემყარება იმ თანამდებობებს, რომლებიც მათ ბიუროკრატიულ სკოლებსა და უნივერსიტეტებში აქვთ. ტრადიციულ ხელისუფლებასთან შედარებით, რაციონალურ-სამართლებრივი ხელისუფლება არა ოჯახის, არამედ ორგა-

* ამონარიდები წიგნიდან: „სოციოლოგია – ზოგადი შესავალი“ (მე-16 თავი).

ნიზაციული პოზიციიდან წარმოიშობა. ამდენად, იმ დროს, როცა ტრადიციული მონარქი ქვეყანას მართავს მთელი ცხოვრების მანძილზე, თანამედროვე პრემიერ-მინისტრი ან პრეზიდენტი იღებს და თმობს ძალაუფლებას კანონის შესაბამისად, მინიჭებულ უფლებამოსილებასთან ერთად.

ქარიზმატული მმართველობის უფლება *ლეგიტიმირებულია განსაკუთრებული პირადი შესაძლებლობების მეშვეობით, რაც ერთგულებას და მორჩილებას წარმოშობს.* ქარიზმა აღნიშნავს ადამიანის განსაკუთრებულ პიროვნულ თვისებებს, რაც მათ გააჩნიათ, როგორც ღვთაებრივი შთაგონების ნიშანი. ტრადიციისა და რაციონალური კანონისგან განსხვავებით, ქარიზმას ნაკლები საერთო აქვს სოციალურ ორგანიზაციასთან და უფრო ინდივიდუალური პიროვნების დამახასიათებელი თვისებაა. სტატუს კვოს გამოწვევის ქარიზმატულობის განსაკუთრებული უნარი ღრმად არის ფესვგამდგარი გლობალურ ისტორიაში: ვლადიმერ ლენინი ხელმძღვანელობდა ფეოდალური მონარქიის დამხობას რუსეთში 1917 წელს, მაჰათმა განდიმ ხელი შეუწყო ბრიტანული კოლონიალიზმისგან ინდოეთის განმათავისუფლებელ ბრძოლას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ხოლო მარტინ ლუთერ კინგი სამოქალაქო უფლებების მოძრაობის სულისჩამდგმელი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. მოგვიანებით, ქარიზმატულმა ქალებმა, მათ შორის ინდოეთში – ინდირა განდიმ, პაკისტანში – ბენაზირ ბჰუტომ, ისრაელში – გოლდა მეირიმ და გაერთიანებულ სამეფოში – მარგარეტ ტეტჩერმა საერთაშორისო პოლიტიკურ მნიშვნელობას მიაღწიეს.

პოლიტიკური სისტემის სახეები

პოლიტიკური სისტემები თვალშისაცემ მრავალფეროვნებას ასახავენ. ზოგიერთი საზოგადოება, როგორიცაა ანთროპოლოგ ე. ე. ევანს-პრიჩარდის (E.E. Evans-Pritchard, 1951) მიერ შესწავლილი ნუერი აფრიკაში, არსებობს ხელმძღვანელობის გარეშე, არ ჰყავს ლიდერი. მაგრამ, ზოგადად, მთელი ისტორიის მანძილზე, იმპერიული სისტემები ან იმპერიები – ჩინური, იაპონური, ისლამური, რომაული – პოლიტიკაში დომინირებენ, ფუნქციონირებენ, როგორც ცალკეული სამყაროები, რომლებსაც ერთმანეთთან სუსტი ურთიერთობა აქვთ. ამ სისტემებში ცხოვრება ხშირად არასტაბილურია. მხოლოდ მეორე ათასწლეულის ბოლოს დავიწყეთ იმის გაგება, რასაც მანამდე კანონზომიერებად მივიჩნევდით და ვღებულობდით: სახელმწიფო მკაფიოდ განსაზღვრულია ტერიტორიით, აქვს სამხედრო მხარდაჭერა და ეროვნული ცნობიერება. ისტორიულად, შეხედულება, რომ საზოგადოება საკუთარ თავს ერთან აიგივებდა, ალბათ, არ არის ზოგადად მიღებული, თუმცა თანამედროვე მსოფლიოს განმსაზღვრელი თვისებაა.

ზოგადად, მსოფლიოს თანამედროვე პოლიტიკური სისტემები ოთხ მთავარ კატეგორიად იყოფა: ტოტალიტარიზმი, ავტორიტარიზმი, მონარქია და დემოკრატია.

ტოტალიტარიზმი

ყველაზე შემზღუდველი პოლიტიკური ფორმა არის **ტოტალიტარიზმი** – *პოლიტიკური სისტემა,* რომელიც ადამიანების ცხოვრებას ფართოდ არეგულირებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ტოტალიტარული მთავრობა აცხადებს, თითქოს, ხალხის ნებას წარმოადგენს, უმრავლესობა ცდილობს, ხალხი მთვრობის ნებას დაუმორჩილოს. როგორც თავად ტერმინი გულისხმობს, ასეთი მთავრობები ძალაუფლების ტოტალურ კონცენტრაციას წარმოადგენს და ნებისმიერი სახის ორგანიზებულ ოპოზიციას კრძალავს. უარყოფენ რა – მოსახლეობის პოლიტიკური მიზნებისთვის შეკრების უფლებას და აკონტროლებენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ასეთი მთავრობები ვითარდება შიშის და სოციალური ატომიზაციის გარემოცვაში. ტოტალიტარულ საზოგადოებებში სოციალიზაცია ინტენსიურად პოლიტიკურია, სისტემისადმი არა მხოლოდ გარე დათმობებს, არამედ შინაგან ვალდებულებებს

ეძებს. ჩრდილოეთ კორეაში ლიდერების სურათები და პოლიტიკური მესიჯები საჯარო ცხოვრების ჩვეულებრივი, კარგად ცნობილი ელემენტებია, რაც მოქალაქეებს ახსენებს, რომ ისინი ვალდებულნი არიან, იყვნენ სახელმწიფოს ერთგულნი. მთავრობის მიერ გაკონტროლებული სკოლები და მასმედია მხოლოდ მოვლენების ოფიციალურად ასახვის საშუალებას წარმოადგენს.

მთავრობის მითითებები განსაკუთრებით მკაცრია მაშინ, როდესაც პოლიტიკურ ტოტალიტარულ საზოგადოებაში ოპოზიცია გამოჩნდება. მაგალითად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 1989 წლის პრო-დემოკრატიული მოძრაობის შედეგად, ხელისუფლების წარმომადგენლები ითხოვდნენ, რომ მოქალაქეებს ყველა „არაპატრიოტული" ადამიანის შესახებ განეცხადებინათ, დაესმინათ – საკუთარი ოჯახის წევრებიც კი. გარდა ამისა, ჩინეთის ლიდერებმა პეკინის უნივერსიტეტებში ყველა სტუდენტი დაავალდებულეს გაევლოთ პოლიტიკური „გადამზადების" კურსები. ტოტალიტარული მთავრობები შორეული მარჯვენა მხრიდან (მათ შორის ნაცისტური გერმანია) შორეულ მარცხენამდე (ჩრდილოეთ კორეა) პოლიტიკურ სპექტრს მოიცავს.

ავტორიტარიზმი

ზოგიერთი ხელისუფლება საკუთარ ხალხს პოლიტიკაში ხმის მიცემის ნაკლებ უფლებას აძლევს. **ავტორიტარიზმი** იყენებს *პოლიტიკურ სისტემას, რომელიც უარყოფს საყოველთაო მონაწილეობას მთავრობაში.* ავტორიტარული მთავრობა ადამიანების მოთხოვნილებებისადმი არა მხოლოდ გულგრილია, არამედ მას თანამდებობიდან ლიდერების გადაყენების კანონიერი საშუალებებიც კი არ აქვს და ხალხს საკუთარი შეხედულებების მხოლოდ შეზღუდულად გამოხატვის უფლებას თუ აძლევს, თუკი საერთოდ შეიძლება ასეთ უფლებაზე ვისაუბროთ. პოლონელმა სოციოლოგმა ვლოდზიმიერზ ვესოლოვსკიმ ავტორიტარიზმი ამგვარად დაახასიათა: „ავტორიტარული ფილოსოფია ამტკიცებს სახელმწიფოს ორგანიზებული სოციალური აქტივობის უზენაესობას" (1990:435). აბსოლუტური მონარქიები საუდის არაბეთსა და ქუვეითში საკმაოდ ავტორიტარულია, ისევე როგორც სამხედრო ხუნტები კონგოსა და ეთიოპიაში, სადაც პოლიტიკური უკმაყოფილება ფართოდ არის გავრცელებული (არსებობს გამონაკლისებიც: როგორც World Watch-ის ჩანართი ცხადყოფს „რბილი ავტორიტარიზმის" შემთხვევებს სინგაპურის მცირე აზიურ ერში).

„რბილი ავტორიტარიზმი" თუ დაგეგმილი კეთილდღეობა?

ანგარიში სინგაპურიდან

სინგაპური, პატარა ერი მალაიზიის ნახევარკუნძულის ნაპირზე 3 მილიონზე მეტი მოსახლეობით, ბევრისთვის აზიურ სამოთხედ მიიჩნევა. ღარიბი საზოგადოებით, სწრაფად მზარდი მოსახლეობით, დანაშაულის მაღალი დონის მქონე ღატაკი, ჭუჭყიანი ქალაქებით გარემოცული სინგაპურის სიმდიდრე, სისუფთავე და უსაფრთხოება ევროპელ სტუმარს უფრო დასასვენებელი პარკის ასოციაციას უჩენს, ვიდრე ქვეყანის.

ფაქტობრივად, 1965 წელს მალაიზიისაგან დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, სინგაპურმა მსოფლიო გააოცა ეკონომიკური განვითარებით; დღეს ეკონომიკა სწრაფად ფართოვდება და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით კონკურენციას ამერიკის შეერთებულ შტატებს უწევს. თუმცა, ევროპის ან ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხ-

ვავებით, სინგაპურს საეჭვოა, ჰქონდეს ისეთი სოციალური პრობლემები, როგორიცაა დანაშაული, ჯურღმულები, უმუშევრობა ან სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები.

სინგაპურის მოწესრიგებული გარემოს გასაღები ხელისუფლების ყველგანმყოფი ხელია, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს ტრადიციულ მორალს და არეგულირებს ყველაფერს. სახელმწიფო განკარგავს და ხელმძღვანელობს ქვეყნის მოსახლეობის ბინით უზრუნველყოფას, საბინაო მშენებლობას და აქვს აქციები ბევრ ბიზნესში. ის უზრუნველყოფს საგადასახადო წახალისებას ოჯახის დასაგეგმავად და სკოლაში ყოფნის პერიოდის გასახანგრძლივებლად. ტრანსპორტის გასაკონტროლებლად ხელისუფლება დიდ საურავს, ჯარიმებს აწესებს მანქანებზე, ზრდის 25,000 გირვანქა სტერლინგის ფასის მქონე სალონის მანქანების ფასს.

სინგაპურმა საერთაშორისო ყურადღება მიიპყრო 1994 წელს – მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ მაიკლ ფეი (ამერიკის შეერთებული შტატებიდან) ვანდალიზმში დაადანაშაულა და სასჯელის სახით ჯოხით ცემა შეუფარდა, რაც არალეგალური ჯარიმაა დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში. სინგაპურის კანონები პოლიციას ნებას რთავს დააკავოს და პატიმრობაში ამყოფოს დანაშაულში ეჭვმიტანილები გამოსასყიდის ან სასამართლოს გარეშე და სიკვდილით დასჯა შეუფარდოს ჩამოხრჩობის სახით ნარკოსაქმიანობისთვის. მთავრობამ ზოგიერთი რელიგიური ჯგუფი (მათ შორის იეღოვას მოწმეები) ქვეყნიდან გააძევა და პორნოგრაფიას მთლიანად კრძალავს. საჯაროდ მოწევაც კი მძიმე ჯარიმას ითვალისწინებს. ქალაქის ქუჩებში სისუფთავის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო კრძალავს კვებას მეტროში, დანაგვიანებისთვის დიდ ჯარიმებს აწესებს და საღეჭი რეზინის გაყიდვას დევნის.

ეკონომიკური თვალსაზრისით, მთავრობის კონტროლი ბიზნესის ანგარიშებზე, მათ შორის ტელეკომპანიებზე, სატელეფონო მომსახურებაზე, ავიახაზებსა და ტაქსზე, სოციალისტურად მოჩანს. თუმცა, სოციალისტური საწარმოებისგან განსხვავებით, ეს ბიზნესები ეფექტურად და ძალიან მომგებიანად მუშაობს. უფრო მეტიც, სინგაპურის კაპიტალისტური კულტურა ეკონომიკურ ზრდას აღნიშნავს (თუმცა, ხელისუფლება მუდამ აფრთხილებს თავის ხალხს გადაჭარბებული მატერიალიზმის ბოროტებაზე) და ეს ქვეყანა არის ასობით მრავალეროვნული კორპორაციის სახლი.

სინგაპურის პოლიტიკური კლიმატი ისეთივე უჩვეულოა, როგორც მისი ეკონომიკა. ამ საზოგადოების წევრები ხელისუფლების ხელს ბევრად უფრო ნაკლებად გრძნობენ, ვიდრე მათი კოლეგები ევროპაში. ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია – სახალხო მოქმედების პარტია (People's Action party) სინგაპურს მართავს ოპოზიციის გარეშე 30 წლის წინ ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე.

ცხადია, სინგაპური არ არის პოლიტიკურად დემოკრატიული ქვეყანა. მაგრამ ადამიანების უმრავლესობა ამ აყვავებულ ქვეყანაში კმაყოფილია, მეტიც, საკუთარ ცხოვრებას ენთუზიაზმით სავსედ მიიჩნევს. ის, რასაც სინგაპურის პოლიტიკური სისტემა სთავაზობთ მათ, მარტივი გარიგებაა: ხელისუფლება მოსახლეობის მხრიდან მტკიცე ლოიალურობას მოითხოვს. სანაცვლოდ, მათ უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის უსაფრთხოებითა და კეთილდღეობით. კრიტიკოსები ამბობენ, რომ ეს სისტემა „რბილ ავტორიტარიზმს“ წარმოადგენს, რომელიც განსხვავებულ აზრს ახშობს და ხელისუფლება ადამიანების ცხოვრებაზე არაკანონიერ კონტროლს აწესებს. სინგაპურის მოსახლეობის უმეტესობა კარგად იცნობს საარსებო პირობებისთვის ბრძოლას სხვა ქვეყნებში და ამ გარიგებას – კომპრომისს ხელისუფლებასთან მისაღებად აღიქვამს.

წყარო: ადაპტირებულია Branegan (1993).

ქვეყნის ცხოვრება – სინგაპური

მოსახლეობა	4,450,000 (2006)
ქალაქის მოსახლეობა	100%
მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე	$31,400 (2006 მონაცემებით)
სიცოცხლის ხანგრძლივობა	79.4 წელი (2005-10) მამაკაცები 76 წელი; ქალები 80 წელი (2000)
წიგნიერება	93%-ზე მეტი (2004)
ენები	მალაიური, ინგლისური, ჩინური (მანდარინი) და თამილი (ოფიციალური ენები)
რელიგია	ბუდიზმი, ისლამი, ქრისტიანობა, ტაოიზმი და ინდუიზმი, სიკხ და ებრაული უმცირესობებით
მთავარი ქალაქები	სინგაპური: დაახლოებით 3,000,000 მოსახლით
ადამიანის განვითარების ინდექსი	25 ადგილი 2006 წლის მიხედვით

წყარო: ადაპტირებულია *The World Guide 2007; Brittanica Almanac*, 2004

მონარქია

მონარქია *პოლიტიკური სისტემაა,* რომელშიც ერთი ოჯახი მართავს ქვეყანას თაობიდან თაობამდე. დღევანდელი ბრიტანული მონარქიის საგვარეულო დაახლოებით 1000 წელს ითვლის. შუა საუკუნეების ეპოქაში აბსოლუტური მონარქია, სადაც მემკვიდრეობითი მმართველები აცხადებდნენ ღვთაებრივ უფლებაზე დაფუძნებული ძალაუფლების ფაქტობრივ მონოპოლიას – აყვავდა, გაძლიერდა ინგლისიდან ჩინეთამდე და ამერიკის კონტინენტზე. ზოგიერთ ქვეყანაში მონარქი, ფაქტობრივად, დღესაც აბსოლუტურად აკონტროლებს საკუთარ ხალხს. ასეთი სისტემა ტრადიციით არის დაკანონებული.

სანამ დემოკრატიული სახელმწიფოები და ეგალიტარიზმი მსოფლიოს მრავალ ნაწილში ვრცელდება, მონარქები არჩეული ოფიციალური პირების სასარგებლოდ თანდათანობით გადიან სცენიდან. ევროპის დარჩენილი მონარქები – დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, ნორვეგიაში, შვედეთში, ბელგიაში, დანიასა და ნიდერლანდებში – კონსტიტუციურ მონარქიებს უდგანან სათავეში. ისინი მსახურობენ როგორც სახელმწიფოს სიმბოლური მეთაურები, ხოლო ფაქტობრივ მმართველობას არჩეული პოლიტიკოსები ახორციელებენ: მონარქს ფორმალურად შეუძლია მეფობა, თუმცა ქვეყანას რეალურად არჩეული ოფიციალური პირები მართავენ. 2003 წელს, დაახლოებით 30 ქვეყანაში იყო პოლიტიკური მონარქია, სადაც ოჯახები ძალაუფლებას თაობიდან თაობას გადასცემდნენ.

დემოკრატიები

ისტორიული ტენდენციის მიხედვით თანამედროვე მსოფლიოში კეთილგანწყობაა **დემოკრატიის** მიმართ. ეს არის *პოლიტიკური სისტემა,* რომელშიც ძალაუფლება ხალხის, როგორც მთლიანის, მიერ ხორციელდება, თუმცა, ყოველთვის რჩება ძირითადი პრობლემა –

როგორ უნდა განხორციელდეს ეს ძალაუფლება. დემოკრატიული საზოგადოების წევრები იშვიათად მონაწილეობენ უშუალოდ გადაწყვეტილებების მიღებაში; *წარმომადგენლობითი დემოკრატია* ძალაფლებას არჩეულ ლიდერებს აძლევს, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან ამომრჩევლების წინაშე (დემოკრატიის პროცესში ჩართულობის ფარგლებში ადამიანები ასრულებენ თავიანთ როლს და იღებენ საკუთარ გადაწყვეტილებებს). სისტემა რაციონალური სამართლებრივი ხელისუფლების მიერაა უფლებამოსილი და რაციონალური საარჩევნო პროცესი კანონით რეგულირებულ თანამდებობებზე ნიშნავს ლიდერებს.

დემოკრატია და მისი პრობლემები

დემოკრატიული პოლიტიკური სისტემები გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე მხოლოდ ლიდერებსა და მის მიმდევრებს; ისინი ხშირად ფართო ბიუროკრატიასა და ეკონომიკურ ძალაუფლებაზეა აგებული. დიდი ფორმალური ორგანიზაცია აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების მიერ მთავრობის გაფართოებული სპექტრის საქმიანობის განსახორციელებლად. მისი ზრდის კვალდაკვალ, ხელისუფლება თანდათანობით აღწევს საკუთარ წარმატებას და ავლენს ჩვეულ დაპირისპირებას დემოკრატიასა და ბიუროკრატიას შორის. მაგალითად, შეერთებული შტატების ფედერალურ მთავრობაში 3 მილიონზე მეტი ადამიანია დასაქმებული (გარდა შეიარაღებული ძალებისა), რაც ერთ-ერთ ყველაზე დიდ ბიუროკრატიას წარმოადგენს მსოფლიოში. 15 მილიონი ადამიანი ადგილობრივი ხელისუფლების 80,000 უწყებაში მუშაობს. დიდ ბრიტანეთში, მარტო ადგილობრივი ხელისუფლების მიერ 2.6 მილიონი ადამიანია დასაქმებული.

ამ მოხელეთა დიდი უმრავლესობა არასოდეს არჩეულა და უცნობი არიან ფართო საზოგადოებისთვის, რომელთაც ისინი ემსახურებიან. მათი არჩევა, როგორც ჩანს, არაპრაქტიკულია, მათი მრავალრიცხოვნობის და სპეციალიზებული ტრენინგის საჭიროების გამო. გასაოცარია, რომ სანამ ხალხი მცირე რაოდენობის არჩეულ ლიდერებზე ამახვილებს ყურადღებას, ყოველდღიური გადაწყვეტილების მიღება, უმეტესწილად, საკუთარ კარიერაზე მზრუნავი საჯარო მოხელეების მიერ ხორციელდება, რომლებიც უშუალოდ ადამიანების წინაშე არ არიან ანგარიშვალდებულნი (Scaff, 1981; Edwards, 1985; Etzioni-Halevy, 1985).

დემოკრატია და თავისუფლება: კონტრასტული მიდგომები

მიუხედავად გამორჩეული ისტორიისა და კულტურული მრავალფეროვნებისა, პრაქტიკულად, მსოფლიოს ყველა ინდუსტრიული ქვეყანა აცხადებს, რომ არის დემოკრატიული და პოლიტიკურად თავისუფალი. 2003 წლის ბოლომდე, "თავისუფლების სახლის" მიხედვით (ნიუ-იორკში დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც გლობალურ პოლიტიკურ ტენდენციებს ადევნებს თვალს), პირველად მსოფლიო ისტორიაში უფრო მეტი ადამიანი იყო „თავისუფალი", ვიდრე „არათავისუფალი". 2007 წელს მათ მიერ ჩატარებულმა ბოლო მსოფლიო პოლიტიკურმა კვლევამ გვაჩვენა, რომ „თავისუფლად" მიჩნეული ქვეყნების პროცენტული მაჩვენებელი უმნიშვნელო დარჩა. რეგრესს თავისუფლების მისაღწევად აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის მთელ რიგ ქვეყნებში ჰქონდა ადგილი, ნაკლები უკუსვლა აღინიშნა აფრიკაში, ხოლო ავტორიტარული მმართველობის გამყარება მოხდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების უმრავლესობაში. ზოგიერთი ქვეყანა – გაიანა, ჰაიტი და ნეპალი – მეტად თავისუფალი გახდა, ხოლო ტაილანდი და კონგო (ბრაზავილი) – ნაკლებად თავისუფალი.

„თავისუფლების" შეფასება ყოველთვის პრობლემაა: იგი განისაზღვრება პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების ეროვნული შეფასების თვალსაზრისით – და ვინაიდან ქვეყნები ამ ტერმინში სხვადასხვა რამეს გულისხმობენ, მისი შეფასება ძალიან რთულია. ასე რომ მათი დასკვნები, როგორც ყოველთვის, უფრო ზომიერია და

სიფრთხილით გაჯერებული. თუმცა, როგორც ჩანს, საერთო ჯამში, არსებობს მსოფლიო მოძრაობა დემოკრატიზაციისკენ. დაბოლოს, ჩვენ მაინც ფრთხილად უნდა ვიყოთ და, უბრალოდ, ვიკითხოთ, თუ რას გულისხმობს პოლიტიკური თავისუფლება.

დასავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებას საფუძვლად უდევს კაპიტალიზმის თავისუფალი ბაზრის ეკონომიკური პრინციპები. მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ საბაზრო სისტემის ოპერაციები ინდივიდებს პირადი თავისუფლების შესაძლებლობას აძლევს. ასე, რომ კამათი გრძელდება – კაპიტალისტური მიდგომა პოლიტიკურ თავისუფლებამდე მოიაზრება, როგორც პიროვნული თავისუფლება – ერთი სასურველი ლიდერისთვის ხმის მიცემის თავისუფლება ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქმედება მთავრობის მინიმალური ჩარევით.

გარდა ამისა, კაპიტალისტური საზოგადოებებისთვის სიმდიდრის გასაოცარი უთანასწორობაა დამახასიათებელი. კრიტიკოსები ამბობენ, რომ ასეთი ეკონომიკური უთანასწორობა ზოგიერთ ადამიანს ბევრად მეტ არჩევანს და შესაძლებლობებს აძლევს. ამდენად, კაპიტალიზმი გამოიყურება არადემოკრატიულად, რამდენადაც ასეთი სისტემა მხოლოდ მდიდართა საჭიროებებზე ამახვილებს ყურადღებას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არჩევანს, რაც შეიძლება, ღარიბი და ნაკლებად შეძლებული ადამიანებისთვის არ იყოს ხელმისაწვდომი.

სოციალისტური ეკონომიკური სისტემის მხარდამჭერები კი, პირიქით, მიუთითებენ, რომ სოციალისტური პოლიტიკა ყველა მოქალაქის საცხოვრებელი, სასწავლო, სამუშაო და სამედიცინო მომსახურების ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ცდილობს. ასე, რომ სოციალისტური მიდგომა პოლიტიკური თავისუფლებისადმი თავისუფლებას ძირითადი მოთხოვნილებისგან განაცალკავებს. მაგალითად, ნაკლებია შიმშილი და უსახლკარობა (რასაც ჩვენ ვაკავშირებთ ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალიზმთან) ისეთ სოციალისტურ ქვეყნებში, როგორიცაა ნორვეგია და შვედეთი. სკანდინავიურ ქვეყნებში ბევრი საკუთარ სისტემას უფრო მეტად თავისუფალ სისტემად მიიჩნევს სწორედ ამის გამო.

მაგრამ სოციალიზმის კრიტიკოსებს კონტრარგუმენტები აქვთ. მათი აზრით, ასეთი სისტემები ხალხის მოთხოვნილებებისადმი და მისწრაფებებისადმი უყურადღებოა და ულმობელი რომელიმე პოლიტიკური ოპოზიციის ჩახშობაში. მაგალითად, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, აღმოსავლეთ ევროპაში სოციალისტური მთავრობების მმართველობის პირობებში მცხოვრებმა ადამიანებმა ეს სისტემა თავისუფალი ბაზრის სასარგებლოდ დაამხეს, რაც, სავარაუდოდ, პოლიტიკურ რეპრესიებს შეამცირებდა (და, სავარაუდოდ, ცხოვრების დონეს აამაღლებდა, რაც ამჟამად უკვე ეჭვს იწვევს).

თავისუფლების შესახებ ეს წინააღმდეგობრივი შეხედულებები მნიშვნელოვან კითხვას წამოსწევენ: თავსებადია თუ არა ეკონომიკური თანასწორობა და პოლიტიკური თავისუფლება? ეკონომიკური თანასწორობის ხელშესაწყობად, სოციალიზმი, როგორც წესი, ხელს უშლის ინდივიდუალურ ინიციატივას. კაპიტალიზმი, მეორე მხრივ, ფართო პოლიტიკურ თავისუფლებას უზრუნველყოფს, რაც, პრაქტიკულად, ღარიბი ადამიანებისთვის ნაკლებს ნიშნავს.

ევროპის ბევრი ქვეყანა შესაძლოა, ზოგადად, სახარბიელო მდგომარეობაში ჩანდეს, რასაც შეიძლება, **„სოციალ-დემოკრატიული“** ეწოდოს. ეს კაპიტალისტური და სოციალისტური/შეძლებული მეურნეობის და პოლიტიკის ნაზავია. სკანდინავიური ქვეყნები იხდიან მაღალ გადასახადებს და აქვთ სოციალური დაცვის მძლავრი სისტემა; ცენტრალურ ევროპულ ქვეყნებს უფრო ნაკლები ვალდებულებები გააჩნია; სამხრეთ ევროპის სისტემები ნაკლებად სრულყოფილია, ხოლო დიდი ბრიტანეთის სისტემა პირველ ადგილზე აყენებს კეთილდღეობას და სოციალურ სამსახურებს, რომელსაც საფუძვლად უდევს საკმაოდ მაღალი გადასახადი, მაგრამ ასევე – აქვს საშემოსავლო შეღავათებიც.

პოლიტიკის გლობალიზაცია

გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბება ნიშნავს ფინანსების რუტინულ გადინებას ეროვნულ საზღვრებს გარეთ საქონელთან და მომსახურებასთან ერთად. ნაწილობრივ, გლობალური ეკონომიკა მრავალეროვნული კორპორაციების მზარდ ოპერაციებს ასახავს; მისი საფუძველია ინფორმაციული რევოლუცია, რომელმაც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონები დააკავშირა.

პარალელურად ვითარდება თუ არა გლობალური პოლიტიკური სისტემები? პასუხი არაერთგვაროვანია: ერთის მხრივ, პასუხი უარყოფითია. გასული 300 წლის განმავლობაში, მმართველობის დომინანტური რეჟიმი ერი-სახელმწიფო იყო (მას ზოგჯერ ვესტფალურ წესრიგსაც უწოდებენ, „ვესტფალიის მშვიდობის“ მიხედვით (1648), რომელმაც განსაზღვრა ერი-სახელმწიფოების მნიშვნელობა). ეს დღემდე ასეა, თუკი მხედველობაში გვაქვს ისეთი ერი სახელმწიფოები, როგორიცაა ნორვეგია, ჩინეთი ან ავსტრალია. *ყოველ მათგანს აქვს საკუთარი პოლიტიკური აპარატი კონკრეტულ ტერიტორიაზე, რომელიც დასახლებულია საკუთარი მოქალაქეებით, გამყარებულია სამხედრო ძალით და ნაციონალისტური, სუვერენული პრინციპებით.* მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ეკონომიკური საქმიანობა ახლა ერთზე მეტ ქვეყანას მოიცავს, პლანეტა ეროვნულ სახელმწიფოებად რჩება დაყოფილი, როგორც ეს საუკუნეების განმავლობაში იყო.

თუმცა, მეორეს მხრივ, პოლიტიკა აშკარად გლობალიზაციის პროცესის ნაწილი გახდა. გარკვეული თვალსაზრისით, „საერთაშორისო მმართველობის“ ხანგრძლივი ისტორია არსებობს: ძველი საბერძნეთი და რენესანსის იტალია ორი ადრეული მაგალითია. დღეს, სულ მცირე, ხუთი გზა არსებობს, რომელიც ქვეყნების პოლიტიკას მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან:

1. პოლიტიკური ურთიერთკავშირის მყარი ზრდა დიდ რეგიონებში – განსაკუთრებით ევროკავშირი, რომელიც მოიცავს 27 სახელმწიფოს და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაცია (ინდონეზია, ფილიპინები, მალაიზია, სინგაპური, ბრუნეი, ტაილანდი, ვიეტნამი, ლაოსი, მიანმარი და კამბოჯა) უწყვეტ რეგიონალურ ურთიერთკავშირს ცხადყოფს (იხ.: http://www.aseansex.org);

2. გლობალური მთავრობის მსოფლიო ფენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩამოყალიბებასთან ერთად გამოჩნდა 1945 წლიდან. პოლიტიკური ინსტიტუტების ძირითადი ნაწილი, UNICEF და UNHCR-დან იუნესკოსა და WHO-მდე, მის ფარგლებში განვითარდა და ახლა მსოფლიო პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს;

3. მრავალეროვანი კორპორაციები ამჟამად სრულიად განსხვავებული სახის პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებენ. მათ უზარმაზარი ძალა აქვთ მთელს მსოფლიოში საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრის თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკა ბიზნესს ერწყმის, მასშია გაბნეული, რადგან კორპორაციები მთავრობებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვნად იზრდება. მსოფლიოში 100 ყველაზე დიდი ეკონომიკიდან დღეს 51 კორპორაციაა – და არა ქვეყანა (Brecher et al., 2000: 128);

4. ინფორმაციულმა რევოლუციამ ეროვნული პოლიტიკა მსოფლიო არენაზე გამოიყვანა. მაშინაც კი, როცა 1989 წელს, რამდენიმე საათით ადრე, სანამ ჩინეთის მთავრობა ჯარებს გაგზავნიდა ტიანანმენის მოედანზე 1989 წლის პროდემოკრატიული მოძრაობის გასანადგურებლად, თანამდებობის პირებმა „გათიშეს“ საინფორმაციო სააგენტოების სატელიტური გადამცემი სისტემები, რათა მსოფლიოს იმ დღეს მომხდარი მოვლენებისთვის თვალი არ ედევნებინა. მათი ძალისხმევის მიუხედავად, ინფორმაცია

ხოცვა-ჟლეტის შესახებ მთელს მსოფლიოში მისი დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ გავრცელდა ფაქსების მეშვეობით უნივერსიტეტებში და კერძო სახლებში. მოკლედ, ისევე როგორც ცალკეული ქვეყნები ვეღარ აკონტროლებს თავიანთ ეკონომიკას, ეროვნულ ხელისუფლებასაც არ შეუძლია მთლიანად მართოს მის ტერიტორიაზე მომხდარი პოლიტიკური მოვლენები. როდესაც თვითმკვლელი ბომბდამშენები თავს დაესხნენ ნიუ იორკის ტყუპ კოშკებს 2001 წლის 11 სექტემბერს, მთელი მსოფლიო ცოცხალ რეჟიმში მეტ-ნაკლებად ეცნობოდა მიმდინარე მოვლენებს. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს მყისიერად შემოაქვს პოლიტიკა სახლებსა და ბიზნესში მთელს მსოფლიოში;

5. ახალი სოციალური მოძრაობებიც ასევე ახალ ინფორმაციულ რევოლუციაში ჩაერთო და მათი საქმიანობა გლობალურ კამპანიად და ქმედებებად გადაიქცა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ძალაუფლების ახალი ფორმები სოციალურ მოძრაობებთან კავშირში ვითარდება. მწვანეთა მოძრაობები, როგორიცაა მსოფლიო ბრძოლა ტროპიკული ტყეებისთვის (http://www.rainforestweb.org), ქალთა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ქსელი (http://web.wen.org) და ასობით სხვა – ახლა გლობალური „ეკომებრძოლები“ არიან. ისინი გამწვანების გეგმებთან დაკავშირებული საკითხების წამოჭრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, რაც საერთაშორისო ხელისუფლების სამოქმედო ნუსხაშია მოქცეული (Scarce, 2006).

გლობალური პოლიტიკის ბოლოდროინდელი მაგალითია კამპანია სახელად – „ჩააბარე სიღარიბე ისტორიას“, რომელიც ახლდა დიდი რვიანის გლინეგლის სამიტს 2005 წელს. ეს მოძრაობა (თავისი წარმომავლობით დიდი ბრიტანეთიდან) მოითხოვდა „სავაჭრო სამართლიანობას“, „ვალის შემცირებას“ და „უფრო მეტ და უკეთეს დახმარებას“ დაბალი შემოსავლის მქონე საზოგადოებებისთვის. 84 ქვეყნიდან მასში 500 ორგანიზაციაზე მეტი მონაწილეობდა; საკომუნიკაციოდ შემუშავდა ვრცელი, სწრაფად მზარდი ვებ-გვერდები. ამავე დროს, ამ კამპანიისგან მოითხოვდენენ, ყოფილიყო უზარმაზარი პოლიტიკური წარმატების მქონე, თუმცა, პრაქტიკულად, ის ერთი წლის შემდეგ დაიხურა დიდი კრიტიკის ფონზე.

გენდერი და ძალაუფლება

მთელი ისტორიის მანძილზე ქალები არ დაიშვებოდნენ პოლიტიკურ სისტემაში თანამდებობების ძირითად ნაწილზე. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, ქალები პოლიტიკასა და მმართველობასთან დაკავშირებულ სწავლასა და კვლევაში იშვიათად ჩანდნენ. უბრალოდ, შეკითხვის დასმა „სად არიან ქალები?“ პოლიტიკური სისტემის ნებისმიერი ასპექტის კვლევაში მალევე გამოავლენს მათ სიმცირეს. ხმის მიცემის უფლება ქალებმა ძალიან გვიან მოიპოვეს – მამაკაცების მიერ მისი მოპოვებიდან საუკუნის შემდეგ. უფრო მეტიც, მსოფლიოს მასშტაბით მთავრობებში ქალთა პროცენტული შემადგენლობა დაბალია, საუკეთესო შემთხვევაში, 40 პროცენტზე დაბლა.

თუმცა რამოდენიმე ქალმა დიდ აღიარებას მიაღწია: ინდირა განდი (ინდოეთში 1960-იანი წლებიდან 1980-იან წლებამდე), მარგარეტ ტეტჩერი (კონსერვატიული და ძალიან გავლენიანი ინგლისში 1979-90 წლებში), მერი რობინსონი (ირლანდიის პრეზიდენტი 1992-96 წლებში), სირიმავო რდ. ბანდარანაიკე (შრი ლანკას პრემიერ მინისტრი 1960-იან, 1970-იან და 1990-იან წლებში), ანგელა მერკელი (გერმანიის კანცლერი, არჩეული 2005 წლის შემოდგომაზე) და ელენ ჯონსონ სერლიფი (პირველი არჩეული ქალი პრეზიდენტი აფრიკაში 2006 წელს – ლიბერია). სხვა სახელები, რომლებიც ცნობილია 2007 წელს მოიცავს: კონდოლიზა რაისი (აშშ-ს სახელმწიფო მდივანი), ვუუ უაი (ჩინეთის ვიცე პრემიერი), სონია

განდი (ინდური ეროვნული კონგრესის პრეზიდენტი). თუმცა, საერთო ჯამში, მამაკაცების დიდ უმრავლესობასთან შედარებით მხოლოდ რამდენიმე ცნობილი ქალი არსებობს.

ორივე, პირველი და მეორე ტალღის ფემინიზმმა შეიძლება გარკვეული ცვლილებები მოიტანა. ყველაზე მნიშვნელოვნად, შეგვიძლია მივიჩნიოთ გარდამავალი „ქალთა მოძრაობის“ გამოჩენა ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. ისეთი ორგანიზაციების კარნახით, როგორიცაა გაერო, ჩატარდა ქალთა მთელი რიგი საერთაშორისო კონფერენციები, თუმცა ამან, ზოგიერთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი კონფლიქტები გამოავლინა „პირველი“ და „მესამე სამყაროს“ ქალებს შორის. პრიორიტეტები და მიდგომები დიდად განსხვავდება კულტურებს შორის.

ზოგადად, ეს ორგანიზაციები აღიარებენ, რომ სტანდარტების შემუშავების მოდელები, როგორიცაა ადამიანის განვითარების ინდექსი, მთელ მსოფლიოში მამაკაცებთან შედარების დროს არ გამოავლენს ქალთა მდგომარეობაში გენდერული დისბალანსის ხარისხს ან ბუნებას. გაეროს განვითარების პროგრამა რვა ძირითად სფეროს მოიცავს, სადაც ქალთა უფლებების მდგომარეობა შემდგომ გათანაბრებას საჭიროებს. ესენია:

1. სხეულის ავტონომია (მაგალითად, გამრავლებისა და სექსუალურობის კონტროლი, და ძალადობის პრობლემა);

2. ავტონომია ოჯახსა და შინამეურნეობებში (მაგალითად, ოჯახის შექმნის, განქორწინების და განქორწინების შემთხვევაში ბავშვების მეურვეობის თავისუფლება);

3. პოლიტიკური ძალაუფლება (მაგალითად, გაერთიანებებში, მთავრობებში, პარლამენტებში და ა.შ. გადაწყვეტილების მიღებაში გაზრდილი როლი);

4. სოციალური რესურსები (მაგალითად, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობა);

5. მატერიალური რესურსები (მაგალითად, მიწის, სახლების, კრედიტის ხელმისაწვდომობა);

6. დასაქმება და შემოსავალი (მაგალითად, ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი შრომის სამართლიანი განაწილება);

7. დრო (მაგალითად, დასასვენების და ძილის შესაბამისი ხელმისაწვდომობა);

8. გენდერული იდენტობა (მაგალითად, შრომის მკაცრ სქესობრივ დაყოფასთან დაკავშირებული პრობლემები).

მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ყველა ამ სფეროში, ქალები, როგორც წესი, მამაკაცებთან შედარებით გასაოცრად ნაკლებ ძალაუფლებრივ მდგომარეობაში იმყოფებიან. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გვთავაზობს გლობალური გენდერული განსხვავებულობის ანგარიშს, რომელიც მთელს მსოფლიოში ქალთა თანასწორობის ცვალებადი ბედის გლობალური მონიტორინგის საშუალებას იძლევა (იხ.: http://www.econfor.org და http://www.undp.org).

პოლიტიკური ორგანიზაცია ევროპაში

თუმცა ეს ყოველთვის ისე როდი ხდებოდა, რომ დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ყველა ქვეყანა შეგვეძლო ლიბერალურ დემოკრატიად მიგვეჩნია თავისი პოლიტიკური პარტიების სიმრავლით და საარჩევნო პროცესით. ესპანეთს, გერმანიას, საბერძნეთს და იტალიას დროდადრო ავტორიტარული მთავრობები მართავდნენ. პორტუგალიასა და ესპანეთში მემარჯვენე დიქტატურები 1970-იან წლებამდე იყო. აღმოსავლეთ ევროპის მდგომარეობა გარკვეულწილად უფრო რთულია. ამ ბლოკს საბჭოთა კავშირი დომინირებდა და ქვეყნების უმრავლესობა 1989 წლამდე კომუნისტური იყო. მას შემდეგ, ისინი დემოკრატიებად გარდაქმნის საკმაოდ მტკივნეულ პროცესში იმყოფებიან.

უმეტეს ქვეყანაში ჩვეულებრივ არსებობს როგორც მმართველობის ეროვნული, ისე ადგილობრივი სისტემა, რამაც დროდადრო შეიძლება დიდი დაპირისპირებები გამოიწვიოს, როცა სხვადასხვა პარტიას აქვს ძალთა ბალანსი ერთ შტოში, ხოლო მეორეში – არა. თუმცა, ზოგადად, ევროპის პოლიტიკური პარტიები სტაბილურია.

ევროკავშირი

ყველა ევროპული ქვეყანა დიდი ცვლილების ზღურბლზე დგას. მათ აქვთ როგორც საკუთარი (როგორც წესი, ხანგრძლივი) პოლიტიკური სისტემა, ასევე ეროვნული სახელმწიფო. ევროპის ქვეყნები დამოუკიდებელი სახელმწიფოებია – საკუთარი ტერიტორიებით, სამხედრო ძალებით, ეროვნული თვითშეგნების გრძნობით და მოქალაქეობის და მთავრობის ფორმებით, როგორიც არის პარლამენტი – გაერთიანებულ სამეფოში და ბუნდესტაგი და ბუნდესრატი – გერმანიაში.

მაგრამ სულ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მრავალი ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდა (მთავარი გამონაკლისია ნორვეგია და შვეიცარია), რომელთაც გაგზავნილი ჰყავთ არჩეული წარმომადგენლები ევროპარლამენტში სტრასბურგში. ევროპის მთელი რიგი ქვეყნები სულ ცოტა ხნის წინ ევროკავშირს შეუერთდა და არის სხვა ქვეყნებიც, რომლებიც მზად არიან, მას შეურთდნენ. ახალ ევროპარლამენტში (არჩეული 2004 წლის ივნისში) შემდეგი მთავარი პოლიტიკური პარტიებია: ცენტრისტული მემარჯვენე ევროპის სახალხო პარტია (EPP) ყველაზე მეტი ძალაუფლების მქონე ჯგუფად რჩება 2004-09 წლების ევროპის პარლამენტში, ევროპის პარლამენტის 723 წევრიდან 276 წევრი მას ეკუთვნის; სოციალ-დემოკრატებს (PES) 200 მანდატი აქვთ (ფრანგი და ესპანელი სოციალისტები წინა – ცნობილ გერმანიის დელეგაციას დაეწივნენ); ლიბერალურ ELDR ჯგუფს 66 ადგილი აქვს (დიდი ბრიტანეთის ლიბერალ დემოკრატებთან ერთად ყველაზე დიდ დელეგაციას წარმოადგენს – 12 ადამიანს); მეოთხე ადგილზე არიან მწვანეები, რომლებიც სულ უფრო ცნობილები ხდებიან (ამ ინფორმაციის წერის დროს ციფრები ბოლომდე არ არის გარკვეული, რადგანაც საპარლამენტო წესების თანახმად, ახალ ჯგუფებს საჭიროა, ჰყავდეთ არანაკლებ 19 წევრისა ხუთი სხვადასხვა წევრი ქვეყნიდან).

2004 წლის ივნისის არჩევნებში აპათია და საპროტესტო საარჩევნო ხმები გავრცელდა. ამომრჩევლები ხშირად აძლევენ ხმას ნაკლებად მარგინალურ პარტიებს და საკუთარი მთავრობის მოწინააღმდეგე პარტიებს (მაგალითად, ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტია ცუდად მოიქცა, როცა ჩაება ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ერაყის ომში). ათ ახალ წევრს, რომელიც 2004 წლის მაისში შეურთდა, ამომრჩეველთა ძალიან დაბალი აქტივობა ჰქონდა (20 პროცენტი სლოვაკეთში და 21 პროცენტი პოლონეთში), მაგრამ ხმის მიცემის მაჩვენებელი უმეტეს ქვეყანაში დაბალი იყო.

ევროკავშირმა შექმნა ევროპული ინსტიტუტების მთელი არსენალი, მათ შორის:

- კომისია: რომელშიც არის მინიმუმ ერთი წევრი ყოველი ქვეყნიდან. იგი სთავაზობს, გეგმავს ახალ კანონებს და ახორციელებს მათ;
- საბჭო: თითოეულ ქვეყანას აქვს ერთი ადგილი. იგი ძირითადი გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოა;
- პარლამენტი: 2004 წელს იყო 732 ევროპარლამენტარი, რომლებიც განაწილებულნი არიან მოსახლეობის პროპორციულად;
- სასამართლო: ახორციელებს მონიტორინგს ევროკავშირის კანონმდებლობაზე და თვალყურს ადევნებს წევრი ქვეყნების მიერ გაცხადებულ თანხმობას;
- ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო: შეიქმნა 1959 წელს.

სოციალური მოძრაობები და სოციალური ცვლილება

სოციალური მოძრაობები არსებობს სოციალური ცვლილებებისთვის ხელშესაწყობად ან წინააღმდეგობის გასაწევად. ზოგჯერ, როცა წარსული სოციალური მოძრაობების წარმატებებს გადავხედავთ, კანონზომიერად მივიჩნევთ ცვლილებებს, რომლის მოსაპოვებლადაც ხალხი ასე გულმოდგინედ იბრძოდა. მაგალითად, მუშათა მოძრაობები ათწლეულების განმავლობაში იბრძოდა ქარხნებში ბავშვთა შრომის აღსაკვეთად, სამუშაო საათების შესამცირებლად, სამუშაო ადგილის უსაფრთხოებისთვის და დამსაქმებლებთან კოლექტიური მოლაპარაკების უფლების მოსაპოვებლად. გარემოს დაცვითი კანონმდებლობა ასევე მთელი მეოცე საუკუნის წარმატებული სოციალური მოძრაობების პროდუქტია. ქალთა მოძრაობას ჯერ არ მიუღწევია სქესთა შორის სრული სოციალური თანასწორობისთვის, მაგრამ მან მნიშვნელოვნად გააფართოვა ქალთა კანონიერი უფლებები და ეკონომიკური შესაძლებლობები. ახალგაზრდებს შეიძლება გაუკვირდეთ ის გარემოება, რომ ადრეულ მე-20 საუკუნეში შემოსავლისათვის ძალიან ცოტა ქალი მუშაობდა და არჩევნებში ხმის მიცემის უფლება არც ერთს არ ჰქონდა.

წარსულმა სოციალურმა მოძრაობებმა ისეთი საზოგადოება ჩამოაყალიბა, რომელიც ყოველივე ამას კანონზომიერად მიიჩნევს. როგორც კი მოძრაობები ცვლილებას იწვევს, თვით ცვლილება სოციალურ მოძრაობებს აჩაღებს. ახალი სოციალური მოძრაობები ყალიბდება არსებული პოლიტიკური სისტემებით და დავებით გამოწვეული ფართოდ გავრცელებული უკმაყოფილების შედეგად. ისინი წარმოშობენ ახალ საკითხებს (განსაკუთრებით გარემოს, სქესის, მშვიდობის, სქესობრივ, რასობრივ, მსოფლიო განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს) და თავისუფალი პოლიტიკის უფრო ზოგადი კონცეფცია ხშირად შლის არსებულ მკვეთრ განსხვავებას საჯაროსა და კერძოს შორის. როგორც წამყვანი გერმანელი სოციოლოგი კლაუს ოფი ამბობს, „მოწინავე ინდუსტრიული საზოგადოების კონფლიქტები და წინააღმდეგობები სახელმწიფოს ან მზარდი ბიუროკრატიის მიერ ვეღარ გვარდება“ (Offe, 1985). გამოსავალი ახალ სოციალურ მოძრაობებშია.

ამ ფართო ხედვას მთავარ დასკვნამდე მივყავართ: ჩვენ შეგვიძლია პირდაპირი კავშირი ვაჩვენოთ სოციალურ მოძრაობებსა და ცვლილებებს შორის. ერთის მხრივ, ისეთმა სოციალურმა ტრანსფორმაციებმა, როგორიცაა სამრეწველო რევოლუცია და კაპიტალიზმის ზრდა, სხვადასხვა სოციალური მოძრაობების აღმოცენება გამოიწვია. მეორეს მხრივ, მუშების, ქალების, რასობრივი და ეთნიკური უმცირესობების და ჰომოსექსუალების მცდელობამ ცვლილებების ტალღა გამოიწვია მთელ სამრეწველო საზოგადოებებში. ამდენად, სოციალური ცვლილებები სოციალური მოძრაობების როგორც მიზეზს, ასევე შედეგს წარმოადგენს.

სოციალური მოძრაობები გლობალიზებული პოსტსამრეწველო ცხოვრების სულ უფრო მზარდი დამახასიათებელი თვისება გახდა. სოციალური მოძრაობების დიაპაზონი, სავარაუდოდ, ორი მიზეზის გამო იზრდება. პირველი, საინფორმაციო ტექნოლოგიების რევოლუციამ მსოფლიო იმაზე მეტად დაახლოვა, ვიდრე ვინმე წარმოიდგენდა. დღეს ყველა, ვისაც სატელიტური თეფში, პერსონალური კომპიუტერი ან ფაქსის აპარატი აქვს, ვერ დარჩება პოლიტიკური მოვლენების მიღმა. მეორე, როგორც ახალი ტექნოლოგიები და გლობალური ეკონომიკის აღმოცენება, ასევე სოციალური მოძრაობები ადამიანებს მთელ მსოფლიოში აერთიანებს. ბევრი პრობლემა თავისი მასშტაბით გლობალურია და ისინი შეიძლება ეფექტურად მხოლოდ საერთაშორისო დონეზე გადაიჭრას.

„ადამიანის უფლებათა რეჟიმების" გლობალიზაცია?

ბოლო მთავარი მიღწევა, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ ადრეული 21-ე საუკუნის პოლიტიკურ ლანდშაფტში, „ადამიანის უფლებათა" საერთაშორისო ენის დამკვიდრებაა. ჰოლოკოსტის საშინელებათა და სხვა სისასტიკეთა შემდეგ, მსოფლიო პოლიტიკაში ძირითადი ტენდენცია სულ უფრო მეტად „უფლებების" მიმართულებით იხრება. უახლეს ისტორიაში ადამიანის უფლებების სამი ტალღა გამოირჩევა (Klug, 2000):

პირველი ტალღა დასავლეთში მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს დაიწყო ტოტალიტარიზმის და რელიგიური თავისუფლების ნაკლებობის ფონზე: ბრძოლა მიმდინარეოდა კანონის წინაშე თავისუფლების, სამართლიანობისა და თანასწორობისთვის. ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის საფრანგეთის დეკლარაციაში საუბარი იყო „ადამიანის ბუნებრივი, განუყოფელი და წმინდა უფლებების შესახებ" მაშინ, როცა შეერთებული შტატების 1776 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაცია ბრიტანეთის კოლონიური ძალაუფლებისგან მოითხოვდა:

> **ჩვენ მივიჩნევთ ამ ჭეშმარიტებას როგორც სარწმუნო ფაქტს, რომ ყველა ადამიანი იქმნება თანასწორუფლებიანი; რომ მათ შემოქმედისგან მინიჭებული აქვთ გარკვეული განუყოფელი უფლებები, მათ შორის სიცოცხლის, თავისუფლების და ბედნიერების.**

უფლებების ამ ტალღის მთავარი ამოცანა სახელმწიფო ტირანიისგან და რელიგიური დევნისგან გათავისუფლება იყო, რამაც ამერიკული უფლებების კანონის და საფრანგეთის უფლებების დეკლარაციის შექმნა გამოიწვია.

მეორე ტალღა დაახლოებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) შექმნის დროს დაიწყო. ამოქმედდა საერთაშორისო ხელშეკრულებები და დეკლარაციები და ძალაში შევიდა საერთაშორისო სასამართლოების და მაკონტროლებელ ორგანოების მიერ. ადამიანის უფლებების შესახებ საუბარი განსაკუთრებით ორიენტირებული იყო ღირსებაზე, თანასწორობასა და საზოგადოებაზე. გათვალისწინებული იყო ყველაზე მეტად რა უნდა განხილულიყო ჩვენი დროის ადამიანის უფლებათა ცენტრალურ დოკუმენტში – გაეროს ქარტიაში შემავალ ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში (UDHR). ამ უფლებებს მიღმა „ადამიანის ღირსება" ძირითადი ღირებულებაა. დეკლარაციამ თავისუფლებისა და თანაბარი უფლებების პოტენციურად უნივერსალური ენა დაადგინა – თუნდაც სამხრეთ აფრიკის იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც არ შეეძლოთ ამის მიღწევა იმ დროისთვის. თითოეული ძირითადი შეთანხმება 190 ქვეყნიდან 140 ქვეყნის მიერ იქნა რატიფიცირებული და ეს ციფრი სულ უფრო და უფრო იზრდება.

მესამე ტალღამ ცივი ომის დასასრულს დაიწყო გამოჩენა (ადრეული 1990-იანი წლები), მზარდი გლობალიზაციის და ახალი ათასწლეულის ფონზე, საერთო ფასეულობების ძებნის მიზნით. ის იცავდა ორმხრივ დამოკიდებულებას და ჩართულობას. უფრო და უფრო მეტი ქვეყანა აყალიბებს რა საკუთარი უფლებების პროგრამებსა და „ადამიანის უფლებების

რეჟიმებს“, საერთაშორისო პოლიტიკური ქსელის ნაწილი ხდება. მაგალითად, უკვე არსებობს ადამიანის უფლებათა დაახლოებით 200 არასამთავრობო ორგანიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში და ანალოგიური რაოდენობა – დიდ ბრიტანეთსა და ევროპაში. ისინი სწრაფად იზრდებიან. პოლიტოლოგ ბენჟამინ ბარბერს (Benjamin Barber, 1995) ახლა შეუძლია ისაუბროს „მსოფლიოს მოქალაქეებზე საზღვრების გარეშე“. ქვეყნების უმრავლესობა მაშინაც კი, როცა არ აწუხებთ ადამიანის უფლებათა უარყოფისა და დარღვევების პრობლემები – ჯერ კიდევ აცხადებენ პრეტენზიებს ამ ენის გამოყენების ვერსიებზე (რომელიც, რა თქმა უნდა, ჩვენ გვაფრთხილებს ასეთ ენასთან დაკავშირებულ მთავარ პრობლემებზე: მას შეუძლია და ნამდვილად გულისხმობს ყველაფერს ყველა ადამიანისათვის).

ბრიტანელი სოციოლოგი მარტინ ელბროუ წიგნში *„გლობალური საუკუნე“*, საუბრობს ახალი ტიპის მოქალაქეობაზე – „გლობალურ მოქალაქეობაზე, რომელიც „იწყება ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხორციელდება ყოველდღიურ პრაქტიკაში და სრულდება კოლექტიური ქმედებით გლობალურ დონეზე“ (Albrow, 1996: 177). ამის მოდელად ის XIX საუკუნეში მუშათა კლასის საერთაშორისო მოძრაობას მიიჩნევს, თუმცა ახლა ფესვებს მოქალაქეებშიც ხედავს, რომლებიც, მისი თქმით, „სახელმწიფოს წარმოადგენენ“. მრავალი გლობალური ქმედება ადგილობრივ დონეზე ხორციელდება. ბევრი მოთხოვნა, ცხადია, ახალი სოციალური მოძრაობებიდან მოდის – ეკო-მებრძოლების მწვანეთა მოძრაობა, გეი/ლესბოსელები/ტრანსგენდერული მოძრაობა, ქალთა მოძრაობა – და ისინი განასახიერებენ იმას, რასაც სიეტლის ბრძოლა ეწოდება. მათ არ შეუძლიათ მმართველობის ეროვნული სისტემების გაძლიერება და შეიძლება მათ ეწინააღმდეგებოდნენ კიდეც. ისინი აიძულებენ ხელისუფლებას აღიაროს საკვანძო საკითხები, საკითხები, რომლებიც ხშირად დაკავშირებულია იმასთან, თუ ადამიანებს როგორ შეუძლიათ (პირად) ცხოვრებაზე კონტროლის მოპოვება „სწრაფად მზარდ, დაუმორჩილებელ მსოფლიოში“. ისინი აწყობენ გლობალურ კონფერენციებს, რომლებიც ადამიანის უფლებების მსოფლიო მასშტაბის ამოცანებს აწესებენ. დღეისათვის ადამიანის უფლებათა სისტემები მთელს მსოფლიოში ჩნდება.

გლობალური მმართველობა:

გაერთიანებული ერები

2003 წელს გაეროს 191 წევრი ქვეყანა ჰყავდა. მას აქვს დაახლოებით 1.25 მილიარდი დოლარის ოდენობის რეგულარული ბიუჯეტი. სხვა საკითხებთან ერთად, გაერო გლობალური უსაფრთხოების საკითხებზეც ფოკუსირდება, არის მსოფლიო ფორუმი დებატებისთვის, უნივერსალური ნორმებისა და სტანდარტების განვითარების ქსელი და მთელს მსოფლიოში ჰუმანიტარული დახმარების მართვის მექანიზმი (კრასნო, 2004: 3). 1945 წელს მისი დაარსების დღიდან, უნივერსალური მმართველობის და ჰარმონიის მიღწევის სიმბოლოს წარმოადგენს. იგი იყოფა ექვს მთავარ კომიტეტად, რომლებიც დაკავებულნი არიან (ა) პოლიტიკისა და უსაფრთხოების, (ბ) ეკონომიკური და ფინანსური, (გ) სოციალური, ჰუმანიტარული და კულტურული, (დ) მეურვეობის, (ე) სამართლებრივი საკითხებით და (ვ) ადმინისტრაციითა და ბიუჯეტით. ათასწლეულის დეკლარაცია მიღებულ იქნა 2000 წელს წევრი ქვეყნების მიერ, რომელიც სიღარიბის დაძლევას, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობას, დასუფთავებასა და სუფთა ენერგიის წყაროების ხელმისაწვდომობას მოითხოვდა.

წყარო: ჟან კრასნო, გაერო: გლობალური საზოგადოების გამოწვევებთან დაპირისპირება, 2004.

უფლებებთან დაკავშირებული მღელვარება

მიუხედავად იმისა, რომ „მოქალაქეებისა და უფლებების“ შესახებ ჩვენ ყველგან შეგვიძლია საუბარი თანამედროვე პოლიტიკაში, მასთან დაკავშირებით მთელი რიგი პრობლემები ვლინდება.

პირველი – ეს არის უნივერსალიზმთან დაკავშირებული პრეტენზიები. როდესაც ადამიანის უფლებათა შესახებ კლასიკური საყოველთაო დეკლარაცია იქნა მიღებული, *მესამე მსოფლიოს* ან დაბალი შემოსავლის მქონე საზოგადოებების უმეტესობა ჯერ კიდევ კოლონიური მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა და დღესაც რჩება ბევრი მათგანი. „ადამიანის უფლებები“ ადვილად შეიძლება გახდეს ევფემიზმი დასავლური ინტერვენციისთვის სხვა ქვეყნებში. ეს ხშირად პრივილეგირებული უნივერსალურობაა. უფლებების უმრავლესობა მსოფლიოს დიდ ნაწილში სიმართლეს არ ასახავს. მაგალითად, ანაზღაურებადი შვებულების უფლებას მსოფლიოს დიდ ნაწილში, სადაც მძიმე სამუშაო პირობებია, არა აქვს აზრი; და ქალთა უფლებები სერიოზული პრობლემა ხდება, როცა ოჯახის და გენდერის ირგვლივ კულტურული და რელიგიური მოლოდინების მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა არსებობს;

მეორე – თუნდაც არსებობდეს შეთანხმება, უფლებათა შესახებ პრეტენზიების უმეტესობის დაკმაყოფილება თითქმის მთლიანად პრაგმატულად შეუძლებელია. ამის მაგალითები აქვთ ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორიცაა საერთაშორისო ამნისტია და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია, ეს „უფლებები“ მთელ მსოფლიოში მუდმივად ირღვევა. მაგალითად, განმათავისუფლებელ ომებში ზოგი აწყდება უხეშ დაღვევებს, ძალადობას როგორც მჩაგვრელთა, ასევე განმათავისუფლებელთა მხრიდან. უფლებათა რეჟიმები ხშირად იმდენად კერძოა, რომ ისინი არაეფექტურნი ხდებიან კეთილი ნების არსებობის პირობებშიც კი.

დაბოლოს, უფლებების უმრავლესობის განხილვა ინდივიდუალურ საფუძველზეა დამყარებული. ჯგუფის უფლებებისგან განსხვავებით, აქცენტი, ძირითადად, ინდივიდუალურ უფლებებზე კეთდება. ადამიანის კოლექტიური უფლებები ინდივიდუალური უფლებებისგან განსხვავდება. ადამიანის უფლებების თეორია ტრადიციულად ყურადღებას ამახვილებს ინდივიდუალური, დამოუკიდებელი სოციალური დაჯგუფებების უფლებებზე. ინდივიდუალური ადამიანის უფლებების დამცველები ცდილობენ შესწორებების შეტანას, ძირითადად, ეროვნული სახელმწიფო სისტემის ან მთავრობათაშორისი სტრუქტურების საშუალებით, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. მეორეს მხრივ, ადამიანის უფლებები აქცენტს სოციალური ჯგუფების უფლებებზე ამახვილებენ და დამცველები ცდილობენ ერი-სახელმწიფოებისგან დამოუკიდებელი ინოვაციური სტრუქტურის შექმნას ამ უფლებების გაღრმავების და დაცვის მიზნით.

ადამიანის უფლებათა შესახებ კანონები და აქტები

ადამიანის უფლებათა აქტი, 1998 წელი.

ეს აქტი გაერთიანებულ სამეფოში 2000 წლის 2 ოქტომბერს შევიდა ძალაში. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა დიდ ბრიტანეთს შეეძლო ოფიციალურად დაეცვა ადამიანის უფლებები. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან გამომდინარე, აქტი ამჟამად იმას ნიშნავს, რომ ძველ, ზოგად კანონს დიდ ბრიტანეთში მოუწევს შეცვლა, თუკი იგი პატივს არ სცემს კონვენციაში დაცულ უფლებებს, და რომ კანონმდებლობა მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს ამ უფლებებს. ძირითადი უფლებები ასე გამოიყურება:

მუხლი

2. სიცოცხლის უფლება.*
3. თავისუფლება წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან.
4. თავისუფლება მონობისგან.
5. თავისუფლება თვითნებური დაპატიმრებისა და დაკავებისგან.
6. სამართლიანი სასამართლოს უფლება.
7. წარსული ჯარიმებისგან გათავისუფლება.
8. კონფიდენციალურობის და ოჯახური ცხოვრების უფლება.
9. რელიგიის თავისუფლება.
10. გამოხატვის თავისუფლება.
11. შეკრებისა და გაერთიანების უფლება.
12. ქორწინების და ოჯახის შექმნის უფლება.
13. დისკრიმინაციის აკრძალვა.
14. უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვები.
15 უფლებების ბოროტად გამოყენების აკრძალვა.
16. უფლებებთან დაკავშირებული აკრძალვების გამოყენების შეზღუდვა.

გარდა ამისა, სხვა საკითხებთან ერთად, აქტი ითვალისწინებს:

- ქონებით შეუფერხებლად სარგებლობის უფლებას.
- განათლების უფლებას.
- თავისუფალი არჩევნების უფლებას.
- სიკვდილით დასჯის გაუქმებას.
- ომის შემთხვევაში სიკვდილით დასჯის შენარჩუნებას.

სრული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვერ გვერდზე: http://www.direct.gov.uk.

* მუხლის 1 არ არის მოყვანილი, რადგან ის არ არის მითითებული, როგორც უფლება.

სხვა კანონები და აქტები, რომლებიც სასარგებლოა:

კანონი უფლებების შესახებ, 1689 წ. | http://www.constitution.org/eng

მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, დამტკიცებული საფრანგეთის ფრანგული ასამბლეის მიერ, 1789 წლის 26 აგვისტოს | http://www.hrcr.docs/index.html

შეერთებული შტატების კანონი უფლებების შესახებ, 1791 წ. | http://www.usconstitution.net

გაეროს ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია | http://www.un.org/rights

იხილეთ: ადამიანის და კონსტიტუციურ უფლებათა დოკუმენტები შემდეგ ვებ-გვერდზე: http://www.hrcr.docs/index.html.

დასკვნა

1. პოლიტიკა ძირითადი სოციალური ინსტიტუტია, რომლითაც საზოგადოება ძალაუფ-ლებას ავრცელებს და გადაწყვეტილების მიღებას უწევს ორგანიზებას. მაქს ვებერმა განმარტა, რომ იძულებითი ძალაუფლების ლეგიტიმურ მმართველობად გარდაქმნის სამი გზა არსებობს: ტრადიციის, რაციონალურად ქმედითი წესების და რეგულაციების საშუალებით, ასევე ლიდერის პირადი ქარიზმის მეშვეობით;

2. შეიძლება გამოიკვეთოს მმართველობის ოთხი ფორმა. მონარქია ტრადიციულ ხელისუფლებას ემყარება და ჩვეულებრივ წინაინდუსტრიული სამრეწველო საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური მონარქია ჯერ კიდევ არსებობს ზოგიერთ სამრეწველო ქვეყანაში, ინდუსტრიალიზაცია მხარს უჭერს რაციონალურ სამართლებრივ მმართველობას და ფართო ბიუროკრატიაზე დამყარებულ დემოკრატიას. ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმები უარყოფენ საყოველთაო მონაწილეობას მთავრობაში. ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემები კიდევ უფრო შორს მიდიან, მჭიდროდ არეგულირებენ რა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას;

3. მსოფლიო დაყოფილი რჩება 190 და 200 პოლიტიკურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. გლობალური პოლიტიკური სისტემის განზომილება მრავალეროვნული კორპორაციების ძალა და მზარდი სიმდიდრეა. გარდა ამისა, ინფორმაციულ რევოლუციასთან დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიები ნიშნავს, რომ ნაციონალურ მთავრობებს აღარ შეუძლიათ ინფორმაციის ნაკადის კონტროლი ეროვნულ საზღვრებს მიღმა;

4. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დემოკრატიული სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ზრდა ევროპის დიდ ნაწილში ბევრად სცილდება არსებული მოსახლეობის ზრდას. იგი ასახავს ხელისუფლების ფართო ჩართულობას ეკონომიკასა და მთელს საზოგადოებაში;

5. ტრადიციული მემარცხენეები (სოციალისტები) და მემარჯვენეები (კონსერვატორები) ეკონომიკურ და სოციალური საკითხებში სხვადასხვა პოზიციებს იკავებენ. მემარცხენეები მოუწოდებენ ეკონომიკის სახელისუფლებო რეგულირებისაკენ და ეკონომიკური თანასწორობის უზრუნველსაყოფად ქმედებებისაკენ. კონსერვატორები თვლიან, რომ მთავრობა არ უნდა ჩაერიოს ამ სფეროებში. კონსერვატორები არ უჭერენ მხარს მთავრობის მიერ რეგულირებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა აბორტი, ხოლო, მემარცხენეები ლიბერალებთან ერთად ამტკიცებენ, რომ ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს სინდისის საკითხებში;

6. პლურალისტური მოდელი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ძალაუფლება გაფანტულია. მმართველი ელიტის მოდელი საწინააამდეგო მოსაზრებას ემხრობა, რომელიც ამტკიცებს, რომ ძალაუფლება კონცენტრირებულია მოსახლეობის პატარა, მდიდარი სეგმენტის ხელში. მარქსისტული ან მმართველი კლასის მოდელი ამტკიცებს, რომ ეს ელიტა, ფაქტობრივად, ეკონომიკური კლასია;

7. რევოლუცია, ტერორიზმი და ომი ძალაუფლებას პოლიტიკური წესრიგის ნორმალური მუშაობის ფარგლებს მიღმა იღებს. რევოლუციის მიზანია რადიკალურად გარდაქმნას პოლიტიკური სისტემა. ტერორიზმი ძალადობას იყენებს პოლიტიკური მიზნებისთვის. სახელმწიფოები, ისევე როგორც კერძო პირები, ტერორიზმში არიან ჩაბმულნი. ომი მთავრობების მიერ მართული შეიარაღებული კონფლიქტია. ბირთვული იარაღის განვითარებამ და გავრცელებამ გლობალური კატასტროფის საფრთხე გაზარდა. მსოფლიო მშვიდობის ზრდა, საბოლოო ჯამში, იმ დაძაბულობის და კონფლიქტების მოგვარებაზეა დამოკიდებული, რაც მილიტარიზმს აღვივებს;

8. საზოგადოებრივი მოძრაობა აწონ-დაწონილ, ფრთხილ საქმიანობას გულისხმობს, რომელიც მიზნად ისახავს ცვლილების ხელშეწყობას ან ცვლილებაზე უარის თქმას. სოციალური მოძრაობები იმ ადამიანების მიხედვით განსხვავდება, რომელთა ჩაბმასაც ცდილობენ ამ მოძრაობაში იმ ზომით, რა ზომითაც ისინი საზოგადოებრივ ცვლილებას შეძლებენ. ტიპური საზოგადოებრივი მოძრაობა თანმიმდევრულ ეტაპებს გაივლის: წარმოქმნა (განსაზღვრავს საჯარო საკითხს), გაერთიანება (შეაბიჯებს საჯარო ასპა-

რეზზე), ბიუროკრატიზაცია (ხდება ფორმალურად ორგანიზებული) და კლება (მოტანილი ან მარცხით ან, ზოგჯერ, წარმატებით);

9. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში „ადამიანის უფლებების“ გლობალური საკითხი მყარად დგას პოლიტიკური დღის წესრიგში.

ენდრიუ ჰეივუდი

ერები და ნაციონალიზმი *

„ნაციონალიზმი ინფანტილური დაავადება. ეს კაცობრიობის წითელაა“
ალბერტ აინშტაინი, წერილი (1921)

უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში, ერი პოლიტიკური მმართველობის ერთ-ერთ (და შესაძლოა ერადერთ) შესატყვის ერთეულად მიიჩნევა. მართლაც, საერთაშორისო კანონმდებლობა ძირითადად ეფუძნება ვარაუდს, რომ ერებს, როგორც ინდივიდებს, აქვთ ხელშეუხებელი უფლებები, განსაკუთრებით კი პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და თვითგანსაზღვრის უფლება. თუმცა, არსად ისეთი თვალსაჩინო არ არის ერის მნიშვნელობა, როგორც ნაციონალიზმის, როგორც პოლიტიკური კრედოს პოტენციაში. მრავალ ასპექტში, ნაციონალიზმმა ხელი შეუშალა ბევრი მკვეთრი და სისტემატური პოლიტიკური იდეოლოგიის განვითარებას. ნაციონალიზმმა ხელი შეუწყო რევოლუციებისა და ომების წამოწყებას. მან ასევე გამოიწვია ახალი სახელმწიფოების შექმნა, იმპერიების დაქუცმაცება და საზღვრების ხელახალი გავლება; მას იყენებდნენ როგორც არსებული რეჟიმების შესაცვლელად, ისე მათ მხარდასაჭერად. მიუხედავად ამისა, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ერის ეპოქა დასასრულს უახლოვდება. ერი-სახელმწიფო, მიზანი რომლის მიღწევასაც ნაციონალისტების თაობები ესწრაფოდნენ, სულ უფრო და უფრო მეტად განიცდის როგორც შინაგან, ასევე გარეგან ზეწოლას.

ამ თავში შემდეგ ძირითად თემებს განვიხილავთ:

- რა არის ერი?
- რით განსხვავდება ერთმანეთისგან კულტურული ნაციონალიზმი და პოლიტიკური ნაციონალიზმი?
- რით შეიძლება აიხსნას ნაციონალიზმის წარმოშობა და გაფართოება?
- რომელი პოლიტიკური ფორმები მიიღო ნაციონალიზმმა? რა არის ამის მიზეზი?
- რა ღირსება და ნაკლოვანება აქვს ერ-სახელმწიფოს?
- აქვს თუ არა ერ-სახელმწიფოს მომავალი?

რა არის ერი?

მრავალი წინააღმდეგობრივი შეხედულება არსებობს ნაციონალიზმის ფენომენის შესახებ და იმის შესახებ, რა ქმნის ერს. *ერის* ყველაზე ფართოდ გავრცელებული მნიშვნელობისთვის დამახასიათებელი თავისებურებები თითქმის არ ყოფილა შესწავლილი ან გაანალიზებული. უბრალოდ მიღებულია ერს ჰქონდეს ის მნიშვნელობა, რაც აქვს, თუმცა, ეს გაუგებრობებსაც იწვევს. როგორც წესი, ტერმინის „ერი“ სიზუსტეზე არ ვზრუნავთ და მას ხშირად ისეთი ცნებების შემცვლელად ვიყენებთ, როგორიცაა ქვეყანა, ეთნიკური

* წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს მეექვსე თავის თარგმანს წიგნისა: პოლიტიკა, მეორე გამოცემა, 2002

ერი

(nations, ლათ. nasci. „იყო დაბადებული“) არის კომპლექსური ფენომენი, რომელიც მოიცავს კულტურულ, პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. **კულტურული** თვალსაზრისით, ერი ადამიანთა ჯგუფია, ერთმანეთთან საერთო ენით, რელიგიით, ისტორიითა და ტრადიციებით დაკავშირებული. თუმცა ერები კულტურული ჰეტეროგენურობის სხვადასხვა დონეს ავლენენ. **პოლიტიკური** თვალსაზრისით, ერი ადამიანთა ჯგუფია, რომელიც საკუთარ თავს ბუნებრივ პოლიტიკურ ერთობად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ კლასიკურად ეს გამოხატულია სახელმწიფოებრიობის შექმნისა და შენარჩუნების სურვილში, შეიძლება ჰქონდეს სამოქალაქო ცნობიერების ფორმაც. **ფსიქოლოგიური** თვალსაზრისით, ერი ადამიანთა ჯგუფია, რომელსაც აერთიანებს პატრიოტიზმის გრძნობა. თუმცა ეს აუცილებელი პირობა არ არის ერის წევრობისთვის.

ჯგუფი და რასა. მაგალითად, ნათელია, რომ ტერმინი *გაერთიანებული ერები* არასწორია, რადგან იგულისხმება ორგანიზაცია, რომელიც ქვეყნებისაგან შედგება და არა რომელიმე ერის წარმომადგენლები. აქედან გამომდინარე, რა შეგვიძლია ვთქვათ ტერმინი *ერის* მახასიათებლებზე? რა განასხვავებს ერს სხვა სოციალური ჯგუფებისგან ან კოლექტიური იდენტურობის სხვა წყაროებისგან?

ტერმინის „ერი“ მნიშვნელობის განსაზღვრის სირთულე იმაშია, რომ ყოველი ერი თავის თავში მოიცავს ობიექტურ და სუბიექტურ მახასიათებლებს, კულტურული და პოლიტიკური თავისებურებების ნაზავს. ობიექტურად, ერი კულტურული ერთეულია: ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ერთ ენაზე საუბრობს, აქვს საერთო რელიგია, ერთმანეთთან აკავშირებთ საერთო წარსული, და ა.შ. ასეთი ფაქტორები ეჭვგარეშე წარმოქმნის ნაციონალიზმის პოლიტიკას. მაგალითად, კვებეკის (*Québécois*) ნაციონალიზმი კანადაში ძირითადად, ენობრივ განსხვავებას ეფუძნება კვებეკის ფრანგულ და ინგლისურენოვან მოსახლეობას შორის, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს. ნაციონალისტურ წინააღმდეგობებს ინდოეთში საფუძვლად უდევს სხვადასხვა რელიგიური განშტოებების განვითარება. მაგალითად, სიქიზმის მიმდევართა ბრძოლა პენჯაბში მათი სამშობლოს (ხალისტანის) გამოყოფის მიზნით, ასევე მუსლიმთა კამპანია ქაშმირში ქაშმირის პაკისტანის შემადგენლობაში გაერთიანების შესახებ. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ერი მხოლოდ ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით განვმარტოთ. ყოველი ერი განსხვავებული კულტურული, ეთნიკური და რასობრივი თავისებურებების ერთობლიობაა. შვედი ერის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთი ერი შეიძლება მოიცავდეს სამ ძირითად ენაზე (ფრანგული, გერმანული და იტალიური) და ასევე მრავალ ადგილობრივ დიალექტზე მოსაუბრე მოსახლეობის ერთობლიობას. ჩრდილოეთ ირლანდიაში აღმოცენებულმა კათოლიკურმა და პროტესტანტულმა განშტოებებმა საფუძველი ჩაუყარა ურთიერთსაწინააღმდეგო ნაციონალიზმს ბრიტანეთის კუნძულებზე, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში, მაგალითად გერმანიაში, მსგავს რელიგიურ განშტოებებს მინიმალური პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭა.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერი განისაზღვრება მხოლოდ სუბიექტურად, მასში გაერთიანებული წევრების მიერ. საბოლოოდ, ერი ფსიქო-პოლიტიკური სტრუქტურაა. სხვა კოლექტიური ჯგუფებისგან ერს განასხვავებს ის, რომ თვითონ მისი წევრები უწოდებენ საკუთარ თავს ერს. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ერი, ამ შემთხვევაში, გულისხმობს თავის თავს როგორც განსხვავებულ პოლიტიკურ ერთობას. ეს განასხვავებს ერს **ეთნიკური ჯგუფისგან.** უდავოა, რომ ეთნიკურ ჯგუფს ახასიათებს საერთო იდენტობა და საკუთარი კულტურით სიამაყე, თუმცა, ერისგან განსხვავებით, მას არ აქვს კოლექტიური პოლიტიკური მისწრაფება. ეს მისწრაფებები ტრადიციულად გულისხმობს, პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილს ან მის შენარჩუნებას. თუმცა, ამ მისწრაფების უფრო მოკრძალებული ვერსიაც არსებობს – ავტონომიის მიღწევის სურვილი ფედერაციის ან სახელმწიფოთა კონფედერაციის ფარგლებში.

ტერმინის განმარტების სირთულე ზემოთქმულით არ ამოიწურება – ნაციონალიზმი რთული პოლიტიკური ფენომენია ნაწილობრივ იმის გამო, რომ სხვადასხვა ნაციონალისტური ტრადიციები ამ კონცეფციას სხვადასხვაგვარად განიხილავენ. განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებას. ერთი მათგანი აღწერს ერს, როგორც უპირველეს ყოვლისა, კულტურულ ერთობლიობას და ხაზს უსვამს ეთნიკური კავშირებისა და მიკუთვნებულობის მნიშვნელობას. მეორე მოსაზრების მიხედვით, ერი არსებითად პოლიტიკური ერთობაა, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო პასუხისმგებლობებს და ერთგულებას. ეს წინააღმდეგობრივი შეხედულებები არა მხოლოდ ალტერნატიულ მოსაზრებებს გვთავაზობენ ერის წარმოშობასთან დაკავშირებით, არამედ ისინი ნაციონალიზმის ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ფორმებსაც უკავშირდება.

კულტურული ნაციონალიზმი

არის ნაციონალიზმის ფორმა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ხაზს უსვამს იმას, რომ ერი არის უნიკალური ცივილიზაცია და არა პოლიტიკური გაერთანება. ხშირად, კულტურული ნაციონალისტები სახელმწიფოს მეორეხარისხოვან, ან საერთოდ უცხო სტრუქტურად მიიჩნევენ. თუ პოლიტიკური ნაციონალიზმი „რაციონალური“ და ხშირ შემთხვევაში პრინციპულია, კულტურული ნაციონალიზმი როგორც წესი „მისტიური“ ხასიათისაა. იგი ეფუძნება რომანტიკულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ერი ეს არის უნიკალური ისტორიული და ორგანული მთლიანობა, რომელსაც აქვს საკუთარი „სული“. ის, როგორც წესი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახალხო რიტუალებს, ტრადიციებსა და ლეგენდებს. მიუხედავად ანტიმოდერნული ხასიათისა, კულტურულმა ნაციონალიზმმა შესაძლოა მოდერნიზაციის აგენტის როლიც შეასრულოს იმით, რომ ხალხს „ხელმეორედ დაბადების“ შესაძლებლობა მისცეს. აუცილებელი პირობა არ არის ერის წევრობისთვის.

ფესვების მიუხედავად, ნაციონალიზმის ზოგიერთი ფორმას გამორჩეულად კულტურული და არა პოლიტიკური ხასიათი აქვს. კულტურული ნაციონალიზმი ძირითადად იყენებს ეროვნული თვითდამკვიდრების ფორმას; ეს მეთოდი გულისხმობს მოსახლეობაში ეროვნული სიამაყისა და საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობის ამაღლებას, რაც მიიღწევა კულტურული მახასიათებლების უნიკალურობის განცდით. ამის თვალსაჩინო მაგალითია უელსის ნაციონალიზმი, რომელიც ძირითადად ხაზს უსვამს უელსის ენასა და კულტურას და არა პოლიტიკური დამოუკიდებლობის ძიებას. შავ ნაციონალიზმს შეერთებულ შტატებში, ვესტ-ინდოეთსა და ევროპის ბევრ ნაწილში ასევე მკაცრად კულტურული ხასიათი აქვს. შავი ნაციონალიზმი გამოკვეთილად ხასიათდება შავი ცნობიერების განვითარებით და ეროვნული სიამაყის გაღვივებით, რაც მარკუს გარვის (Marcus Garvey) და მალკოლმ იქსის (Malcolm X, 1926-65) შრომებში უკავშირდება აფრიკის, როგორც სულიერი და კულტურული „სამშობლოს“ ხელახალ აღმოჩენას. მსგავს პროცესს შეგვიძლია თვალი ვადევნოთ თანამედროვე ავსტრალიასა და, გარკვეულწილად, ახალ ზელანდიაშიც. მაგალითად, რესპუბლიკური მიმდინარეობა ავსტრალიაში ისწრაფვის წარმოაჩინოს ერი, როგორც დიდი ბრიტანეთისგან პოლიტიკურად და კულტურულად დამოუკიდებელი. ეს არის თვითდამკვიდრების პროცესი, რომელიც ეფუძნება ანზაკის მითს, კავშირებს აბორიგენ ხალხთან, ასევე კოლონისტების ხალხური კულტურის ხელახალ აღმოჩენას.

გერმანელი ისტორიკოსი ფრიდრიხ მაინეკე (Fridrich Meinecke, 1907) უფრო წინ წავიდა და ერთმანეთისგან გამიჯნა „კულტურული“ და „პოლიტიკური“ ერები. „კულტურული“ ერი დახასიათებულია როგორც მაღალ საფეხურზე მდგომი ეთნიკური ჰომოგენურობა; საბოლოო ჯამში, ეროვნული და ეთნიკური იდენტობა ერთმანეთს კვეთს. მაინეკე ბერძნებს, გერმანელებს, რუსებს, ინგლისელებსა და ირლანდიელებს კულტურულ ერებად მოიხსენიებს. თუმცა, ტერმინის განმარტების მიხედვით, „კულტურული ერი“ ასევე შეიძლება ვუწოდოთ ისეთ ეთნიკურ ჯგუფებს, როგორიცაა ქურთები, ტამილები და ჩეჩნები. ასეთი ერები შეიძლება განვსაზღვროთ როგორც „ორგანული“, რადგან ისინი შეიქმნენ ბუნებრი-

ვი და ისტორიული მოვლენების გამო, და არა პოლიტიკური მმართველობის საფუძველზე. კულტურული ერების სიძლიერე მდგომარეობს იმაში, რომ მათი ერთობა განმტკიცებულია ისტორიული მნიშვნელობის განცდით, რაც არის სტაბილური და მძლავრი. მეორე მხრივ, კულტურული ერები, როგორც წესი, საკუთარ თავს განსაკუთრებულ, უნიკალურ ჯგუფად აღიქვამენ. ერის წევრობისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ პოლიტიკური ერთგულება. აუცილებელ პირობას წარმოადგენს ეთნიკური ჯგუფის წევრობაც. კულტურული ერები საკუთარ თავს საერთო წარმოშობით გამორჩეულ გაფართოებულ მონათესავე ჯგუფად განიხილავენ. ამის გამო შეუძლებელია „გახდე“ გერმანელი, რუსი, ან ქურთი მხოლოდ მათი ენის სწავლითა და მათი ღირებულებების გაზიარებით. ეს არის ნაციონალიზმის ჩაკეტილი და რეგრესირებადი ფორმა, სადაც რასის და ერის მნიშვნელობა ერთმანეთთან გაიგივებულია.

ერი როგორც პოლიტიკური გაერთიანება

ერი როგორც პოლიტიკური გაერთიანება გულისხმობს მოქალაქეთა ერთობლიობას, მათი რასისა და ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად. ერის ამგვარი ხედვა გვხვდება ჟან-ჟაკ რუსოს (Jean-Jacques Rousseau) ნაშრომებში. ზოგიერთი მას თანამედროვე ნაციონალიზმის „მამად“ მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ რუსო კონკრეტულად ერის საკითხს არ ეხება და არც ნაციონალიზმის ფენომენს განიხილავს, ის საუბრობს ხალხის სუვერენიტეტზე, რომელიც გამოხატულია როგორც „საერთო ნება“ (როგორც საზოგადოების საერთო კეთილდღეობა). ამ მოსაზრებამ საფუძველი ჩაუყარა ნაციონალისტური დოქტრინების აღმოცენებას 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში. მოწოდებაში, რომ სახელმწიფო უნდა ეფუძნებოდეს საერთო ნებას, რუსომ მკაცრად გააკრიტიკა მონარქიული მმართველობა და არისტოკრატული პრივილეგიები. საფრანგეთის რევოლუციის დროს რადიკალური დემოკრატიის ეს თეორია შემდეგნაირად გამომჟღავნდა: ფრანგი ხალხი „მოქალაქეები“ იყვნენ, რომელთაც განუყრელი უფლებები და თავისუფლებები ჰქონდათ და არა უბრალოდ გვირგვინის „სუბიექტები“. შესაბამისად, სუვერენული ძალაუფლება „ფრანგ ერშია“. ამიტომ, საფრანგეთის რევოლუციის საფუძველზე განვითარებული ნაციონალიზმი ხალხის ანუ ერის, როგორც თვითმართვადის ხედვას გვთავაზობს და უკავშირებს მას თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის პრინციპებს.

მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ერი არის პოლიტიკური და არა კულტურული ერთობლიობა, ნაციონალიზმის შესახებ მრავალი თეორია ამყარებს. მაგალითად, ერიკ ჰობსბაუმის (Eric Hobsbawm, 1983) მიხედვით, ერი ეს არის „გამოგონილი ტრადიციები“. იგი უარყოფს ფაქტს, თითქოს თანამედროვე ერები წარმოიშვნენ მრავალსაუკუნოვანი ეთნიკური ერთობების საფუძველზე. მისი აზრით, ისტორიული მოვლენების თანამიმდევრობა და კულტურული სიწმინდე მხოლოდ მითია და შექმნილია თვით ნაციონალიზმის მიერ. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ნაციონალიზმი წარმოშობს ერებს. ეროვნულობის შესახებ ფართოდ გავრცელებული შეხედულება (ხანდახან მას ხალხურ ნაციონალიზმსაც უწოდებენ) მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა, როცა შეიქმნა ეროვნული ჰიმნები, ეროვნული დროშები და დადგა დაწყებითი განათლების აუცილებლობის საკითხი. რასაკვირველია, „მშობლიური ენის“ იდეა თაობიდან თაობას მანამდეც გადაეცემოდა, თუმცა, მისი გაიგივება ეროვნულ კულტურასთან კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. სინამდვილეში, ენა ცოცხლობს და ვითარდება იმის მიხედვით, თუ როგორც ადაპტირდება ყოველი მომდევნო თაობა მასთან, თავისი სპეციფიური მოთხოვნილებებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით. მეტიც, შესაძლოა დავამტკიცოთ, რომ ცნება „ეროვნული“ ენა აბსურდია, რადგან მე-19 საუკუნის ბოლო ხანებამდე, ადამიანთა უმეტესობას არ შეეძლო წერა-კითხვა საკუთარ ენაზე. მათი საუბარი კუთხური დიალექტებით ხასიათდებოდა, რასაც თითქმის არ ჰქონდა კავშირი განათლებული ელიტის ენასთან.

ბენედიქტ ანდერსონმა (Benedict Anderson, 1983) დაახასიათა თანამედროვე ერი, როგორც არტეფაქტი, „წარმოსახვითი ერთობა“. მან აღნიშნა, რომ ერი უფრო გონებრივი ხატია, ვიდრე რეალური ერთობა, რომელიც მოითხოვს პირისპირ ურთიერთქმედების გარკვეულ ხარისხს საერთო იდენტობის შესანარჩუნებლად. ერის ფარგლებში ინდივიდები იშვიათად ხვდებიან მათ ვისთანაც ზიარი ეროვნული იდენტობა აქვთ. ერი, როგორც წარმოსახული რეალობა ემყარება განათლებას, მასობრივი მედიისა და პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესს. მაშინ, როდესაც ერის რუსოსეული ხედვას აცოცხლებს დემოკრატიისა და პოლიტიკური თავისუფლების იდეა, ერს როგორც „გამოგონილსა“ და „წარმოსახვით“ ერთობას მეტი საერთო აქვს მარქსისტულ შეხედულებასთან იმის შესახებ, რომ ნაციონალიზმი ბურჟუაზიული იდეოლოგიაა. ორთოდოქსული მარქსიზმის გადმოსახედიდან, ნაციონალიზმი არის ის ინსტრუმენტი, რომლითაც მმართველი კლასი საზღვრავს სოციალური რევოლუციის საფრთხის ხარისხს, უზრუნველყოფს რა, რომ ეროვნული ერთგულება აღემატებოდეს კლასობრივ სოლიდარობას და, შესაბამისად, მუშათა კლასის „მიბმას“ ძალაუფლების არსებულ სტრუქტურასთან.

მიუხედავად იმისა, ერების წარმოქმნა განპირობებულია თავისუფლებისა და დემოკრატიის სურვილით, თუ პოლიტიკური ელიტის ცბიერებით, ზოგიერთი ერი უტყუარი პოლიტიკური ნიშნის მატარებელია. მაინეკეს აზრით, ეს ერები შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც „პოლიტიკური ერი“. „პოლიტიკურია“ ერი, რომელშიც მოქალაქეობას უფრო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეთნიკურ იდენტობას. პოლიტიკური ერები, რა თქმა უნდა, მოიცავენ რიგ ეთნიკურ ჯგუფებს და ხასიათდებიან კულტურული ჰეტეროგენურობით. სწორედ ამის გამო, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი ხშირად გვესახება პოლიტიკური ერის კლასიკურ მაგალითად. დიდი ბრიტანეთი აერთიანებს ოთხ „კულტურულ“ ერს: ინგლისურ, შოტლანდიურ, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის (ეს უკანასკნელი შეგვიძლია დავყოთ კიდევ ორ ერად: პროტესტანტ უნიონისტებად და კათოლიკ რესპუბლიკელებად). რამდენადაც არსებობს გამოკვეთილი ბრიტანული ეროვნული იდენტობა, ის ეფუძნება ისეთ პოლიტიკურ ფაქტორებს, როგორიცაა გვირგვინისადმი საყოველთაო ერთგულება, ვესტმინსტერის პარლამენტის პატივისცემა და ბრიტანელი ხალხის ისტორიული უფლებებისა და თავისუფლებებისადმი რწმენა. ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც „ემიგრანტების ქვეყანა“, ხასიათდება მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ ერად, რაც გამორიცხავს ეროვნული იდენტობის კულტურულ და ისტორიულ საწყისებზე დაფუძნებას. მიუხედავად ამისა, ამერიკული ეროვნულობის გრძნობა სულ უფრო და უფრო ვითარდება საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით და საზოგადო, განსაკუთრებით, დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და შეერთებული შტატების კონსტიტუციაში ხაზგასმული ღირებულებების პატივისცემის კულტივაციით. ამის მსგავსად, ფრანგული ეროვნული იდენტობა მჭიდროდ უკავშირდება 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის ტრადიციებსა და პრინციპებს.

ამ ერებს ის აერთიანებთ, რომ თეორიულად, ისინი არსებული კულტურული იდენტობისაგან განსხვავებით პრინციპებისა და მიზნების საერთო ნაკრების ნებაყოფლობითი აღიარების საფუძველზე შეიქმნა. ზოგიერთის აზრით, ასეთ საზოგადოებებში განვითარებული ნაციონალიზმი, როგორც წესი, ტოლერანტული და დემოკრატიულია. თუ ერი, პირველ რიგში, პოლიტიკური ერთობაა, ის ინკლუზიური ჯგუფია, რომლის წევრობაც არ არის შეზღუდული ენით, რელიგიით, ეთნიკური წარმომავლობითა და სხვა მსგავსი კრიტერიუმებით. კლასიკური მაგალითებია ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც „სადნობ ქვაბში“ შექმნილი ერისა და „ახალი“ სამხრეთ აფრიკა „ცისარტყელა საზოგადოების“ იმიჯით. მეორე მხრივ, პოლიტიკურმა ერებმა შეიძლება ვერ შეძლონ ორგანული ერთობისა და ისტორიული ფესვების განცდა, რაც დამახასიათებელია კულტურული ერებისთვის. შესაძლოა, სწორედ ამან განაპირობა შედარებით სუსტი ბრიტანული ნაციონალიზმი დიდ ბრიტანეთში, განსხვავებით შოტლანდიური და უელსის ნაციონალიზმებისგან და

ინგლისური ნაციონალიზმის ჩაკეტილი ფორმა, რომელსაც ხანდახან „პატარა ინგლისურ“ ნაციონალიზმსაც უწოდებენ.

განვითარებადი სამყაროს სახელმწიფოები მთელი რიგი სირთულეების წინაშე დგანან ეროვნული იდენტობის მიღწევის თვალსაზრისით. ასეთი ერებს შეგვიძლია „პოლიტიკური“ ვუწოდოთ. უმეტეს შემთხვევაში, მათ მოიპოვეს სახელმწიფოს სტატუსი მხოლოდ კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად. ამიტომ, ერის ეროვნული იდენტობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ეროვნული თავისუფლებისადმი საერთო სწრაფვა. შესაბამისად, მესამე სამყაროს ნაციონალიზმს მკვეთრად ანტიკოლონიალური ხასიათი აქვს. ასეთი ქვეყნები ხშირად იმ ტერიტორიის საზღვრებში შეიქმნა, რომელიც მემკვიდრეობით ერგოთ ყოფილი კოლონიზატორი მმართველებისგან. ეს განსაკუთრებით ეხება აფრიკის ქვეყნებს. აფრიკული „ერები“ ხშირად მოიცავს ეთნიკური, რელიგიური და რეგიონული ჯგუფების ფართო სპექტრს, რომლებიც საერთო კოლონიურ წარსულზე მეტი სხვა თითქოს არც კი აერთიანებთ. კლასიკური ევროპული კულტურული ერების შექმნის საპირისპიროდ, რომელთა სახელმწიფოებრიობა უკვე არსებულ ეროვნულ იდენტობას ეფუძნება, აფრიკაში „ერების“ შექმნა არსებული სახელმწიფოების საფუძველზე სცადეს. თუმცა, სწორედ პოლიტიკური და ეთნიკური იდენტობების შეუსაბამობამ დაუდო საფუძველი არეულობების რეციდივებს ნიგერიაში, სუდანში, რუანდასა და ბურუნდიში. ასეთი კონფლიქტები სხვა არაფერია, თუ არა ანტიკური „ტრაიბალიზმის“ ნათელი გამოვლინება. ასევე მნიშვნელოვანწილად, კოლონიურ წარსულში გამეფებული „გაყავი და იბატონე“ პოლიტიკის შედეგი.

ნაციონალიზმის სახესხვაობები

ნაციონალიზმის პოლიტიკური ხასიათის ირგვლივ მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს. ერთის მხრივ, ნაციონალიზმი შეიძლება მოგვევლინოს როგორც პროგრესული და თავისუფლებისთვის მებრძოლი ძალა, რომელიც გვთავაზობს ეროვნული ერთობის პერსპექტივასა და დამოუკიდებლობას. მეორე მხრივ, ის შეიძლება იყოს ირაციონალური და რეაქციული კრედო, რომელიც უფლებას აძლევს პოლიტიკურ ლიდერებს ერის სახელით აწარმოონ სამხედრო ექსპანსიის პოლიტიკა და ომი. სინამდვილეში, ნაციონალიზმი მულტიპიროვნული სინდრომის პოლიტიკური ეკვივალენტის ყველა ნიშნით არის დადაღული. სხვადასხვა დროს, ნაციონალიზმი იყო პროგრესული და რეაქციული, დემოკრატიული და ავტორიტარული, ლიბერალური და ტირანული, მემარცხენე ფრთა და მემარჯვენე ფრთა. ამიტომ, უმჯობესია ნაციონალიზმი გავნიხილოთ არა როგორც კონკრეტული პოლიტიკური ფენომენი, არამედ როგორც „ნაციონალიზმების“ სერია. თუმცა, მიუხედავად სახესხვაობებისა, ყველანაირ ნაციონალიზმს აქვს ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანი – ყოველი მათგანი აცნობიერებს ერის ცენტრალურ პოლიტიკურ მნიშვნელობას.

პრობლემას მაშინ ვაწყდებით, როცა „ერის“ განსაზღვრების საკითხი დგება. პირველ რიგში, პოლიტიკური თუ კულტურული ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ „ერის“ მნიშვნელობის განსაზღვრისას? ნაციონალიზმის ხასიათი ასევე დამოკიდებულია იმ გარემოებებზე და პოლიტიკურ ვითარებებზე, რამაც უბიძგა კონკრეტულ ნაციონალიზმს აღმოცენებულიყო. მაშინ, როცა ნაციონალიზმი უცხოელი დომინანტებისა და კოლონიალური მმართველობის წინააღმდეგ მიმართული რეაქციაა, ის, როგორც წესი, მშვიდობისმყოფელი ძალაა და დემოკრატიასა და სამართლიანობას ესწრაფვის. როცა ნაციონალიზმი სოციალური დისლოკაციისა ან დემოგრაფიული ცვლილების შედეგია, მას ხშირად ჩაკეტილი და ექსკლუზიური ხასიათი აქვს და შეიძლება რასიზმსა და **ქსენოფობიას** შეუწყოს ხელი. დაბოლოს, ნაციონალიზმი ყალიბდება მის მხარდამჭერთა პოლიტიკური იდეალებით. ნაციონალიზმით ლიბერალები, კონსერვატორები, სოციალისტები, ფაშისტები და კომუნისტებიც კი მოიხიბ-

ლნენ (მთავარი იდეოლოგიებიდან, ალბათ, მხოლოდ ანარქიზმი ეწინააღმდეგება სრულად ნაციონალიზმს). ამ თვალსაზრისით ნაციონალიზმი გამჭოლი იდეოლოგიაა. ნაციონალიზმის ძირითადი პოლიტიკური გამოვლინებებია:

- ლიბერალური ნაციონალიზმი
- კონსერვატიული ნაციონალიზმი
- ექსპანსიური ნაციონალიზმი
- ანტიკოლონიალური ნაციონალიზმი

ლიბერალური ნაციონალიზმი

ლიბერალური ნაციონალიზმი ევროპული ნაციონალიზმის კლასიკური ფორმაა; იგი საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში ჩამოყალიბდა და ბევრ მისეულ ღირებულებას იზიარებს. მეტიც, კონტინენტალური ევროპისთვის მე-19 საუკუნის შუა ხანებში ნაციონალისტობა იგივე ლიბერალობა იყო, და პირიქით. მაგალითად, 1848 წლის რევოლუციებში იბრძოდნენ ეროვნული დამოუკიდებლობისთვის და მოითხოვდნენ შეზღუდული, კონსტიტუციური მთავრობის არსებობას. ყველაზე ნათლად ეს იტალიის ნაციონალისტურ მოძრაობა „რისორგიმენტო“ (აღორძინების) ნაციონალიზმში ჩანს, განსაკუთრებით კი, ამას იტალიური გაერთიანების „წინასწარმეტყველი“ ჯუზეპე მაზინი (Guiseppe Mazzini) გამოხატავდა. ასეთივე პრინციპებს იზიარებდა საიმონ ბოლივარიც (Simon Bolivar, 1783-1830), რომელიც სათავეში ედგა ლათინური ამერიკის დამოუკიდებლობისთვის მოძრაობას მე-19 საუკუნის პირველ ხანებში. მისი დახმარებით გამოაძევეს ესპანელები ესპანური (Hispanic) ამერიკიდან. შესაძლოა ლიბერალური ნაციონალიზმის ყველაზე წმინდა გამოვლინება სწორად შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის (Woodrow Wilson) „თოთხმეტ პუნქტში“ ვიპოვნოთ. 1918 წელს შექმნილი ეს დოკუმენტი შეთავაზებული იყო როგორც ევროპის რეკონსტრუქციის გეგმა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და ვერსალის შეთანხმების (1919) მიხედვით განხორციელებულ ფართომასშტაბიან ტერიტორიულ ცვლილებების ჩაუყარა საფუძველი.

ქსენოფობია: შიში ან სიძულვილი უცხოელების მიმართ, პათოლოგიური ეთნოცენტრიზმი.

ჯუზეპე მაზინი (Guiseppe Mazzini, 1805-1872)

იტალიელი ნაციონალისტი და ლიბერალური რესპუბლიკანიზმის მოციქული. მაზინი დაიბადა გენოაში, იტალია, ექიმის ოჯახში. რევოლუციურ პოლიტიკოსებთან ურთიერთობა დაიწყო როგორც პატრიოტული საიდუმლო ორგანიზაციის „კარბონარის“ წევრმა. ამას მოჰყვა მისი დაპატიმრება და საფრანგეთში გაძევება, საიდანაც იგი ბრიტანეთში განდევნეს. მაზინი მალევე დაბრუნდა იტალიაში 1848 წლის რევოლუციის დროს და მონაწილეობა მიიღო მილანის გათავისუფლებაში. ამის შემდეგ, სათავეში ჩაუდგა რომის რესპუბლიკას, რომელიც მცირე დროის მანძილზე არსებობდა. იგი ცდილობდა იტალიის გაერთიანებას. თავდადებული რესპუბლიკელის მაზინის გავლენა ამის შემდეგ თანდათან შესუსტდა სხვა ნაციონალისტი ლიდერების, მათ შორის, გარიბალდის (Garibaldi, 1807-1882) მიერ სავოის დინასტიის საშუალებით იტალიის გაერთიანების მცდელობის კვალობაზე. მიუხედავად იმისა, რომ იტალიაში ოფიციალურად აღარ დაბრუნებულა, მაზინის ლიბერალურმა ნაციონალიზმმა დიდი გავლენა იქონია მთლიანად ევროპაზე და შეერთებულ შტატებში ემიგრანტთა ჯგუფებზე.

ნაციონალიზმების სხვა ფორმების მსგავსად, ლიბერალური ნაციონალიზმიც ეფუძნება ვარაუდს, რომ კაცობრიობა ბუნებრივად არის დაყოფილი განსხვავებული იდენტობის მქონე ერებად. შესაბამისად, ერი ნამდვილი ან ორგანული ერთობაა და არა პოლიტიკური ლიდერების ან მმართველი კლასების მიერ ხელოვნურად შექმნილი. მიუხედავად ამისა, ლიბერალური ნაციონალიზმის მთავარი დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ ერის იდეას სახალხო სუვერენიტეტის რწმენას უკავშირებს, რომელსაც რუსომ ჩაუყარა საფუძველი. ეს კავშირი იმის გამო გაჩნდა, რომ მულტიეროვნული იმპერიები, რომელთა წინააღმდეგ მე-19 საუკუნის ევროპელი ნაციონალისტები იბრძოდნენ, ასევე ავტოკრატული და ტირანული იყო. მაგალითად, მაზინის არა მხოლოდ იტალიური სახელმწიფოების გაერთიანება, არამედ ავტოკრატული ავსტრიის გავლენისგან განთავისუფლებაც სურდა. ამდენად, ნაციონალიზმის ამ ფორმის მთავარი თემა **ეროვნული თვითგამორკვევის** პრინციპია. მისი მიზანი ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებაა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს, რომლის მთავრობისა და ეროვნულობის საზღვრები მაქსიმალურად ემთხვევა ერთმანეთს. ჯ.ს. მილის (J.S. Mill [1861] 1951:392) სიტყვებით:

„როცა ეროვნულობის გრძნობა ნებისმიერ ძალაშია, გვაქვს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რატომ ერთიანდება ერის ყველა წევრი ერთი მთავრობის ირგვლივ, ხოლო მთავრობა შორდება მათ. ეს მხოლოდ იმას მიანიშნებს, რომ ხელისუფლების საკითხი თვით ხალხმა (ანუ იმათ, ვისაც მთავრობა მართავს) უნდა გადაწყვიტოს“.

ლიბერალური ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, პრინციპული ნაციონალიზმის ფორმაა. ის არ იცავს ერთი ერის ინტერესებს სხვა ერის საზიანოდ; ის აღიარებს, რომ ყოველ ერს აქვს თავისუფლებისა და თვითგამორკვევის უფლება; ამ თვალსაზრისით, ყველა ერი თანასწორია. ლიბერალური ნაციონალიზმის საბოლოო მიზანია მსოფლიო, სადაც ყველა ერი სუვერენული ერი-სახელმწიფო იქნება. სწორედ ერთიანი იტალიის მხარდაჭერის მიზნით ჩამოაყალიბა მაზინიმ იატაკქვეშა ორგანიზაცია „ახალგაზრდა იტალია“. მან ასევე ჩაუყარა საფუძველი „ახალგაზრდა ევროპას“ იმ იმედით, რომ ნაციონალისტურ იდეებს გაავრცელებდა მთელი კონტინენტის მასშტაბით. ამის მსგავსად, პარიზის მშვიდობის კონფერენციაზე, სადაც ვერსალის საზავო ხელშეკრულება შეიქმნა, ვუდრო ვილსონმა წინ წამოსწია თვითგამორკვევის პრინციპი არა მარტო იმიტომ, რომ მას შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესების გამო სურდა ევროპული იმპერიების დაშლა, არამედ იმიტომაც, რომ სწამდა – პოლონელებს, ჩეხებს, იუგოსლაველებსა და უნგრელებს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ისეთივე უფლება ჰქონდათ, როგორითაც ამერიკელები სარგებლობდნენ.

ეროვნული თვითგამორკვევა: პრინციპი, რომლის მიხედვითაც ერი არის სუვერენული ერთობა; თვითგამორკვევა გულისხმობს, როგორც ეროვნულ დამოუკიდებლობას, ისე დემოკრატიულ მმართველობას.

ამ თვალსაზრისით, ნაციონალიზმი არა მარტო პოლიტიკური თავისუფლების გაფართოების საშუალებაა, არამედ მსოფლიო წესრიგის მშვიდობიანი და სტაბილური დაცვის მექანიზმიც. ვილსონს მიაჩნდა, რომ პირველი მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზი „ძველი წესრიგი“ იყო – ავტოკრატული და მილიტარისტული იმპერიების არსებობა, რომლებიც ექსპანსიონიზმსა (სხვისი ტერიტორიების დაპყრობის მცდელობას) და ომებს ესწრაფოდნენ. ამ შეხედულების მიხედვით, დემოკრატიული ერი-სახელმწიფოები, წესით, განსაკუთრებით მშვიდობიანები უნდა იყვნენ, რადგან კულტურული და პოლიტიკური ერთობის გამო, მათ არ აქვთ ომის წარმოებისა და სხვა ქვეყნების დაპყრობის სტიმული. ამ კონტექსტში, ნაციონალიზმი არ განიხილება უნდობლობის, ეჭვისა და მეტოქეობის წყაროდ. პირიქით, ნაციონალიზმი ის ძალაა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ერთიანობას ყოველი ერის შიგნით და ერთა შორის მეგობრობას ეროვნული უფლებებისა და მახასიათებლების ურთიერთპატივისცემის საფუძველზე.

კოსმოპოლიტიზმი

კოსმოპოლისის, ანუ „მსოფლიო სახელმწიფოს“ რწმენა. მოიცავს ეროვნული იდენტობის დავიწყებასა და საერთო პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბებას, რომელიც ყველა ადამიანს გააერთიანებდა. თუმცა, როგორც წესი, ეს ტერმინი გამოიყენება უფრო მოკრძალებული მნიშვნელობით და გულისხმობს მშვიდობისა და ჰარმონიის მიღწევას ერებს შორის.

ზოგ ასპექტში, ლიბერალიზმი სცილდება ერთი ერის საზღვრებს. ეს ორი მიზეზით ხდება: პირველ რიგში, ლიბერალიზმის მიხედვით, თითოეული ადამიანი მიუხედავად რასისა, სოციალური წარმომავლობისა, ენისა თუ სარწმუნოებისა – მორალურად თანასწორია. ლიბერალიზმი ქადაგებს უნივერსალიზმს; ყოველ ინდივიდს, სადაც არ უნდა იყოს იგი, გააჩნია თანასწორი სტატუსი და უფლებები. დღეს ამას **ადამიანის უფლებებს** ვუწოდებთ. იმის გამო, რომ ცალკეული ინდივიდი ერზე მაღლა დგას, ეროვნულ სუვერენიტეტს საფრთხე ექმნება. ამის ნათელი მაგალითია სამხრეთ აფრიკის „თეთრი“ რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო კამპანია, რომლის მიზანიც აპარტეიდის (რასობრივი იზოლაციის) დამხობაა. მეორე, ლიბერალები ხედავენ იმის საფრთხეს, რომ შესაძლოა მოხდეს სუვერენული ერი-სახელმწიფოებისაგან შემდგარი მსოფლიოს დეგრადაცია ერთ საერთაშორისო *„ბუნებრივ სახელმწიფოდ“*. როგორც შეუზღუდავი თავისუფლება აძლევს უფლებას ინდივიდებს ცუდად მოეპყრან ან დაიმონონ ერთმანეთი, ასევე ეროვნული სუვერენიტეტი შეიძლება გამოყენებულ იქნას ექსპანციონიზმისა და დაპყრობის იარაღად. თავისუფლების საკითხს ყოველთვის კანონი უნდა არეგულირებდეს, ეს ეხება როგორც ინდივიდებს, ასევე ერებს. შედეგად ლიბერალებმა, ისეთი ზენაციონალური ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ, როგორებიცაა ერთა ლიგა, გაერთიანებული ერები და ევროკავშირი, შექმნეს საერთაშორისო კანონი. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, არ უნდა დავუშვათ, რომ ნაციონალიზმი გახდეს ჩაკეტილი და ექსკლუზიური, მასში დაბალანსებული უნდა იყოს კოსმოპოლიტიზმი.

ლიბერალური ნაციონალიზმის კრიტიკა, როგორც წესი, ორ კატეგორიას მოიცავს: 1) მიიჩნევა, რომ ლიბერალი ნაციონალისტები გულუბრყვილოები და რომანტიკულები არიან. ისინი ხედავენ ნაციონალიზმის მხოლოდ პროგრესულ და თავისუფალ მხარეს; მათი ნაციონალიზმი ტოლერანტული და რაციონალურია. ისინი უგულებელყოფენ ნაციონალიზმის ბნელ მხარეს: ეს არის **ტრაიბალიზმის** ირაციონალური კავშირები, რომელიც მიჯნავს „ჩვენ“-ს უცხო და საშიში „ისინი“-სგან. ლიბერალები ნაციონალიზმს უნივერსალურ პრინციპად მიიჩნევენ, თუმცა მათ ნაკლებად ესმით ნაციონალიზმის ემოციური ძალის. ამ ძალას შეუძლია ადამიანს გადააწყვეტინოს ომში წასვლა, მკვლელობა და სიკვდილი *„საკუთარი“* ქვეყნისთვის, ამ ქვეყნის პოზიციის მიუხედავად. როგორც ამბობენ: „მართალია თუ მცდარი, მაინც ჩემი ქვეყანაა“.

ადამიანთა უფლებები: უფლებები, რომლებიც აქვს ადამიანს იმის გამო, რომ იგი არის ადამიანი; უნივერსალური და ძირითადი უფლებები.

ტრაიბალიზმი: ჯგუფური ქცევა, რომელიც ხასიათდება ჩაკეტილობითა და ექსკლუზიურობით, როგორც წესი, ხასიათდება სხვა ჯგუფების მიმართ მტრობით.

მეორე, ლიბერალური ნაციონალიზმის მიზანი (ერი-სახელმწიფოებისგან შემდგარი მსოფლიოს ჩამოყალიბება) შესაძლოა საფუძველშივე არასწორი იყოს. უილსონისეული ნაციონალიზმის შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მისი აზრით, ერები ცხოვრობდნენ მათთვის მოსახერხებელ გეოგრაფიულ ზონებში, და რომ სახელმწიფოს საზღვრები შესაძლებელია ამ გეოგრაფიული ტერიტორიებს დაემთხვეს. სინამდვილეში კი, ყველა ე. წ. „ერი-სახელმწიფო“ მოიცავს მთელ რიგ ლინგვისტურ, რელიგიურ, ეთნიკურ და რეგიონულ ჯგუფებს, რომელთაგან ზოგიერთმა შესაძლოა საკუთარი თავი „ერად“ მიიჩნიოს. ეს ყველაზე ნათლად ყოფილ იუგოსლავიაში დავინახეთ, ქვეყანაში, რომელსაც ვერსალის მშვი-

დობისმყოფელები „სლავების ქვეყანად“ მიიჩნევდნენ. სინამდვილეში, ის მრავალი ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და ისტორიული წარსულის მქონე ჯგუფისაგან შედგებოდა. მეტიც, როდესაც 1990-იანი წლების დასაწყისში იუგოსლავია დაიშალა, მისი შემადგენელი ყველა რესპუბლიკა ცალკეული ეთნიკური გაერთანება იყო. ჯერ ნაცისტებმა, ხოლო შემდეგ კი ბოსნიელმა სერბებმა აღიარეს, რომ პოლიტიკურად ერთიანი და კულტურულად ჰომოგენური ერი-სახელმწიფოს შექმნის ერთადერთი გზა **ეთნიკური წმენდის** პროგრამა იყო.

კონსერვატიული ნაციონალიზმი

ისტორიულად, კონსერვატიული ნაციონალიზმი გაცილებით გვიან ჩამოყალიბდა, ვიდრე ლიბერალური ნაციონალიზმი. მე-19 საუკუნის ბოლო ხანებამდე, კონსერვატორი პოლიტიკოსები ნაციონალიზმს დივერსიულ და რევოლუციურ კრედოდ მიიჩნევდნენ. თანდათანობით კონსერვატიზმსა და ნაციონალიზმს შორის კავშირი უფრო ცხადი ხდებოდა, მაგალითად, დისრაელისეული (Disraeli) „ერთი ერის“ იდეალი, ბისმარკის მზაობა გამოეყენებინა გერმანული ნაციონალიზმი პრუსიის გაძლიერება-გაფართოებისათვის და რუსეთის მეფე ალექსანდრე მესამის მიერ პან-სლავური ნაციონალიზმის აღიარება. თანამედროვე პოლიტიკაში, კონსერვატორთა უმრავლესობისათვის (თუ არა ყველასთვის), ნაციონალიზმი რწმენის სიმბოლოდ იქცა. დიდ ბრიტანეთში ამის მკაფიო დადასტურება იყო მარგარეტ ტეტჩერის ტრიუმფალური რეაქცია 1982 წლის ფოლკლენდის ომში გამარჯვების გამო, ასევე მემარჯვენე კონსერვატიზმის ღრმა „ევროსკეპტიციზმი“, განსაკუთრებით, მისი მორეციდივე საფრთხობელა „ფედერალური ევროპა“. ნაციონალიზმის მსგავსი ფორმის რეანიმაცია მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო მტკიცე საგარეო პოლიტიკის განხორციელების შედეგად: რეიგანის ხელისუფლების დროს გრენადაში შეჭრა და ლიბიის დაბომბვა და ბუშის ხელისუფლების შეიჭრა პანამაში და 1991 წელს ომი სპარსეთის ყურეში.

კონსერვატიულ ნაციონალიზმს ნაკლებად აღელვებს პრინციპული ნაციონალიზმისთვის უნივერსალური თვითგამორკვევა, მას უფრო მეტად სოციალური ერთობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაპირება აინტერესებს, რომელსაც ნაციონალური პატრიოტიზმის გრძნობა უდევს საფუძვლად. პირველ ყოვლისა, კონსერვატორები ერს ორგანულ ერთეულად განიხილავენ, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანისთვის დამახასიათებელი ძირითადი სურვილი – გაერთიანდეს მსგავსი შეხედულებების, ჩვევების, ცხოვრების სტილის და გარეგნობის მქონეებთან. მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანი ესწრაფვის უსაფრთხოებას და იდენტობას ეროვნული ერთობის წევრობის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, პატრიოტული ლოიალურობისა და ეროვნული ცნობიერების საფუძველი არის საერთო წარსული, რაც ნაციონალიზმს გარდაქმნის ისტორიულად აღიარებული ღირებულებებისა და ინსტიტუტების დამცველად. ამრიგად, ნაციონალიზმი ტრადიციონალიზმის ფორმა ხდება. ეს კი კონსერვატიულ ნაციონალიზმს უაღრესად ნოსტალგიურ და რეტროსპექტულ ხასიათს სძენს. შეერთებულ შტატებში ეს გამოხატულია აქცენტით „პილიგრიმ მამებზე“, დამოუკიდებლობისთვის ომით, „ფილადელფიის კონვენციით“, და ა.შ. ბრიტანული (უფრო ზუსტად, ინგლისური) ნაციონალიზმის შემთხვევაში, ეროვნული პატრიოტიზმი ეყრდნობა მონარქიის ინსტიტუტთან მჭიდროდ დაკავშირებულ სიმბოლოებს. დიდ ბრიტანეთში ეროვნული ჰიმნი „ღმერთო, დაიფარე დედოფალი“ და სამეფო ოჯახი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეროვნულ დღესასწაულებში, როგორიცაა, მაგალითად, „დაზავების დღე“ და ასევე სახელმწიფო ღონისძიებებში, მაგალითად, პარლამენტის გახსნა.

კონსერვატიული ნაციონალიზმი, როგორც წესი, უკვე ჩამოყალიბებულ ერ-სახელმწიფოებში უფრო ვითარდება, ვიდრე შექმნის პროცესში მყოფ ახალ ერებში. ჩვეულებრივ, ის შთაგონებულია შეხედულებით, თითქოს ერს შიდა ან გარე საფრთხე ემუქრება. ტრადიციულ

„შიდა მტერი“ იყო კლასობრივი ანტაგონიზმი და სოციალური რევოლუციის საფრთხე. ამის გამო, კონსერვატორები ნაციონალიზმს სოციალიზმის ანტიდოტად განიხილავენ: როდესაც პატრიოტული სულისკვეთება უფრო ძლიერია, ვიდრე კლასობრივი სოლიდარობა, უკეთ ხდება მუშათა კლასის ინტეგრირება ერში. ეროვნული ერთობისკენ მოწოდებები და რწმენა, რომ ურყევი პატრიოტიზმის არის სამოქალაქო ღირსება, კონსერვატიული აზროვნების უკვდავი თემებია. „გარე მტერი“, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას, გულისხმობს იმიგრაციასა და სუპრანაციონალიზმს.

ეთნიკური წმენდა: „უცხო“ ხალხის სოციალურად განდევნა ან განადგურება; ხშირად გენოციდის ევფემიზმად გამოიყენება.

ამ თვალსაზრისით, ემიგრაცია წარმოადგენს მუქარას, რადგან ის, როგორც წესი, ასუსტებს ჩამოყალიბებული ეროვნული კულტურასა და ეთნიკური იდენტობას. ეს საფრთხე 1960-იან წლებში დიდ ბრიტანეთში ენოჩ პოველმა (Enoch Powell) გამოხატა, რომელმაც გამოთქვა ვარაუდი, რომ მოსახლეობის ემიგრაციის გაგრძელება გამოიწვევდა რასისტულ კონფლიქტსა და ძალადობას. იმავე თემას შეეხო 1979 წელს მარგარეტ ტეტჩერი თავისი განცხადებით, რომელშიც აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთი „დაიტბორა“ ემიგრანტებით. ანტიემიგრაციული კამპანიები გაწვეულ იქნა ბრიტანული ეროვნული პარტიის მიერ, ასევე ლე პენსის ეროვნული ფრონტის (Le Pen’s National Front) მიერ საფრანგეთში, და რესპუბლიკელების მიერ გერმანიაში. ისინი შთაგონებულნი იყვნენ კონსერვატიული ნაციონალიზმით. ეროვნულ იდენტობას, რომელიც ჩვენი დაცულობისა და მიკუთვნებულობის წყაროა, საფრთხეს უქმნის სუპრანაციონალური სახელმწიფოების ზრდა და კულტურის გლობალიზაცია. დიდი ბრიტანეთისა და ევროპის წევრი სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგობა ევროპის ერთიანი ვალუტის შემოღების საკითხთან დაკავშირებით, არა მხოლოდ ეკონომიკური სუვერენიტეტის დაკარგვის გამო წუხილს ასახავს, არამედ იმის რწმენასაც, ეროვნული ვალუტა მნიშვნელოვანია განსხვავებული ეროვნულ იდენტობის შესანარჩუნებლად.

მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატიული ნაციონალიზმი უკავშირდება სამხედრო საქმესა და ექსპანსიას, მისი განსაკუთრებულობა მის ჩაკეტილობასა და შეზღუდულობაშია. თუკი კონსერვატიული მთავრობა უცხოური პოლიტიკას სახალხო ციებ-ცხელების გაღვივების იარაღად იყენებს, ეს პოლიტიკური ოპორტუნიზმის აქტია და არ გულისხმობს, რომ კონსერვატიული ნაციონალიზმი დაუნდობლად აგრესიულია ან არსებითად მილიტარისტული. ამას მივყავართ კრიტიკამდე, რომ კონსერვატიული ნაციონალიზმი ეს არის მმართველი კლასის იდეოლოგიის ელიტარული მანიპულაციის ფორმა. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, „ერი“ შეიქმნა და განისაზღვრა პოლიტიკური ლიდერებისა და მმართველი ელიტის მიერ. უხეშად რომ ვთქვათ, გაჭირვებისას ყველა მთავრობა თამაშობს „ნაციონალიზმის ბარათით“. უფრო სერიოზული კრიტიკა კონსერვატიული ნაციონალიზმისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ხელს უწყობს შეუწყნარებლობასა და ფანატიზმს. ჩაკეტილი ნაციონალიზმი მოიცავს ერის ვიწრო კულტურულ კონცეფციას: რწმენა იმისა, რომ ერი არის

პატრიოტიზმი

(ლათ. Patria, „სამშობლო“) არის გრძნობა, ფსიქოლოგიური კავშირი (მიკუთვნებულობა) ერისადმი (ქვეყნის სიყვარული). ტერმინები ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი ხშირად ერთმანეთში ერევათ. ნაციონალიზმს დოქტრინული ხასიათი აქვს და მოიცავს რწმენას, რომ ერი ეს არის პოლიტიკური ორგანიზაცია. პატრიოტიზმი კი არის ამ რწმენის ემოციური მხარე. პატრიოტიზმი გვხვდება ყველა სახის ნაციონალიზმში; მაგალითად, ძნელია იღწვოდე პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის პატრიოტული სულისკვეთებისა და ეროვნული ცნობიერების გარეშე. თუმცა, ყველა პატრიოტი ნაციონალისტი არაა: ერის სიყვარული შეიძლება პოლიტიკურ საკითხებს საერთოდ არ მოიცავდეს.

ექსკლუზიური ეთნიკური ერთობლიობა, თითქმის ისეთივე, როგორიც *გაფართოებული* ოჯახი. ამიტომ, ძალზე მკვეთრად არის გამიჯნული ვინ არის ერის წევრი და ვინ არის ერისთვის უცხო. კულტურული სიწმინდის მტკიცებით და ტრადიციების ჩამოყალიბებით, კონსერვატორებმა შეიძლება წარმოსახონ ემიგრანტები, ან უცხოელები ზოგადად, როგორც მუქარა, საფრთხე, და ხელი შეუწყონ, ან რასობრივი დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის ლეგიტიმაცია მოახდინონ.

ექსპანსიური ნაციონალიზმი

ნაციონალიზმის მესამე ფორმას აგრესიული, მილიტარისტული და ექსპანსიური (მტაცებლური) ხასიათი აქვს. ხშირ შემთხვევაში, ნაციონალიზმის ეს ფორმა წარმოადგენს თანაბარი უფლებებისა და თვითგამორკვევის ანტითეზისს, რაც ლიბერალური ნაციონალიზმის ბირთვია. ნაციონალიზმის ეს აგრესიული სახე პირველად მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გამოჩნდა, როდესაც ევროპული ძალები ჩაბმული იყვნენ „აფრიკისთვის ბრძოლაში“ ეროვნული დიდებისა და „მზის ქვეშ ადგილის“ დამკვიდრებისთვის. მე-19 საუკუნის ევროპული იმპერიალიზმი განსხვავდება ადრეული პერიოდის კოლონისტური ექსპანსიონიზმსგან იმით, რომ იგი დამუხტული იყო სახალხო ნაციონალიზმით, სადაც ეროვნული პრესტიჟი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა იმპერიის ფლობის სურვილს, და თითოეულ კოლონიალურ გამარჯვებას ხვდებოდნენ სახალხო ენთუზიაზმის დემონსტრაციით, იგივე **ჯინგოიზმით**. დიდი შუალედის მიუხედავად, ორივე მსოფლიო ომი მე-20 საუკუნეში გამოწვეული იყო ნაციონალიზმის ექსპანსიური ფორმით. როდესაც პირველი მსოფლიო ომი დაიწყო 1914 წლის აგვისტოში, გაჩაღდა ხანგრძლივი შეჯიბრი სახელმწიფოებს შორის, იმის დასამტკიცებლად, ვის უფრო ძლიერი არმია ჰყავდა, ასევე მუდმივი საერთაშორისო კრიზისები. დაპყრობის შანსმა და სამხედრო დიდებამ პროვოცირება მოახდინა სპონტანურ სახალხო ზეიმებზე ევროპის ყველა მთავარ დედაქალაქებში. მეორე მსოფლიო ომი მნიშვნელოვანწილად ნაციონალიზმით შთაგონებული პროგრამების იმპერიული ექსპანსიის შედეგი იყო, რაც მოიწონა იაპონიამ, იტალიამ და გერმანიამ. ამ ფორმის ნაციონალიზმის ყველაზე დამანგრეველი მაგალითი თანამედროვე ევროპაში იყო ბოსნიელი სერბების წადილი აეშენებინათ „დიდი სერბეთი“.

ჯინგოიზმი: სახალხო ენთუზიაზმისა და ზეიმის განწყობა, გამოწვეული სამხედრო ექსპანსიით ან იმპერიული გამარჯვებით.

თავისი ექსტრემალური ფორმით, ასეთი ნაციონალიზმის აღმოცენების მიზეზია ინტენსიური, ისტერიული ნაციონალისტური ენთუზიაზმის გრძნობა, რომელიც ხანდახან მოიხსენიება როგორც ინტეგრალური ნაციონალიზმი. ტერმინი ინტეგრალური ნაციონალიზმი ეკუთვნის ფრანგ ნაციონალისტ შარლ მორასს (Charles Maurras, 1868-1952), რომელიც Action Française-ის მარჯვენა ფრთის ლიდერი იყო. მორასის პოლიტიკის მთავარი იდეა ერის დომინირების მნიშვნელობას ეხებოდა: ერი ყველაფერია, ხოლო ინდივიდი – არაფერი. ამიტომ, ერის არსებობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინდივიდის სიცოცხლე, ხოლო ინდივიდის არსებობას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ კი იგი ეძღვნება ერის ერთიანობასა და გადარჩენას. ასეთ ფანატიკურ პატრიოტიზმს განსაკუთრებით ძლიერი გამოძახილი მოჰყვა იზოლირებულებსა და უუფლებოებს შორის, ვისთვისაც ნაციონალიზმი გახდა საკუთარი თავის პატივისცემისა და სიამაყის წყარო. თუმცა, ინტეგრალური ნაციონალიზმი ანგრევს მანამდე აგებულ ხიდს ნაციონალიზმსა და დემოკრატიას შორის. „ინტეგრალური“ ერი არის ექსკლუზიურად ეთნიკური ერთობლიობა, რომელიც გაერთიანებულია მრავალსაუკუნოვანი ერთობით და არა ნებაყოფლობითი პოლიტიკური ერთგულებით. ეროვნული ერთობა არ მოითხოვს თავისუფალ დებატებსა და ღია, კონკურენტულ ბრძოლას ძალაუფლებისთვის; ის მოითხოვს დისციპლინას და ერთი, უმაღლესი ლიდერისადმი მორჩილებას. ამან უბიძგა მორასს დემოკრატია სისუს-

რასიალიზმი, რასიზმი

ტერმინები რასიზმი და რასიალიზმი ერთი და იგივე მნიშვნელობით გამოიყენება. თუმცა, დღეს რასიზმს უფრო ხშირად ხმარობენ. რასიალიზმი მოიცავს ნებისმიერ პოლიტიკურ თუ სოციალურ იდეას იმის შესახებ, რომ კაცობრიობა ბიოლოგიურად დაყოფილია რასებად. რასიალისტური თეორიები ეფუძნება ორ მოსაზრებას. პირველი, ეს არის გენეტიკური განსხვავებების მიხედვით კაცობრიობის რასობრივი განსჯა (რასა გულისხმობს სახეობას). მეორე, უფრო ფუნდამენტალური გენეტიკური განსხვავებების საფუძველზე კაცობრიობის დაყოფა კულტურული, ინტელექტუალური და მორალური ნიშნით. პოლიტიკური კუთხით, რასიალიზმი გულისხმობს რასობრივ სეგრეგაციას (აპერტეიდს), ასევე დოქტრინებს „სისხლის“ უპირატესობებსა და ხარისხზე (მაგალითად, არიელები და ანტისემიტები). რასიზმი შეიძლება გამოყენებულ იქნას უფრო ვიწრო მნიშვნელობით და გულისხმობდეს წინასწარ შეხედულებას ან სიძულვილს ადამიანთა მიმართ მათი რასობრივი წარმომავლობის გამო.

ტისა და კორუფციის წყაროდ წარმოეჩინა და მოეწოდებინა მონარქიული აბსოლუტიზმის აღდგენისკენ.

ნაციონალიზმის ეს ინტენსიური და მებრძოლი ფორმა გვახსენებს შოვინისტურ რწმენებსა და დოქტრინებს. ფრანგი ჯარისკაცი ნიკოლას შოვინი (Nicolas Chauvin) ცნობილია თავისი ფანატიკური თავდადებით ნაპოლეონისადმი. შოვინიზმი გულისხმობს ირაციონალურ რწმენას ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის დომინანტურობაში. ეროვნული შოვინიზმი უარყოფს იდეას, რომ ყველა ერი თანაბარია. შოვინიზმის მიხედვით, ერებს აქვთ განსაკუთრებული მახასიათებლები და ღირსებები, ასევე გააჩნიათ ერთმანეთისგან განსხვავებული ბედი. ზოგიერთი ერის ბედი შესაძლოა სხვა ერების მართვა იყოს; ხოლო ზოგისა პირიქით – სხვების მიერ იმართებოდეს. როგორც წესი, ნაციონალიზმის ამ ფორმას ახასიათებს დოქტრინები რასობრივი და ეთნიკური უპირატესობების შესახებ. ამ შემთხვევაში ხდება ნაციონალიზმისა და რასიზმის ერთმანეთთან შერწყმა. შოვინისტი საკუთარ ერს უნიკალურად და განსაკუთრებულად, „რჩეულ ხალხად“ განიხილავს. ადრეული გერმანელი ნაციონალისტებისთვის, როგორებიც არიან ფიხტე (Fichte) და ჯანი (Jahn), მხოლოდ გერმანელები იყვნენ ნამდვილი *Volk* (ორგანული ხალხი). მხოლოდ მათ გააჩნდათ წმინდა სისხლი და მხოლოდ მათ შეძლეს შეენარჩუნებინათ ენის სიწმინდე. მორასისთვის საფრანგეთი იყო შეუდარებელი სასწაული, ყველა ქრისტიანული და კლასიკური ღირსების საცავი.

ამ ტიპის ნაციონალიზმში არანაკლებ მნიშვლეოვანია ის ფაქტი, რომ სხვა ერი თუ რასა წარმოჩენილია როგორც მუქარა და მტერი. მტრის პირისპირ, ერი ერთ მუშტად იკვრება და ღვივდება საკუთარი მნიშვნელობისა და იდენტობის გრძნობა, რითიც ერთგვარი „ნეგატიური ინტეგრაცია“ მიიღწევა. ამიტომ, შოვინისტური ნაციონალიზმი მკვეთრად მიჯნავს „ჩვენსა“ და „ისინის“. უნდა არსებობდნენ „ისინი“, რათა გვძულდეს და დავცინოთ და ამით განვიმტკიცოთ „ჩვენ“ გრძნობა. სამყაროც ამის მიხედვით იყოფა, როგორც წესი რასობრივ კატეგორიებად – „ჯგუფში“ და „ჯგუფს გარეთ“. „ჯგუფს გარეთ“ დაბალი ღობეა – „ჯგუფში“ შემავალთა ყველა წარუმატებლობისა და ფრუსტრაციის მიზეზი. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ის მომაკვდინებელი ანტი-სემიტიზმი, რაც საფუძვლად ჩაეყარა გერმანულ ნაციზმს. ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“ (“Mein Kampf“, [1925] 1969) წარმოგვიჩენს ისტორიას, როგორც მანიქეისტურ ბრძოლას არიელებსა და ებრაელებს შორის, ნათელსა და ბნელს, კეთილსა და ბოროტს შორის პარალელის გავლებით.

ექსპანსიური ნაციონალიზმის მუდმივი იდეა მდგომარეობს ეროვნულ აღორძინებასა ან აღდგენაში. როგორც წესი, ნაციონალიზმის ეს ფორმა ძირითადად მოიცავს მითებს წარსულ ეროვნულ დიდებაზე. მუსოლინი და იტალიელი ფაშისტები იხსენებდნენ რომის იმპერიას.

გერმანელმა ნაცისტებმა თავის რეჟიმს „მესამე რეიხი“ სწორად ბისმარკის „მეორე რეიხისა“ და კარლოს დიდის (Charlemagne) წმინდა რომაული იმპერიის – „პირველი რეიხის“ კვალობაზე უწოდეს. ასეთი მითები ექსპანსიონისტურ ნაციონალიზმს რეტროსპექტულ ხასიათს სძენს. თუმცა, ისინი ერის სამომავლო ბედსაც განიხილავენ, რითიც მომავალში იყურებიან. თუ ნაციონალიზმი სიდიადისა და ეროვნული დიდების დაბრუნების იარაღია, მას აუცილებლად აქვს მილიტარისტული და მტაცებლური ხასიათი. მოკლედ რომ ვთქვათ, ომი არის ერის გამოსაცდელი მოედანი. ინტეგრალური ნაციონალიზმის ბირთვში ხშირად იმპერიული პროექტი დევს: მისწრაფება მტაცებლობისკენ ან კოლონიების ძებნა. ეს ჩანს პან-ნაციონალიზმის ფორმებში. თუმცა, ნაცისტური გერმანია აქაც საუკეთესო მაგალითია. ჰიტლერის ნაშრომები მოიცავდა ექპსანსიის სამ საფეხურიან პროგრამას. პირველ რიგში, ნაცისტებს უნდა ჩამოეყალიბებინათ „დიდი გერმანია“ ეთნიკური გერმანელებით ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში გაფართოებული რეიხის ფარგლებში. მეორე – ისინი შეეცდებოდნენ Lebensraum (საცხოვრებელი ადგილის) მოპოვებას რუსეთში, გერმანული იმპერიის ჩამოყალიბებით. მესამე – ჰიტლერი ოცნებობდა არიული რასის საბოლოო გაბატონებაზე მსოფლიო მასშტაბით.

ანტიკოლონიალური ნაციონალიზმი

განვითარებად ქვეყნებში ნაციონალიზმის მრავალი ფორმა წარმოიშვა. მათი უმრავლესობის შთაგონების წყარო იყო ბრძოლა კოლონიალური მმართველობის წინააღმდეგ. ირონიას იწვევს ის, რომ ნაციონალიზმის ამ ფორმაში გამოყენებულია ის დოქტრინები და პრინციპები, რაც თავდაპირველად ჩამოყალიბდა ევროპაში „ერის მშენებლობის“ პროცესში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოლონიალიზმი მოიცავს ნაციონალიზმის გარდაქმნას გლობალური მნიშვნელობის პოლიტიკურ კრედოდ. ამის დახმარებით, აფრიკასა და აზიაში გაღვივდა ეროვნულობის გრძნობა და „ეროვნული თავისუფლების“ სურვილი. მე-20 საუკუნის განმავლობაში, მსოფლიო პოლიტიკური გეოგრაფია უმეტესწილად შეიცვალა სწორად ანტიკოლონიალიზმის გამო. დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის მოძრაობები, რომლებიც ომებს შორის პერიოდში დაიწყო, ახალი ძალით ამოქმედდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. უდიდეს ფართობებზე გადაჭიმული ბრიტანეთის, საფრანგეთის, ნიდერლანდებისა და პორტუგალიის იმპერიები აღზევებული ნაციონალიზმის პირისპირ დანამცეცდნენ.

ინდოეთს მეორე მსოფლიო ომის დროს დაპირებული დამოუკიდებლობა, მართლაც უბოძეს 1947 წელს. ჩინეთმა ნამდვილი ერთობა და დამოუკიდებლობა მხოლოდ 1949 წლის კომუნისტური რევოლუციის შემდეგ მოიპოვა, მანამდე კი 8 წლის მანძლზე იბრძოდა ოკუპანტ

ანტისემიტიზმი

სემიტები როგორც წესი სემის, ნოეს შვილის შთამომავლები არიან. იგულისხმება შუა აღმოსავლეთის თითქმის ყველა ხალხი. ანტი-სემიტიზმი არის ცრურწმენა ან სიძულვილი ებრაელების მიმართ. თავის ადრეულ სისტემატურ ფორმაში, ანტისემიტიზმს ჰქონდა რელიგიური ხასიათი და მოიცავდა ებრაელების სიძულვილს ქრისტიანების მიერ. ეს გამოწვეული იყო ქრისტეს სიკვდილში ებრაელების მონაწილეობითა და მის ღმერთის შვილად არაღიარებით. ეკონომიკური ანტისემიტიზმი განვითარდა შუა საუკუნეებში. ამ პერიოდში ებრაელების მიმართ სიძულვილის გამომწვევი მიზეზი იყო ის, რომ მათ შეეძლოთ ვაჭრობა და ფულის სესხება. ამის გამო ებრაელები გამოაძევეს ხელოსანთა გილდიებიდან და აუკრძალეს მიწის ფლობა. მე-19 საუკუნეში გამოჩნდა რასისტული ანტისემიტიზმი ვაგნერისა (Wagner) და ჩამბერლეინის (H. S. Chamberlain) ნაშრომებში, სადაც ებრაელები ოდითგანვე ბოროტ და დისტრუქციულ ხალხად ასახეს. ამ იდეებმა იდეოლოგიური საფუძველი ჩაუყარა გერმანულ ნაციზმს, რამაც ყველაზე გროტესკული გამოხატულება ჰპოვა ჰოლოკოსტში.

პან-ნაციონალიზმი: ნაციონალიზმის სტილი, რომელიც გულისხმობს განსხვავებული ხალხის ექსპანსიონიზმით გაერთიანებას ან პოლიტიკურ სოლიდარობას ('პან' ნიშნავს 'ყველას' ან 'თითოეულს').

იაპონიასთან. ინდონეზია რესპუბლიკად გამოცხადდა 1949 წელს ნიდერლანდებთან სამწლიანი ომის შემდეგ. სამხედრო აღზევებამ იძულებული გახადა საფრანგეთი დაეტოვებინა ვიეტნამი 1954 წელს. თუმცა, ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამის გაერთიანება მოხდა მხოლოდ 1975 წელს, შეერთებული შტატების წინააღმდეგ 14-წლიანი ომის შემდეგ. ნაციონალისტურმა ბრძოლებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში საფუძველი ჩაუყარა თავისუფლებისთვის მოძრაობებს აფრიკაშიც. ასეთი მოძრაობის ლიდერი განაში ნკრუმა (Nkrumah), ნიგერიაში დოქტორ აზიკივე (Dr Azikiwe), ტანგანიკაში (შემდგომ ტანზანიაში) იულიუს ნიერერე (Julius Nyerere), ნიასალენდში (შემდგომში მალავი) – ჰასტინგ ბანდა (Hastings Banda) იყვნენ. აფრიკის დეკოლონიზაცია 1950-იანი წლების ბოლოს იწყება. ნიგერიამ დამოუკიდებლობა დიდი ბრიტანეთისგან 1962 წელს მიიღო. კენია დამოუკიდებელი 1963 წელს გახდა, ხოლო ტანზანია და მალავი – 1964 წელს. აფრიკის უკანასკნელი კოლონია, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა, საბოლოოდ დამოუკიდებელი ნამიბია 1990 წელს გახდა.

ანტიკოლონისტური ნაციონალიზმის ადრეული ფორმები მნიშვნელოვნად წააგავდა „კლასიკურ" ევროპულ ნაციონალიზმს, სადაც დომინირებდა ერის თვითგამორკვევის იდეა. თუმცა, ახლად წარმოქმნილმა აფრიკულმა და აზიურმა ერებმა მე-19 საუკუნის ევროპული იდეოლოგიისგან განსხვავეული პოზიცია დაიჭირეს. აფრიკული და აზიური ერებისთვის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის წადილი გადაიზარდა სოციალური განვითარების სურვილში და დამთავრდა მათი სუბორდინაციით ინდუსტრილიზირებული ევროპული სახელმწიფოებისა და შეერთებული შტატების მიმართ. აქედან გამომდინარე, „ეროვნული თავისუფლების" მიზანს აქვს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური განზომილებები. ამით აიხსნება, თუ რატომ ისწრაფოდნენ ანტიკოლონიალური მოძრაობები უფრო სოციალიზმისკენ, ვიდრე ლიბერალიზმისკენ, კონკრეტულად კი, მარქსისტულ-ლენინიზმისკენ. ერთი შეხედვით, თითქოს ნაციონალიზმი და სოციალიზმი ერთმანეთისთვის შეუთავსებელი პოლიტიკური კრედოებია. სოციალისტები, როგორც წესი, ინტერნაციონალიზმს ქადაგებენ, რადგან ისინი კაცობრიობას ერთ მთლიან ერთეულად განიხილავენ და ეწინააღმდეგებიან ადამიანების ერებად დაყოფას. მარქსისტების აზრით, კლასობრივი სოლიდარობით გამოწვეული კავშირები უფრო ძლიერი და გამაერთიანებელია, ვიდრე ეროვნულობით. როგორც მარქსმა განაცხადა „კომუნისტურ მანიფესტში" (Communist Manifesto, [1848] 1967:102): „მუშა ხალხს არ აქვს ქვეყანა".

სოციალიზმის მიმზიდველობა განვითარებად ქვეყნებში ეფუძნება ფაქტს, რომ ერთიანობისა და თანამშრომლობის ღირებულებები, რომელსაც სოციალიზმი ქადაგებს, ემყარება ტრადიციულ და პრეინდუსტრიულ კულტურებს. ამ შემთხვევაში, ნაციონალიზმიც და სოციალიზმიც ხაზს უსვამს საზოგადოებრივ სოლიდარობას და კოლექტიურ ქმედებებს. ნაციონალიზმი შესაძლოა სოციალიზმის სუსტ ფორმად მივიჩნიოთ. ნაციონალიზმი სოციალურ პრინციპებს არგებს ერს, ხოლო სოციალიზმი განავრცობს ამ პრინციპებს მთელს კაცობრიობაზე. უფრო კონკრეტულად, სოციალიზმი, განსაკუთრებით კი მარქსიზმი, აანალიზებს უთანასწორობასა და ექსპლუატაციას, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია ჩავწვდეთ კოლონიურ გამოცდილებას და კოლონიური მმართველობის გამომწვევ მიზეზს. როგორც ზეწოლის ქვეშ მყოფი, ექსპლუატირებული პროლეტარიატი მიიჩნევდა, რომ თავისუფლებას მხოლოდ კაპიტალიზმს რევოლუციის გზით დამხობით მიაღწევდა, მესამე მსოფლიოს ნაციონალისტებიც „შეიარაღებულ წინააღმდეგობას" პოლიტიკური და ეკონომიკური ემანსიპაციის საშუალებად განიხილავდნენ და, ამგვარად, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და სოციალური რევოლუციის მიზნებს აერთიანებდნენ. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, ვიეტნამი და კამბოჯა, ანტიკოლონიალური მოძ-

კოლონიალიზმი

კოლონიალიზმი სხვის ტერიტორიაზე კონტროლის დაწესების და ამ ტერიტორიის „კოლონიად“ გადაქცევის თეორია ან პრაქტიკა. კოლონიალიზმი იმპერიალიზმის კონრკეტული ფორმაა. ის, როგორც წესი, მოიაზრებს კოლონიასა და ეკონომიკურ დომინანტობას. როგორც აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დავინახეთ, კოლონიალური მთავრობები დამპყრობელი, „დედა ქვეყნის“ წარმომადგენლებისგან შედგებოდა, რომლებიც ეთნიკურად განსხვავდებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობისგან. ფრანგულ კოლონიალიზმში კოლონიები დედა-ქვეყნის ნაწილებად მოიაზრებოდნენ, ანუ კოლონიზირებულ ხალხებს ჰქონდათ ოფიციალური უფლებები და მოქალაქეობა. ამისგან განსხვავებით, ნეოკოლონიალიზმი უშუალოდ ეკონომიკური ფენომენია და ეფუძნება კაპიტალის ექსპორტს მოწინავე ქვეყნიდან უფრო განვითარებად ქვეყანაში. ამის მაგალითია შეერთებული შტატების ე.წ. „დოლარის იმპერიალიზმი“ ლათინურ ამერიკაში.

რაობები ღიად ემხრობოდა მარქსიზმ-ლენინიზმს. ძალაუფლებაში მოსვლისთანავე, მათ შეამცირეს უცხოური აქტივები და მოახდინეს ეკონომიკური რესურსების ნაციონალიზება, რითიც შექმნეს საბჭოთა სტილის დაგეგმილი ეკონომიკა. აფრიკაში და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ნაციონალისტური სოციალიზმის ნაკლებად იდეოლოგიური ფორმა განვითარდა, როგორიც იყო, მაგალითად, ალჟირში, ლიბიაში, ზამბიაში, ერაყში, სამხრეთ იემენში და სხვაგან. ამ ქვეყნებში გამოცხადებულ „სოციალიზმს“ ჩვეულებრივ, ეროვნული ინტერესების გაერთიანების მნიშვნელობა აქვს, რასაც ცხადყოფს ძლევამოსილი „ქარიზმატული“ლიდერი.

მიუხედავად ამისა, რომ ნაციონალისტები განვითარებად მსოფლიოში ყოველთვის სოციალიზმის ან მარქსიზმისაგან დასავლეთში ნასესხები ენით არ გამოხატავდნენ ნაციონალიზმს. განსაკუთრებით 1970-იანი წლებიდან, მარქსიზმ-ლენინიზმი ხშირად ჩაანაცვლეს რელიგიური ფუნდამენტალიზმის ფორმებით, განსაკუთრებით კი ისლამური ფუნდამენტალიზმით. ამან განვითარებად სამყაროს განსაკუთრებულად არადასავლური, მეტიც, ანტიდასავლური ხასიათი მისცა. თეორიულად მაინც, ისლამი ცდილობს ხელი შეუწყოს ტრანსეროვნულ პოლიტიკურ იდენტობას, რომელიც აერთიანებს ყველას, ვინც აღიარებს „ისლამის გზას“ და წინასწარმეტყველი მუჰამედის სწავლებას „ისლამური ერის“ შესახებ. მიუხედავად ამისა, 1979 წლის ირანის რევოლუცია, რომელმაც აიათოლა ხომეინი (Ayatollah Khomeini, 1900-1989) მოიყვანა ხელისუფლებაში, ისლამური ფუნდამენტალიზმის, როგორც ეროვნული და სულიერი განახლების კრედოს პოტენციის დემონსტრაცია იყო. „ისლამური რესპუბლიკის“ შექმნამ გაათავისუფლა ირანი ზოგადად დასავლური მატერიალიზმის გავლენისგან და, კერძოდ, „დიდი სატანისგან“ (აშშ). ირანმა დაიბრუნა ტრადიციული ღირებულებები და *შარიაში (Shari'a)* წარმოდგენილი პრინციპები, ანუ ღვთაებრივი ისლამური კანონი. უდავოა, ისლამურ ნაციონალიზმს გამაერთიანებელი ხასიათი აქვს. მაგალითად, სუდანსა და პაკისტანში ისლამიფიკაცია არსებითად სახელმწიფო მართვის ინსტრუმენტად გამოიყენეს, რომ მმართველი ელიტის ძალაუფლება განმტკიცებულიყო. მიუხედავად ამისა, ეგვიპტესა და ალჟირში რევოლუციური ისლამური მოძრაობები ქალაქის ღარიბთა სახელით მორალური განახლებისა და პოლიტიკული წმენდის მოთხოვნა იყო.

ენდრიუ ჰეივუდი

სუბნაციონალური პოლიტიკა *

„ყველა პოლიტიკა ადგილობრივია“
შეერთებული შტატების თეთრი სახლის წარმომადგენლობის ყოფილი სპიკერის – **ტომას ო'ნილ უმცროსის** საყვარელი გამოთქმა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით, ერი-სახელმწიფოები ცალკეული ერთეულები არიან, თითოეული მათგანი მოიცავს ძალაუფლების სხვადასხვა საფეხურზე არსებულ რიგ შიდამმართველობით სტრუქტურებს. როგორც წესი, არსებობს ცენტრალური და ტერიტორიული დანაყოფები, რაც გულისხმობს როგორც ეროვნულ (ცენტრალურ), ისე მრავალ რეგიონულ, შტატისა და ადგილობრივ მთავრობას. ეს მთავრობები გამიჯნულია კონსტიტუციური სტრუქტურით და წარმოადგენს ერთიანი ხელისუფლების სისტემებს. თითოეული სისტემა მოიცავს ხელისუფლების კონკრეტულ ტერიტორიულ ნაწილს, სტრუქტურას, რითაც ცენტრსა და პერიფერიას შორის მყარდება კავშირი. ყველა თანამედროვე სახელმწიფო ასევე განიცდის სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო ზეწოლას. ერთის მხრივ, ეკონომიკურმა, საერთაშორისო და სხვა ფაქტორებმა გამოიწვია ერთგვარი შეურიგებლობა ცენტრალიზაციის მიმართ. მეორე მხრივ, განსაკუთრებით, მეოცე საუკუნის ბოლოს, ცენტრიდანულმა ტენდენციებმა გააძლიერა ეთნიკური, რეგიონალური და საზოგადოებრივი პოლიტიკა.

ცენტრალიზაცია თუ დეცენტრალიზაცია?

ყველა თანამედროვე სახელმწიფო დაყოფილია ტერიტორიებად – ცენტრალურ და პერიფერიულ (რეგიონულ, პროვინციულ ან ადგილობრივ) ერთეულებად. განსხვავებულია მათი მართვის ბუნება. ეს განსხვავებები მოიცავს კონსტიტუციურ სტრუქტურას, რის მიხედვითაც მყარდება კავშირი ცენტრსა და პერიფერიას შორის და ხდება ფუნქციებისა და ვალდებულებების გადანაწილება მთავრობის სხვადასხვა საფეხურს შორის.

ცენტრალური მთავრობის გარეშე, სახელმწიფოს, უბრალოდ, არ შეეძლება ფუნქციონირება საერთაშორისო ან მსოფლიო ასპარეზზე. მას არ ექნება სტრატეგიულ ალიანსებში გაერთიანების მექანიზმები, სავაჭრო მოლაპარაკებების წარმოების, საერთაშორისო სამიტებზე წარმომადგენლების წარდგენის ან უზენაესი ეროვნული ორგანოების წევრობის საშუალება. ცენტრალური მთავრობა უდაოდ პასუხისმგებელია სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობებზე – უცხოელების კონტროლი, დიპლომატიური და თავდაცვითი პოლიტიკა. ამას გარდა, ცენტრალური მთავრობის ზოგიერთი სტრუქტურა ასრულებს შუამავლის როლს პერიფერიულ ორგანოებს შორის, აკონტროლებს, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ თუ არა რეგიონული სამმართველოები. უმეტესწილად, ეს ნიშნავს იმას, რომ ცენტრალური მთავრობა საკუთარ თავზე იღებს, ზოგადად, სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრების კონტროლს, მართავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა შიდა ვაჭრობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები. უნდა ითქვას, რომ ბევრი მიზეზი არსებობს იმისთვის, რომ მომავალშიც გაძლიერდეს ცენტრალური მთავრობა პერიფერიული ინსტიტუტების ხარჯზე.

ცენტრალიზაცია გულისხმობს:

---

* წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს მერვე თავის თარგმანს წიგნისა: პოლიტიკა, მეორე გამოცემა, 2002.

- **ეროვნულ ერთობას:** ცენტრალური მთავრობა განსაზღვრავს მთელი სახელმწიფოს და არა მისი ცალკეული ერთეულების ინტერესებს: ეს არის ერის ინტერესები და არა ეთნიკურ, რეგიონული ან სხვა ჯგუფების. ძლიერი ცენტრი უზრუნველყოფს, რომ მთავრობა გამოხატავდეს მთელი საზოგადოების ინტერესებს; სუსტი ცენტრი კი დისჰარმონიას და მეტოქეობას უწყობს ხელს.

- **შეთანხმებულობას**: ცენტრალურ მთავრობას შეუძლია დაამტკიცოს საყოველთაო კანონები და საზოგადოებრივი სერვისები. ეს ეხმარება ადამიანებს ადვილად შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი ქვეყნის მასშტაბით. გეოგრაფიული მობილობა შეიზღუდება თუკი გადასახადები, ასევე სამართლებრივი, საგანმანათლებლო და სოციალური უსაფრთხოების სისტემები განსხვავებული იქნება ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

- **თანასწორობას:** დეცენტრალიზაციის ნაკლი იმაშია, რომ აიძულებს პერიფერიულ ინსტიტუტებს დამოკიდებულნი იყვნენ ადგილობრივად ან რეგიონულად ხელმისაწვდომ რესურსებზე. მხოლოდ ცენტრალურ მთავრობას შეუძლია, არეგულიროს და გადაანაწილოს რესურსები. როგორც წესი, ქვეყნის ისეთ ნაწილებში, სადაც უფრო მეტი სოციალური მოთხოვნილებები არსებობს, შემოსავლების გაზრდის ნაკლები პოტენციალია.

- **კეთილდღეობას:** ეკონომიკური განვითარება უცვლელად უკავშირდება ცენტრალიზაციას. მხოლოდ ცენტრალურ მთავრობას შეუძლია გამოუშვას ერთიანი ვალუტა, აკონტროლოს გადასახადები და ხარჯები, ეკონომიკური ზრდის წინასწარი პროგნოზით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ინფრასტრუქტურა – გზები, რკინიგზა, აეროპორტები და ა.შ.

ცენტრალიზაცია: პოლიტიკური ძალის კონცენტრაცია ან მთავრობის უფლებამოსილება ეროვნულ საფეხურზე.

ცენტრალიზაციის მასშტაბი შეზღუდულია. რეალურად, დღევანდელი სახელმწიფოები შედგება ათეული, ასეული მილიონი მოქალაქისგან, რომელთა მართვა მხოლოდ ცენტრიდან უბრალოდ აბსურდულია. მაგალითად, თანამედროვე მთავრობის ყველა სერვისისა და ფუნქციის ცენტრიდან მართვის შემთხვევაში შედეგად მივიღებდით დამთრგუნველ არაეფექტურობასა და ბიუროკრატიულ ქაოსს, ანუ როგორც ეკონომისტები იტყვიან, „დისეკონომიის მთელ გამას“. ზოგადად, პერიფერიულ ინსტიტუტებს „შიდა“ პასუხისმგებლობები გადაეცემათ, ანუ კონკრეტულად ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე: მაგალითად, განათლება, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა. ხშირია ცენტრიდან პერიფერიულ ორგანოებზე სხვა პასუხისმგებლობების გადამისამართებაც, ასევე გარკვეულ საკითხებზე გადაწვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლების მინიჭება.

დეცენტრალიზაცია გულისხმობს:

- **მონაწილეობას:** ადგილობრივი ან რეგიონული მთავრობა უფრო ეფექტურია ვიდრე ცენტრალური მთავრობა. მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ მათი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკური მონაწილეობის ფარგლების გაფართოების კიდევ ერთი უპირატესობაა უფრო განათლებული და ინფორმირებული მოქალაქეების არსებობა.

- **რეაგირებას:** პერიფერიული ინსტიტუტები, როგორც წესი უფრო „ახლოს“ არიან ხალხთან და მეტი გულისყურით ეკიდებიან მათ პრობლემებს. ეს აძლიერებს დემოკ-

რატიულ ანგარიშვალდებულებას. მთავრობა არა მხოლოდ მოსახლეობის ზოგადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, არამედ კონკრეტული საზოგადოების სპეციფიკურ მოთხოვნებსაც ითვალისწინებს.

- **ლეგიტიმურობას:** მთავრობასთან ფიზიკური დისტანცია მოქმედებს იმაზე, თუ რამდენად მისაღები იქნება მისი გადაწყვეტილებები მოსახლეობისთვის. „ადგილობრივად" მიღებულ გადაწყვეტილებებს საზოგადოება უფრო ეთანმხება, რაც მის ლეგიტიმურობას განაპირობებს. ცენტრალური მთავრობა შესაძლოა შორს იყოს როგორც პოლიტიკურად, ისე გეოგრაფიულად.

- **თავისუფლებას:** რაც უფრო კორუმპირებულია მთავრობა, მით უფრო მეტი საფრთხეა იმისა, რომ ცენტრალიზაცია ტირანული მმართველობის ფორმად იქცეს. დეცენტრალიზაცია იცავს თავისუფლებას მთავრობის ძალის დანაწევრებით, ქმნის შემოწმებებისა და ბალანსის სისტემას. პერიფერიული ორგანოები ამოწმებენ როგორც ცენტრალურ მთავრობას, ისე ერთმანეთს.

ურთიერთობები ცენტრსა და პერიფერიებს შორის

სახელმწიფოს შიგნით ბალანსი ცენტრალიზაციასა და დეცენტრალიზაციას შორის მთელი რიგი ისტორიული, კულტურული, გეოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების მეშვეობით ყალიბდება. აქედან ყველაზე ცნობილი, სახელმწიფოს კონსტიტუციური სტრუქტურა, უფრო კონკრეტულად კი, სუვერენიტეტია პოლიტიკურ სისტემაში. მიუხედავად იმისა, რომ იგი სხვა ფაქტორებითაა მოდიფიცირებული, კონსტიტუციული სტრუქტურა მოიცავს სულ მცირე ისეთ სისტემას, რომლის ფარგლებში მყარდება ურთიერთობები ცენტრსა და პერიფერიებს შორის. თანამედროვე სამყაროში ტერიტორიული ორგანიზაციის ორი უმთავრესი ფორმაა ფედერალური და ერთიანი სისტემები. მესამე ფორმას, კონფედერაციას, ზოგადად, არამდგრადობის ტენდენცია აქვს. **კონფედერაციები** ყალიბდება პოლიტიკური ერთიანობის მხოლოდ ყველაზე არამდგრადი და დეცენტრალიზებული ტიპისგან, რაც პერიფერიულ ორგანოებს სუვერენიტეტულ უფლებას ანიჭებს. ამის გამო, გასაკვირი არაა, რომ ასეთ პრინციპებს იცავენ ისეთი ანარქისტები, როგორიცაა, მაგალითად, პიერ-ჟოზეფ პრუდონი. კონფედერაციული პრინციპი ყველაზე მეტად მიესადაგება ინტერმთავრობას, მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციებს: ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), აფრიკის გაერთიანების ორგანიზაცია, ერების თანამეგობრობა. კონფედერაციები იშვიათად გვხვდება ერი-სახელმწიფოს დონეზე. ამერიკის შეერთებული შტატები თავიდან სწორედ კონფედერაცია იყო: ჯერ როგორც კონტინენტური კონგრესების ფორმა (1774-81), ხოლო შემდეგ როგორც კონფედერაციის სტატუტები (1781-89). კონფედერაციული სახელმწიფოს თანამედროვეობის ყველაზე კარგი მაგალითია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), რომელმაც 1991 წელს ფორმალურად ჩაანაცვლა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. დსთ-ში ყოფილი საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკიდან 11 რესპუბლიკა გაერთიანდა (მხოლოდ საქართველომ და ბალტიისპირეთის სამმა სახელმწიფომ განაცხადა უარი). მიუხედავად ამისა, დსთ-ს არასაკმარისი აღმასრულებელი უფლებამოსილება აქვს. ამის გამო, იშვიათად თუ გამართავს ფორუმებს დებატებისთვის და არბიტრაჟისთვის. ეს იმას ამტკიცებს, რომ ეფექტური ცენტრალური ორგანოს არარსებობა კონფედერაციებს, ისევე როგორც აშშ-ს შემთხვევაში მოხდა, ან ფედერალურ სახელმწიფოდ გადააქცევს, ან ისინი ნებდებიან ცენტრიდანულ წნეხს და იშლებიან, რაც არაერთხელ მოხდა დსთ-ს შემთხვევაში.

პიერ-ჯოზეფ პრუდონი (Pierre-Joseph Proudhon (1809-1865)

ფრანგი ანარქისტი, თვითნასწავლი ტიპოგრაფი. პრუდონი რადიკალურ პოლიტიკაში ჩაება ლიონში, შემდეგ კი 1847 წელს პარიზში დასახლდა. 1848 წელს პრუდონმა, როგორც კონსტიტუციური ასამბლეის წევრმა, ხმა მისცა კონსტიტუციის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ, რომ „ეს იყო კონსტიტუცია“. მოგვიანებით, იგი დააპატიმრეს სამი წლით, რის შემდეგაც, აქტიური პოლიტიკით იმედგაცრუებულმა, ხელი მიჰყო მწერლობასა და თეორეტიკოსობას. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომია „რა არის ქონება?“ ([1840] 1970), სადაც განავითარა პირველი სისტემატური არგუმენტი ანარქიზმზე, რაც „საერთო“ პრინციპებს ეფუძნებოდა; ნაშრომი ასევე შეიცავს ცნობილ ფრაზას „ქონება ქურდობაა“. „ფედერალურ პრინციპში“ (1863), პრუდონმა თავისი ანარქიზმი – „მინიმალური სახელმწიფოს საჭიროება“ შეცვალა “ნივთების მოძრაობაში მოყვანით”. (მიუხედავად იმისა, რომ პრუდონი „ფედერალურს“ უწოდებდა პოლიტიკურ შეთანხმებას თვითმართვად ერთობლიობებს შორის, სინამდვილეში კონფედერალიზმს გულისხმობდა).

ფედერალური სისტემები

ფედერალური სისტემები უფრო ხშირია, ვიდრე – კონფედერალური. მსოფლიოს მოსახლეობის 2/3-ს მართავს ისეთი მთავრობა, რომელსაც გარკვეული სახის ფედერალური სტრუქტურები აქვს. ასეთი სახელმწიფოებია: აშშ, ბრაზილია, პაკისტანი, ავსტრალია, მექსიკა, შვეიცარია, ნიგერია, მალაიზია და კანადა. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ფედერალური სტრუქტურა არ არის იდენტური, თითოეულის მთავარი მახასიათებელია ცენტრალური და პერიფერიული ინსტიტუტების სუვერენიტეტი. ეს გვარწმუნებს იმაში, რომ თეორიულად მაინც, მთავრობის არც ერთ დონეს არ შეუძლია ხელყოს სხვისი ძალაუფლება. აქედან გამომდინარე, ფედერაცია არის შუალედური ფორმა პოლიტიკური ორგანიზაციისა, კონფედერაციასა (რომელიც მიმართავს სუვერენიტეტულ ძალას პერიფერიული ორგანოებისკენ) და ერთიან სახელმწიფოს (სადაც ძალაუფლება ცენტრალურ ინსტიტუტებშია თავმოყრილი) შორის. ფედერალური სისტემები ეფუძნება როგორც ერთობლიობასა და რეგიონულ მრავალფეროვნებას შორის კომპრომისს, ისე ეფექტური ცენტრალური ძალისა და ამ ძალის შემოწმების ან შეზღუდვის საჭიროებებს.



ალექსანდრე ჰამილტონი (1755-1805)

შეერთებული შტატების სახელმწიფო წარმომადგენელი, ჯეიმს მედისონთან და ჯონ ჯეისთან ერთად, „ფედერალისტური ფურცლების“ თანაავტორი. ჰამილტონი დაიბადა ვესტ-ინდოეთში. მან მონაწილეობა მიიღო ამერიკის რევოლუციაში და გახდა ჯორჯ ვაშინგტონის ადიუტანტი (1777-1781). კანონმდებლობის შესწავლის შემდეგ, ჰამილტონი დაბრუნდა კონგრესში 1782 წელს და მსახურობდა აშშ-ს ხაზინის პირველ მდივნად (1789-1795). მან დააარსა და სათავეში ჩაუდგა ფედერალისტურ პარტიას. იგი გარდაიცვალა თავის მეტოქე, აარონ ბურთან დუელის დროს. ჰამილტონის ფედერალიზმი ხასიათდება ღრმა უნდობლობით დემოკრატიის მიმართ. იგი ემხრობოდა აქტიურ ცენტრალურ მთავრობას და გამოხატავდა სურვილს გაზრდილიყო მრეწველობა გადასახადებისა და ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით. „ჰამილტონიზმი“ გულისხმობს ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს იდეას, აღმასრულებელი ხელისუფლებით, რომელსაც ძალუძს მხარი დაუჭიროს განვითარებად ეროვნულ ეკონომიკას.

რატომ ფედერალიზმი?

ფედერალური სახელმწიფოების (ან სახელმწიფოებისა, რომლებსაც ფედერალური მართვის თვისებები აქვთ) შესწავლისას გამოიკვეთა გარკვეული საერთო მახასიათებლები. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფედერალური პრინციპი უფრო მისაღებია კონკრეტული ტიპის სახელმწიფოებისთვის. პირველ რიგში, ისტორიული მსგავსებები გამოვლინდა. მაგალითად, ფედერაციები ხშირად იმ არსებული პოლიტიკური ერთობების გაერთიანების შემდეგ ყალიბდება, რომლებსაც მიუხედავად ამისა, სურდათ ინდივიდუალური იდენტობისა და ზოგ შემთხვევაში – ძალაუფლების შენარჩუნებაც. ამ შემთხვევაში გამოგვადგება მსოფლიოს პირველი ფედერალური სახელმწიფოს – აშშ-ს მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის ყოფილმა 13 კოლონიამ და ამერიკამ მოკლე ხანებში დაინახა კონფედერალური ორგანიზაციის არაეფექტურობა, თითოეულ მათგანს სურდა, ცალკეული პოლიტიკური იდენტიფიკაციისა და ტრადიციების შენარჩუნება. ახალი, უფრო ცენტრალიზებული კონსტიტუციური სტრუქტურა ამის გარანტიას იძლეოდა. ყოფილი კოლონიები თავს იკავებდნენ ძლიერი ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბებისაგან. ეს ცხადი გახდა 1787 წელს ფილადელფიის კონსტიტუციურ კონვენციაზე, სადაც შექმნეს შეერთებული შტატების ე. წ. წინასწარი მონახაზი.

ამის მსგავსად, ფედერალური ევროპის იდეა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1952 წელს *ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებით* და 1957 წელს *ევროპის ეკონომიური გაერთიანებით*, ნაწილობრივ განაპირობა საბჭოთა აგრესიის შიშმა და ევროპის გავლენის დაკარგვამ ახალი ბიპოლარული მსოფლიოს მართვაში.

მესამე ფაქტორი არის გეოგრაფიული მასშტაბი. შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიოს ბევრმა, ტერიტორიით დიდმა სახელმწიფომ სწორედ ფედერალური სისტემა აირჩია. მაგალითად, აშშ, კანადა (ფედერაციული გახდა 1867 წელს), ბრაზილია (1891), ავსტრალია (1901), მექსიკა (1917) და ინდოეთი (1947). გეოგრაფიულად დიდი სახელმწიფოები ხასიათდებიან კულტურული მრავალფეროვნებით და ხშირად ძლიერი რელიგიური ტრადიციების მატარებელნი არიან. დეცენტრალიზაცია და ძალის დანაწევრება მეტ ზეწოლას განიცდის, ვიდრე ერთიანი სისტემები. ბოლო ფაქტორი, რაც ხელს უწყობს ფედერალიზმის პოპულარობას, არის კულტურული და ეთნიკური ჰეტეროგენურობა. ფედერალიზმი, მოკლედ რომ ვთქვათ, ხშირად სოციალური უწყებების სახესხვაობების ინსტიტუციური გამოძახილი იყო. მაგალითად, კანადის ათი პროვინცია, არა მხოლოდ დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული რეგიონული ტრადიციების ანარეკლია, არამედ ინგლისურენოვანი და ფრანგულენოვანი მოსახლეობის ენობრივი და კულტურული განსხვავებებისაც. ინდოეთი 25 თვითმმართ-

ველი შტატის მიხედვით არის განსაზღვრული, პენჯაბის და ქაშმირის შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები რელიგიური განსხვავებებიც. ნიგერიის 18-შტატიანი ფედერალური კონსტიტუცია ერთნაირად აღიარებს ძირითად ტომურ და რელიგიურ განსხვავებებს, კერძოდ, ქვეყნის ჩრდილო და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებს შორის.

ფედერალიზმის თავისებურებები

ყოველი ფედერალური სისტემა უნიკალურია ფედერალური (ეროვნული) და შტატის (რეგიონული) მთავრობების ურთიერთობის თვალსაზრისით. ეს ურთიერთობა არა მხოლოდ კონსტიტუციური წესებითაა განსაზღვრული, არამედ გათვალისწინებულია პოლიტიკური, ისტორიული, გეოგრაფიული, კულტურული და სოციალური გარემოებებიც. ზოგიერთ შემთხვევაში გამართლებულია პარტიული სისტემა, როგორც ფედერაციისა და შტატის ურთიერთობების საფუძველი. სსრკ-ს ფედერალურმა სტრუქტურამ, რომელიც განსხვავდება აშშ-სგან, მასში შემავალ 15 რესპუბლიკას მიანიჭა გამოყოფის უფლება, რაც სინამდვილეში ფორმალური იყო. ამან „მმართველ“ კომუნისტურ პარტიას ძლიერი ცენტრალიზებული ხასიათი შესძინა, რომ არაფერი ვთქვათ, მტკიცედ იერარქიულ, ცენტრალური დაგეგმვის სისტემაზე. იგივე სიტუაციაა მექსიკაში, სადაც დომინანტი ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია ეფექტურად ეწინააღმდეგება აშშ-ს მიხედვით გამიზნულად მოდელირებულ ფედერალურ სისტემას. მეორე მხრივ, აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და ინდოეთში, დეცენტრალიზირებული პარტია-სისტემები იცავენ შტატის ძალაუფლებას და რეგიონულ მთავრობებს.

ფედერალური რეჟიმები, რომლებიც „ძალების გადანაწილებას“ ხელმძღვანელობენ, სხვა კონტრასტებითაც ხასიათდება. მაგალითად, განსხვავებები მთავრობის **აღმასრულებელ** და **საკანონმდებლო** განშტოებებს შორის, პარლამენტურ სისტემებს შორის, სადაც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ძალები ერთმანეთთანაა შერწყმული. წარსულის გავრცელებული ტენდენციაა იმის რწმენა, რომ მთავრობის ძალა ვრცელდება როგორც ტერიტორიულად, ისე ფუნქციურად, რაც ნიშნავს იმას, რომ მთავრობის ორ საფეხურს შორის ურთიერთობის მრავალი სფერო არსებობს. ამას მივყავართ ურთიერთშეღწევადობის რთულ მოდელებამდე ფედერალურ და შტატის მთავრობებს შორის, რაც გვხვდება აშშ-ს და შვეიცარიის მთავრობის სისტემებში. საპარლამენტო სისტემები, მეორე მხრივ, ხშირად მიმართავენ ე.წ. „აღმასრულებელ ფედერალიზმს“. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია კანადასა და ავსტრალიაში. ასეთ შემთხვევებში, ფედერალურ ბალანსს, ძირითადად, განსაზღვრავს აღმასრულებლებს შორის ურთიერთობა მთავრობის სხვადასხვა საფეხურზე.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ყველა თუ არა, ზოგიერთი თავისებურება ფედერალური სისტემის უმეტესობისთვის მსგავსია:

- მთავრობის ორი, შედარებით ავტონომიური საფეხური: ცენტრალური მთავრობაც (ფედერალური საფეხური) და რეგიონულიც (შტატის საფეხური) მოიცავს ძალაუფლების სპექტრს, რისი ჩანაცვლება სხვას არ შეუძლია. ეს სულ მცირე, გულისხმობს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ძალაუფლების მნიშვნელობასა და შესაძლებლობას – გაზარდოს შემოსავალი. ისინი სარგებლობენ ფინანსური დამოუკიდებლობითაც. მიუხედავად ამისა, თითოეული საფეხურის მთავრობის სპეციფიკური საკანონმდებლო სფეროები და თითოეულის გავლენის მასშტაბი ვარირებს ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, გერმანიასა და ავსტრიაში, „ადმინისტრაციული“ ფედერალიზმის სისტემა განსაზღვრავს, რომელ ცენტრალურ მთავრობას მიენიჭოს „პოლიტიკის შექმნის“ უფლება, ხოლო პროვინციული მთავრობა პასუხისმგებელია, შეიმუშაოს პოლიტიკის განხორციელების დეტალები.

- წერილობითი კონსტიტუცია: ყოველი საფეხურის მთავრობის პასუხისმგებლობები და ძალაუფლება განისაზღვრება კოდიფიცირებული **წერილობითი კონსტიტუციით.** ამიტომ კავშირი ცენტრსა და პერიფერიას შორის ხორციელდება ოფიციალური ლეგალური სტრუქტურის შესაბამისად. ავტონომიის ცალკეულ საფეხურებს არ აქვთ კონსტიტუციის დამოუკიდებლად შეცვლის უფლება. მაგალითად, შეერთებული შტატების კონსტიტუცია მოითხოვს კონგრესის ორივე პალატის 2/3-ისა და 50 შტატის 3/4-ის მხარდაჭერას, ხოლო ავსტრალიაში და შვეიცარიაში კონსტიტუციის ცვლილებებს რეფერენდუმების შედეგად უნდა მოეწეროს ხელი.

- კონსტიტუციური არბიტრი: კონსტიტუციის ოფიციალური დადგენილებები უნდა განმარტოს უმაღლესმა სასამართლომ, მას ასევე აკისრია არბიტრის როლი ფედერალურ და შტატის მთავრობებს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში. საკანონმდებლო სფეროების განსაზღვრისთვის მთავრობის თითოეულ საფეხურზე, ფედერალური სისტემის სასამართლო სტრუქტურას შეუძლია შეაფასოს, როგორ ამართლებს ფედერალიზმი რეალურად, რაც უდავოდ გულისხმობს მოსამართლეთა პოლიტიკის პროცესში ჩართვას. ცენტრალიზაცია, რომელიც გვხვდება მეოცე საუკუნის ყველა ფედერალურ სისტემაში, სანქცირებულია სწორედ სასამართლოს მიერ.

- დამაკავშირებელი ინსტიტუტები: მთავრობის ფედერალურ და საშტატო საფეხურებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ხელშესაწყობად, რეგიონებმა და პროვინციებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ცენტრალური პოლიტიკური გადაწყვეტილებების კენჭისყრის პროცესში. ეს, როგორც წესი, მიიღწევა ორპალატიანი საკანონმდებლო ხელისუფლებით, სადაც პარლამენტის უმაღლესი პალატა წარმოადგენს შტატების ინტერესებს. მაგალითად, ავსტრალიის სენატის 76 წევრი, შედგება ყოველი შტატის 12 წარმომადგენლისგან, ავსტრალიის ტერიტორიის 2 და ჩრდილოეთ ტერიტორიის 2 წარმომადგენლისგან. გამონაკლისს წარმოადგენს სუსტი ფედერალური წესრიგი მალაიზიაში, სადაც სენატის წევრთა უმრავლესობა მონარქის მიერაა დანიშნული.

აღმასრულებელი:
მთავრობის შტო, რომელიც პასუხისმგებელია, შეიმუშავოს და განახორციელოს პოლიტიკა და კანონი.

საკანონმდებლო:
მთავრობის შტო, რომელიც უფლებამოსილია შექმნას კანონი ოფიციალური კანონმდებლობის გატარებით.

წერილობითი კონსტიტუცია:
ცალკეული ავტორიტარული დოკუმენტი, რომელიც ანაწილებს მოვალეობებს, ძალეუფლებასა და ფუნქციებს მთავრობის ინსტიტუტებს შორის და ადგენს „უმაღლეს“ კანონს.

ფედერალიზმის შეფასება

ერთიანი სისტემისგან განსხვავებით, ფედერალური სისტემის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა ის, რომ იგი კონსტიტუციურად უზრუნველყოფს რეგიონების წარმომადგენლების კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას. შტატებს და პროვინციებს აქვთ ავტონომიური ძალაუფლების სხვადასხვა ფორმები; ისინი სარგებლობენ გარკვეული გავლენით ცენტრალურ მთავრობაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფედერალური საკანონმდებლო პალატის მეშვეობით. მეორე მხრივ, ფედერალიზმმა ვერ შეძლო მეოცე საუკუნის ცენტრალიზაციის ტენდენციის შეჩერება: ეკონომიკური და სოციალური ინტერვენციის შედეგად გაიზარდა ცენტრალური მთავრობის ძალაუფლება. შემოსავლების ზრდის ყველაზე მეტი საშუალებებიც სწორად ცენტრალურ მთვრობას ჰქონდა.

თავდაპირველად, შეერთებული შტატების სისტემა „ორმაგი ფედერალიზმის“ პრინციპებზე დაყრდნობით იმართებოდა, რომლის მიხედვითაც ფედერალური და შტატის მთავრობები ინაწილებდნენ პოლიტიკური ძალაუფლების გამიჯნულ სფეროებს. თუმცა, მეცხრა-

მეტე საუკუნის ბოლოდან, სისტემამ მიიღო „კოოპერატიული ფედერალიზმის“ ხასიათი. ეს გამოწვეული იყო დასახმარებლად გამოყოფილი გრანტების მოცულობის ზრდით ფედერალური მთავრობის მიერ შტატისა და ადგილობრივი მთავრობებისათვის. ამის გამო, პერიფერიული მთავრობა სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებოდა ფედერალურ ფონდებზე. ეს პროცესი განსაკუთრებით გამოიკვეთა 1930-იან წლებში „ახალი გარიგების“ საფუძველზე ეკონომიური აღმავლობისა და სოციალური პროგრამების განხორციელების შემდეგ. 1960-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული, კოოპერატიული ფედერალიზმი, რომელმაც ფედერალური და შტატის მთავრობები პარტნიორებად აქცია, ჩაანაცვლა ე. წ. „იძულებითმა ფედერალიზმმა“. ეს ის სისტემაა, რომელშიც ფედერალური მთავრობის ძალაუფლება გაზრდილია და შტატის მთავრობები კომპრომისზე მიდიან; მაგალითად, იღებენ ისეთ კანონებს, რის მიხედვითაც უპირატესობა ენიჭება ფედერალურ მთავრობას და მანდატის წესით შეზღუდვები წესდება შტატებზე.

ფედერალიზმის მეორე უპირატესობაა მთავრობის ძალაუფლების გადანაწილება. ეს ქმნის ურთიერთშემოწმებისა და ბალანსის ქსელს, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალური თავისუფლების დაცვას. ჯეიმს მედისონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამბიცია უნდა მომდინარეობდეს საწინააღმდეგო ამბიციიდან“. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალიზაციის ტენდენცია მსოფლიო მასშტაბითაა გავრცელებული, აღმოჩნდა, რომ ისეთი ფედერალური სისტემები, როგორიცაა შეერთებულ შტატებში, ავსტრალიასა და კანადაში, უფრო ეფექტურია, ვიდრე ერთიანი სისტემისთვის დამახასიათებელი ეროვნული პარლამენტი. თუმცა, სამთავრობო სისტემაში საშუალო გავლენის მქონე სტრუქტურებმა შესაძლებელია ფრუსტრაცია და პარალიზება განიცადონ. ფედერალური სისტემის ნაკლოვანება შემდეგში მდგომარეობს: რაკი ცენტრალურ მთავრობაზე ხორციელდება ერთგვარი წეზოლა, ეკონომიკური და სოციალური პროგრამები უფრო რთულად ხორციელდება. მაგალითად, ფ. დ. რუზველტის „ახალი გარიგების“ შედეგები შეერთებულ შტატებში საგრძნობლად შეამცირა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებმა. 1980-იან წლებში, რონალდ რეიგანმა განზრახ გამოიყენა ფედერალიზმი, როგორც „დიდი“ მთავრობის წინააღმდეგ მიმართული იარაღი. კერძოდ, სლოგანით „ახალი ფედერალიზმი“, რეიგანი შეეცადა სოციალური ხარჯების მართვის პასუხისმგებლობა აერიდებინა ფედერალური მთავრობისათვის და დაეკისრებინა ნაკლებწარმატებული შტატების მთავრობისათვის. ამის საპირისპიროდ, კოოპერატიული ფედერალიზმის მოდელი გერმანიაში უფრო მსუბუქია, რადგან სოციალური უზრუნველყოფის სისტემა კარგად დაფინანსებული და ყოვლისმომცველია.

და ბოლოს, ფედერალიზმმა წარმოშვა ისეთი ინსტიტუციური მექანიზმები, რომლითაც იზოლირებული საზოგადოებები გაერთიანდნენ. შესაბამისად, ფედერალური გადაწყვეტილება შეიძლება მისაღები გახდეს ეთნიკური განსხვავებებისა და რეგიონულად დაყოფილი საზოგადოებების შემთხვევაში. ის შეიძლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს. შეერთებული შტატების ფედერალიზმის გენიალურობა იმაშია, რომ ის 13 შტატის საფუძველზე შეიქმნა და მოხდა ისეთი ინსტიტუციური მექანიზების ამოქმედება, რომლებმაც გზა გაუხსნა ემიგრაციას მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული დღემდე. ფედერალიზმის საფრთხე შემდეგში მდგომარეობს: სამთავრობო დანაყოფების ფორმირებამ შესაძლოა გააძლიეროს ცენტრიდანული წნეხები და მიიყვანოს დეზინტეგრაციამდე. ზოგიერთის აზრით, ფედერალური სისტემა არსებითად არასტაბილურია და მიდრეკილია ან გარანტირებული ერთობისკენ, ან გადამეტებული დეცენტრალიზაციისკენ, რაც უპირობოდ გამოიწვევს ნგრევას.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფედერალიზმმა კანადაში არ გაამართლა, თუკი მის მიზნად დავსახავთ ისეთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნას, რომელშიც ფრანგულ და ინგლისურენოვანი მოსახლეობა ჰარმონიულად იცხოვრებდა. კვებეკში სეპარატიზმის ზრდის შემდეგ, კანადა, 1980-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, ცდილობს, იპოვოს ისეთი კონსტიტუციური ფორმულა, რომლის შედეგად კვებეკი გახდება კანადის ფედერაციის წევრი. 1987

წელს „მიჩის ტბის გარიგების“ შემდეგ, კვებეკს მიენიჭა ავტონომია და „განსაკუთრებული სტატუსი“ ფედერაციის ფარგლებში. თუმცა, ეს შეთანხმება 3 წლის შემდეგ ჩაიშალა, როცა მანიტობამ და ნიუფაუნდლენმა არ მიიღეს „ასიმეტრიული ფედერალიზმის“ პრინციპი. 1992 წელს შარლოტათაუნის შეთანხმებით, კვებეკს შესთავაზეს სხვა ფორმულა. თუმცა, ეს ფორმულა უარჰყვეს ეროვნულ რეფერენდუმზე, ნაწილობრივ, იმ მოსაზრებით, რომ კვებეკს კუთვნილი ავტონომია არ მისცეს, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ბევრ ინგლისურენოვან კანადელს ეშინოდა, რომ ეს შეთანხმება საფრთხეს შეუქმნიდა კანადის სახელმწიფოს ერთიანობას. ამის მიუხედავად, კვებეკის სრულფასოვანი დამოუკიდებლობის იდეა, რომლისკენაც კვებეკის სეპარატისტული პარტია იღწვის, თვით კვებეკის მოსახლეობამ უარყო 1995 წლის რეფერენდუმზე.

ერთიანი სისტემები

თანამედროვე სახელმწიფოების უმრავლესობას აქვს მთავრობის ერთიანი სისტემა. ეს სუვერენიტეტულ ძალაუფლებას ანიჭებს ერთ, ეროვნულ ინსტიტუტს. გაერთიანებულ სამეფოში ეს ინსტიტუტი არის პარლამენტი, რომელსაც აქვს (ყოველ შემთხვევაში, თეორიულად) ღია და უდავო საკანონმდებლო ძალაუფლება. პარლამენტს შეუძლია დაადგინოს ან გააუქმოს ნებისმიერი კანონი; მის ძალაუფლებას არ აკონტროლებენ კოდიფიცირებული ან წერილობითი კონსტიტუციები; არ არსებობს მეტოქე საკანონმდებლო ორგანო, რომელმაც შეიძლება მისი ძალაუფლება ეჭვის ქვეშ დააყენოს; მის მიერ დადგენილ კანონებს მეტი ძალა აქვთ, ვიდრე ინგლისურ და შოტლანდიურ კანონებს. რადგანაც კონსტიტუციის მიხედვით უმაღლესი ხელისუფლება ცენტრია, ყველა პერიფერიული თუ ადგილობრივი მთავრობა ექვემდებარება ცენტრს. ერთი შეხედვით, ეს წარმოშობს მრავალი მიმართულების გაუკონტროლებელ ცენტრალიზაციას. შესაძლებელია, მოხდეს ადგილობრივი ინსტიტუტების რეფორმა, რეოგრანიზება ან გაუქმება მათი სურვილის მიხედვით; მათი ძალაუფლება და მოვალეობები შეიძლება შემცირდეს ან გაფართოვდეს. თუმცა, რეალურად, ერთიან სისტემაში, ურთიერთობა ცენტრსა და პერიფერიას შორის ისეთივე კომპლექსურია, როგორც ფედერალურ სისტემებში. პოლიტიკურ, კულტურულ და ისტორიულ ფაქტორებს ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება, როგორიც უფრო ფორმალურ, კონსტიტუციურ ფაქტორებს. პერიფერიული ძალაუფლების ორი გამიჯნული ინსტიტუციური ფორმაა: ადგილობრივი მთავრობა და გადაცემული საკრებულოები. თითოეული მათგანი ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობებს განსაკუთრებულ ხასიათს სძენს.

ადგილობრივი მთავრობა

ადგილობრივი მთავრობა წარმოადგენს მთავრობას, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიას მართავს. მაგალითად, სოფელს, ქალაქს, უბანს, რაიონს. ეს არის მთავრობის ფორმა, რომელიც ინაწილებს სუვერენიტეტს და რომელიც მთლიანად ემორჩილება ცენტრალურ ხელისუფლებას, ან ფედერალური სისტემის შემთხვევაში – შტატის ან რეგიონულ ხელისუფლებას. მთავრობის ეს საფეხური უნივერსალურია. იგი გვხვდება როგორც ფედერალურ, ისე კონფედერალურ და ერთიან სისტემებში. მაგალითად, შეერთებულ შტატებში 86 ათასზე მეტი ადგილობრივი მთავრობა არსებობს, სადაც 11 მილიონი ადამიანია დასაქმებული. მაშინ, როცა მთლიანად ფედერალურ ან შტატის საფეხურებზე დასაქმებულთა რაოდენობა 8 მილიონზე ნაკლებია. ზოგ ქვეყანაში ცენტრალურის გარდა, ადგილობრივი მთავრობა, მთავრობის ერთადერთი ფორმაა.

არასწორი იქნება თუ ვივარაუდებთ, რომ რადგანაც ადგილობრივი მთავრობა კონსტიტუციურად მთლიანად ემორჩილება ცენტრს, მისი პოლიტიკური მნიშვნელობა დაკნინებულია. ადგილობრივი მთავრობების სიმრავლე მეტყველებს იმაზე, რომ მათი არსებობა ადმინისტრაციულად აუცილებელია და რადგან ადგილობრივი მთავრობა ხალხთან „ახლოსაა“, ის

ადვილად მისაღებიცაა. არჩეულ ადგილობრივ პოლიტიკოსებს ახასიათებთ დემოკრატიული სამართლიანობის ღირებულება, რომელიც საშუალებას აძლევს მათ განავრცონ თავისი ოფიციალური ძალაუფლება და უფლება-მოვალეობები. ხშირად, ურთიერთობა ცენტრალურსა და ადგილობრივ მთავრობას შორის წარმოებს მოლაპარაკებების საფუძველზე და არა ზევიდან ქვევით – ბრძანებებით. ცენტრსა და პერიფერიას შორის ბალანსს ასევე განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პოლიტიკური კულტურა, (ნაწილობრივ ადგილობრივი ავტონომიის ჩამოყალიბების ტრადიციით) და პარტიული სისტემის ბუნება. მაგალითად, ადგილობრივი პოლიტიკოსების „პოლიტიზირების" მზარდი ტენდენცია, ანუ ეროვნულ პარტიებში სულ უფრო მეტი ადგილობრივი პოლიტიკოსის გაერთიანება, გამოწვეულია ცენტრალიზაციის ზრდით. კონსტიტუციური სტრუქტურის არარსებობის გამო, რომელსაც ფედერალიზმი გვთავაზობს, ადგილობრივი ავტონომია მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეიკავებს ცენტრი თავს თვითმმართველობისგან. ეს გულისხმობს იმას, რომ დეცენტრალიზაციის ხარისხი განსხვავდება ერთიან სისტემებში, როგორც ეპოქის, ისე ქვეყნების მიხედვით. ამის დანახვა შეგვიძლია გაერთიანებულ სამეფოსა და საფრანგეთში, სადაც კონტრასტულ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი.

გაერთიანებული სამეფო, ტრადიციულად მოიცავს შედარებით დეცენტრალიზებულ ადგილობრივ სამთავრობო სისტემას, სადაც ადგილობრივი უფლებამოსილი პირები სარგებლობენ პარლამენტის მიერ ოფიციალური სტრუქტურის ფარგლებში დამტკიცებული მნიშვნელოვანი თავისუფლებით. **ადგილობრივი დემოკრატიისადმი** პატივისცემა დიდხანს იყო დამახასიათებელი დიდი ბრიტანეთის დაუწერელი კონსტიტუციისთვის. სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური როლის გაფართოება 1945 წლის შემდგომ პერიოდში მეტყველებს იმაზე, რომ ადგილობრივ მთავრობებს დაეკისრათ საზოგადოებრივი მომსახურების წარმოების პასუხისმგებლობა ცენტრალური მთავრობის სახელით. ამ პარტნიორულ ურთიერთობას ცენტრალურსა და ადგილობრივ მთავრობებს შორის უეცრად მოეღო ბოლო კონსერვატიული პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ 1980-იან და 1990-იან წლებში. კონსერვატორები ადგილობრივ მთავრობას, ისევე როგორც სხვა შუამავალ ორგანოებს, დაბრკოლებად მიიჩნევდნენ თავისი რადიკალური, ბაზარზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელების კონტექსტში.

1984 წელს ადგილობრივ მთავრობას ჩამოერთვა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება: ადგილობრივი გადასახადების კონტროლი და ხარჯების თვითნებური განსაზღვრის პოლიტიკა. ადგილობრივი უფლებამოსილი ორგანოები, რომლებმაც გამოიწვიეს ცენტრი, მაგალითად, „დიდი ლონდონის საბჭო" და დედაქალაქის შემოგარენის საბჭოები, საერთოდ გაუქმდა. მათი ფუნქციები მცირე მასშტაბის უბნის ან დაბის საბჭოებს და ახლად შექმნილ **ქუანგოებს** (quango) დაეკისრათ. ადგილობრივი მთავრობების მოვალეობებიც შეიზღუდა: მაგალითად, ეროვნული სასწავლო გეგმის შემოღებით სკოლებში და კანონმდებლობით, რომელიც საშუალებას აძლევდა სკოლას – არ ყოფილიყო ადგილობრივი მთავრობის დაქვემდებარების ქვეშ. ამ პოლიტიკის უპირველესი მიზანი იყო ადგილობრივი მთავრობის საფუძვლიანი შეცვლა და „საშუალების მიმცემი" საბჭოების შექმნა. ამ საბჭოების როლია არა მომსახურების წარმოება, არამედ კერძო პირების მიერ მომსახურების წარმოების ზედამხედველობა, რაც გულისხმობს კონტრაქტებისა და პრივატიზაციის სისტემას. ასეთი პოლიტიკა ხშირად ადგილობრივ დემოკრატიაზე თავდასხმად განიხილება. ერთის მხრივ, ძალაუფლება ადგილობრივიდან ცენტრალურ მთავრობას გადაეცა, ხოლო მეორე მხრივ, ადგილობრივმა უფლებამოსილმა პირებმა დაიწყეს აქტიური საბაზრო ზეწოლა ადგილობრივი საზოგადოების წევრებზე, მათ მიერ ახალი – „კლიენტის" როლის მორგების შემდეგ.

ქუანგო: კვაზიავტონომიური არასამთავრობო ორგანიზაციის აკრონიმი: სახალხო ორგანო, რომელიც დაკომპლექტებულია პოლიტიკოსებით ან სამოქალაქო პირებით.

სრულიად განსხვავებული პოლიტიკა გატარდა საფრანგეთში იგივე პერიოდში, სადაც მიზანმიმართულად ცდილობდნენ ფრანგული საზოგადოების ხასიათის გარდაქმნას. კერძოდ, ცენტრალიზაციის ტრადიციის შეცვლას, რაც მეხუთე რესპუბლიკამ მემკვიდრეობით მიიღო იაკობიანელებისგან და ნაპოლეონისგან. პრეზიდენტი მიტერანი პოლიტიკური დეცენტრალიზაციის პროგრამას დიდი იმედით უყურებდა, რომელიც 1982-1986 წლებში განახორციელა შინაგან საქმეთა და დეცენტრალიზაციის მინისტრმა – გასტონ დიუფერმა. ტრადიციულად, ცენტრსა და ადგილობრივ მთავრობას შორის ურთიერთობები საფრანგეთში იმართებოდა პრეფექტების მიერ მკაცრი ადმინისტრაციული კონტროლის სისტემით. პრეფექტები, რომლებსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ნიშნავდა და უშუალოდ მის წინაშე იყვნენ ანგარიშვალდებულნი, საფრანგეთის 96 დეპარტამენტის მთავარი აღმასრულებლები იყვნენ. ფრანგული სისტემა წარმატებული იყო როგორც ბრძანებების იერარქიული ჯაჭვი. რეგიონული მთავრობის გამოცოცხლების გარდა, დიუფერის რეფორმებმა გაზარდა ადგილობრივი მთავრობის მოვალეობები და ძალაუფლება. კერძოდ, უფლებამოსილი პირები პრეფექტების ნაცვლად გახდნენ ადგილობრივად არჩეული პრეზიდენტები, ხოლო პრეფექტები ჩანაცვლდნენ კომისრებით (Commissaire de la République), რომლებიც განსაკუთრებით ეკონომიკურ გეგმებზე ზრუნავენ. ამას გარდა, ადგილობრივი მთავრობა გამოთავისუფლდა ადმინისტრაციული და ხარჯების გადაწყვეტილებების მიღების დროს დამოწმების ფუნქციისაგან. ამ რეფორმების შედეგად, საფრანგეთის სახელმწიფომ უფრო ცენტრალიზებული ხასიათი შეიძინა, ვიდრე 1789 წლის რევოლუციიდან მოყოლებული ოდესმე ჰქონია.

ხელისუფლების გადაცემა (დევოლუცია)

ხელისუფლების გადაცემა, კანონმდებლობის ფარგლებში, მთავრობის ერთიანი სისტემის დეცენტრალიზაციას გულისხმობს, შესაბამისად, ის ფედერალურ სისტემად გარდაიქმნება. გადაცემული საკრებულოები შეიქმნენ სახელმწიფოში არსებული ცენტრიდანული ზეწოლის ზრდის გამო, მზარდი რეგიონული და ნაციონალური პრობლემების გადასაჭრელად. მიუხედავად მტკიცე ძალების დეფიციტისა, ოდესღაც გადაცემულმა საკრებულოებმა საკუთარი პოლიტიკური იდენტობა ჩამოაყალიბეს; მათ ასევე გააჩნიათ დემოკრატიული უფლებამოსილება, შესაბამისად, მათი დასუსტება რთულია, ხოლო განადგურება თითქმის შეუძლებელი. გამონაკლისს წარმოადგენდა ჩრდილოეთ ირლანდიის სტორმონტის პარლამენტი. სტორმონტის პარლამენტი დაითხოვეს 1972 წელს და უესტმინსტრესის პარლამენტის უშუალო მმართველობით ჩაანაცვლეს. თუმცა, ეს მოხდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ხელმძღვანელობაში მყოფი პროტესტანტული უნიონისტების პარტიის მიერ ხელის შეშლის გამო, ჩრდილოეთ ირლანდიაში ვერ მოხერხდა საზოგადოებრივი ძალადობის მზარდი ნაკადის

დევოლუცია

გადაცემა, ძალაუფლების გადამისამართება ცენტრალური მთავრობიდან სუბორდინირებული რეგიონული ინსტიტუტებისთვის („გადაცემა“ ნიშნავს ძალაუფლების და მოვალეობების გადაცემას ზემდგომი ხელისუფლებისგან ქვემდგომისთვის). დევოლუცირებული ორგანოები წარმოადგენენ მთავრობის საშუალო საფეხურს ცენტრალურსა და ადგილობრივ მთავრობებს შორის. დევოლუცია განსხვავდება ფედერალიზმისგან იმით, რომ, მიუხედავად ტერიტორიალური იურისდიქციის შესაძლო მსგავსებისა, დევოლუცირებული ორგანოები არ ინაწილებენ სუვერენიტეტს; მათ მოვალეობებს და ძალაუფლებას განსაზღვრავს ცენტრი. ადმინისტრაციული დევოლუციის ყველაზე სუსტი ვარიანტია მხოლოდ იმ რეგიონალური ინსტიტუტების პოლიტიკის გატარება, რომელიც სხვაგან ჩამოყალიბდა. საკანონმდებლო დევოლუციის ფორმა (ზოგჯერ მას „სახლის მართვას“ უწოდებენ) მოიცავს არჩეული რეგიონული საკრებულოების ჩამოყალიბებას, რომელთაც „პოლიტიკის შემუშავების“ უფლებამოსილება და სახაზინო (ფინანსური) დამოუკიდებლობა აქვთ.

ეთნიკურობა

ეთნიკურობა არის ცალკეული განსხვავებული მოსახლეობის, კულტურული ჯგუფისა ან ტერიტორიის მცხოვრებთა თავისუფლების გრძნობა. ტერმინი კომპლექსურია, რადგან აქვს როგორც რასობრივი, ისე კულტურული მხარე. ეთნიკური ჯგუფის წევრები, სამართლიანად თუ უსამართლოდ ხშირად მიჩნეულნი არიან საერთო წინაპრების შთამომავლებად და ამიტომ იგულისხმებიან საერთო სისხლის მქონე გაფართოებულ ნათესაობად. უფრო ზოგადად, ეთნიკურობა გაგებულია როგორც კულტურული იდენტიფიკაციის ფორმა, თუმცა მას ღრმა ემოციური ფესვები აქვს. „ეთნიკური“ კულტურა მოიცავს ღირებულებებს, ტრადიციებსა და ჩვეულებებს. ის ანიჭებს ადამიანებს საერთო იდენტურობას და გამორჩეულობის გრძნობას, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებს წინაპრებზე. ზოგიერთი ერს გაფართოებულ ეთნიკურ ჯგუფად მიიჩნევენ, სხვები კი თვლიან, რომ ეთნიკური ჯგუფები განსაკუთრებულად ექსკლუზიურია (სხვას არ შეუძლია „შეუერთდეს“ ეთნიკურ ჯგუფს), ხოლო ერი, ინკლუზიურია და პოლიტიკურად განსაზღვრული.

შეჩერება, რომელიც თავის მხრივ სამოქალაქო ომის საშიშროებას ქმნიდა.

ევროპის ფარგლებში ხელისუფლების გადაცემის უძველესი ტრადიცია ესპანეთში გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ 1570-იანი წლებიდან ერთიან სახელმწიფოს წარმოადგენდა, ესპანეთი 50 პროვინციად იყო დაყოფილი და თითოეულში რეგიონული თვითმართველობა არსებობდა. 1975 წელს გენერალ ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ, დემოკრატიულ მთავრობად გარდაქმნის პროცესის გამო, ხელისუფლების გადაცემა 1979 წლამდე გაგრძელდა, რომლის შედეგად 17 ავტონომიური ერთობა ჩამოყალიბდა. რეგიონული მმართველობის ეს ფორმა დაფუძნებულია არჩეულ საკრებულოებზე, რომლებიც საშინაო პოლიტიკის ფართო კონტროლზე არიან პასუხისმგებელნი. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეფორმა ბასკეთის გაერთიანებაში არსებული კატალონიის ავტონომიური რეგიონის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გატარდა, მან მხოლოდ სეპარატისტული მოძრაობის ეტა-ს (Euskadi Ta Askatasuna) მხრიდან ტერორიზმის ახალი ტალღა გამოიწვია.

საფრანგეთის მთავრობამ, რეგიონული ერთეულების დაჟინების გამო, აგრეთვე ბრეტანისა და ოქსიტანიის შემთხვევაში ეთნიკური ნაციონალიზმის ჩამოყალიბების საპასუხოდ, ასევე მიმართა ხელისუფლების გადაცემის პრაქტიკას. საფრანგეთში დიუფერის რეფორმის მთავარ ელემენტს წამოადგენდა გადასვლა ადმინისტრაციული მმართველობის გადაცემიდან საკანონმდებლო მმართველობის გადაცემაზე. „ფუნქციური რეგიონალიზმის“ სტრატეგიის შედეგად, 1972 წელს ადგილობრივი ინვესტიციებისა და გადაწყვეტილებების მიღების დაგეგმვის პროცესის ადმინისტრაციული კოორდინირებისთვის 22 რეგიონული სახალხო ორგანო დაარსდა. თუმცა, ამ ყველაფერს აკლდა დემოკრატიული საფუძველი და ჰქონდა შეზღუდული ძალაუფლება. 1982 წელს ეს ორგანოები არჩეული საბჭოს მქონე ჩამოყალიბებულ რეგიონულ მთავრობებად გარდაიქმნა. სეპარატიზმისა და ტერორიზმის ტალღის შესაჩერებლად, კორსიკას კოლექტიური ტერიტორიის სპეციალური სტატუსი მიანიჭეს, რამაც კუნძულს თვითმმართველობის საშუალება მისცა. ევროპაში დეცენტრალიზაციის ტენდეცია ევროკავშირში არსებული ვითარებებითაც იყო განპირობებული, განსაკუთრებით კი, 1980-იან წლებში „რეგიონებისაგან შემდგარი ევროპის“ იდეის წარმოშობის შემდგომ. რეგიონებსა და პროვინციებში არსებული მთავრობა პირდაპირ სარგებელს იღებდა ევროპული რეგიონული განვითარების ფონდის მიერ შეთავაზებული დახმარებიდან. მათ აგრეთვე მოიძიეს პირდაპირი წარმომადგენლობა ბრიუსელში და გააძლიერეს მათი ჩართულობა ეკონომიკური დაგეგმვისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

გაერთიანებული სამეფო, რომელიც ტრადიციულად ყველაზე ცენტრალიზებულ გაერთიანებას წარმოადგენდა, მთავრობის გადაცემის პრაქტიკას ყველაზე პასიურად მიუდგა. 1960-იან წლებში შოტლანდიური და უელსური ნაციონალიზმის აღორძინებას მოჰყვა პო-

ლიტიკური დღის წესრიგში ხელისუფლების გადაცემის საკითხის წამოყენება და ლეიბორისტული მთავრობის უმცირესობის მიერ 1978-79 წლებში ხელისუფლების გადაცემასთან დაკავშირებული უკომპრომისო მოთხოვნის წამოყენება. ორგანოების გადაცემა არ მოხდა 1999 წლამდე. შოტლანდიური პარლამენტი ყველაზე მასშტაბურ და ძლიერ ორგანოს წარმოადგენს, რადგან მას გააჩნია გადასახადების ცვლილებისა (საშემოსავლო გადასახადის გაზრდა ან შემცირება 3 პენით 1 ფუნტზე) და ძირითადი საკანონმდებლო ძალაუფლება საშინაო პოლიტიკის სფეროში. მიუხედავად ამისა, კონსტიტუციურ საკითხებს, თავდაცვას, საგარეო საქმეებს, ეროვნულ უსაფრთხოებასა და ევროკავშირთან ურთიერთობას უესტმინსტერის პარლამენტი აკონტროლებს.

ეთნიკური ნაციონალიზმი:
ნაციონალიზმის ფორმა, რომელსაც ამოძრავებს ეთნიკური თავისებურებების შენარჩუნების მძლავრი სურვილი.

უელსის საკრებულო წარმოადგენს ადმინისტრაციული მმართველობის გადაცემის მაგალითს (რადგან იგი არ აკონტროლებს გადასახადებს) და დაქვემდებარებაში მყოფ, „მეორად“ საკანონმდებლო ძალას. ჩრდილოეთ ირლანდიის საკრებულო ჩამოყალიბდა „მშვიდობიანი პროცესის“ შედეგად, რომელიც „წითელი პარასკევის შეთანხმების“ ნაწილს წარმოადგენდა. მას გარკვეული იურიდიული ძალა აქვს, მაგრამ არა აქვს უფლება – აკონტროლოს გადასახადები. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუკი ძალაუფლების განაწილება წარმატებული იქნება, მისი უფლებამოსილება გაიზრდება მთავრობის გადაცემის „მცოცავი“ პრინციპის საფუძველზე. ხელისუფლების გადაცემის მომხრეები ამტკიცებენ, რომ შოტლანდიისა და უელსის კონკრეტულ შემთხვევებში „სახლის მართვის“ საშუალების მიცემა, სეპარატისტი ნაციონალისტების მხრიდან ცენტრიდანული დაძაბულობის წარმოშობას შეაჩერებს, რაც ხელს შეუწყობს გაერთიანებული სამეფოს მულტინაციონალური სახელმწიფოს გამყარებას. კრიტიკოსები კი, პირიქით, გვაფრთხილებენ, რომ შოტლანდიური ნაციონალისტური პარტიის და უელსის პარტიის შემთხვევები გამოიწვევს გაერთიანებული სამეფოს დაშლას.

ბერნარდ კრიკი

სიტყვა და საქმე *

„თავდაპირველად იყო სიტყვა“ – ასე წერია უკვე შევფერხდი. მანდ სათუო არაფერია?
ასეც დავტოვოთ?
...
სული მკარნახობს! ზუსტი არსი მოიკვეთება! ვწერ დარწმუნებით: „პირველთაგან იყო
ქმედება“.
(ამონარიდი **გოეთეს „ფაუსტიდან“**)

სიტყვა „დემოკრატიის“ თარგმნა რთული არ არის. მეტ-ნაკლებად სახეცვლილი, ის ბერძნულიდან ყველა ძირითად ენაზე გავრცელდა. სულმა, მეფისტოფელმა, ფაუსტს ნამდვილი პრობლემები შეუქმნა, რა თქმა უნდა, იმით, რომ არასწორად თარგმნა წმინდა იოანეს სახარების პირველი სტრიქონი. ო, სიახლის ტრაგიკულო ძიებავ, ძველი ჭეშმარიტების ნდობის მაგიერ! რაც შეეხება წმინდა სიტყვა „დემოკრატიას“, ის მრავალი პრობლემის პოტენციური წყაროა, რადგან თითოეული ადამიანისთვის მას შესაძლოა სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს – მოცემული ტერმინის ინტერპრეტაცია და თარგმნა დამოკიდებულია სხვადასხვა კულტურის თავისებურებებზე.

ნება მომეცით, თვალსაჩინოდ გაჩვენოთ, რას ვგულისხმობ, იმ შემთხვევისათვის თუ მკითხველს ჯერ კიდევ სურს მიიღოს ერთი კონკრეტული, ჭეშმარიტი ანუ ზუსტი განმარტება. რეალურად, არც ენა და არც სოციალური წყობა არ იძლევა ამის საშუალებას. 1962 წელს ს. ე. ფინერმა დაწერა წიგნი სახელწოდებით „ადამიანი ცხენზე“. მან დაასახელა ექვსი ოფიციალური სახელწოდება, რომლის მეშვეობითაც სამხედრო დიქტატორები „ალამაზებდნენ თავიანთ რეჟიმს“:

ნასერი: საპრეზიდენტო დემოკრატია;
აიუბ-ხანი: საფუძვლიანი დემოკრატია;
სუკარნო: მანიპულირებადი დემოკრატია;
ფრანკო: ორგანული დემოკრატია;
სტრესნერი: არჩევითი დემოკრატია;
ტრუხილიო: ნეო-დემოკრატია.

ადვილია ასეთი ცბიერი ოპორტუნიზმის მასხრად აგდება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სამი მათგანი წმინდა წყლის დესპოტი იყო და მხოლოდ ძალითა და შიშით მართავდა, ხოლო დანარჩენი სამი – უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა მოქალაქეთა უმრავლესობაში.

სემი ფინერმა მხოლოდ სამხედრო რეჟიმებზე დაწერა. ყველას, საბჭოთა კავშირს, ჩინეთს, მათ მოკავშირეებს ან მარიონეტულ სახელმწიფოებს სერიოზულად სჯეროდათ და ამაყობდნენ თავიანთი „სახალხო დემოკრატიით“. მათ სჯეროდათ, რომ მუშათა კლასი უნდა გათავისუფლებულიყო, უნდა ემართა სხვა კლასები რევოლუციური გარდაქმნის პერიოდში მანამ, სანამ უკლასო საზოგადოება, ხალხის ბატონობა – დემოკრატია არ აშენდებოდა. არა აქვს მნიშვნელობა, რეალურად, რამდენად არატოლერანტული იყო კომუნისტური პარტიის ელიტა, რამდენად მოახდინა მან ძალაუფლების მონოპოლიზება და ბოროტად გამოყენება, რადგან ის აღმოცენდა სახალხო ხელისუფლების მეშვეობით და, შესაბამისად, დამოკი-

* წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს პირველი თავის თარგმანს წიგნისა: „დემოკრატია: ძალიან მოკლე შესავალი“, 2002.

დებული იყო ხალხის მხარდაჭერაზე, რაც, *საბედნიეროდ,* დასრულდა საბჭოთა კავშირის განადგურებით. *საბედნიეროდ*, იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ გადარდებთ თავისუფლება და ადამიანის უფლებები ისევე, როგორც უმეტესობის თანხმობაზე დაფუძნებული დემოკრატია, ან თუკი გჯერათ თავისუფლებისა და დემოკრატიის განუყრელობის, როგორიც უნდა იყვნენ ისინი, თუმცა არ არიან.

ჩვენ, რა თქმა უნდა, შესაძლოა, დავცინოთ სამხედრო რეჟიმებისა და სხვათა მიერ „დემოკრატიის" ამგვარ დამახინჯებას, რადგან უმრავლესობას გვჯერა, რომ დემოკრატიაში ვცხოვრობთ და ამ ტერმინს თითქმის ყველაფერი სასურველის – „ნათელისა და მშვენიერის" – აღსანიშნავად ვიყენებთ: დემოკრატია, როგორც სამოქალაქო იდეალი, როგორც წარმომადგენლობითი ინსტიტუტები და როგორც ცხოვრების წესი. ტერმინის განსაზღვრას თუ ვთხოვთ, ბევრი გვიპასუხებს „უმრავლესობის მმართველობა", მაგრამ თუკი ეჭვს შევაპარებთ, როგორც სოკრატესეულ დიალოგშია, ოდნავ შეცვლის და უფრო რეალისტურად იტყვის „უმრავლესობის ნება". ამ შემთხვევაშიც კი მხოლოდ რამდენიმე ჩვენგანი გაათანაბრებს დემოკრატიას სამართლიანობასა და უფლებებთან. მაგალითისთვის ავიღოთ სიკვდილით დასჯა. სხვადასხვა მიზეზთა გამო ბრიტანელი პოლიტიკოსები მხედველობაში არ იღებენ საზოგადოების აზრს, რომელიც ემხრობა სიკვდილით დასჯას. თუ დემოკრატიულები ვართ, მაშინ საპარლამენტო დემოკრატია გვაქვს. მაჟორიტარული თვალსაზრისით, ამერიკელი დემოკრატები ბევრად „დემოკრატიულები" არიან. ამიტომ, საჭიროა გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილება, რომ საზოგადოებას ან მმართველობის სისტემას „ჭეშმარიტად" დემოკრატიული ვუწოდოთ.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ დემოკრატია ნიშნავს თავისუფლებას, ლიბერალიზმს ან ინდივიდუალიზმს: კანონები უნდა იცავდეს (დემოკრატიულ) ინდივიდს (დემოკრატიული) სახელმწიფოსაგან. ალექსის დე ტოკვილმა ნაწილობრივ არასწორად გაიგო მე-19 საუკუნის დასაწყისში შეერთებულ შტატებში არსებული დემოკრატია და თითქმის თანასწორობის სინონიმად აღიარა იმ დროს, როცა ანდრიუ კარნეგიმ თავის ბესტსელერში „ტრიუმფალური დემოკრატია", ის გამოიყენა თავისუფალი მეწარმეობის აღსანიშნავად – სადაც არსებობს დიდი სხვაობა მდიდარ და ღარიბ ფენას შორის, რაც განპირობებულია ტალანტით და ექვემდებარება ევოლუციის უცვლელ კანონებს. 1930 წლის პროფკავშირის კონფერენციაზე ერნესტ ბევინმა განაცხადა, რომ კენჭისყრის შემდეგ უმცირესობის მიერ უმეტესობის გადაწყვეტილების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება არადემოკრატიული იყო. მან არანაკლებ გულწრფელი და დამაბნეველი პასუხი მიიღო თანამემამულისგან, რომელმაც აღნიშნა, რომ მას ნებისმიერი რამის თქმა შეეძლო ისე, როგორც გაუხარდებოდა, როცა გაუხარდებოდა - თუნდაც ტრანსპორტისა და მუშათა საყოველთაო კავშირის წარმომადგენელი უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელიც იმ პერიოდში მრავლისმთქმელი იყო. დემოკრატია შესაძლოა განვიხილოთ, როგორც პოლიტიკური სისტემა, რომელიც ადგენს კონსტიტუციურ შეზღუდვებს, თავისუფლად არჩეული (შესაბამისად დემოკრატიული) მთავრობისთვისაც კი (ისტორიულად არადამაჯერებელი და, როგორც წესი, წმინდად რიტორიკული). განსხვავებულ შემთხვევას წარმოადგენს ხალხის უზენაესობის ან „საყოველთაო ნების" აღმნიშვნელი „კონსტიტუციური დემოკრატია", რომელიც უფრო პრიორიტეტული უნდა იყოს, ვიდრე იურისტების მიერ განმარტებული ფორმალური კონსტიტუციური შეზღუდვები. ბევრისთვის დემოკრატია „ერთი კაცის ერთ ხმაზე" (და ახლა უკვე ქალისაც) გაცილებით მეტი იყო იმ შემთხვევაში, თუ მოცემულს დაემატებოდა „რეალური არჩევანი". თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს ფართოდ განვიხილავთ და გავითვალისწინებთ, ცნება დემოკრატია შესაძლოა მივიჩნიოთ გარკვეულ რეცეპტად, რომელიც შედგება ყველასათვის მისაღები ინსტიტუტებისგან ან, უბრალოდ, წარმოადგენს „ცხოვრების სტილს", სადაც „დემოკრატიის სული" ხდება ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც ინსტიტუტების თავისებურებები. ზოგიერთისთვის ცხოვრების ასეთი სტილის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს საქმე და

არა სიტყვა: ადამიანები, რომლებიც დემოკრატიულად იქცევიან მეგობრობაში, საუბარში, ჩაცმულობასა და გართობაში - ისინი ყველას ისე ექცევიან, თითქოს თანასწორნი არიან.

ხშირად გვსმენია ლიბერალების ნათქვამი იმის შესახებ, რომ კომუნისტები დემოკრატიულობას იბრალებენ მაინცო. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ისინი იყვნენ კიდეც დემოკრატიულები ისტორიული ფონიდან გამომდინარე, სადაც უმრავლესობა თანახმა იყო, ყოფილიყო მართული იმ რეჟიმის მიერ, რომელიც ავტოკრატიისგან განსხვავებით, მოახდენდა მასების მობილიზაციას. ასეთი რეჟიმების თანახმად, აღარ იყო აქტუალური ანტიკური და უნივერსალური აქსიომა, სადაც ელიტა გლეხების ზემდგომად ჩაითვლებოდა – „მიეცით მძინარე ძაღლებს ნება, იწვნენ“. მეორეს მხრივ, არსებობს გლეხთა ნათქვამიც: როგორც ტენისონის პოემაშია გამოხატული – „ადამიანები მოდიან და მიდიან, მე კი სამუდამოდ დავრჩები“. თანამედროვე ავტოკრატიები და დიადი ქალბატონები და ბატონები მოსახლეობას ახალ მოთხოვნებს უყენებენ და მათ ამ უკანასკნელის თანხმობა სჭირდებათ - არა აქვს მნიშვნელობა, ეს თანხმობა ნებაყოფლობითი იქნება თუ რაიმე სახის წაქეზებით მიღებული.

ამიტომ, ჩვენ ნაჩქარევად არ უნდა დავასკვნათ, რომ არსებობს „ჭეშმარიტი დემოკრატია“, რომელიც იქნება კარგი მთავრობის, პოლიტიკური სამართლიანობის, თანასწორობის, თავისუფლებისა და ადამიანების უფლებების ბუნებრივი ნაზავი. იმ შემთხვევაში, თუ სიფრთხილით არ შევამოწმებთ და არ ვადევნებთ თვალყურს მოცემულ კომბინაციებს, ასეთი მერყევი ინგრედიენტები ხშირად შესაძლოა, არასტაბილურობის წყაროც კი გახდეს. არის თუ არა „კარგი მთავრობა“ ან „სოციალური სამართლიანობა“ აშკარად დემოკრატიული, თუნდაც ყველაზე ლიბერალური თვალსაზრისით? – სავარაუდოდ, არა. 1830 წელს ტოკვილმა დემოკრატიის გარდაუვალობის შესახებ დაწერა, თუმცა მან გაგვაფრთხილა „უმრავლესობის ტირანიის საფრთხის“ შესახებაც. შესაძლოა, მას უფრო მეტად თავისუფლება ადარდებდა, ვიდრე დემოკრატია; ხანდაზმულობაში ტომას ჯეფერსონმაც აღნიშნა, „ჩვენ არ ვიბრძოდით არჩევანზე დაფუძნებული დესპოტიზმისთვისო“; ოლივერ უენდელ ჰოლმსმაც, რომელიც შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში სამოქალაქო თავისუფლების დასაცავად იბრძოდა, ირონიულად მიანიშნა: „დემოკრატია არის ის, რაც სურს ბრბოს“; ჯონ სტუარტ მილი, რომლის „ესსე თავისუფლებაზე“ და „შენიშვნები წარმომადგენლობით ხელისუფლებასთან დაკავშირებით“ თანამედროვეობის უდიდეს წიგნებად მიიჩნევა, თვლიდა, რომ ყოველი ზრდასრული ადამიანი (დიახ, მათ შორის ქალბატონებიც) უფლებამოსილია, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სავალდებულო საშუალო განათლება აქვს მიღებული და თვალსაჩინოა ამ განათლების შედეგი. დღესდღეობით, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა უფრო და უფრო პოპულისტური ხდება. იგი უფრო მეტად ეყრდნობა საზოგადოებრივ აზრს, ვიდრე თანმიმდევრული პოლიტიკის გააზრებულ კონცეფციას. პოლიტიკურ ლიდერებს შეუძლიათ უსასრულოდ იმეორონ: „განათლება, განათლება, განათლება“, მაგრამ ეს ყველაფერი გააზრებული საზოგადოებრივი დებატების ნაცვლად მედიის მანიპულირებისა და ემოციების მომგვრელი სლოგანების დახმარებით განახორციელონ. მილსს ძალზე გაუჭირდებოდა ამ ყველაფრის განათლებული დემოკრატიის პროდუქტად აღქმა. ჩვენი მედია კი ტყუილის მეშვეობით ყველაფერს - რაც საზოგადოების ინტერესის სფეროს წარმოადგენს – ურევს და წეწავს და ამ ყველაფერს კვლავ „საზოგადოებრივ ინტერესად“ მოიხსენიებს.

სიტყვა „დემოკრატია“ სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელი და, ზოგადად, წმინდა რიტორიკული სიტყვაა. ის ნამდვილად არ მოიცავს კონკრეტულ ფასეულობებს და თავადაც არ არის აღმატებული ფასეულობა. იმის თქმა როდი მსურს, რომ „ჩაის შეშლილი წვეულების“ მაგვარ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც სიტყვები „იმას აღნიშნავს, რასაც ვამბობ“. თუმცა, არსებობს საზღვრები და ეს საზღვრები უნდა ვეძებოთ სიტყვა დემოკრატიასთან ასოცირებულ ოთხ ფართო ისტორიულ ცნებაში. ჩვენ ყოველი მათგანი ცალ-ცალკე უნდა

განვიხილოთ, რადგან ისინი ჩვენი ცივილიზაციის დასაბამსა და ცივილური სამყაროს მომავლის იმედს (როგორც ამას, მაგალითად, 19-ე საუკუნეში იმედოვნებდნენ) წარმოადგენენ. თითოეული განმარტების განხილვისას საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რაზე ვსაუბრობთ – იდეალსა თუ დოქტრინაზე, ქცევის ტიპზე თუ კონკრეტულ ინსტიტუციურ და კანონიერ წყობაზე? დემოკრატია შესაძლოა, ყოველივეს ერთად ან დამოუკიდებლად მოიცავდეს.

ცნება „დემოკრატია“ პირველად საბერძნეთში გამოიყენეს. პლატონი ამ ტერმინს თავს ესხმის, ხოლო არისტოტელე თავშეკავებულად იცავს. სიტყვა „დემოკრატია“ ბერძნულია და ორი ნაწილისგან შედგება: *დემოს* (ბრბო, სიმრავლე) და *კრატოსი* (მმართველობა, ძალა). პლატონის აზრით, ეს ცნება აღნიშნავს ღარიბი და უცოდინარი ფენის ბატონობას განათლებულ და მცოდნე ფენაზე. ის განასხვავებდა ცოდნასა და აზრს: დემოკრატია არის მმართველობა, უფრო სწორად, რიგითი აზრის ანარქია. არისტოტელემ მოცემული ხედვა სრულიად არ უარყო, თუმცა შეცვალა: კარგი მთავრობა წარმოადგენდა სხვადასხვა ელემენტების შენაერთს, სადაც რამოდენიმე ადამიანი, უმეტესობის თანხმობის გათვალისწინებით, მართავს სახელმწიფოს. ამ რამოდენიმე ადამიანს უნდა გააჩნდეს ***arête,*** ბრწყინვალება, არისტოკრატიის იდეალიზებული ცნება. გაცილებით მეტი ადამიანი შესაძლოა, გამხდარიყო მოქალაქეობისთვის შესაფერისი განათლებისა და კერძო საკუთრების ფლობის საფუძველზე (არისტოტელეს მიაჩნდა, რომ ორივე აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა მოქალაქეობისთვის). დემოკრატია, როგორც დოქტრინა ან იდეალი, არისტოკრატული პრინციპებისა და ცოდნის გარეშე, უბრალო ცდომილებას წარმოადგენდა – რწმენას იმისა, რომ „თუ ადამიანები თანასწორნი არიან გარკვეულ საკითხებში, ისინი თანასწორნი არიან ყველაფერში“.

დემოკრატიის შემდგომი გამოყენება გვხვდება რომის რესპუბლიკაში, მაკიაველის უდიდეს „დისკურსებში“, 17-ე საუკუნის ინგლისელ და ჰოლანდიელ რესპუბლიკელებთან და ამერიკის ადრეულ რესპუბლიკაში. მოცემული განმარტების შესაბამისად, კარგი მთავრობა არის შერეული მთავრობა (ისევე როგორც არისტოტელეს თეორიაში), მაგრამ აქ დემოკრატიის პოპულარული ელემენტი უფრო მეტ ძალას სძენს სახელმწიფოს. კარგი კანონები, რომლებიც დაიცავენ ყველას, არასაკმარისად კარგია იმ შემთხვევაში, თუ დაქვემდებარებაში მყოფნი არ გახდებიან აქტიური მოქალაქეები, რომლებიც თავად დააწესებენ საკუთარ კოლექტიურ კანონებს. მოცემული არგუმენტი მორალური და იმავდროულად გონივრულია. მორალური არგუმენტი საკმაოდ ცნობილია: რომაული კერპთაყვანისმცემლობაც და შემდგომი პროტესტანტიზმიც ერთნაირად განიხილავს პიროვნებას, როგორც აქტიურ ინდივიდს, შემოქმედსა და შემქმნელს, შესაბამისად, არა როგორც მხოლოდ კანონმორჩილ და კარგი ყოფაქცევის მქონე ადამიანს, რომელიც, უბრალოდ, ეთანხმება ტრადიციულ წესრიგს. რაც შეეხება გონივრულ არგუმენტს, სახელმწიფო, რომელსაც საკუთარი მოსახლეობა ენდობა, ძლიერი სახელმწიფოა. მოქალაქეებით დაკომპლექტებული ჯარი და მილიცია/პოლიცია უფრო მოტივირებულად დაიცავდა სამშობლოს, ვიდრე დაქირავებული და ანგარებიანი პროფესიონალი.

მესამედ – დემოკრატიის გამოყენებას ფრანგული რევოლუციის რიტორიკასა და მოვლენებში, აგრეთვე ჟან-ჟაკ რუსოს ჩანაწერებში ვხვდებით. განათლებისა და საკუთრების მიუხედავად, ყველა უფლებამოსილია, დააფიქსიროს საკუთარი ნება საზოგადოებრივ საკითხებთან დაკავშირებით. მართლაც, საერთო ნება ან საერთო სარგებელი უფრო გასაგებია ჩვეულებრივი, უანგარო და ბუნებრივი, რიგითი ადამიანისთვის, საკუთარი გამოცდილებისა და სინდისიდან გამომდინარე, ვიდრე ზეგანათლებული, მაღალი საზოგადოების ყალბი წარმომადგენლებისთვის. ამჟამად ამ ხედვას ბევრი კლასისა თუ ერის თავისუფლებას უკავშირებს და არა მის შევიწროვებას, უმეცრებას ან ცრურწმენას, თუმცა, სავალდებულო არ არის მისი დაკავშირება პირად თავისუფლებასთან. (ალბათ, გახსოვთ, XVII-XIX საუკუნეებში ევროპაში უმრავლესობა, ვისაც თავისუფლება ადარდებდა, სულაც

არ უწოდებდა საკუთარ თავს დემოკრატს. ისინი საკუთარ თავს კონსტიტუციონალისტებად ან სამოქალაქო რესპუბლიკელებად მოიხსენიებდნენ, ანგლოამერიკელები კი – ვიგებად).

მეოთხედ – დემოკრატიის გამოყენებას ამერიკის კონსტიტუციაში, ევროპის XIX საუკუნის კონსტიტუციაში, დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის ახალ კონსტიტუციებში (რომლებიც მეორე მსოფლიო ომს მოჰყვა) ვხვდებით. აგრეთვე ჯონ სტუარტ მილის და ალექსის დე ტოკვილის ჩანაწერებში, რომელთა მიხედვით: ყველა ადამიანს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა, თუკი ადარდებს (და უნდა ადარდებდეს), მაგრამ ამ ადამიანებმა პატივი უნდა სცენ თანამოქალაქეთა თანაბარ უფლებებს მარეგულირებელი კანონმდებლობის ფარგლებში, რომელიც განმარტავს, იცავს და ზღუდავს მოცემულ უფლებებს. ეს არის ის, რასაც დღესდღეობით შეერთებულ შტატებში, ევროპაში, იაპონიაში და ა.შ. ზოგადად, დემოკრატიად მიიჩნევენ – ნაზავი (საკმაოდ ხშირად ბუნდოვანი) ადამიანთა ძალაუფლების იდეისა და კანონით გარანტირებული ინდივიდუალური უფლებების იდეისა. შევთანხმდეთ და მას „თანამედროვე დემოკრატია“ ვუწოდოთ. ეს ორი კომპონენტი უნდა იყოს კომბინირებული, თუმცა, ორივე განსხვავებულ ცნებას წარმოადგენს და, შესაბამისად, პრაქტიკაში ერთმანეთის ურთიერთგამომრიცხავიც შეიძლება გახდეს. შესაძლოა, არსებობს და ფაქტია, რომ მართლაც არსებობდა, არატოლერანტული დემოკრატიები და გონივრულად ტოლერანტული ავტოკრატიები. მრეწველობის, მასობრივი ფრენჩაიზინგისა და მასობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ეპოქაში, რთულია თავისუფლებისა და ხალხის ძალაუფლების კომბინირება.

დემოკრატიისა და *პოლიტიკური* მმართველობის შექმნის, ისევე როგორც მოქალაქეებს შორის პოლიტიკური დებატების ტრადიციის საფუძვლები ბერძნული *პოლისისა* და ანტიკური რომაული რესპუბლიკის პრაქტიკაში გვხვდება. ეს არ არის ევროცენტრისტული ან ბერძნულ-რომაულ-ცენტრისტული ხედვა. ეს ისტორიული ფაქტია. უდიდესი იმპერიები, ფართომასშტაბიანი სახელმწიფო ფორმაციები თავდაპირველად ევროპული მენტალიტეტისა და მიწის მიღმა აღმოცენდა, ხოლო უნივერსალური მონოთეისტური რელიგიები ახლო აღმოსავლეთიდან და აზიიდან გავრცელდა. რაც შეეხება თანამედროვე მეცნიერებას, დემოკრატიულ იდეებსა და მათ გამოყენებას, მათ ევროპაში ჩაეყარა საფუძველი. მეცნიერება, რელიგია, დემოკრატია და ყველაფერი დანარჩენი, მოგზაურობისას იერსახეს იცვლის, რადგან ისინი თავადაც ზემოქმედებენ სხვადასხვა ისტორიულ კულტურებზე და თვით ეს კულტურებიც ზემოქმედებენ მათზე.

დევიდ მილერი

თავისუფლება და მთავრობის შეზღუდვები *

თუ წარმოვიდგენთ დროის მანქანით ჩვენს სინამდვილეში გადმოსულ სიენელ მხატვარს ამბროჯიო ლორენცეტის და დავინტერესდებით მისი მოსაზრებით ამ წიგნში აღწერილი პოლიტიკური ფილოსოფიის შესახებ, დარწმუნებული ვარ, რომ მას ბევრი რამ, რაც კი აქამდე ითქვა, ნაცნობი და სავსებით მისაღები მოეჩვენებოდა. ის, ალბათ, იფიქრებდა, რომ ანარქისტულ იდეებს უფრო მეტი ადგილი დავუთმე, ვიდრე ისინი იმსახურებენ და უცნაურად მოეჩვენებოდა, რომ ყველას უნდა ჰქონდეს მორალური პროტესტი მელიებზე ნადირობის წინააღმდეგ, მაგრამ პოლიტიკური ძალაუფლების არსთან, მმართველებისთვის აუცილებელ ატრიბუტთან – პასუხისმგელობა აიღონ მთელს მოსახლეობაზე, და იმასთან მიმართებაში, რასაც მოითხოვს კარგი პოლიტიკური გამჭრიახობა, ჩვენი აზრები (იმედი მაქვს) სავსებით დაემთხვეოდა ერთმანეთს. თუმცა თავი, რომელსაც ახლა ვიწყებ, ლორენცეტის ძალიან დამაბნევლად მოეჩვენებოდა. აქ საუბარია იმაზე, არსებობს თუ არა ადამიანური თავისუფლების არეალი, რომელთანაც პოლიტიკოსებს შეხება არ უნდა ჰქონდეთ, ან არსებობს ადამიანის ცხოვრების არეალები, რომლებშიც მთავრობა კატეგორიულად არ უნდა ჩაერიოს. ეს იდეა, რომელიც ჩვენი საუკუნის დომინანტური პოლიტიკური იდეოლოგიის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს, იმ პერიოდში, როცა ლორენცეტი ხატავდა, არ არსებობდა. რა თქმა უნდა, ლორენცეტის კარგმა მთავრობამ თავის ხალხს თავისუფლების დიდი დოზა დაუტოვა. მათ თავისუფლად შეეძლოთ მიჰყოლოდნენ მეურნეობას, ევაჭრათ, ენადირათ და ა.შ. მაგრამ ეს არ იყო პრინციპული პრობლემა, უფრო მეტად, საქმე ეხებოდა მთავრობების შეზღუდულ კომპეტენციას, ჩარეულიყვნენ ყოველდღიური ცხოვრების ამ სფეროებში.

შეზღუდული კომპეტენციის მთავრობის იდეა შეიქმნა რამდენიმე საუკუნის წინ. პირველი იმპულსები წამოვიდა რელიგიური კონფლიქტებიდან, რასაც მე-16 საუკუნეში მოჰყვა რეფორმაცია ევროპაში – როდესაც შეირყა რომის კათოლიკური ეკლესიის მონოპოლია ქრისტიანული საზოგადოებების რელიგიურ ცხოვრებაზე. ამის პირველი რეაქცია ის იყო, რომ ყოველ პოლიტიკურ საზოგადოებას უნდა ჰქონოდა მისთვის დაწესებული რელიგია, კათოლიკური ან პროტესტანტული. თუმცა პროტესტანტული სექტების გამრავლებამ გაზარდა რელიგიური ტოლერანტობის საჭიროება: განსაზღვრული შეზღუდვების ფარგლებში ყოველ პიროვნებას მიენიჭა უფლება, ეპოვა საკუთარი გზა ღმერთისკენ და სახელმწიფოს საქმე აღარ იყო, ჩარეულიყო ამ ძიებაში. დროთა განმავლობაში რელიგიური თავისუფლების საჭიროება გაფართოვდა და გადაიზარდა პიროვნული თავისუფლების უფრო ფართო მოთხოვნილებაში. ყოველ პიროვნებას უნდა ჰქონოდა უფლება საკუთარი შეხედულებების და ცხოვრების საკუთარი გზის აჩევანისა, ვიდრე ეს პირდაპირ არ შეეხებოდა ვინმე სხვას. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის რომანტიკული მოძრაობა, რომელმაც ყველა მომდევნო თაობას უანდერძა იდეა, რომ ყოველი ადამიანი უნიკალური ინდივიდია და თითოეულის ცხოვრება ნამდვილად შედგება, თუკი მას ნებას მისცემენ, თავად აირჩიოს, როგორ იცხოვროს. ეს კი მოითხოვს დიდ არეალს, რათა გამოიცადოს ცხოვრების ახალი და არაკონვენციონალური გზები – ახალი საქმიანობები, მხატვრული გამოხატვის ახალი საშუალებები, პირადი ურთიერთობების ჩამოყალიბების ახალი გზები და ა.შ. – როგორც ჯონ სტუარტ მილი (უტილიტარისტი, ფემინისტი და თავისუფლების დამცველი) აყალიბებს თავის კლასიკურ ნაწარმოებში *თავისუფლების შესახებ*:

---

* წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს მეოთხე თავის თარგმანს წიგნისა: „პოლიტიკური ფილოსოფია. მოკლე შესავალი“.

> არ არის აუცილებელი, რომ ადამიანის მთელი არსებობა დაფუძნებული იყოს ერთ ან მცირე რაოდენობის მაგალითებზე. თუკი ადამიანს აქვს საღი აზრისა და გამოცდილების ფრიად დამაკმაყოფილებელი დოზა, უმჯობესია, მან საკუთარი მეთოდით მოაწყოს თავისი ცხოვრება – არა იმიტომ, რომ ის თავისთავად საუკეთესოა, არამედ იმიტომ, რომ ეს მისი საკუთარი მეთოდია. ადამიანები ცხვრებს არ ჰგვანან, მით უფრო – ცხვრებიც კი არ არიან განურჩევლად მსგავსნი.

ვინაიდან ინდივიდუალურ თავისუფლებას ძალიან დიდი ღირებულება აქვს, ლიბერალები ასაბუთებდნენ, რომ მთავრობებს ხელი უნდა შეეშალოს, ჩაერიონ მასში, მიუხედავად იმისა, რამდენად კარგად არის ის (მთავრობა) ჩამოყალიბებული. კარგი მთავრობები არაა საკმარისი: თვით საუკეთესოდ ჩამოყალიბებული და საუკეთესო განზრახვის მქონე მთავრობაც ვერ გაუძლებს ცდუნებას, შეიჭრას იმ არეალებში, რომლებშიც ინდივიდუალური თავისუფლება ხელშეუხებელი უნდა იყოს. ეს იდეა ლორენცეტის უცნაურად მოეჩვენებოდა და მეც სწორედ მას ვიკვლევ მოცემულ თავში. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება ორი ცენტრალური შეკითხვა: პირველი, ზუსტად რას წარმოადგენს თავისუფლება, რომელზეც ვსაუბრობთ? რას ნიშნავს, როდესაც ვამბობთ, რომ ვიღაც თავისუფალია გააკეთოს ესა თუ ის, ან იცხოვროს ერთგვარად ან სხვაგვარად? მეორე – რა არის ინდივიდუალური თავისუფლების საზღვრები? რა მოხდება, თუკი ჩემი თავისუფლება კონფლიქტში მოვა სხვა პოლიტიკურ მიზნებთან, რომლებიც ვინმე სხვის თავისუფლებას მოიცავს? არსებობს რაიმე პრინციპული გზა ამის გადასაწყვეტად?

მოდით, დავიწყოთ თავად თავისუფლებიდან. ეს არის ძნელადმისაღწევი იდეა, რომლითაც სავსეა პოლიტიკური ფილოსოფიის შესახებ მრავალი წიგნის ფურცლები. თავდაპირველად ვიტყვით, რომ პიროვნების თავისუფლება დამოკიდებულია მრავალ არჩევანზე, რომლის წინაშეც ის დადგება და მის შესაძლებლობაზე, გააკეთოს არჩევანი მათ შორის. ადამიანს, რომელსაც აქვს არჩევანი ათ განსხვავებულ სამუშაოს შორის, უფრო მეტი თავისუფლება აქვს, ვიდრე ადამიანს, რომელიც მხოლოდ ორ შეთავაზებას შორის აკეთებს არჩევანს. რა თქმა უნდა, ვარიანტების ხარისხიც თამაშობს როლს: თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ ორ კარგ სამსახურს შორის არჩევანის გაკეთება უფრო მეტ თავისუფლებას განიჭებთ, ვიდრე ათ ცუდ შემოთავაზებას შორის არჩევანის გაკეთება, მეტადრე, თუკი ეს ცუდი სამსახურები ყველა მსგავსია (ქუჩის დამლაგებელი, ოფისის დამლაგებელი, ტუალეტის დამლაგებელი და ა.შ.).

უმჯობესია, „ვარიანტების რაოდენობის“ ნაცვლად თუ ვიტყვით – „ვარიანტების ხარისხი“, როდესაც ხდება ორივე მხარის გათვალისწინება – რამდენად განსხვავებულია ვარიანტები და რამდენად ღირებულია ისინი. რაც შეეხება მეორე პუნქტს – „არჩევანის შესაძლებლობა“, ეს იმ შემთხვევაში გვჭირდება, როდესაც პიროვნება დგება არჩევანის წინაშე და რაღაც მიზეზის გამო ვერ ახერხებს ვარიანტებს შორის სწორი არჩევანის გაკეთებას. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ ვიღაც გაყენებთ არჩევანის წინაშე, ამ საღამოს ორი სპექტაკლიდან ერთ-ერთის სანახავად წახვიდეთ, მაგრამ მხოლოდ მათ სახელებს გეუბნებათ. არცერთი მათგანი თქვენთვის არაფერს ნიშნავს. შეგიძლიათ, ალალ-ბედზე ამოირჩიოთ სპექტაკლი, მაგრამ ვერ შეძლებთ იმის განსაზღვრას, რომელი სპექტაკლის ნახვა უფრო მოგეწონებოდათ; ან წარმოვიდგინოთ შემდეგი სიტუაცია. ვიღაც მთლიანად დედის გავლენის ქვეშაა და ყოველთვის იმას აკეთებს, რასაც დედა ეუბნება. მას სთავაზობენ სხვადასხვა სამსახურს, მაგრამ ის ირჩევს იმას, რომელსაც დედამისი უწევს რეკომენდაციას. ერთის მხრივ, მას აქვს სამსახურის არჩევის თავისუფლება, მეორეს მხრივ კი – არა აქვს.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავისუფლებას აქვს გარეგანი და შინაგანი ასპექტები: ეს დამოკიდებულია იმაზე, სამყარო ისე იყოს მოწყობილი, რომ ადამიანი იდგეს ბევრი გახსნილი კარის წინ, მაგრამ ასევე დამოკიდებულია იმაზე, შეუძლია თუ არა მას,

სწორად ამოირჩიოს, თუ რომელ კარში შევიდეს. ახლა უფრო ღრმა ანალიზი გვჭირდება იმის დასანახად თუ, რას ნიშნავს გახსნილი კარი და რას ნიშნავს ჭეშმარიტი არჩევანი. როდის შეგვიძლია ვთქვათ, რომ პიროვნებისათვის ამა თუ იმ ვარიანტის არჩევა მისაღებია? ან შევატრიალოთ კითხვა და ვთქვათ, როდისაა ვარიანტი *მიუღებელი?*

ყველაზე გამოკვეთილი არის ის შემთხვევა, როდესაც პიროვნების ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლებელია მისთვის ამ ვარიანტის განხილვა. ადამიანს, რომელიც შეჭირვებულ მდგომარეობაში, ან საპატიმროშია, ძალიან მცირე თავისუფლება აქვს, რადგან ფიზიკურად შეზღუდულია, გააკეთოს, თითქმის, ყველაფერი ის, რასაც სხვა შემთხვევაში გააკეთებდა. ზოგიერთი პოლიტიკური ფილოსოფოსი, მათ შორის ჩვენი ძველი მეგობარი ჰობსი, ასაბუთებდა, რომ მხოლოდ ფიზიკური დაბრკოლებები ზღუდავენ ადამიანების თავისუფლებას. მაგრამ ხალხის უმეტესობისათვის ეს ძალიან ვიწრო ხედვაა. ჩვენ ზოგადად ვფიქრობთ, რომ ვარიანტები მიუღებელი ხდება მაშინ, როცა მათთან სხვადასხვა სახის სანქციებია დაკავშირებული. კერძოდ, კანონები თავისუფლებას უზღუდავენ იმათ, ვინც უნდა დაემორჩილოს მათ, რადგან კანონდამრღვევები ისჯებიან. ფიზიკურად ვერავინ შემიშლის ხელს, რომ გადაჭარბებული სიჩქარით ვატარო მანქანა, ან ჩავამტვრიო მეზობლის სახლის ფანჯრები, მაგრამ თუკი მე ჩავიდენ მსგავს საქციელს, მოსალოდნელია, რომ დამაკავონ და დამსაჯონ, აქედან გამომდინარე, არა ვარ თავისუფალი იმაში, რომ მსგავსი საქციელი ჩავიდინო. იგივე ეხება მუქარას კერძო პირების მხრიდან. თუ ვინმე დამემუქრება, რომ მცემს, თუ კიდევ ერთხელ დამინახავს, როგორ ვესაუბრები მის მეგობარ გოგონას, მაშინ (და თუ, სავარაუდოდ, მუქარა სერიოზულ სახეს ატარებს), ეს არჩევანი აღარაა ჩემთვის მისაღები.

ფიზიკურად თავის არიდება და სანქციები, ზოგადად, აღიარებულია ბარიერებად, რომლებიც ამცირებენ თავისუფლებას. უფრო მეტი წინააღმდეგობა წარმოიქმნება იმ შემთხვევებში, როცა ადამიანები თავს იკავებენ რაღაცის გაკეთებისგან ხარჯის გამო მაშინ, როცა ხარჯი არ არის დაკავშირებული დასჯასთან ან სხვა რაიმე სანქციასთან. როდესაც სვამენ შეკითხვას, აქვს ღარიბ ადამიანს იმის თავისუფლება, რომ ისადილოს ძვირფას რესტორანში, მაგალითად „რიცში“? – ჩვენ იმიტომ ვპასუხობთ „არას“, რომ სინამდვილეში არანაირი საშუალება არ არსებობს იმისათვის, რომ ამ ადამიანმა ისადილოს „რიცში“; ან ვამბობთ „კის“, რადგან ერთადერთ დაბრკოლებას მისი უსახსრობა წარმოადგენს და არა რიცის მეპატრონეების ან ვინმე სხვის განზრახვა, არ მისცეს ამ ადამიანს იქ ჭამის საშუალება? ეს, უბრალოდ, ფილოსოფიურ შეკითხვაზე მეტია, რადგან ჩვენი პასუხი წარმოაჩენს, თუ როგორ ვფიქრობთ მთავრობასა და თავისუფლებას შორის ურთიერთობის საკითხზე. მმართველობის პოლიტიკურ კურსებს შორის არის ისეთიც, როდესაც რესურსები ერთი ხელიდან მეორეში გადადის – როგორც წესი, უკეთესად უზრუნველყოფილი პირებიდან გადაეცემა უარესად უზრუნველყოფილებს. გვაინტერესებს, ზრდის ეს ბენეფიციარების თავისუფლებას და ამცირებს სპონსორების თავისუფლებას, თუ არცერთზე არ მოქმედებს, ან ორივეზე აქვს ზეგავლენა?

მოდით, განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი, რომლებშიც ადამიანები ხარჯის გამო ვერ აკეთებენ რაღაცას, რასაც სხვა შემთხვევებში გააკეთებდნენ. უნდა ვთქვათ, რომ როდესაც ხარჯი აღწევს გარკვეულ ზღვარს, ადამიანები აღარ არიან თავისუფლები? ეს მეტად მარტივია: შევადაროთ მოკრძალებული შემოსავლის მქონე ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია £10,000 ღირებულების დასასვენებელი ტურის ყიდვა იგივე შემოსავლის მქონე ადამიანთან, რომელსაც ესაჭიროება ოპერაცია მტანჯველი მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მკურნალობა კი, ასევე £10,000 ღირს. რატომ ვამბობთ, რომ მეორე პიროვნება არ არის თავისუფალი, გაიკეთოს აუცილებელი ოპერაცია – მაშინ, როდესაც პირველ შემთხვევაში ჩვენ ტიპიურად განსხვავებულ ენას ვიყენებთ – ის თავისუფალია დაისვენოს, მაგრამ, უბრალოდ, თავს ვერ აძლევს ამის უფლებას? რატომ ჟღერს თავისუფლების ენა მეორე

შემთხვევაში ბუნებრივად, პირველში კი არა? ძვირიანი შვებულება ფუფუნების საგანია, რომლის გონივრული განაწილებაც უნდა მიენდოს ეკონომიკურ ბაზარს, სადაც ადამიანებს შეუძლიათ გააკეთონ არჩევანი იმისდა მიხედვით, თუ რამდენს გამოიმუშავებენ და როგორ ხარჯავენ შემოსავალს. შეძლებდა კი აღნიშნული პიროვნება £10,000-ს შეგროვებას იმით, რომ უფრო მეტი საათი ემუშავა, შეეცვალა სამსახური, ან შეემცირებინა სხვა ხარჯები – ეს საკამათო საკითხია. რაც დაბეჯითებით ვიცით, ის არის, რომ არავის ჰქონდა ვალდებულება, უზრუნველეყო ის ამ ტურით.

ამის საპირისპიროდ, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ის, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს ჯანმრთელობის შესაბამისი დაცვა; სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ან ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარზე ისე მოხდეს რეგულირება, რომ ყველას შეეძლოს შესაბამისი დაზღვევის შეძენა.

ამგვარად, თუკი ვიღაც საჭირო ოპერაციისთვის £10,000-იანი ქვითრით ბედისანაბარაა მიტოვებული, ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს, რომელმაც თავისი ვალდებულება ვერ შეასრულა. არის კი არჩევანის გაკეთებასთან დაკავშირებული ხარჯი თავისუფლების შეზღუდვა, რაც მხოლოდ იმაზე კი არ არის დამოკიდებული, რამდენად მაღალია ხარჯი, არამედ იმაზეც, თუ როგორ წარმოიქმნა ეს ხარჯი და ვინმე სხვა თუ შეიძლება ჩაითვალოს მასზე პასუხისმგებლად.

ამიტომ, საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება, რომ რაც უფრო მეტს აკეთებენ მთავრობები, მით უფრო ნაკლები თავისუფლება აქვს ხალხს, მცდარია. ზოგჯერ მთავრობები ზღუდავენ თავისუფლებას, რაც ზოგჯერ გამართლებულია, ზოგჯერ კი – არა (მაგალითად, კანონმდებლობა უსაფრთხოების ღვედთან დაკავშირებით ზღუდავს მანქანების მომხმარებლების თავისუფლებას, მაგრამ ადამიანების უმრავლესობის აზრით, სიცოცხლის დაცვის თვალსაზრისით, ეს გამართლებულია). თუმცა, სხვა მხრივ, მთავრობის ქმედებამ შეიძლება გაზარდოს თავისუფლება იმით, რომ მისცეს ხალხს ვარიანტები, რომელიც მათ სხვა შემთხვევაში არ ექნებოდათ, მასთან დაკავშირებული ხარჯის გამო. უნდა განვიხილოთ განსაკუთრებული ნორმები იმის სანახავად, რომ გარკვეული ვარიანტების მიცემით არ ხდება შეუძლებელი სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ვარიანტებით სარგებლობა. სამწუხაროდ, პოლიტიკურ რიტორიკას „თავისუფალი საზოგადოების შესახებ“ არ მივყავართ ამ დეტალამდე. პოლიტიკურ ფილოსოფოსებს, რომლებსაც ზუსტად აინტერესებთ, რას ვგულიხმობთ, როცა ვამბობთ, რომ პიროვნება თავისუფალია ან არ არის თავისუფალი გააკეთოს არჩევანი, შეუძლიათ დაგვეხმარონ, რომ უფრო მეტად ინფორმირებული და დეტალური აზრი შეგვექმნას მთავრობასა და პიროვნულ თავისუფლებას შორის ურთიერთობაზე. ეს წარმოადგენს კარგ მაგალითს პირველ თავში ჩემს მიერ ჩამოყალიბებულ არგუმენტთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ფილოსოფიური აზროვნების ღირებულებას დღევანდელი პოლიტიკური პრობლემების შესახებ.

მთავრობას ცოტა რამ შეუძლია გააკეთოს უშუალოდ თავისუფლების შინაგან ასპექტთან დაკავშირებით, ანუ პიროვნების შესაძლებლობასთან მიმართებაში – შესაძლო ვარიანტებს შორის აირჩიოს ჭეშმარიტი. ამას ზოგჯერ „პოზიტიურ თავისუფლებას“ უწოდებენ „ნეგატიური თავისუფლებისაგან“ განსხვავებით ისეთ ვარიანტებთან დაკავშირებით, რომლებიც არ იბლოკება გარეშე ფაქტორების მხრიდან. თავისუფლების ეს ორი ტიპი ერთმანეთს შეადარა პოლიტიკურმა ფილოსოფოსმა ისაია ბერლინმა (მეოცე საუკუნის ყველაზე მეტად კითხვადი ფილოსოფოსი თავისუფლების საკითხებზე) ცნობილ ლექციაზე სახელწოდებით – „თავისუფლების ორი კონცეფცია“. ბერლინს უნდოდა წინა პლანზე წამოეწია „პოზიტიური თავისუფლების“ საფრთხეები, რომელთა გამოყენებაც, მისი რწმენით, იმგვარად იქნებოდა შესაძლებელი, რომ გაემართლებინა ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმები, როგორიცაა, მაგალითად, სტალინის საბჭოთა კავშირი, რომელმაც სუბიექტებს ძალიან

ცოტა „ნეგატიური თავისუფლება“ მისცა. მაგრამ მე მჯერა, რომ უფრო ნაყოფიერი იქნება ამის დამატებით განხილვა. მე ადრეც მოვიტანე მაგალითები და გამოვთქვი ვარაუდი, თუ რატომ უნდა დავინტერესდეთ სწორი არჩევანით, მქონდა ასევე მაგალითები ვარიანტების ხელმისაწვდომობაზე. მაგრამ საიდან უნდა ვიცოდეთ, რომ არჩევანი სწორია? ამის გადაწყვეტა უფრო რთულია.

ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება გაგვიადვილდეს, თუ ამ საკითხს საპირისპირო მხრიდან შევხედავთ და ვიკითხავთ, როდისაა არჩევანი აშკარად არასწორი? ამის სრულიად ნათელი მაგალითია მავნე ჩვევების მქონე ადამიანები. მაგალითად, კლეპტომანები, რომლებსაც, უბრალოდ, არ შეუძლიათ თავი შეიკავონ მაღაზიაში რაღაცის მოპარვისგან, როცა ამის შესაძლებლობა აქვთ, ან ნარკომანები, რომლებიც ყველაფერზე წავლენ, რომ შემდეგი დოზა მიიღონ. ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები ასეთ გადაწყვეტილებას ძლიერი სურვილის მოწოლის დროს იღებენ, მაგრამ შემდეგ, როდესაც აანალიზებენ ამას, ხვდებიან, რომ ეს არ არის ის სურვილები, რაც უნდათ რომ ჰქონდეთ; რომ შეეძლოთ დააჭირონ ღილაკს თითი და გათავისუფლდნენ ამ მავნე ჩვევისგან, გააკეთებდნენ ამას. მათი გადაწყვეტილება, რომ მოიპარონ პერანგი ან გაიკეთონ ჰეროინი, არ წარმოადგენს სწორ არჩევანს, რადგან ის მოტივირებულია ძლიერი სურვილით, რაც აღნიშნულ ადამიანს უკეთეს შემთხვევაში არ ექნებოდა.

განსხვავებულ მაგალითთან გვაქვს საქმე, როდესაც პიროვნების არჩევანი განპირობებულია გარეგანი ზემოქმედებით, როდესაც გოგონა ყოველთვის იმას აკეთებს, რასაც დედა ეუბნება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პიროვნება კმაყოფილი ჩანს თავისი გადაწყვეტილებებით, მას არა აქვს შინაგანი ბრძოლა, როგორც ეს მანიაკებისა და ნარკომანების შემთხვევაში ხდება, მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ, რომ ეს არაა ნამდვილად მისი გადაწყვეტილებები. ჭეშმარიტი გადაწყვეტილება მოითხოვს დამოუკიდებლობის განსაზღვრულ ტიპს. თავისუფალმა პიროვნებამ უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს, რა უნდა ნამდვილად და რისი სჯერა ნამდვილად, მას უნდა შეეძლოს უარყოს გარეშე პასუხები. ადამიანები კარგავენ თავისუფლებას, როდესაც სოციალური წნეხი, დაექვემდებარონ მიღებულ ჩვეულებებს ან შეხედულებებს, იმდენად ინტენსიური ხდება, რომ მათ აღარ შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა. რელიგიას და პოლიტიკურ იდეოლოგიას შეუძლიათ ჰქონდეთ ასეთი გავლენა.

როგორ შეგვიძლია შევუწყოთ ხელი ამ შინაგან თავისუფლებას და ჭეშმარიტი არჩევანების გაკეთების უნარს? ერთ გზას წარმოადგენს ის, რომ ხალხს შევთავაზოთ ალტერნატივების ფართო სპექტრი, ისე რომ შეხედულებების ერთ-ერთი ნაკრები, ან ცხოვრების ერთ-ერთი გზა სწორი და მისაღები აღმოჩნდეს მათთვის. (მეორეს მხრივ, რელიგიური სექტები და პოლიტიკური რეჟიმები, რომლებსაც უნდათ აკონტროლონ მათი წევრების არჩევანი, ბევრ რამეზე მიდიან იმის საგარანტიოდ, რომ არ მოხდეს რამე, რაც მათ მიერ მოწონებულ ცხოვრების გზას არ შეესაბამება). ამგვარად, მთავრობას შეუძლია მხარი დაუჭიროს თავისუფალ არჩევანს სოციალური მრავალფეროვნების ხელშეწყობის გზით, როგორიცაა: ხალხისათვის ცხოვრების ახალი გზების, კულტურის ახალი ფორმების და ა.შ. ჩვენება. ამგვარი პოლიტიკის ერთ პრაქტიკულ მანიფესტაციას წარმოადგენს განათლების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვებს, კრიტიკულად იფიქრონ იმ შეხედულებებსა და ღირებულებებზე, რომლებიც მემკვიდრეობით მიიღეს მშობლებისაგან ან მათი სოციალური ქსელისგან შეითვისეს. იმავდროულად, მათ უნდა გააცნონ სხვა რწმენები და კულტურული ღირებულებები – საერთო სკოლაში სხვადასხვა საზოგადოებებიდან ბავშვების ერთად თავმოყრის გზით. მაგრამ, გარეგანი თავისუფლებისგან განსხვავებით, შინაგანი თავისუფლების გარანტირება შეუძლებელია. ზოგიერთი ადამიანი ბუნებითაა დამოუკიდებელი, სხვები კონფორმისტებად არიან დაბადებული. ყველაფერი, რისი გაკეთებაც კი პოლიტიკას შეუძლია, არის ის, რომ შეუქმნას ადამიანებს შესაფერი პირობები, რომ შეძლონ ცხოვრებაში საკუთარი გზის არჩევა.

აქამდე შევეცადე ამეხსნა, რა არის თავისუფლება და რატომ არის ის ასე ძალიან ღირებული თანამედროვე საზოგადოებაში. ახლა მინდა, გამოვიკვლიო მისი შეზღუდვები. ის, რომ ინდივიდუალური თავისუფლება სხვადასხვა გზით უნდა იქნას შეზღუდული, თავისთავად გასაგებია: ყოველი ადამიანის თავისუფლება უნდა შეიზღუდოს, რათა ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა, ერთი და იგივე ხარისხით დატკბეს (გარეგანი) თავისუფლებით, თუმცა, გარდა ამისა, არსებობს ბევრი კანონიერი სოციალური მიზანი, რომელთა განხორციელება მოითხოვს შეზღუდვების დაწესებას იმაზე, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ ცალკეულ პიროვნებებს. მაგალითად, გარემოს დასაცავად ხელი უნდა შევუშალოთ ხალხს, დაყარონ ნაგავი, მოწამლონ ჰაერი გამონაბოლქვისგან, გადააქციონ ველური ბუნების გარემო საცხოვრებელ არეალად და ა.შ. ჩვენ ვაბალანსებთ თავისუფლებას სხვა ღირებულებებთან მიმართებაში, მაგრამ ზოგჯერ თავისუფლებამ გზა უნდა მოგვცეს. რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ეს დაბალანსება? არსებობს კი, საერთოდ, პიროვნული თავისუფლების სფერო, რომელშიც ჩარევას ვერასოდეს გავამართლებთ? მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად კარგად მოგვეჩვენებოდა თავისუფლების შეზღუდვის შედეგები.

ჯონ სტუარტ მილს, რომლის ესსედან *თავისუფლების შესახებ* უკვე მოვიყვანე ციტატები, სჯეროდა, რომ ნამდვილად არსებობდა ისეთი სფერო, რომლის ფარგლებში თავისუფლება ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო. ის ამას შემდეგნაირად ასაბუთებდა: თუ პიროვნების მოქმედებები „საკუთარ თავზე იყო ორიენტირებული“, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვისი ინტერესებისათვის არავითარი ზიანი არ მოჰქონდა, და შესაძლოა მხოლოდ საკუთარი თავისთვის მოეტანა რაიმე ზიანი, მაშინ მასში ჩარევა არ იყო საჭირო. მილი ფიქრობდა, რომ ეს პრინციპი გაამართლებდა აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლებას, პიროვნების თავისუფლებას, ეცხოვრა ისე, როგორც სურდა – ჩაეცვა, ეჭამა და დაელია თავისი სურვილისამებრ, აერჩია კულტურული აქტივობები, სექსუალური ურთიერთობები, რელიგია და ა.შ. (ეს იდეები ჩვენი ახლანდელი იდეების მსგავსია, მაგრამ ვიქტორიანული ხანის შუა პერიოდში ამ იდეებს რადიკალურად, შოკისმომგველადაც კი მიიჩნევდნენ). მაგრამ არის კი შესაძლებელი იმ ზღვარის გავლება, რაც მილს სურდა? არსებობს კი ნამდვილად მოქმედებები, რომლებიც არ მიაყენებენ ზიანს სხვა ადამიანებს გარდა იმ ადამიანისა, რომელიც მოქმედებს?

მილმა აღიარა, რომ ადამიანებისთვის შეურაცხმყოფელი შეიძლება იყოს ისეთი მოქმედებები, რომლებიც მან განსაზღვრა როგორც თავის თავზე ორიენტირებული – მაგალითად, აღმაშფოთებელი ტანსაცმელი, უჩვეული სექსუალური პრაქტიკა, სამხედრო ათეიზმი და სხვა. თუმცა მან არგუმენტად ის მოიტანა, რომ მცნებები – შეურაცხმყოფელი და ზიანისმომგვრელი – ერთმანეთისაგან განსხვავდება. ზიანი ნიშნავს თავდასხმას ან მუქარას, რაც ანადგურებს თქვენს ქონებას ან აუარესებს თქვენს ეკონომიკურ მდგომარეობას, რისი დამტკიცებაც, მილის თვალსაზრისით, ობიექტურადაა შესაძლებელი. ამის საწინააღმდეგოდ კი, შეურაცხყოფა დამოკიდებულია შეურაცხყოფილი ადამიანის პიროვნულ შეხედულებებსა და დამოკიდებულებებზე – თქვენ შეიძლება შეურაცხყოფილი დარჩეთ ჰომოსექსუალიზმის, მუსიკალური მიმდინარეობის – რეპის გამო, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ აღნიშნული მოქმედებები, ღირებულებების თქვენი პიროვნული სკალის მიხედვით, არასწორი და მიუღებელია, თუმცა ჩემი რეაქცია შეიძლება განსხვავებული იყოს.

მილი ფიქრობდა, რომ ეს საუკეთესო იქნებოდა მათთვის, ვისაც, თუ სხვა ადამიანების ქცევა შეურაცხმყოფელად მიაჩნია, თავი აარიდონ მათ, ან შეეცადონ მათ დარწმუნებას, შეიცვალონ ცხოვრების წესი, მაგრამ მათ არა აქვთ ნება, კანონით ან სხვა გზით შეუშალონ ხელი აღნიშნულ ქცევას.

მაგრამ საკითხავია, შეიძლება კი ასე ადვილად განვასხვაოთ დანაშაული და ზიანი? წარმოვიდგინოთ, რომ ქალი მუშაობს ოფისში ან ფაბრიკაში, სადაც დასაქმებულთა უმრავლესობა

მამაკაცია. ისინი დაჟინებით მოითხოვენ შიშველი ქალების დიდი პოსტერების განთავსებას კედელზე, რაც ქალს შურაცხმყოფლად მიაჩნია. შედეგად, მას აღარ მოსწონს სამსახურში ყოფნა და შეიძლება, გადაწყვიტოს კიდეც სამსახურის დატოვება. აშკარაა, რომ მას ზიანს აყენებს მამრობითი სქესის დასაქმებულების გამოხატული ქცევა, რაც მიმართულია მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე.

სხვა მაგალითს წარმოადგენს ე.წ. „სიძულვილის ენა“ – საჯაროდ გამოთქმული უმართებულო შენიშვნები ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობების მისამართით, რასაც შეუძლია მოწყვიტოს ისინი სკოლებს, კოლეგებს ან სამუშაო ადგილებს, ან სულ ცოტა, ძალიან არაკომფორტულად აგრძნობინოს მათ იქ ყოფნისას თავი. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ, როგორც ჩანს, საქციელმა, რომელიც პირველ მომენტში მხოლოდ შეურაცხმყოფელად აღიქმება, შეიძლება არაპირდაპირი ზიანი გამოიწვიოს. ამდენად, ჩვენ გვაქვს არჩევანი: ან უნდა გავაფართოვოთ ჩვენი იდეა ზიანის შესახებ და შევიტანოთ ეს შემთხვევებიც (ამ შემთხვევაში შემჭიდროვდება თავის თავზე ორიენტირებული ქმედებების სფერო), ან უნდა მივყვეთ თავდაპირველ იდეას, რომ ამას მხოლოდ ის ქცევა შეიძლება დავუპირისპიროთ, რომელიც უშუალოდ საზიანოა და ვთქვათ, რომ ხალხს უნდა ჰქონდეს გამოხატვის თავისუფლება მაშინაც კი, თუ სხვა ხალხს გამოხატვის ეს ფორმა ღრმად შეურაცხმყოფელად მიაჩნია.

განხილულ მაგალითებთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია სამი საკითხი:

პირველი – მხოლოდ პიროვნულ იდიოსინკრაზიას არ უნდა მივაწეროთ, რომ სხვისი ქცევა შეურაცხმყოფელად მიიჩნიეს. რასაც არ უნდა ვფიქრობდეთ თავად შიშველი ქალების პლაკატებზე, ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ ბევრი ქალისათვის ეს შეურაცხმყოფელი იქნება. ძალიან განსხვავებული შემთხვევაა, მაგალითად, თუ ვინმე აპროტესტებს სხვის მაგიდაზე დამაგრებულ დევიდ ბეკჰემის პოსტერს იმ მიზეზით, რომ ის მის კონკურენტ საფეხბურთო გუნდს გულშემატკივრობს;

მეორე – შეურაცხყოფა გარდაუვალია, თუ მსხვერპლის ქცევაში დიდი ცვლილება არ მოხდა, მაგალითად, სამსახურისთვის თავის მინებება ან კოლეჯის მიტოვება. ეს განსხვავდება იმ შემთხვევისგან, როდესაც მე შეურაცხყოფილი ვარ პოსტერების გამო, რომლებიც ჩემი მეზობლის მისაღებ ოთახში ჰკიდია – რასაც შემიძლია თავი ავარიდო და გამოვიდე ამ სახლიდან. ან რასისტულ ჟურნალში გამოთქმული მოსაზრებები, რომლის ყიდვასაც არავინ მავალდებულებს;

მესამე – თვითონ შეურაცხმყოფელ საქციელს აქვს მცირე ან არანაირი დადებითი ღირებულება, რომ გაუმკლავდეს მისგან გამოწვეულ სიძნელეს: ნამდვილად არ ლაპარაკობს კარგი ცხოვრების წესზე, თუკი მუშაობისას მიაშტერდები შიშველ ქალს ან წამოიძახებ შეურაცხმყოფელ სიტყვებს ზანგებისა და მუსულმანების მისამართით (არ უარვყოფ, რომ ზოგიერთ ადამიანს შეიძლება უნდოდეს ასეთი რაღაცეების კეთება, რაც საკმაოდ ცუდია. საკითხავია, რა დაშავდება, რომ მათ ხელი შევუშალოთ?), თუმცა გამოხატვის თავისუფლება აუცილებელია. ყველა გამოხატვას ერთი და იგივე მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანებს შეეძლოთ თავისუფლად სიარული ეკლესიაში, პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის მიღება, მხატვრული თვალსაზრისით საკუთარი თავის გამოხატვა და ა.შ. ნაკლებად მნიშვნელოვანია, რომ მათ შეეძლოთ გამოფინონ პოსტერები სამსახურში ან წამოიძახონ თავხედური რასისტული სლოგანები.

ამგვარად, მილის უბრალო პრინციპის ნაცვლად, რომლის მიხედვითაც თავის თავზე ორიენტირებულ ქცევაში არასდროს უნდა ჩაერიო – მიგვაჩნია, რომ უფრო კომპლექსურად უნდა ვიფიქროთ, ავნონ-დავნონოთ ქცევის სხვადასხვა ტიპების ღირებულება იმ ხარჯებთან

მიმართებაში, რომლებიც სხვა ადამიანებს წარმოექმნებათ და ძალდაუტანებელი გზები, რომლებითაც შესაძლებელია ამ ხარჯების თავიდან აცილება.

ახლა მინდა შევეხო სხვა პრობლემას მილის პრინციპთან მიმართებაში: ქცევის ფორმებს, რომლებსაც არა აქვთ უშუალო გავლენა ვინმე სხვაზე, მაგრამ თავად პიროვნებას შეიძლება შეექმნას ხანგრძლივად მოქმედი პრობლემები სხვა ადამიანებთან მიმართებაში – რადგან ისინი არ აძლევენ ამ პიროვნებას საშუალებას, თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოებაში ანდა წარმოქმნის ხარჯებს, რომლის გადახდა სხვებს მოუწევთ. მაგალითად, თუ ვიღაც ალკოჰოლიკი გახდა, ის დიდხანს ვერ შეძლებს შეინარჩუნოს სამსახური; როცა ვინმე ბევრს ეწევა, თუნდაც მხოლოდ საკუთარ სახლში, მას ეზრდება შანსი, რომ დაავადდეს კიბოთი ან გულის დაავადებით და, ამდენად, დასჭირდება სამედიცინო მკურნალობა სახელმწიფოს ხარჯზე. აქედან გამომდინარე, წამოიჭრება შეკითხვა: უნდა ჩავთვალოთ ეს მოქმედებები როგორც თავის თავზე ცალსახად ორიენტირებული და უფლება მივცეთ, დაცულ იქნას პიროვნული თავისუფლების სახელით?

მილმა განიხილა ალკოჰოლიზმის მაგალითი და დაასაბუთა, რომ დალევა ორ შემთხვევაში არ უნდა იქნას განხილული, როგორც ცალსახად თავის თავზე ორიენტირებული მოქმედება: თუ ამაში ჩათრეულმა პიროვნებამ მიიღო დავალება ან ვალდებულება და ვერ შეასრულა კარგად, რადგან ალკოჰოლის გავლენის ქვეშ იყო, ან როცა პიროვნების სიმთვრალემ გამოიწვია მონაწილეობა ძალმომრეობით მოქმედებაში. მაგრამ თუ დალევის ზეგავლენა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ შესაბამის პიროვნებას ნაკლები შესაძლებლობა აქვს შეიტანოს თავისი სოციალური წვლილი, რასაც სხვა შემთხვევაში შეძლებდა, საზოგადოებას არა აქვს უფლება, ხელი შეუშალოს მას. ბავშვებს უნდა ასწავლონ თავიანთი სოციალური ვალდებულებები და გააფრთხილონ ალკოჰოლის და ა.შ. საფრთხეებზე. მოზრდილებისათვის კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავისუფლების შენარჩუნებას მაშინაც კი, თუ შედეგად დაზარალდებოდა მთელი საზოგადოება.

ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ არ უნდა დავეთანხმოთ მილს ის არის, რომ სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ვალდებულებების უფრო ფართო დიაპაზონი მას შემდეგ, რაც მილმა დაწერა ამის შესახებ. მან უნდა დაფაროს ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება აშკარად საკუთარ თავზე ორიენტირებული ქმედებით. როდესაც მილმა დაწერა *თავისუფლების შესახებ*, მაშინ არ არსებობდა სახელმწიფო სამედიცინო სამსახური, არც განათლების ეროვნული სისტემა, არც ფულადი დახმარება ღარიბებისთვის, ასევე არ არსებობდა საცხოვრებლით სახელმწიფო უზრუნველყოფა და ა.შ. ადამიანები, რომლებსაც ჯანმრთელობა შეერყეოდათ ან გამოუსადეგარი ხდებოდნენ სამსახურისთვის, მნიშვნელოვანწილად თავად გაიღებდნენ ხარჯებს, ანდა დახმარებას სთხოვდნენ ადგილობრივ საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებსაც უფლება ჰქონდათ, პირობები წაეყენებინათ იმათთვის, ვისაც ეხმარებოდნენ. შეკითხვა მდგომარეობს შემდეგში: აქვს კი აზრი, საერთოდ, მილის პრინციპს იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელშიც კეთილდღეობა სუფევს, რომელიც ფინანსდება გადასახადებით და ცდილობს ყოველი მოქალაქის უზრუნველყოფას შემოსავლის მინიმუმით, განათლებით, ჯანდაცვით და ბინით. ამ კონტექსტში, ადამიანებს უნდა ჰქონდეთ განხორციელებადი სოციალური ვალდებულებები, რომ ერთის მხრივ – ხელი შეუწყონ, მეორეს მხრივ კი – თავიდან აიცილონ ფაქტი, რომ საჭიროების გარეშე იყვნენ დამოკიდებული კეთილდღეობის სამსახურებზე.

დღევანდელ პოლიტიკაში ეს ერთ-ერთი ყველაზე სადაო საკითხია. ერთი მიზეზი, რატომაც უნდა დავეთანხმოთ საბოლოოდ მილს, არის ის, რომ თუ უარს ვიტყვით მის პრინციპზე თავისუფლების შესახებ, აშკარად ვერ ვიპოვით გაჩერების წერტილს. მაგალითად, უნდა მოსთხოვოს სახელმწიფომ ხალხს ჯანმრთელი საკვები მიირთვას? უნდა დაატანოს ძალა, რეგულარულად ივარჯიშოს? უნდა შეუშალოს ხელი სახიფათო სპორტში ჩაებას?

ნებისმიერი ღონისძიება მნიშვნელოვნად შეამცირებდა სახელმწიფო ჯანდაცვის ხარჯებს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩარევა პირად ცხოვრებაში უკვე აუტანელი გახდება. მაშინ, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სახელმწიფოს კანონიერად შეუძლია მოსთხოვოს დაზღვევა მთის დასალაშქრად წასასვლელი ჯგუფის წევრებს ან ექსტრემალური სპორტის მიმდევრებს. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის, მათ შორის ზრდასრულების, *განათლებას* იმ რისკების შესახებ, რაც მოჰყვება მოწევას, დალევას, ცხიმიანი საკვების მიღებას, თავისუფალი დროის უმეტესი ნაწილის ტელევიზორთან გატარებას და ა.შ., მაგრამ ამან მათ ხელი არ უნდა შეუშალოს ზემოაღნიშნულის კეთებაში. როგორც მილმა აღნიშნა, „საზოგადოებამ უნდა აიტანოს უხერხული სიტუაცია, რათა ადამიანის თავისუფლებას უფრო დიდი სარგებელი მოუტანოს“.

მილის მხრიდან სახელმწიფოსთან მიმართებაში თავისუფლების დაცვა მოიცავდა კერძო საქმიანობის სფეროს გამიჯვნას იმის ფარგლებში, რომ ხალხს უნდა ჰქონოდა სრული თავისუფლება გაეკეთებინა ის, რაც სურდა. ჩვენ გამოვიკვლიეთ ამ მიდგომის ზოგიერთი პრობლემა, რასაც ცოტათი შევეხებით მე-6 თავში, როდესაც განვიხილავთ ფემინისტურ არგუმენტებს დაცული პირადული სფეროს იდეასთან მიმართებაში.

ამგვარად, მინდა გამოვიკვლიო შეზღუდვის განსხვავებული გზა, რაც სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს ინდივიდუალური თავისუფლების სახელით. ეს არის იდეა, რომლის მიხედვითაც ყოველ ადამიანს აქვს მთელი რიგი უფლებები, რომლებიც სახელმწიფომ არასდროს არ უნდა დაარღვიოს.

ადამიანის უფლებათა იდეის გავლენა მეტად გაიზარდა მას შემდეგ, რაც 1948 წელს, გაერომ დაამტკიცა ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია. მასში მოცემულია უფლებათა გრძელი სია, რომლებიც ხელისმომწერმა სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან თავიანთ მოქალაქეებთან მიმართებაში. თუმცა თავად კონცეფცია უფრო ადრე შეიქმნა, რაც ჩანს ბუნებრივი უფლებების შესახებ იდეაში, რომელიც ძირითად როლს თამაშობდა ლიბერალურ პოლიტიკურ ფილოსოფიაში. მაგალითად, ჯონ ლოკი ამტკიცებდა, რომ ყველა *კაცს* (სადავოა, იყო თუ არა ქალების გამორიცხვა წინასწარ განზრახული) სულ მცირე, აქვს ცხოვრების, თავისუფლებისა და ქონების ფლობის ბუნებრივი უფლებები. როდესაც სოციალური შეთანხმებით ირჩეოდა მთავრობები, ისინი კისრულობდნენ ვალდებულებას, დაეცვათ ეს უფლებები და ეს წარმოადგენდა მათი პოლიტიკური ძალაუფლებისათვის წაყენებულ პირობას. უნივერსალური დეკლარაციის უფლებათა სია უფრო ფართოა და იმ უფლებათა გარდა, რომლებიც უშუალოდ თავისუფლებას იცავენ: გადაადგილების თავისუფლების, ეკლესიაში სიარულის თავისუფლების, ქორწინების თავისუფლების უფლებები – მოიცავს სხვა უფლებებსაც. მათი ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ ხალხისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მატერიალური სარგებელი, როგორიცაა: მუშაობის უფლება, ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის უფლება და განათლების უფლება. თუმცა, წინა თავში განხილული თავისუფლების თემის თვალსაზრისით, ეს უფლებებიც შეიძლება აღვიქვათ, როგორც ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის გზები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ, არჩევანის ხელმისაწვდომობა, რაც სხვა შემთხვევაში, მატერიალური რესურსების ნაკლებობის გამო, შეიძლება მიუწვდომელიც ყოფილიყო.

ადამიანთა უფლებების პერსპექტივა არ ინტერესდება, არის თუ არა ადამიანის განსაზღვრული ქმედება პოტენციურად საზიანო *სხვებისთვის*. ნაცვლად ამისა, მას აინტერესებს თვითონ პიროვნება და კითხულობს, შეგვიძლია თუ არა განსაზღვრული ადამიანური პირობების იდენტიფიცირება, რომელთა გარეშეც შეუძლებელია საკადრისი ადამიანური ცხოვრება. არის მცდელობა, რომ შენარჩუნდეს ნეიტრალური პოზიცია იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა არის ადამიანის ცხოვრების საუკეთესო ვარიანტი. არ არის ხაზი გასმული, თუ რა უფრო ღირებულია, იყო რელიგიური მიმდინარეობის მომხრე, პოლიტიკური

აქტივისტი, ხელოვანი, ფერმერი თუ დიასახლისი, თუმცა ეს პერსპექტივა ამტკიცებს, რომ ცხოვრების ყველა გზა მოითხოვს პირობებს, რომლებიც დაიცავს ადამიანთა უფლებებს. ამ პირობებიდან ზოგიერთი აშკარად არ არის საკამათო: ვერავინ იცხოვრებს რიგიანად ფიქრის, კომუნიკაციისა და გადაადგილების თავისუფლების გარეშე, ადეკვატური საკვებისა და საცხოვრებელის გარეშე, შანსის გარეშე, ჩამოაყალიბოს პიროვნული თუ პროფესიული ურთიერთობა სხვა ადამიანებთან და ა.შ. თუმცა ადამიანთა უფლებების სტანდარტულ სიებში ჩამოთვლილი სხვა საკითხები, რომლებიც მოიცავენ გაეროს თავდაპირველ დეკლარაციას, უფრო პრობლემატურია. ეს შეიძლება იყოს უფლებები, რომელთა იმპლემენტაციის სურვილი გვაქვს იმ საზოგადოებებში, რომლებსაც მივეკუთვნებით. განსაკუთრებით, თუ ლიბერალები ვართ, მაგრამ გვაინტერესებს, არის თუ არა ეს უფლებები ნამდვილად მნიშვნელოვანი ადამიანის ცხოვრების ყველა ფორმისათვის?

მოდით, განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი: პირველი, „აზროვნების, სინდისისა და რელიგიის“ თავისუფლების უფლება, რომელსაც ფართოდ განმარტავს გაეროს დეკლარაცია, რათა დეკლარაციაში ჩართოს ადამიანის თავისუფლება, შეიცვალოს რელიგია და თავისუფლება, საჯაროდ თუ კერძოდ მისდევდეს ნებისმიერ რელიგიას. რადგანაც რელიგიური რწმენა და პრაქტიკა ადამიანის ცხოვრების გავრცელებულ თავისებურებას წარმოადგენს, შეგვიძლია დავეთანხმოთ, რომ ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა იაროს ეკლესიაში, წაიკითხოს რელიგიური შინაარსის ტექსტები და ა.შ. მაგრამ უნდა შეეძლოთ მათ, შეზღუდვის გარეშე აირჩიონ, თუ რომელ რელიგიას მისდიონ? უნდა შეეძლოთ მათ თავის რჯულზე მოაქციონ (შეეცადონ, მოაქციონ სხვა ხალხი, რომლებიც სხვა რელიგიას მისდევენ)? სახელმწიფომ ყველა რელიგია ერთნაირად უნდა განიხილოს, თუ აქვს ნება, უპირატესობა მიანიჭოს ნაციონალურ რელიგიას? ლიბერალურ საზოგადოებებში უფლებას, რომელზეც ვსაუბრობთ, ხშირად იმგვარად განიხილავენ, რომ ყველა შეკითხვაზე დადებითი პასუხი იყოს გაცემული. თუმცა, სხვა ადგილებში შეინიშნება უფრო შეზღუდული უფლება, მაგრამ ძნელია დაამტკიცო, რომ იმ საზოგადოებებში ცხოვრება არ არის საკადრისი.

მეორე, გაეროს დეკლარაცია მოიცავს პოლიტიკური მონაწილეობის მტკიცე უფლებას. ამის მიხედვით, ყველას აქვს მისი ქვეყნის მთავრობაში მონაწილეობის უფლება. ამას მოსდევს რეგულარული არჩევნები, საყოველთაო და თანაბარი საარჩევნო უფლება, ფარული ხმის მიცემა ან მსგავსი რამ. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ საქმე ეხება უფლებას, რომელსაც მიესალმებიან ლიბერალები და როგორც ბოლო თავში ვნახეთ, ნამდვილად ღირს გსურდეს ის ხალხი, რომელსაც აქვს ძალაუფლება, დემოკრატიული თვალსაზრისით პასუხისმგებელი იყოს მთლიანობაში ხალხზე. მაგრამ როდესაც ვსაუბრობთ ადამიანთა უფლებებზე, წამოიჭრება შეკითხვა, არის კი ეს უფლება ადამიანის საკადრისი ცხოვრების ნამდვილად მნიშვნელოვანი კომპონენტი? საზოგადოებების ათასწლოვანი არსებობის მანძილზე ისინი მსგავსი დემოკრატიული უფლებების გარეშე არსებობდნენ და თუმცა ჩვენი სტანდარტებით ისინი არ იყო სრულყოფილი, ძნელია ამტკიცო, რომ მათ ცალსახად ვერ შესძლეს თავიანთი წევრების ცხოვრების მისაღები პირობებით უზრუნველყოფა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანთა უფლებები, მათი ტრადიციული გაგებით, ორ კატეგორიად უნდა დავყოთ. არსებობს საკმაოდ მოკლე სია უფლებებისა, რომლებიც, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მნიშვნელოვანია ჰქონდეთ ადამიანებს, მიუხედავად იმისა, ცხოვრების რა ტიპს აირჩევენ. ამ უფლებების გარეშე მათი ცხოვრება შეზღუდული იქნება, ვერ განვითარდება, არ იქნება სრულყოფილად ადამიანური. გარდა ამისა, არსებობს უფრო გრძელი სია უფლებებისა, რომლებითაც, ვფიქრობთ, ყველა ადამიანს შეუძლია რომ დატკბეს და რომლებიც ადგენენ კარგად მართული საზოგადოების პარამეტრებს. თუმცა, შეიძლება იყოს ამ გრძელი სიის განსხვავებული ვერსიები, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ ადგენს მას. ლიბერალური საზოგადოებებისთვის მისაღები ვერსია შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა კულტურული ფონის მქონე საზოგადო-

ებებისათვის მისაღები ვერსიებისგან, მაგ. ისლამურ საზოგადოებებში, ან კონფუციური ან ბუდისტური ტრადიციების მქონე აღმოსავლეთ აზიის საზოგადოებებში. შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ის უფლებები, რომლებსაც მხოლოდ ერთ-ერთ გრძელ სიაში ვხვდებით და არა მოკლე სიაში, მკაცრად არ უნდა მივიჩნიოთ ადამიანთა უფლებებად. როდესაც ფრანგმა რევოლუციონერებმა 1789 წელს შექმნეს თავიანთი განაცხადი პრინციპების შესახებ, მას უწოდეს *დეკლარაცია ადამიანისა და მოქალაქის უფლებების შესახებ.* ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასახელოთ უფლებები, რომლებიც მოქალაქეების უფლებების გრძელ სიას უნდა მიეკუთვნებოდეს და ეს უფლებები ჩვენი პოლიტიკური საზოგადოების ფარგლებში აღიარებულ უნდა იქნას, როგორც ინდივიდის ძირითადი დაცვა მაშინ, როცა სხვა საზოგადოებებში შეიძლება მიღებული იყოს განსხვავებული უფლებები, რომლებიც ემთხვევა, მაგრამ ჩვენი უფლებების იდენტური არაა.

ამ თავის დაასაწყისში მივუთითე, რომ ინდივიდუალური თავისუფლების არეალის იდეა, რომელიც მთავრობამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაარღვიოს, ლიბერალურ საზოგადოებებში უფრო და უფრო ღრმად იდგამს ფესვებს. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ეს იდეა ფაქტიურად საკმაოდ პრობლემატურია. როგორც კი დავიწყეთ იმის გამოკვლევა, თუ რა არის რეალურად თავისუფლება, ვნახეთ, რომ ბევრ შემთხვევაში მას ვერ მოიპოვებ მთავრობის მხრიდან დადებითი ქმედებების გარეშე. ეს გამოიხატება რესურსებით უზრუნველყოფაში, რომლებიც მათ წინაშე ხსნის სხვადასხვა არჩევანს, ასევე პირობებით უზრუნველყოფაში, რომლებშიც ადამიანებს შეუძლიათ გააკეთონ თავისუფალი და ინფორმირებული არჩევანი. გარდა ამისა ვნახეთ, რომ არ არსებობდა „თავის თავზე ორიენტირებული“ ქმედების სფეროს დეფინიციის მარტივი გზა, რაც, გარდა კონკრეტული პიროვნებისა, არანაირად საინტერესო არ იქნებოდა სხვისთვის. დაბოლოს, დავადგინეთ, რომ ადამიანთა უფლებების, მთავრობებისათვის აბსოლუტური სტანდარტების დადგენის თვალსაზრისით გამოყენება, დაკვირვების მიზნით მხოლოდ მაშინ მუშაობს, როდესაც ადამიანთა უფლებების სია მოკლე და ძირითადია. მოქალაქეების უფლებების უფრო გრძელი სია კანონის ფარგლებში შეიცვლება სხვადასხვა საზოგადოებებში, რაც ნიშნავს, რომ ეს შესაფერი საკითხია პოლიტიკური დებატებისათვის. უფლებები, რომლებიც ერთ დროს მნიშვნელოვანი იყო, შეიძლება, მოგვიანებით, სოციალურად ზიანის მომტანი აღმოჩნდეს (ამერიკის დამფუძნებელ მამებს უნდოდათ იმის გარანტირება, მუდმივად გაზრდილიყო სამოქალაქო მილიცია, რომ დაეცვა ქვეყანა. ამგვარად, კონსტიტუციის მეორე შესწორებაში ყველა ამერიკელ მოქალაქეს ეძლევა ჯარში სამსახურის უფლება – უფლება, რომელიც ახლა ხელს უშლის კანონმდებლებს, მიიღონ ეფექტური ზომები იარაღის გავრცელების გასაკონტროლებლად).

თავისუფლებას მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღირებულება აქვს, მაგრამ არც ისე მნიშვნელოვანი, რომ დაადგინოს პოლიტიკური ხელისუფლების მოქმედების აბსოლუტური შეზღუდვები. განსაკუთრებით დემოკრატიაში თავისუფლების ხელშესაწყობად რესურსების გამოყენების, თავისუფლების და სოციალური პასუხისმგებლობის, ასევე უფლებების შესახებ, რომლებითაც ყველა მოქალაქე უნდა დატკბეს, ღიად საუბრობენ. ამის საპასუხოდ ხალხი მოუწოდებს განსხვავებული პრინციპებისაკენ – თანასწორობისკენ, სამართლიანობისკენ, საერთო კეთილდღეობისკენ, ბუნების დაცვისკენ, კულტურის დაცვისკენ და ა.შ. ამ დებატების დროს ირჩევენ და წერილობით კონსტიტუციაში ინიშნავენ ზოგიერთ თავისუფლებებს, როგორც ძირითად უფლებებს. თუმცა, ეს არასდროს არის საბოლოო სიტყვა: რამდენადაც საზოგადოებები იცვლება, იმდენად წარმოიქმნება ახალი მოთხოვნილებები და ახალი პრობლემები. ვინ წარმოიდგენდა თუნდაც 20 წლის წინ, რომ ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, ელექტრონული მეთვალყურეობა ან გენური ინჟინერია ძალიან მალე მოექცეოდა ინდივიდუალური თავისუფლების შესახებ დებატების ყურადღების ცენტრში? ვინ იწინასწარმეტყველებს, რა ახალი პრობლემები წარმოიქმნება ოცი წლის შემდეგ?

ენდრიუ ჰეივუდი

მმართველობის ფორმები, სისტემები და რეჟიმები *

„საუკეთესოა ის მთავრობა, რომელიც საერთოდ არ მართავს.“
ჰენრი დევიდ თორო: *„სამოქალაქო დაუმორჩილებლობა“* (1849 წ.)

საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკური ანალიზის უმთავრეს საზრუნავს მმართველობის სხვადასხვა ფორმების კლასიფიკაცია წარმოადგენდა. ეს პროცესი ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნეში დაიწყო, როდესაც არისტოტელემ პირველად სცადა იმ დროისათვის არსებული პოლიტიკური რეჟიმების აღწერა ისეთი ტერმინების გამოყენებით, როგორიცაა „დემოკრატია,“ „ოლიგარქია“ და „ტირანია.“ ეს ტემინები დღესაც ფართოდ გამოიყენება. XVIII საუკუნის შემდეგ სულ უფრო და უფრო ხშირად ხდებოდა მმართველობის ფორმების კლასიფიკაცია მონარქიულ ან რესპუბლიკურ, ავტოკრატიულ ან კონსტიტუციურ რეჟიმებად. მეოცე საუკუნეში ეს განსხვავებები კიდევ უფრო გამოიკვეთა. პოლიტიკური სისტემების „სამ სამყაროდ“ კლასიფიკაციამ, რამაც განსაკუთრებული პოპულარულობა „ცივი ომის“ პერიოდში მოიპოვა, მსოფლიო პოლიტიკის ისეთი სურათი შექმნა, სადაც ერთმანეთს დემოკრატია და ტოტალიტარიზმი დაუპირისპირდა. თუმცა, ასეთი კლასიფიკაცია მოძველებულად ჩანს თანამედროვე მოვლენების ფონზე, როგორიც იყო, მაგალითად: კომუნიზმის მარცხი, აღმოსავლეთ აზიის აღზევება და პოლიტიკური ისლამის აღმოცენება. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ გაურკვეველია, თუ რას ნიშნავს ეს ცვლილებები. ზოგიერთი მათ დასავლური, ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვების ნიშნად მიიჩნევს, სხვები კი მათში თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური დანაწევრებისა და დაშლის ტენდენციებს ხედავენ.

წინამდებარე თავში განხილული იქნება შემდეგი **ძირითადი საკითხები:**

- რა განსხვავებაა მმართველობის ფორმებს, პოლიტიკურ სისტემებსა და რეჟიმებს შორის?
- რა მიზანი აქვს მმართველობის სისტემების კლასიფიკაციას?
- რის საფუძველზე მოხდა ან უნდა ხდებოდეს რეჟიმების კლასიფიკაცია?
- თანამედროვე სამყაროს ძირითადი რეჟიმები.
- გაიმარჯვა, თუ არა დასავლურმა ლიბერალურმა დემოკრატიამ მსოფლიოში?

კლასიფიკაციის ტრადიციული სისტემები

სანამ დავიწყებდეთ იმის შესწავლას, თუ როგორ მოხდა მართვის სხვადასხვა სისტემების კლასიფიკაცია, საჭიროა, დავფიქრდეთ, თუ *რისი* კლასიფიცირება ხდება და *რატომ* მოხდა ამგვარი კლასიფიკაცია. პირველ რიგში, რა არის ‘მმართველობა’ და რით განსხვავდება იგი ‘პოლიტიკური სისტემებისგან’ ანუ ‘რეჟიმებისგან’? ‘მმართველობა’ დაკავშირებულია

* წინამდებარე სტატია წარმოადგენს მეორე თავს წიგნისა: „პოლიტიკა“, მეორე გამოცემა, 2002 წ.

მმართველობა

ფართო გაგებით, მმართველობა ხელმძღვანელობას ან სხვების კონტროლს ნიშნავს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ მმართველობა მოიცავს ნებისმიერ ისეთ მექანიზმს, რომელთა მეშვეობითაც წესრიგის შენარჩუნება ხდება. მისი მთავარი მახასიათებელი თვისება კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება და აღსრულებაა. ამდენად, მმართველობის ამა თუ იმ ფორმამ თითქმის ყველა სოციალურ ინსტიტუტში შეიძლება იჩინოს თავი, იქნება ეს ოჯახი, სკოლა, ბიზნესი, პროფკავშირები და ა.შ. ოღონდ „მმართველობა“ „მართვისაგან“ იმით განსხვავდება, რომ იგი ფორმალურ და ინსტიტუციონალურ პროცესებს ეხება, რომლებიც უკვე სახელმწიფოებრივ დონეზე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად და კოლექტიური საქმიანობის ხელშესაწყობად მოქმედებს. ამგვარად, მმართველობის ძირითადი ფუნქციებია: კანონების შექმნა (საკანონმდებლო), მათი აღსრულება (აღმასრულებელი) და ინტერპრეტაცია (სასამართლო). ზოგიერთ შემთხვევაში პოლიტიკური აღმასრულებელი ფუნქციის მატარებელი „მთავრობადაც“ კი მოიხსენიება, რაც – საპრეზიდენტო სისტემებში „ადმინისტრაციის“ ექვივალენტია.

ინსტიტუციურ პროცესებთან, რომელთა მეშვეობით კოლექტიური და როგორც წესი, სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღება ხდება.

პოლიტიკური სისტემა ანუ რეჟიმი, მეორეს მხრივ, უფრო ფართო მცნებაა და მოიცავს არა მარტო მმართველობის მექანიზმებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს, არამედ იმ სტრუქტურებსა და პროცესებსაც, რომელთა მეშვეობით აღნიშნული ერთეულები ფართო საზოადოებასთან ურთიერთობენ.

პოლიტიკური სისტემა, სინამდვილეში, უფრო ფართო სოციალური სისტემის ქვე-სისტემას წარმოადგენს. ეს არის ‘სისტემა’ ვინაიდან კომპლექსურ მთლიანობაში ურთიერთკავშირები აღინიშნება და ‘პოლიტიკურია’ ვინაიდან ეს ურთიერთკავშირები საზოგადოებაში ძალაუფლების, სიმდიდრისა და რესურსების განაწილებასთანაა დაკავშირებული. მაშასადამე, ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზების თვალსაზრისით, პოლიტიკური რეჟიმები შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურად, რადგან ისინი იქმნებიან სამთავრობო პროცესების მიერ და მისი მეშვეობითვე ფუნქციონირებენ. აქედან გამომდინარე, რეჟიმი არის ‘მართვის სისტემა,’ რომელიც გრძელდება ხელისუფლების ცვლის მიუხედავად. არა აქვს მნიშვნელობა – მთავრობა არჩევნებით შეიცვლება, დინასტიური ტახტის მემკვიდრეობის გადაცემის მეშვეობით, თუ პუტჩით. რეჟიმების შეცვლა მხოლოდ სამხედრო ინტერვენციითაა შესაძლებელი, რომელსაც რაღაც სახით რევოლუციური ცვლილებები მოსდევს თან ან არ მოსდევს.

რა საჭიროა პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაცია?

პოლიტიკური სისტემების კლასიფიცირებას ორი რამ განაპირობებს. პირველ რიგში, კლასიფიკაცია არსებითად გვეხმარება პოლიტიკისა და მმართველობის *გაგებაში.* ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში, პოლიტიკის გაგება, ძირითადად, შედარებითი პროცესის მეშვეობით ხდება, ვინაიდან ეს ექპერიმენტული მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. მაგალითად, შეუძლებელია ჩავატაროთ ექსპერიმენტი იმისათვის, რომ შევამოწმოთ, თუ რამდენად მგრძნობიარე იქნებოდა აშშ მთავრობა ინსტიტუციურ **სახელისუფლებო კრიზისზე**, იმ შემთხვევაში, თუ იგი ძალაუფლების გადანაწილებაზე უარს იტყოდა? ან გადარჩებოდა, თუ არა კომუნიზმი სსრკ-ს რეფორმები ერთი თაობით ადრე რომ არ წამოეწყო? ამგვარად, საქმის გასაიოლებლად ჩვენ შედარებებს მივმართავთ. მსგავსებებისა და განსხვავებების გამოყოფით იქიდან, რაც ერთი შეხედვით ფაქტების თავგზის ამრევ გროვას წარმოადგენს, შედარება გვეხმარება განვასხვაოთ, თუ რა არის მნიშვნელოვანი და საყურადღებო და რა არა. ამ პროცესში შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ თეორიები, ჰიპოთეზები და კონცეფციები და გარკვეულწილად, გადავამოწმოთ კიდეც ისინი. როგორც ალექსის დე ტოკვილმა აღნიშნა – „შედარების გაკეთების გარეშე, ტვინმა არ იცის, თუ როგორ გააგრძელოს მუშაობა.“ მმართველობის სისტემის კლასიფიცირების

მცდელობა, მაშასადამე, წარმოადგენს მხოლოდ ინსტრუმენტს, რომელმაც შედარების პროცესი უფრო მეთოდური და სისტემური უნდა გახადოს.

პოლიტიკური სისტემა: ურთიერთობათა ქსელი, რომლის მეშვეობითაც მთავრობა ქმნის „სარგებელს“ (პოლიტიკას) ფართო საზოგადოების მიერ განხორციელებული „წვლილის“ (მოთხოვნები ან მხარდაჭრა) საპასუხოდ.

სახელისუფლებო კრიზისი: მთავრობაში ინსტიტუციონალური დაპირისპირების შედეგად წარმოქმნილი საგანგებო მდგომარეობა, ან საზოგადოების წინააღმდეგობრივ მოთხოვნებზე რეაგირების უუნარობა.

კლასიფიკაციის მეორე მიზანს უფრო *შეფასების* და არა ანალიზის ხელშეწყობა წარმოადგენს. არისტოტელედან მოყოლებული პოლიტიკური რეჟიმების რაობაზე დაფიქრებულ ხალხს მარტო ხელისუფლების არსის ამოცნობა კი არ ეწადა, არამედ მის „გაუმჯობესებასაც“ ცდილობდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეფასებითი აღქმა მჭიდრო კავშირშია ნორმატიულ შეხედულებებთან: კითხვები იმის შესახებ თუ „რა არის“ გადაჯაჭვულია კითხვებთან იმის შესახებ თუ „როგორი უნდა იყოს.“ უკიდურეს ფორმაში, ამ პროცესმა შეიძლება მმართველობის ‘იდეალური’ სისტემის, ან თუნდაც უტოპიის ძიებამდეც მიგვიყვანოს. ეს კარგად ჩანს ისეთ ნაშრომებში, როგორიცაა: პლატონის „რესპუბლიკა,“ ტომას მურის „უტოპია“ ([1516 წ.] 1965 წ.) და პიტერ კროპოტკინის „მინდვრები, ქარხნები და საამქროები“ (1912 წ.).

თუ უკიდურესობაში არ გადავიჭრებით, სწორედ ამ ტიპის კლასიფიკაცია გვაძლევს საშუალებას თვისობრივად განვსაჯოთ პოლიტიკური სტრუქტურები და მმართველობის ფორმები. მხოლოდ შედარებითი მეთოდის გამოყენებით თუ ვიპოვით პასუხებს ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: იქნებოდა თუ არა ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასვლა რუსეთსა და სხვა ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოში მისაღები და მისასალმებელი? უნდა თქვას თუ არა ინდოეთმა უარი ფედერალიზმზე უნიტარული სისტემის ან რეგიონული დამოუკიდებლობის სასარგებლოდ? ან უნდა მიიღოს თუ არა დიდმა ბრიტანეთმა კონსტიტუციის წერილობითი ვარიანტი?

თუმცა, კლასიფიკაციის ყველა სისტემას თავისი მინუსებიც აქვს. პირველ რიგში, როგორც ყველა ანალიტიკური ინსტრუმენტს, მასაც გამარტივებისკენ სწრაფვა ახასიათებს. ერთ კლასიფიკაციაში სხვადასხვა რეჟიმების დაჯგუფების დროს აქცენტი მათ მსგავსებებზე კეთდება და სრულიად შესაძლებელია, რომ რეალური განსხვავებები ყურადღების მიღმა დაგვრჩეს. ასევე არსებობს რისკი ვერ დავინახოთ, რომ ერთსა და იმავე ფენომენს სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, იაპონიასა და მთელ აღმოსავლეთ აზიაში, სიტყვა „სახელმწიფო“ არსითა და მნიშვნელობით შეიძლება მთლიანად

უტოპია, უტოპიზმი

უტოპია (ნაწარმოებია ბერძნული სიტყვისგან ოუტოპია, რაც „არ არსებულ ადგილს“ ნიშნავს, ან ბერძნული ეუტოპია-გან, რაც „კარგ ადგილს“ შეესაბამება) სიტყვასიტყვით იდეალურ, ანუ სრულყოფილ საზოგადოებას აღნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ უტოპია სხვადასხვა სახის გვხდება, მათი უმეტესობისათვის დამახასიათებელია სწრაფვა გაჭირვების აღმოფხვრისა და დაპირისპირების მოსპობისკენ; იგი უარს ამბობს ძალადობასა და ჩაგვრაზე. უტოპიზმი თეორიული პოლიტიკური აზროვნების სტილია, რომელიც არსებულ წყობას აკრიტიკებს და იდეალური და სრულყოფილი ალტერნატივის მოდულს ქმნის. ამის კარგი მაგალითებია ანარქიზმი და მარქსიზმი. უტოპიური თეორიები, როგორც წესი, ადამიანის თვითგანვითარების უსაზღვრო შესაძლებლობების რწმენას ეყრდნობა. უტოპიზმი ხშირად გამოიყენება როგორც დამამცირებელი ტერმინი თავის მოტყუების ან ფანტაზიური აზროვნებისა და ისეთი შეხედულების აღსანიშნავად, რომელსაც არეარეალური და მიუღწეველი ამოცანების სჯერა.

ეთნოცენტრიზმი: საკუთარი კულტურისთვის დამახასიათებელი ფასეულობებისა და თეორიების გამოყენებაა ადამიანთა სხვა ჯგუფთან მიმართებაში; ეთნოცენტრიზმი მიკერძოებულობას ან დამახინჯებულ ხედვას გულისხმობს.

განსხვავდებოდეს იმისგან, რაც დასავლეთშია მიღებული. აქედან გამომდინარე, შედარებითი ანალიზი **ეთნოცენტრიზმის** მუდმივი საფრთხის წინაშე დგას. მეორეც, კლასიფიკაციის პროცესს ხელს უშლის მიკერძოებულობა ფასეულობებისადმი. ეს კარგად ჩანს კომუნისტური და ფაშისტური რეჟიმების „ტოტალიტარულად" კლასიფიცირების ტენდენციაში, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ დასავლელი ლიბერალური დემოკრატიები „ცივი ომის" პერიოდში ისეთივე მტერს ებრძოდნენ, როგორსაც მეორე მსოფლიო ომის დროს. და ბოლოს, კლასიფიკაციის ყველა სისტემას ის ნაკლი აქვს, რომ ისინი აუცილებლად სახელმწიფოზე ორიენტირებულნი არიან: ანუ ინდივიდუალურ ქვეყნებს ისინი საკუთარი უფლებების მქონე, თანმიმდევრულ ან დამოკიდებელ ერთეულებად აღიქვამენ. გარდა იმისა, რომ ასეთი მიდგომა არასწორია, დღევანდელი გლობალიზაციის გათვალისწინებით იგი არასრულადაც შეიძლება ჩაითვალოს.

კლასიკური ტიპოლოგიები

კლასიფიკაციის ყველაზე გავლენიან სისტემას, უდაოდ, არისტოტელეს მიერ ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნეში გამოგონილი სისტემა წარმოადგენდა, რომელიც იმ დროისათვის არსებულ 158 ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოს მისეულ ანალიზს ეყრდნობოდა. მომდევნო 2500 წლის მანძილზე ამ თემაზე მსჯელობებში არისტოტელესეული სისტემა დომინირებდა. არისტოტელე თვლიდა, რომ მმართველობის ფორმების კატეგორიზაცია ორი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით უნდა მომხდარიყო. ესენია: „ვინ მართავს?" და „ვინ იგებს ამ მართვით?" იგი მიიჩნევდა, რომ მმართველობა შეიძლება ყოფილიყო ერთი კონკრეტული ადამიანის, მცირე ჯგუფის ან მრავალი მოქალაქის ხელში. თუმცა, თითოეულ შემთხვევაში მმართველობა მმართველის კერძო, ეგოისტური ინტერესებს ან მთელი საზოგადოების ინტერესების აკმაყოფილებს. ამის მიხედვით არისტოტელემ მმართველობის ექვსი ფორმა გამოყო, რომლებიც ნახ. 1.-ზეა წარმოდგენილი

ნახ. 1. არისტოტელესეული მმართველობის ექვსი ფორმა

		ვინ მართავს?	
	ერთი კაცი	**რამდენიმე**	**უმრავლესობა**
მმართველები ვინ იგებს?	ტირანია	ოლიგარქია	დემოკრატია
ყველა	მონარქია	არისტოკრატია	პოლიტი

არისტოტელეს მიზანს ნორმატიულ საფუძველზე მმართველობის ფორმების შეფასება წარმოადგენდა იმ იმედით, რომ 'იდეალურ' მოწყობას მიაგნებდა. არისტოტელეს აზრით, ტირანია, ოლიგარქია და დემოკრატია მართვის გაუარესებულ ან დამახინჯებულ ფორმებს წარმოადგენდნენ, სადაც, შესაბამისად, ერთი ადამიანი, მცირე ჯგუფი და მასები მმართველობას ახორციელებდნენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ანუ სხვების ხარჯზე. მათგან განსხვავებით, მონარქია, არისტოკრატია და პოლიტი უფრო სასურველ ფორმებს წარმოადგენდნენ, ვინაიდან მმართველობის ამ ფორმებში ერთი კაცი იქნებოდა, მცირე ჯგუფი თუ მასები, ყველას ინტერესები იქნებოდა გათვალისწინებული. მმართველობის ფორმათა შორის ყველაზე მიუღებელი არისტოტელესთვის ტირანია იყო, ვინაიდან იგი მოქალაქეს მონასთან ათანაბრებდა. მეორეს მხრივ, მონარქიაცა და არისტოკრატიაც

არაპრაქტიკული იყო, რადგან ისინი ერთგვარ „ღვთაებრივ ნებას“ ეფუძნებოდნენ და მმართველის საკუთარ ინტერესს, საზოგადოებრივზე წინ აყენებდნენ. მმართველობის ყველაზე მისაღებ ფორმად კი არისტოტელემ პოლიტი (მრავალთა მმართველობა ყველას საკეთილდღეოდ) მიიჩნია. თუმცა, არისტოტელემ სახალხო მმართველობაც გააკრიტიკა იმ მოტივით, რომ მასებს მდიდარი მოქალაქეებისა შეშურდებოდათ და ადვილად მოექცეოდნენ **დემაგოგების** გავლენის ქვეშ. ამიტომაც იგი უპირატესობას მმართველობის ერთგვარ „შერეულ“ ფორმას ანიჭებდა, რომელიც დემოკრატიისა და არისტოკრატიის ელემენტებს შეითავსებდა, ხოლო ძალაუფლება ე.წ. „საშუალო კლასის“ – არც მდიდრებისა და არც ღარიბების – ხელში იქნებოდა თავმოყრილი.

აბსოლუტიზმი

აბსოლუტიზმი შეუზღუდველი მართვის თეორია ან პრაქტიკაა, რაც ყველაზე ხშირად აბსოლუტურ მონარქიასთან ასოცირდება. მმართველობა „აბსოლუტურია“ იმ გაგებით, რომ იგი უსაზღვრო ძალაუფლებას ფლობს: მისი შეზღუდვა შეუძლებელია გარე ფაქტორების მიერ. აბსოლუტიზმის პრინციპს საფუძვლად მართვის უსაზღვრო უფლებაზე პრეტენზია უდევს („ღვთით ბოძებული უფლებები“) და არა უკონკურენტო ძალაუფლების რეალური გამოვლინება. აბსოლუტური ძალაუფლების რაციონალისტური თეორიები ამტკიცებენ, რომ მხოლოდ აბსოლუტურ მმართველობას შეუძლია წესრიგისა და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა. აბსოლუტიზმი არ უნდა აგვერიოს ავტოკრატიასა და დიქტატში. მიუხედავად იმისა, ამ ტიპის მმართველობა პრინციპულ პრეტენზიას ეყრდნობა, რელიგიურ თუ რაციონალურს, იგი მმართველობას თვითნებურ და შეუზღუდავ ძალაუფლებას მაინც არ ანიჭებს.

არისტოტელეს სისტემა შემდგომში განავრცეს ისეთმა მოაზროვნეებმა, როგორებიც იყვნენ თომას ჰობსი და ჟან ბოდენი (1530-1596 წწ.). მათი ყურადღების ძირითად საგანს უმაღლესი ხელისუფალის ანუ სუვერენის პრინციპი წარმოადგენდა, რაც ყველა სტაბილური რეჟიმის საფუძველს წარმოადგენდა. სუვერენი მოიაზრებოდა, როგორც „უმაღლესი და მარადიული“ ძალაუფლება, რომელსაც მარტო აღებულს მოწესრიგებული მმართველობის უზრუნველყოფა შეეძლო. ბოდენმა თავის ნაშრომში „საყოველთაო კეთილდღეობის ექვსი წიგნი“ (1576 წ.) თანამედროვე და კლასიკური პოლიტიკური რეჟიმების საფუძველზე დეტალურად განიხილა სუვერენის ძალაუფლება და დაასკვნა, რომ მმართველობის საუკეთესო ფორმად აბსოლუტიზმი უნდა მივიჩნიოთ. ასეთი მმართველობის დროს ძალაუფლება იმ უმაღლესი ხელისუფალის ხელშია, რომელიც კარნახობს კანონებს, მაგრამ თავად არცერთი კანონით არაა შეზღუდული. ბოდენის თვალსაზრისით, ძალაუფლების ერთ ხელში მოქცევის უპირატესობა ისაა, რომ თვითმპყრობელობას არანაირი დანაწევრება არ ემუქრება; უმაღლეს ხელისუფლებას ერთი პირი წარმოადგენს, რომელიც ამავე დროს უმაღლესი ძალაუფლების მფლობელია. თუმცა, ბოდენი აცხადებს, რომ აბსოლუტური მონარქიც შეზღუდულია, ვინაიდან არსებობს უფრო მაღალი კანონმდებლობა ღვთიური ნების ანუ ბუნების კანონების სახით. მეორეს მხრივ ჰობსი, თავის „ლევიათანში“ (1651 წ.) სუვერენს იძულებითი ძალაუფლების მონოპოლია აქვს, რაც იმას მიანიშნებს, რომ სუვერენი მთლიანად შეუზღუდავი იყო.

მოგვიანებით ეს იდეები ადრეული ლიბერალური აზროვნების ისეთ წარმომადგენლების მიერ გადაისინჯა, როგორებიც ჯონ ლოკი და მონტესკიე იყვნენ. ისინი კონსტიტუციური მმართველობის პირველ მხარდამჭერებად გვევლინებიან. თავის ნაშრომში „ორი ტრაქტატი მმართველობის თაობაზე“ (1690 წ.) ლოკი ამტკიცებდა, რომ უმაღლესი ხელისუფლება თავად ხალხს უნდა ეკუთვნოდეს და არა მონარქსო. იგი შეზღუდული მმართველობის იმგვარ სისტემას უჭერდა მხარს, რომელიც ადამიანის ბუნებრივი უფლებების, ანუ სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებების, განუხრელ დაცვას უზრუნველყოფდა. მონტესკიე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „კანონთა გონი“ (1734 წ.) საზოგადოების „მეცნიერული მიდგომით“ კვლევას შეეცადა, რათა მიეკვლია ისეთი წყობილებისთვის, რომელიც პიროვნული თავისუფლების საუკეთესოდ დაცვას მოახერხებდა. აბსოლუტიზმის

დემაგოგი: პოლიტიკური ლიდერი, რომელსაც ხალხთა მასებში ისტერიული ენთუზიაზმი გამოწვევით მათი კონტროლი შეუძლია.

რესპუბლიკანიზმი: პრინციპი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური ხელისუფლება ხალხის თანხმობიდან მომდინარეობს; უარყოფს მონარქიულ და დინასტიურ პრინციპებს.

შეურიგებელმა კრიტიკოსმა და ინგლისური პარლამენტარული ტრადიციების თაყვანისმცემელმა, მან პირველმა წამოაყენა ძალაუფლების კონტროლისა და დაბალანსების იდეა „ძალაუფლების გადანაწილების," ანუ ხელისუფლების აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებად დაყოფის გზით. მოგვიანებით, სწორედ ეს პრინციპი დაედო საფუძვლად ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას (1787 წ.), ხოლო შემდგომ, ზოგადად ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობის ერთ უმთავრეს მახასიათებლად იქცა.

XVIII საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, თანამედროვე საკონსტიტუციო სისტემების განვითარებამ სულ უფრო ნათლად წარმოაჩინა, რომ პოლიტიკურ სისტემათა 'კლასიკურ' კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად არისტოტელეს ნაშრომები დაედო, უკვე მოძველებული იყო. 1775-83 წლების ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შემდგომ იქ ჩამოყალიბებულმა კონსტიტუციურმა **რესპუბლიკანიზმმა,** 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის შედეგად განვითარებულმა დემოკრატიულმა რადიკალიზმმა და გაერთიანებულ სამეფოში წარმოქმნილმა საპარლამენტო მმართველობამ, უფრო რთული პოლიტიკური რეალობები წარმოქმნა, ვიდრე ამას ადრეული ეპოქის მოაზროვნეები წარმოიდგენდნენ. ამიტომ, კლასიფიკაციის ტრადიციული სისტემები თანდათანობით ჩაანაცვლა პოლიტიკური მმართველობის კონსტიტუციური და ინსტიტუციონალური მხარეებისადმი მზარდმა ინტერესმა. ყოველივე ეს მონტესკიეს მიერ ხელისუფლების სხვადასხვა შტოებად დაყოფის პრინციპს ეფუძნებოდა. ასე მაგალითად, მონარქია რესპუბლიკისაგან, საპარლამენტო მმართველობა – საპრეზიდენტოსაგან, ხოლო უნიტარული სისტემები – ფედერალურისაგან გაიმიჯნა.

„სამი სამყაროს" ტიპოლოგია

XX საუკუნის ისტორიულმა მოვლენებმა პოლიტიკური კლასიფიკაციის საფუძველი კიდევ ერთხელ შეცვალეს. ომებს შორის პერიოდში ავტორიტარიზმის ახალი ფორმების გამოვლენამ, განსაკუთრებით – სტალინურ რუსეთში, ფაშისტურ იტალიასა და ნაცისტურ გერმანიაში, ხელი შეუწყო იმ მოსაზრების ჩამოყალიბებას, რომ მსოფლიო ორ რეჟიმად ანუ დემოკრატიულ და ტოტალიტარულ სახელმწიფოებად გაიყო. მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტური და ნაცისტური რეჟიმები მეორე მსოფლიო ომის მიწურულს დაემხო, 1950-1960-იან წლებში რეჟიმების კლასიფიკაციაზე მაინც დიდ გავლენას ახდენდა მკვეთრი კონტრასტი დემოკრატიასა და ტოტალიტარიზმს შორის. მიუხედავად ამისა, ნელ-ნელა იკვეთებოდა მოსაზრება, რომ აღნიშნული მიდგომა „ცივი ომის" ანტაგონიზმმა ჩამოაყალიბა და რომ იგი შესაძლოა „ცივი ომის" იდეოლოგიის ნაირსახეობა ყოფილიყო. ამან ხელი შეუწყო უფრო ნეიტრალური ღირებულებების მქონე და იდელოგიურად მიუკერძოებელი კლასიფიკაციის სისტემის ძიებას, რამაც მიგვიყვანა პოპულარულ, ე.წ. „სამი სამყაროს" მიდგომასთან, რომლის თანახმადაც პოლიტიკური მსოფლიო სამ განსხვავებულ ბლოკად შეიძლება დაიყოს. ესენია:

- კაპიტალისტური „პირველი სამყარო"
- კომუნისტური „მეორე სამყარო"
- განვითარებადი „მესამე სამყარო"

სამი სამყაროს ამგვარ კლასიფიკაციას თავისი ეკონომიკური, იდეოლოგიური, პოლიტიკური და სტრატეგიული განზომილებები ქონდა. წმინდა ეკონომიკური მოსაზრებით, დასავლეთის ინდუსტრიული რეჟიმები „პირველ სამყაროდ" გამოცხადდა, რადგან აქ მოსახლეობა

ტოტალიტარიზმი

ტოტალიტარიზმი არის პოლიტიკური მმართველობის ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც, როგორც წესი, ეყრდნობა იდეოლოგიურ მანიპულაციას, ღიად დაშინებას და სისასტიკეს. ტოტალიტარიზმი ავტოკრატიისა და ავტორიტარიზმისგან იმით განსხვავდება, რომ იგი „სრული ძალაუფლების“ მოპოვებისკენ ისწრაფვის და ამას საზოგადოებრივი და ინდივიდუალური არსებობის ყოველი ასპექტის პოლიტიზირებით ცდილობს. ავტოკრატიულ და ავტორიტარულ რეჟიმებისთვის პოლიტიკური ძალაუფლების უფრო ზომიერი მეთოდები ახასიათებთ, რაც ჩვეულებრივ პოლიტიკიდან მასების გამოდევნაში გამოიხატება. ამგვარად, ტოტალიტარიზმი **სამოქალაქო საზოგადოების** სრულ განადგურებასა და ყოველივე „კერძოს“ მოსპობას ისახავს მიზნად. ტოტალიტარული რეჟიმების განსაზღვრა ხშირად „ექვს-პუნქტიანი სინდრომის“ (ფრიდრიხი და ბჟეზინსკი, 1963 წ.) გამოყენებით ხდება:

- ოფიციალური იდეოლოგია;
- ერთპარტიული სახელმწიფო, რომელსაც ჩვეულებრივ ყოვლისშემძლე ლიდერი მართავს;
- დაშინების პოლიტიკის სისტემა;
- მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მონოპოლიზება;
- შეიარაღების საშუალებების მონოპოლიზება;
- ეკონომიკური ცხოვრების ყველა ასპექტის სახელმწიფო კონტროლი.

ცხოვრების ყველაზე მაღალი დონით გამოირჩევა. 1983 წელს იმ ქვეყნებმა, რომელთა მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 15%-ს შეადგენს მსოფლიოს **მთლიანი შიდა პროდუქტის** (მშპ) 63% აწარმოეს (მსოფლიო ბანკის მონაცემები. 1985 წ.). კომუნისტური რეჟიმები „მეორე სამყაროს“ მიაკუთვნეს, გამომდინარე იქიდან, რომ საკუთარ ქვეყნებში მათ სრული ინდუსტრიალიზაცია მოახდინეს და უნარი შესწევდათ, საკუთარი მოსახლეობის უმთავრესი მატერიალური მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინათ; ამ ქვეყნების მოსახლეობა მსოფლიოს 33%-ს შეადგენდა და მშპ-ს 19%-ს აწარმოებდა. აზიის, აფრიკისა და ლათნური ამერიკის ნაკლებად განვითარებული ქვეყნები „მესამე სამყაროდ“ მოინათლნენ, რაკიღა ეკონომიკურად დამოუკიდებელნი ვერ იყვნენ და აქ სიღარიბეს ფართოდ ჰქონდა ფეხი მოკიდებული. მათი მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 52%-ს შეადგენდა და მშპ-ს 18%-ს აწარმოებდა.

„პირველსა“ და „მეორე“ სამყაროებს შორის დაყოფა კიდევ უფრო გაამწვავა მათ შორის არსებულმა იდეოლოგიურმა ომმა. „პირველი სამყარო“ ისეთ კაპიტალისტურ პრინციპებს ეთაყვანებოდა, როგორიც იყო: კერძო მეწარმეობა, მატერიალური სტიმულირება და თავისუფალი ბაზარი; „მეორე სამყარო“ კი ისეთი „კომუნისტური“ ღირებულებების ერთგული იყო, როგორიცაა: კოლექტიური შრომა, სოციალური

თანასწორობა და ცენტრალიზებული დაგეგმვა. ამგვარი იდეოლოგიური განსხვავებანი აშკარა პოლიტიკურ ელფერს ატარებდა: „პირველი სამყარო“ ლიბერალურ-დემოკრატიულ პოლიტიკას ახორციელებდა, რაც არჩევნების დროს პარტიათა მხრიდან ძალაუფლებისთვის ბრძოლაში გამოიხატებოდა; „მეორე სამყაროს“ რეჟიმები კი ერთპარტიულ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, რომლებიც „მმართველი“ კომუნისტური პარტიების მიერ იმართებოდნენ. „მესამე სამყარო“ ტიპურ ავტორიტარულ რეჟიმებს წარმოადგნენდნენ და მონარქების, დიქტატორების ან უბრალოდ, სამხედრო ძალების მიერ იმართებოდნენ. სამი სამყაროს კლასიფიკაცია მსოფლიოს ბიპოლარულ მოდელს ეყრდნობოდა, რომელშიც აშშ-ს წინამძღოლობით დასავლეთი საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ მოხვედრილ აღმოსავლეთს უპირისპირდებოდა. ამ „წესრიგის“ შენარჩუნება ორი მეტოქე სამხედრო ბანაკის ხარჯზე ხდებოდა: ერთის მხრივ ნატოს, ხოლო მეორე მხრივ – ე.წ. „ვარშავის ბლოკის“ არსებობით.

სამოქალაქო საზოგადოება: ავტონომიური ჯგუფებისა და ასოციაციების ერთობლიობა; კერძო სფერო, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფო კონტროლისგან.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ): ქვეყანაში წლიურად წარმოებული მზა საქონლისა და მომსახურების მთლიანი ფინანსური ღირებულება.

არცთუ იშვიათად, „მიუმხრობელი“ მესამე სამყარო, ამ გეოპოლიტიკური ბრძოლის ასპარეზად იქცეოდა ხოლმე, რითაც მისი პოლიტიკური და ეკონომიკური უსუსურობა კიდევ უფრო თვალშისაცემი ხდებოდა.

1970 წლიდან კლასიფიკაციის მოცემული სისტემის შენარჩუნება სულ უფრო და უფრო გართულდა. ეკონომიკური განვითარების ახალი სტრატეგიების გამოყენებით, „მესამე სამყაროს“ მრავალმა ქვეყანამ – ახლო აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარმა სახელმწიფოებმა, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სწრაფად განვითარებადმა ქვეყნებმა და ნაწილობრივ, ლათინურმა ამერიკამ – ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ; ზოგიერთი ქვეყანა კი პირიქით, კიდევ უფრო გაღარიბდა – აფრიკის საჰარის სამხრეთით მდებარე ვრცელი რეგიონი ახლა საერთოდ „მეოთხე სამყაროდ“ იწოდება. გარდა ამისა, 1980-90 წლების აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესები იმაზეც მიანიშნებდა, რომ „მესამე სამყაროს“ რეჟიმები, ფორმალურად მაინც, სრულად ავტორიტარულად უკვე ვეღარ ჩაითვლებოდნენ. სიმართლე რომ ითქვას, ბევრში ახლა უკვე გაღზიანებასაც იწვევს „მესამე სამყაროს“ ცნება – მისი ერთგვარი დამამცირებელი ქვეტექსტის გამო. ამიტომაც, დღესდღეობით ტერმინი „განვითარებადი სამყარო“ უფრო გამოიყენება.

ეჭვგარეშეა, რომ „სამი სამყაროს“ კონცეფციას ყველაზე გამანადგურებელი დარტყმა 1989-1991 წლების აღმოსავლეთ ევროპულმა რევოლუციებმა მიაყენა. სწორედ მათ განაპირობეს კომუნიზმის იდეოლოგიის კრახი სსრკ-სა და ყოფილი სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებში და ამასთანავე, პოლიტიკურ ლიბერალიზაციასა და საბაზრო ეკონომიკის რეფორმებს დაუდეს სათავე. ამასთან დაკავშირებით ფრენსის ფუკუიამამ (1989 წ.) ისიც

ლიბერალური დემოკრატია

დემოკრატიული მართვის იმგვარი ფორმა, რომელიც საზოგადოებრივი თანხმობის იდეალსა და შეზღუდული მმართველობის პრინციპს აერთიანებს. მისი „ლიბერალური“ თვისებები ხელისუფლებაზე მუდმივი კონტროლის მეშვეობით მოქალაქეთა თავისუფლების უზრუნველყოფასა და სახელმწიფოს მხრიდან მათი უფლებების დაცვაში ვლინდება, ხოლო „დემოკრატიულობა“ – არჩევნების რეგულარულ და კონკურენტულ სისტემას ეფუძნება, სადაც განმსაზღვრელი საყოველთაო საარჩევნო უფლებისა და პოლიტიკური თანასწორობის პრინციპებია. ამავე ტერმინში შეიძლება პოლიტიკური მოძღვრებაც ვიგულისხმოთ, თუმცა ზოგადად, „ლიბერალური დემოკრატია“ მმართველობის კონკრეტულ ფორმასთან მიმართებით უფრო იხმარება. ამ ტიპის რეჟიმების განმსაზღვრელი ნიშან-თვისებებია:

- საკონსტიტუციო მმართველობა, რომელიც დადგენილ და, როგორც წესი, სამართლებრივ ნორმებს ეფუძნება.
- სამოქალაქო თავისუფლებისა და პიროვნული უფლებების უზრუნველყოფა.
- ხელისუფლების გადანაწილება და კონტროლისა და დაბალანსების სისტემა.
- რეგულარული არჩევნები, რომელიც ითვალისწინებს პრინციპს: „ერთ ამომრჩეველი – ერთი ხმაა და ყოველი ხმა თანაბრად ფასობს.“
- პარტიული კონკურენცია და პოლიტიკური პლურალიზმი.
- სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფთა ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობა.
- საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებზე ორიენტირებული კერძო მეწარმეობა.

კი განაცხადა, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარება ერთგვარ „ისტორიის დასარულს“ ნიშნავს. ანუ სამყაროთა იდეოლოგიური დაპირისპირება, ფაქტიურად, დასავლური ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვებით დამთავრდაო. „მეორე“ და „მესამე სამყაროს“ რეჟიმები მაშინ დაიმსხვრნენ, როცა აღიარება მოუწიათ – მხოლოდ კაპიტალისტური „პირველი სამყარო“ იძლეოდა ეკონომიკური აყვავებისა და პოლიტიკური სტაბილურობის რეალურ პერსპექტივას.

თანამედროვე მსოფლიოს რეჟიმები

1980-იანი წლების ბოლოს რეჟიმების კლასიფიკაციის საკითხის გარშემო გაურკვევლობამ დაისადგურა. მოძველებული კატეგორიები, კერძოდ, „სამ სამყაროდ“ დაყოფის კონეფცია, უდაოდ გადაჭარბებული იყო, მაგრამ ახალი სამყაროს პოლიტიკური კონტურები ჯერ კიდევ არსად ჩანდა. უფრო მეტიც, „ისტორიის დასასრულის“ სცენარი წამიერი, იმედიანი გაელვება აღმოჩნდა, რომელიც 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში დემოკრატიის ტალღამ მოიტანა და კომუნიზმის დამხობით გამოწვეულ ერთგვარ ეიფორიას წარმოადგენდა. ეს ლიბერალურ-დემოკრატიული ტრიუმფი დასავლურ მოდელზე ორიენტირებული შეხედულებების ურყეობას ასახავდა და შესაძლოა, „ცივი ომის“ დღეების გამოძახილიც ყოფილიყო. „ლიბერალური დემოკრატიებისგან შემდგარი სამყაროს“ სურათი კონკრეტულად განვითარების დასავლური მოდელის უპირატესობას აღიარებდა, რომელიც არსებითად აშშ მოდელს ეფუძნებოდა და გულისხმობდა რომ ისეთი ფასეულობები, როგორიცაა, ინდივიდუალიზმი, უფლებები და არჩევანი, უნივერსალურად აღიარებული უნდა ყოფილიყო. ამის ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ არ მოხდა ისლამური და კონფუციანური პოლიტიკური ფორმების მნიშვნელობის გააზრება, ვინაიდან ისინი უბრალო ცდომილებად ან ლიბერალური დემოკრატიის შეუფერხებელი პროგრესისადმი უმწეო წინააღმდეგობის გაწევის მცდელობად აღიარეს.

მიუხედავად ამისა, კლასიფიკაციის ახალი სისტემის ჩამოყალიბების ერთ-ერთ სირთულეს ის გარემოებაც წარმოადგენს, რომ არ არსებობს კონსენსუსი იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელზედაც ასეთი სისტემა აიგება. კლასიფიკაციის არც ერთი სისტემა არ იყენებს ერთადერთ და უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. თუმცა, კონკრეტულ სისტემებს განსაზღვრული კრიტერიუმების პრიორიტიზირების მცდელობა ჰქონდათ. ფართოდ გამოყენებულ პარამეტრებს შორისაა:

ფრენსის ფუკუიამა (დაბადებულია 1952 წელს)

ამერიკელი ანალიტიკოსი და პოლიტოლოგი. დაიბადა ჩიკაგოში, პროტესტანტი ღვთისმსახურის ოჯახში. სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყებამდე, მუშაობდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკური დაგეგმარების განყოფილებაში. ამჟამად ლექციებს კითხულობს ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში. ამ გულმხურვალე რესპუბლიკელს საერთაშორისო აღიარება მოუტანა სტატიამ „ისტორიის დასასრული“ (1989 წ.), რომელიც მოგვიანებით მის ცნობილ წიგნად იქცა – „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“ (1992 წ.). ფუკუიამა მიიჩნევს, რომ „იდეათა ისტორია“ ლიბერალური დემოკრატიის „უპირატეს და საბოლოო მმართველობის ფორმად“ აღიარებისთანავე დასრულდა. თავის ორ მომდევნო ნაშრომში – „მრწამსი“ და „დიადი ნგრევა“ ფუკუიამა ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებრივ სიმტკიცეს შორის ურთიერთკავშირს იკვლევს. მოგვიანებით, 2006 წელს გამოცემულ წიგნში „ნეოკონსერვატორთა შემდგომ“ მან მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა 11 სექტემბრის ტერაქტის შემდგომ პერიოდში

- ვინ მართავს? ანუ პოლიტიკური მონაწილეობა მხოლოდ საზოგადოების მაღალი წრეებით ან პრივილეგირებული ჯგუფებით შემოიფარგლება, თუ მთელ მოსახლეობას მოიცავს?

- როგორ მიიღწევა საზოგადოებრივი თანხმობა? ხელისუფლების მორჩილება ძალის გამოყენების ან მუქარის შედეგია თუ ვაჭრობისა და დათმობების?

- ხელისუფლების ძალაუფლება ცენტრალიზებულია, თუ დანაწევრებული? ძალაუფლების ურთიერთშეზღუდვის რა ფაქტორები მოქმედებენ პოლიტიკურ სისტემაში?

- რა გზით ხდება ძალაუფლების მოპოვება და გადაცემა? რეჟიმი ღია და კონკურენტუნარიანია, თუ მონოლითურია?

- რა დამოკიდებულება არსებობს სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის? როგორ არის განაწილებული უფლებები და მოვალეობები ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის?

- როგორია ქვეყნის მატერიალური განვითარების დონე? როგორია საზოგადოების სოციალური მდგომარეობა და რამდენად თანაბრად ნაწილდება მატერიალური დოვლათი?

- როგორ არის ეკონომიკური სფერო ორგანიზებული? ბაზარზეა ორიენტირებული თუ ცენტრალიზებულ დაგეგმვაზე? და რა როლს თამაშობს მთავრობა ეკონომიკურ ცხოვრებაში?

- რამდენად მდგრადია რეჟიმი? გაუძლო, თუ არა რეჟიმმა დროს და შეუძლია თუ არა მას ახალ მოთხოვნებსა და გამოწვევებზე რეაგირება?

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, „კლასიკური“ ტიპოლოგიების გავლენით, კლასიფიკაციისადმი *კონსტიტუციურ-ინსტიტუციონალური* მიდგომა ჩამოყალიბდა. ამ შემთხვევაში, დაწერილ და დაუწერელ კონსტიტუციებს, საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემებს, ფედერალურ და უნიტარულ მმართველობებს შორის არსებულ

დემოკრატიზაცია

დემოკრატიზაცია ავტორიტარიზმიდან ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასვლას გულისხმობს. ამ პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება ძირეულ თავისუფლებათა დაცვაა. კერძოდ, ეს პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფა, საყოველთაო და თავისუფალი არჩევნების ჩატარება და საბაზრო რეფორმების გატარებაა (განსაკუთრებით, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში). დემოკრატიზაცია სამ პროცესს მოიცავს. პირველი: როცა ძველი რეჟიმი ემხობა, მას ჩვეულებრივ, ლეგიტიმურობის დაკარგვა მოჰყვება ხოლმე. თავის მხრივ, ამას ეკონომიკის დაცემა, ჯარისა და პოლიციის ხელისუფლებისგან განდგომა სდევს თან. მეორე: „დემოკრატიაზე გადასვლის“ ეტაპისთვის დამახასიათებელია ახალი, ლიბერალურ-დემოკრატიული სტრუქტურებისა და პროცესების ჩამოყალიბება. მესამე: „დემოკრატიული კონსოლიდაცია“ უკვე ის ეტაპია, როცა ახალი სტრუქტურები და პროცესები იმდენად მყარად იდგამს ფესვს ელიტისა და მასების შეგნებაში, რომ მათ შეცვლაზე უკვე ფიქრიც კი წარმოუდგენელია. ამგვარად, ა. პრჟევორსკის ფრაზას თუ მოვიშველიებთ – დემოკრატია „ერთადერთ გასართობს წარმოადგენს ქალაქში“ (1991 წ.).

სხვაობაზე მახვილდებოდა ყურადღება. 1950-1960-იან წლებში უკვე სისტემური თეორიის ზეგავლენით ჩამოყალიბებულ სტრუქტურულ-ფუნქციონალურ მიდგომას დაედო სათავე. მსგავსი მიდგომის დროს არა იმდენად ინსტიტუციონალურ მოწყობაზე კეთდებოდა აქცენტი, რამდენადაც პოლიტიკური სისტემების რეალურ ქმედითუნარიანობაზე. კერძოდ იმაზე, თუ როგორ პასუხობდა სახელმწიფო „წვლილს“ (input) „სარგებლით“ (output). „სამი სამყაროს“ კონცეფცია თავისი არსით ეკონომიკურ-იდეოლოგიური გახლდათ, რამდენადაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას სისტემის ეკონომიკური განვითარების დონეს და მის ზოგად იდეოლოგიურ ორიენტაციას ანიჭებდა.

წინამდებარე წიგნში შემოთავაზებული მიდგომა გარკვეულწილად განსხვავდება თითოეული ზემოთგანხილული სამი მიდგომისაგან: აქ რეჟიმის სამი მთავარი მახასიათებელი – მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტები უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენი მიდგომის უმთავრესი იდეა ისაა, რომ სისტემები არა იმდენად თავისი კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული პარამეტრებით განსხვავდებიან, რამდენადაც იმით, თუ როგორ ზემოქმედებენ და რეალურ ცხოვრებაში როგორ „გადაფარავენ“ ისინი ერთმანეთს (ნახ. 2.):

შემოთავაზებული მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ იგი ხაზს უსვამს განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას კონკრეტული კულტურული კონტექსტის მნიშვნელობას. მაგალითად, მრავალპარტიული არჩევნები

და საბაზრო ეკონომიკა დასავლურ საზოგადოებათა ლიბერალური ტრადიციისა და არადასავლურ საზოგადოებათა კულტურულ გარემოში, შესაძლოა, სრულად სხვადასხვაგვარად აისახოს; ამასთანავე, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ XX საუკუნის ბოლოს მომხდარი უმნიშვნელოვანესი, პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე, ნებისმიერი კლასიფიკაცია დროებითია. დღესდღეობით პოლიტიკური სისტემები ისე სწრაფად იცვლებიან, მათი კლასიფიცი-

ნახ. 2. სისტემათა ძირითადი მახასიათებლები



რება არც თუ ისე იოლია: ფაქტიურად, ეს მუდმივად ცვალებადი პოლიტიკური რეალობის დაფიქსირების მცდელობაა. და მაინც, თანამედროვე მსოფლიოში რეჟიმების ხუთი ძირითადი ტიპი შეგვიძლია გამოვყოთ:

- დასავლური პოლიარქიები
- ახალი დემოკრატიები
- აღმოსავლეთ-აზიური რეჟიმები
- ისლამური რეჟიმები
- სამხედრო რეჟიმები

დასავლური პოლიარქიები

„დასავლური პოლიარქიები“ ფაქტიურად, იგივეა, რაც „ლიბერალური დემოკრატია“ ან უბრალოდ, „დემოკრატია.“ ამ სისტემების თავდაპირველ გეოგრაფიულ არეალს ჩრდილო ამერიკა, დასავლეთ ევროპა და ავსტრალია-ოკეანია წარმოადგენდნენ. ჰანთინგტონი ამ რეჟიმებში დემოკრატიზაციის პირველი ორი „ტალღის“ შედეგს ხედავდა, რომელთაგან ერთი 1828-1926 წლების პერიოდს განეკუთვნებოდა და აშშ, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთ მოიცვა; მეორე „ტალღა“ კი 1943 და 1962 წლებს შორის პერიოდს დაემთხვა და ამჯერად დასავლეთ გერმანიას, იტალიას, იაპონიასა და ინდოეთს გადაუარა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიარქიების განვითარება მეტწილად დემოკრატიცაზიისა და **ლიბერალიზაციისკენ** სწრაფვის შედეგია, უპირატესობა მაინც ტერმინ „პოლიარქიას“ ენიჭება შემდეგი ორი მიზეზის გამო. პირველი: ლიბერალური დემოკრატია ხანდახან პოლიტიკურ იდეალადაც კი მიიჩნევა და შესაბამისად, უფრო ფართო ნომატიული შინაარსითაა დატვირთული. მეორე: ტერმინ „პოლიარქიის“ გამოყენება ერთგვარად აღიარებს, რომ აღნიშნული რეჟიმებს ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ დემოკრატიის დასახული მიზნისთვის.

ტერმინი „პოლიარქია“ პირველად დალმა და ლინდბლომმა მართვის სისტემის ასაღწერად გამოიყენეს ნაშრომში „პოლიტიკა, ეკონომიკა და კეთილდღეობა“ (1953 წ.). მოგვიანებით დალმა ეს ცნება კიდევ უფრო განავრცო თავის სტატიაში „პოლიარქია: თანამონაწილეობა და წინააღმდეგობა“ (1971 წ.). აღნიშნული ავტორების აზრით, პოლიარქიული რეჟიმებს ორი ნიშნის კომბინაცია ახასიათებთ. პირველ რიგში, შედარებით მაღალია შემწყნარებლობა ოპოზიციის მხრიდან. ეს კი საკმარისია იმისთვის, რომ მოხდეს, სულ მცირე, მთავრობის თვითნებური გადახვევების გამოვლენა. პრაქტიკაში ეს მრავალპარტიული სისტემის, ინსტიტუციურად გარანტირებული და დაცული სამოქალაქო უფლებების, ენერგიული და ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების არსებობით ხორციელდება. პოლიარქიის მეორე თვისებას საზოგადოებისთვის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ფართო შესაძლებლობის მიცემა ითვლება, რაც თავის მხრივ ხალხის მხარდაჭერის საფუძველს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორი რეგულარული და კონკურენტული არჩევნებია; სწორედ ამ ინსტრუმენტის მეშვეობით შეუძლია ხალხს აკონტროლოს და, თუ საჭირო გახდა, შეცვალოს კიდეც მთავრობა. ამ თვალსაზრისით, პოლიარქიები ახლოსაა დემოკრატიული ელიტიზმის იმ ფორმასთან, რომელიც ჯოზეფ შუმპეტერმა აღწერა თავის ნაშრომში „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ (1942 წ.). ოღონდ ლინდბლომიცა და დალიც აღიარებდნენ, რომ პოლიარქიებზე ძალიან დიდი

ლიბერალიზაცია: სახელმწიფო ძალაუფლებაზე შიდა და გარე კონტროლის დაწესება და/ან კერძო მეწარმეობისა და საბაზრო პრინციპებზე გადასვლა.

პოლიარქია

(სიტყვასიტყვით „ბევრის მმართველობა“) როგორც წესი, თანამედროვე წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტებთან და პოლიტიკურ პროცესებთანაა დაკავშირებული. პოლიარქია რეჟიმის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ყველა სხვა არადემოკრატიული და არასაკმარისად დემოკრატიული სისტემებისგან, რომლებიც სახელმწიფოს მმართველობაში პირდაპირი მონაწილეობის კლასიკურ, ანუ ე.წ. ათენურ მოდელს ეფუძნებიან. პოლიარქიას შეიძლება სხვაგვარად „უმწიფარი“ დემოკრატიაც შეიძლება ვუწოდოთ, რამდენადაც ხელისუფალნი მეტ-ნაკლებად მაინც იმ ინსტიტუტების მეშვეობით მართავენ ქვეყანას, რომლებიც ხელისუფლების ამომრჩეველთა ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას აიძულებენ. მისი ძირითადი თვისებებია:

- ხელისუფლებას არჩეული თანამდებობის პირები წარმოადგენენ.
- არჩევნები თავისუფალი და სამართლიანია.
- პრაქტიკულად ყველა სრულწლოვანს შეუძლია ხმის მიცემა.
- საკუთარი კანდიდატურის წაყენება არ იზღუდება.
- თავისუფალი აზრის გამოხატვა პრობლემას არ წარმოადგენს, ყველას აქვს კრიტიკისა და პროტესტის გამოხატვის უფლება.
- მოქალაქეებს აქვთ წვდომა ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროებზე.
- სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები და ასოციაციები ხელისუფლებისგან დამოუკიდებლები არიან.

გავლენა აქვთ მსხვილ კორპორაციებს, ამიტომ ისინი ზოგჯერ ტერმინ „დეფორმირებულ პოლიარქიებსაც“ კი იყენებდნენ.

ამგვარი გაგებით „პოლიარქიის“ ცნება უკვე სულ უფრო და უფრო მეტ რეჟიმს მიესადაგება. ყველა სახელმწიფოს, რომელიც მრავალპარტიულ არჩევნებს ატარებს, პოლიარქიული ნიშნები აქვს. მაგრამ, დასავლური პოლიარქიები მკვეთრად გამოხატული სპეციფიკით გამოირჩევიან. მათთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ წარმომადგენლობითი დემოკრატია და კაპიტალისტური ეკონომიკური ორგანიზაციები, არამედ კულტურული და იდეოლოგიური ორიენტაციაც, რაც ძირითადად დასავლური ლიბერალიზმიდან მომდინარეობს. ამ მემკვიდრეობის უმთავრესი ასპექტი „ლიბერალური ინდივიდუალიზმის“ საყოველთაო აღიარებაა. ინდივიდუალიზმი, რომელსაც ხშირად ყველაზე დასავლურ ღირებულებად მოიაზრებენ, თითოეული ადამიანის განუმეორებლობას უსვამს ხაზს და თვლის, რომ საზოგადოება ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მისი შემადგენელი ინდივიდების მოთხოვნები და ინტერესები. ლიბერალურმა ინდივიდუალიზმმა სხვადასხვაგვარად იმოქმედა დასავლური პოლიარქიების პოლიტიკურ კულტურაზე. მაგალითად, სწორედ აქედან მოდის ინდივიდუალური უფლებების დაცვის გამძაფრებული მოთხოვნა (რაც ხშირად მოვალეობებზე მაღლაც კი დგას), საყოველთაო რწმენა, რომ არჩევანი და კონკურენცია (როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში) ჯანსაღი რამაა და ჩვეულება, ეჭვითა და სიფრთხილით მოეკიდონ ნებისმიერ ხელისუფლებას, როგორც ინდივიდის თავისუფლებისათვის შესაძლო საფრთხეს.

ზემოთქმულის მიუხედავად, ყველა დასავლური პოლიარქია ერთნაირი არ არის. ზოგიერთ მათგანი ცენტრალიზაციისა და უმრავლესობის მმართველობისკენ იხრება, ზოგი კი – ხელისუფლების გადანაწილებისა და პლურალიზმისკენ. სწორედ ამ ფაქტს გაუსვა ხაზი ა. ლიპჰარტმა (1990 წ., 1999 წ.) „მაჟორიტარული“ და „კონსენსუსური“ დემოკრატიების განსხვავების დროს. უმრავლესობის (მაჟორიტარული) დემოკრატიები **ე.წ. ვესტმინსტერის მოდელზეა** აგებული. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია, დიდი ბრიტანეთი. თუმცა, ხსენებული მოდელი შემდგომში მორგებულ იქნა ახალი ზელანდიის, ავსტრალიის, კანადის,

ისრაელისა და ინდოეთის პოლიტიკურ სისტემებზეც. მაჟორიტარული სისტემები ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს, ან შესაძლოა ყველა პარამეტრს უნდა აკმაყოფილებდეს:

- ერთპარტიული მთავრობა
- ძალაუფლების არასრული გადანაწილება აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის.
- ერთპალატიანი, ანდა სუსტად გამოხატული ორპალატიანი პარლამენტი.
- ორპარტიული სისტემა.
- ერთმანდატიანი ოლქის ელექტორალური სისტემა, სადაც პრეტენდენტებისათვის ხმების უბრალო უმრავლესობაა საკმარისი.
- უნიტარული ან ცენტრალიზებული მმართველობა.
- დაუწერელი კონსტიტუცია და სუვერენული პარლამენტი.

ვესტმინსტერის მოდელი: მმართველობის სისტემა, რომელშიც აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტის მიერ მტკიცდება და (თეორიულად მაინც) მის წინაშეა ანგარიშვალდებული.

ამის საპირისპიროდ, სხვა ტიპის დასავლური პოლიარქიებისთვის სახელისუფლებო და პარტიულ სისტემებში ძალაუფლების გადანაწილებაა დამახასიათებელი. პლურალისტური დემოკრატიის ამერიკული მოდელი უმთავრესად ხელისუფლების ინსტიტუციონალურ გადანაწილებაზეა აგებული, რაც თავად კონსტიტუციითა გამყარებული. სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით, კონტინენტურ ევროპაში, კონსენსუსის მყარ საფუძველს პარტიული სისტემა, „ვაჭრობა“ და ძალაუფლების გაზიარებისკენ სწრაფვა ქმნის. ისეთ სახელმწიფოებში, როგორიცაა – ბელგია, ავსტრია და შვეიცარია **გამაერთიანებელი დემოკრატია** განვითარდა, რომელიც უფრო იმგვარი საზოგადოებებისთვისაა შესაფერისი, სადაც აშკარაა დაყოფა რელიგიური, იდეოლოგიური, კულტურული, რეგიონალური თუ სხვა ნიშნით. კონსენსუსური, იგივე პლურალისტური ტენდენციებისათვის შემდეგი ნიშან-თვისებებია დამახასიათებელი:

- კოალიციური მთავრობა.
- აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების გამიჯვნა.
- ძლიერი ორპალატიანი სისტემა.
- მრავალპარტიული სისტემა
- პროპორციული წარმომადგენლობა.
- ფედერალიზმი ან უფლებამოსილებათა დელეგირება.
- „დაწერილი“ კონსტიტუცია და უფლებათა დეკლარაცია.

რა თქმა უნდა, ყველა პოლიარქიული რეჟიმი და საერთოდ, ნებისმიერი რეჟიმი უნიკალურია და მასაშადამე, განსაკუთრებულიც. ამერიკის შეერთებული შტატების **განსაკუთრებულობა**, მაგალითად, ფეოდალური წარსულის არ არსებობითა და დასახლებისა და

საზღვრების გაფართოების გამოცდილებით აიხსნება. ეს შეიძლება გარკვეული პასუხიც იყოს იმაზე, თუ რატომ აქვს აშშ-ს ასეთი ღრმა, ინდივიდუალისტური პოლიტიკური კულტურა, რომელიც ერთადერთია დასავლურ პოლიარქიებში, სადაც სოციალისტურმა პარტიამ ან მსგავსმა მოძრაობამ ფეხი ვერ მოიკიდა. აგრეთვე, დასავლურ რეჟიმებში აშშ ყველაზე გამოკვეთილად რელიგიურია და ერთადერთია, სადაც ქრისტიანული ფუნდამენტალიზმიც კი მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად გარდაიქმნა.

გამაერთიანებელი დემოკრატია: დემოკრატიის ფორმა, რომელიც ძალაუფლების გაზიარებასა და პარტიებს ან პოლიტიკურ წარმონაქმნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას ეყრდნობა.

განსაკუთრებულობა: პოლიტიკური სისტემის უნიკალური ნიშან-თვისებები, რაც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი და აქედან გამომდინარე, იზღუდება მათი გამოყენება უფრო ფართო კატეგორიებთან მიმართებაში.

ინდოეთი კიდევ უფრო რთული ფენომენია. კულტურული, ფილოსოფიური და რელიგიური თვალსაზრისით, იგი უდაოდ არ მიეკუთვნება დასავლეთს. ევროპისა და ჩრდილო ამერიკის „განვითარებული“ პოლიარქიებისაგან განსხვავებით, ინდოეთის მოსახლეობა ძირითადად სოფლად ცხოვრობს და წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 50%-ს ძლივს აღწევს. და მაინც, 1947 წლიდან, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, ინდოეთი წარმატებით ვითარდება როგორც ტიპური პოლიარქიული სახელმწიფო, რომელმაც საკმაოდ იოლად გადაიტანა ინდირა განდის მიერ 1970 წლების ბოლოს მთელ ქვეყანაში შემოღებული „საგანგებო მდგომარეობა“. ინდოეთის პოლიტიკური სტაბილურობა, როგორც ჩანს, მრავალკასტიანი „ეროვნული კონგრესის“ პარტიის არსებობამ და ნერუ-განდის მისტიურმა დინასტიამ განაპირობა. თუმცა, პარტიის გავლენის შემცირებამ და ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობამ, თანამედროვე ინდოეთი, სავარაუდოდ, უფრო „გამაერთიანებელი დემოკრატიის“ მოდელს დაუახლოვა.

ახალი დემოკრატიები

სემუელ ჰანტინგტონის თანახმად (1991 წ.), დემოკრატიზაციის მესამე ტალღამ მსოფლიოს 1974 წელს გადაუარა. ამის მაგალითებია მემარჯვენე დიქტატორთა დამხობა საბერძნეთში, პორტუგალიასა და ესპანეთში; გენერალთა დიქტატურის დასრულება ლათინურ ამერიკაში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – კომუნიზმის სრული კრახი. 1989-91 წლებში აღმოსავლეთ ევროპულმა რევოლუციებმა კომუნიზმის დამარცხება და დასავლეთის ლიბერალურ მოდელებზე აგებული დემოკრატიზაციის პროცესის დაჩქარება გამოიწვია. ამ პროცესისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო მრავალპარტიული არჩევნების

დასავლეთი

ტერმინ „დასავლეთს“ ორი ურთიერთდაკავშირებული მნიშვნელობა აქვს. ზოგადად, ეს ტერმინი ევროპის კულტურულ და ფილოსოფიურ მემკვიდრეობასთან არის დაკავშირებული, რომელიც მიგრაციისა და კოლონიალიზმის შედეგად, დედამიწის სხვა ნაწილებშიც გავრცელდა. მისი ფესვები იუდეო-ქრისტიანული რელიგიიდან და რომისა და საბერძნეთის „კლასიკური“ მოძღვრებიდან მომდინარეობს, რამაც თანამედროვე ეპოქაში ლიბერალიზმის იდეებისა და ფასეულობების სახე მიიღო. ტერმინი „აღმოსავლეთი“ ზოგადად, აზიასა და საერთოდ, აღმოსავლეთის ქვეყნებს გულისხმობს. უფრო ვიწრო, „ცივი ომის“ დროს გაბატონებული შეხედულებით, „დასავლეთი“ ნიშნავდა მთელ კაპიტალისტურ ბლოკს, რომელიც აშშ-ს მეთაურობით სსრკ-ს გავლენის ქვეშ მყოფ „აღმოსავლეთს“ უპირისპირდებოდა. დღეს აღმოსავლეთ ევროპა, ამ გაგებით, უკვე აღარ მიეკუთვნება აღმოსავლეთს. თუმცა, ჯერ კიდევ დაუდგენელია ეკუთვნის თუ არა რუსეთი დასავლურ სამყაროს.

ახალი დემოკრატიები: რეჟიმები, რომელშიც დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესი დასრულებული არ არის. ანუ დემოკრატია ჯერ კიდევ არ წარმოადგენს „ერთადერთ გასართობს ქალაქში“ (პრჟევორსკი, 1991 წ.).

ნახევრად-დემოკრატიები: რეჟიმები, რომელშიც ერთმანეთის გვერდიგვერდ წარმოდგენილია დემოკრატიული და ავტორიტარული მახასიათებლები.

შემოღება და საბაზრო ეკონომიკური რეფორმების გატარება. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ყოფილი კომუნისტური რეჟიმების უმეტესობა (ან ყველა) გარდამავალ პერიოდში იმყოფებიან, რაც საბოლოოდ მათ დასავლურ პოლიარქიებთან დააახლოებს. ამის მიუხედავად, ამ ეტაპზე, ეს სისტემები განსაკუთრებულ რეჟიმებად უნდა მოვიაზროთ. პირველ რიგში, შეუძლებელია მათი კომუნისტური წარსულის მემკვიდრეობის დავიწყება ერთ ღამეში. თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მაგალითად, რუსეთში კომუნისტურმა სისტემამ 70 წელზე მეტ ხანს იარსება. მეორეც, გარდამავალმა პროცესმა წარმოქმნა გარკვეული ძალები და პრობლემები, რაც აბსოლუტურად განსხვავდება თავის დროზე დასავლური პოლიარქიების წინაშე არსებული პრობლემებისგან. ამ მიზეზთა გამო, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა თუ მოვახდენდით მათ კლასიფიკაციას **ახალ დემოკრატიებად** ან **ნახევრად-დემოკრატიებად.**

პოსტკომუნისტური რეჟიმების კიდევ ერთ მახასიათებელს კომუნისტური მმართველობის პოლიტიკურ-კულტურული შედეგების, განსაკუთრებით, სტალინისტური ტოტალიტარიზმის შედეგად დამკვიდრებული სიმახინჯეების, დაძლევა წარმოადგენს. უმკაცრესი ცენზურა და ოპოზიციური აზრის დევნა, რაც კომუნისტური პარტიების ძალაუფლების მონოპოლიას ედო საფუძვლად, იყო გარანტი იმისა, რომ სამოქალაქო კულტურა, რომელიც თანამონაწილეობაზე აკეთებდა აქცენტს, აგრეთვე ვაჭრობა და კონსენსუსი ვეღარ განვითარდებოდა. რუსეთში ამან შედეგად სუსტი და დაქუქმაცებული პარტიული სისტემა მოგვცა, რაც აშკარად ვერ ახერხებს უპასუხოს რუსი საზოგადოების უმთავრეს ინტერესებს. პარადოქსია, მაგრამ კომუნისტური პარტიები ან ყოფილი კომუნისტური პარტიები ხშირად ჯერ კიდევ აგრძელებენ სტაბილურობის უზრუნველყოფას. რუმინეთსა და ბულგარეთში, მაგალითად, კომუნისტური საზოგადოების ბევრი ინსტიტუტი პოსტკომუნისტურ პერიოდშიც შენარჩუნდა; ხოლო ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა – უნგრეთი პოლონეთი და რუსეთი, კომუნისტური პარტიები სოციალური დემოკრატიის პრინციპებზე გადაერთნენ, რისი მეშვეობითაც მათ ამომრჩევლის უკან დაბრუნება შეძლეს.

პრობლემათა მეორე წყება ეკონომიკური გარდაქმნების პროცესებს უკავშირდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებულმა „შოკურმა“ თერაპიამ, რომელიც ცენტრალიზებული დაგეგმვიდან თავისუფალ საბაზრო კაპიტალიზმზე დაუყოვნებლივ გადასვლას გულისხმობდა, უმუშევრობა და ინფლაცია გამოიწვია და მნიშვნელოვნად გაზარდა სოციალური უთანასწორობა. 1990-იანი წლების დაუფიქრებელი ნაბიჯების შემდეგ, ეკონომიკური ლიბერალიზაციის ტემპი მნიშვნელოვნად დაეცა, რაც გამოწვეული იყო საბაზრო რეფორმების მიმართ გაჩენილი პროტესტის გრძნობით, რასაც აქტიურად უჭერდნენ მხარს კომუნისტური და ნაციონალისტური პარტიები. და ბოლოს, არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების სისუსტით განპირობებული პრობლემებიც, რამაც თავი მაშინ იჩინა, როდესაც სახელმწიფოს კომუნისტური მმართველობის ხანაში დაუნდობლად ჩახშობილი, ცენტრიდანული ძალები დაუპირისპირდნენ. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ეთნიკური და ნაციონალისტური დაპირისპირების აღმოცენებაში.

სსრკ-ში კომუნიზმის კრახმა ყოფილი საბჭოთა იმპერიის დაშლა გამოიწვია, რის შედეგადაც 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა. მათგან რამოდენიმეში, რუსეთის ჩათვლით, დღემდე მწვავე ფორმით გრძელდება ეთნიკური კონფლიქტები. 1992 წელს არსებობა შეწყვიტა ჩეხოსლოვაკიამ, რომლის საფუძველზე ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკები შეიქმნა. ბევრად უფრო მძიმე ფორმა მიიღო ნაციონალურ-ეთნიკურმა კონფლიქტმა

კომუნიზმი

მარტივი გაგებით, სოციალური ყოფის საზოგადოებრივი ორგანიზება, რაც კოლექტიური საკუთრების მფლობელობაზეა დაფუძნებული. იგი უფრო ხშირად მარქსის მოძღვრებასთან ასოცირდება. მარქსისთვის კომუნიზმი უკლასო საზოგადოებას ნიშნავდა, სადაც დოვლათი საერთო იყო, წარმოებას მოთხოვნა განაპირობებდა, სახელმწიფოს არსებობა კი საყოველთაო კეთილდღეობისა და ჰარმონიის პირობებში, აზრს კარგავდა. ეს ტერმინი აგრეთვე გამოიყენება იმ საზოგადოებებთან მიმართებაში, რომლებიც ლენინიზმისა და სტალინიზმის მიერ მარქსიზმის „კრიტიკული“ გაანალიზების შედეგად ჩამოყალიბდნენ. „ორთოდოქსული“ კომუნიზმის სისტემისთვის დამახასიათებელია შემდეგი:

- მარქსიზმ-ლენინიზმი სახელმწიფო იდეოლოგიას წარმოადგენს.
- ძალაუფლება „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ პრინციპებზე აწყობილი კომუნისტური პარტიის ხელშია.
- მართვას ახორციელებს კომუნისტური პარტია, გამომდინარე იქიდან, რომ მის ხელთაა მთელი სახელისუფლებო მანქანა და შერეული სახელმწიფო-პარტიული აპარატი.
- კომუნისტური პარტია „წამყვან და ძირითად როლს“ თამაშობს საზოგადოებაში; ის აკონტროლებს ნებისმიერ ინსტიტუტს ეკონომიკური, საგანმანათლებლო, კულტურული თუ ჯანდაცვის სფეროს ჩათვლით.
- ეკონომიკური ცხოვრება სახელმწიფო კოლექტივიზაციას ეფუძნება და ცენტრალური დაგეგმარების სისტემის მეშვეობით ფუნქციონირებს.

იუგოსლავიაში, სადაც 1991 წელს იგი სერბიასა და ხორვატიას შორის ნამდვილ ომში გადაიზარდა. ხოლო ბოსნიაში ოთხი წლის განმავლობაში სამოქალაქო ომი მძინვარებდა (1992-96 წწ.).

სახეზეა მნიშვნელოვანი განსხვავებები პოსტკომუნისტურ სახელმწიფოთა შორის: მათგან ყველაზე თვალსაჩინოა სხვაობა ცენტრალური ევროპის ინდუსტრიულად განვითარებულ და ‘გადასავლურებულ’ სახელმწიფოებსა (მაგალითად, ჩეხეთი, უნგრეთი და პოლონეთი) და უფრო ჩამორჩენილ, ‘აღმოსავლურ’ ქვეყნებს შორის, როგორიცაა – რუმინეთი, ბულგარეთი და გარკვეულწილად, რუსეთიც. ქვეყნების პირველ ჯგუფში საბაზრო რეფორმებმა სწრაფად და შედარებით მშვიდად ჩაიარა; მეორე ჯგუფში კი რეფორმები ან ზედაპირული და არასრული იყო, ან სერიოზული პოლიტიკური დაპირისპირების გამომწვევი გახდა. პირველი ჯგუფის ქვეყნები ისწრაფიან პირველივე შესაძლებლობისთანავე მიუერთდნენ ევროკავშირს და დემოკრატიული კონსოლიდაციის სერიოზულ ნიშნებს ავლენენ. კიდევ ერთი განსხვავება შეინიშნება ერთი მხრივ იმ ქვეყნებს შორის, სადაც კომუნიზმი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა წითელმა არმიამ იძულებით დანერგა და მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს შორის. ბალტიის ქვეყნების გარდა (ესტონეთი, ლატვია და ლიტვა), ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის დამახასიათებელია ის, რომ აქ უფრო ხანგრძლივი იყო კომუნისტური მმართველობა; ისინი ერთ დროს ჯერ მეფის რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ, შემდგომ კი საბჭოთა კავშირისას. და ბოლოს, უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთი თავისებურად უნიკალური ქვეყანაა, რისი მიზეზიც შესაძლოა რუსული იმპერიული წარსული და რუსული ნაციონალიზმის ავტორიტარული და ექპანსიონისტური ბუნებაც იყოს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პეტრე დიდის პერიოდიდან მოყოლებული, აქ დასავლური ორიენტაცია სლავურ „მეობას“ უპირისპირდება. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომაც უჭირს ქვეყანას საკუთარი კულტურული მემკვიდრეობისა და პოლიტიკური ბედ-იღბლის განსაზღვრა.

აღმოსავლურ-აზიური რეჟიმები

შესაძლოა, XX საუკუნის დასასრულს აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების აღმავლობა უფრო მნიშვნელოვანი მსოფლიო-ისტორიული პროცესი აღმოჩნდეს, ვიდრე ეს კომუნიზმის მარცხი იყო. ამ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკის სასწორი შესამჩნევად გადაიხარა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. XX საუკუნის ბოლო ორ ათწლეულში წყნარი ოკეანის აუზის დასავლეთ სანაპიროზე ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, საშუალოდ, ორჯერ-ოთხჯერ აღემატებოდა ევროპისა და ჩრდილო ამერიკის განვითარებული ეკონომიკის მაჩვენებლებს. მიუხედავად ამისა, რაღაც განსაკუთრებული, აღმოსავლეთ-აზიური პოლიტიკური სისტემის არსებობა არავის უღიარებია. ფართოდ გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ მოდენიზაცია ვესტერნიზაციის ტოლფასი იყო. პოლიტიკურ ენაზე ეს იმას ნიშნავდა, რომ სამრეწველო კაპიტალიზმს ყოველთვის თან ახლდა ლიბერალური დემოკრატია. ამ თვალსაზრისის მომხრეებს მაგალითად მოჰქონდათ იაპონიის 1946 წლის კონსტიტუციის წარმატება მას შემდეგ, რაც აშშ გავიდა ქვეყნიდან; ასევე მიუთითებდენ 1980-1990 წლებში ტაილანდში, სამხრეთ კორეასა და ტაივანში მრავალპარტიული საარჩევნო სისტემების დანერგვაზე. ოღონდაც, ამგვარი ინტერპრეტაცია რატომღაც ვერ ხსნის, თუ რატომ ფუნქციონირებს აზიური პოლიარქიული ინსტიტუციები სხვანაირად, ვიდრე ეს დასავლურ სამყაროში ხდება. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ეს მოსაზრება ყურადღების მიღმა ტოვებს იმ განსხვავებებს, რაც არსებობს, ერთი მხრივ, კონფუციანურ იდეებსა და ფასეულობებზე დაფუძნებულ კულტურებსა და მეორე მხრივ, ლიბერალური ინდივიდუალიზმის გავლენით ჩამოყალიბებულ კულტურებს შორის. საბოლოოდ ამან მიგვიყვანა იმ მოსაზრებამდე, რომ არსებობს დასავლურისგან მკვეთრად განსხვავებული და თავისებური **აზიური ფასეულობები**.

აღმოსავლეთ-აზიურ რეჟიმებში საერთო მახასიათებლები აღინიშნება. ჯერ ერთი, ისინი უფრო ეკონომიკურ მიზნებზე არიან ორიენტირებულნი, ვიდრე პოლიტიკურზე. მათ უმთავრეს პრიორიტეტს უფრო განვითარების ტემპების ხელშეწყობა და კეთილდღეობის უზუნველყოფა წარმოადგენს, ვიდრე დასავლური გაგებით, პიროვნული თავისუფლებისა და სამოქალაქო უფლებათა არეალის გაფართოება. ეს უაღრესად პრაქტიკული მიდგომა აღმოსავლეთ აზიის "ხუთი ვეფხვის" (სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონკონგი, სინგაპური და მალაიზია) ეკონომიკურ აღმავლობაშიც შეინიშნება. მაგრამ იგივე ტენდენცია იკვეთება 1970-იანი წლების მიწურულს ერთპიროვნული კომუნისტური მმართველობის პირობებში ჩინეთის საბაზრო ეკონომიკის მოულოდნელ განვითარებაშიც. მეორეც, ამ ქვეყნებში 'ძლიერი' მმართველობის მოთხოვნილება შეინიშნება. საზოგადოება უფრო შემწყნარებლურია

კონფუციანიზმი

კონფუციანიზმი არის ეთიკის სისტემა, რომელიც კონფუცმა (551-479 ჩვ. წ. აღ-მდე) და მისმა მოწაფეებმა შექმნეს და რომელმაც კრებულის სახით მოაღწია ჩვენამდე. კონფუცის ნააზრევი ძირითადად ორ, ერთმანეთთან დაკავშირებულ თემას ეძღვნება. ესენია: ადამიანური ურთიერთობები და შინაგანი „მეს" განვითარება. ე.წ. „რენ" (ადამიანურობა ან სიყვარული) გაგებულია როგორც იმგვარი ტრადიციული იდეებისა და ფასეულობებისადმი ერთგულება, როგორიცაა: უფროსისადმი პატივისცემა, რიდი, და ერთგულება. „ჯუნცი" (ანუ სუფთა ადამიანი) ცოდნის შეძენის გზით პიროვნული განვითარებისა და სრულყოფის შესაძლებლობას გულისხმობს. კონფუციანიზმს, ტაოიზმსა და ბუდიზმს ჩინური აზროვნების სამ უმთავრეს სისტემად მიიჩნევენ, თუმცა, ბევრი კონფუცის მოძღვრებას ზოგადად ჩინურ ცივილიზაციასთან აიგივებს.ეკონომიკური ცხოვრება სახელმწიფო კოლექტივიზაციას ეფუძნება და ცენტრალური დაგეგმარების სისტემის მეშვეობით ფუნქციონირებს.

თეოკრატია

(სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „ღვთის მმართველობა“). ესაა პრინციპი, რომლის მიხედვითაც, სასულიერო ხელისუფლება საეროზე მაღლა უნდა იდგას. შესაბამისად, თეოკრატია არის რეჟიმი, სადაც სახელისუფლებო თანამდებობები იმისდა მიხედვით ნაწილდება, თუ რა ადგილი უკავია პიროვნებას სასულიერო იერარქიაში; საერო სახელმწიფოში კი პოლიტიკური და სასულიერო თანამდებობები მკვეთრადაა გამიჯნული. თეოკრატიული მმართველობის ფორმა ორი თვალსაზრისითაა არალიბერალური. ჯერ ერთი, იგი არ ცნობს ზღვარს კერძო და საზოგადოებრივ სფეროებს შორის, ხოლო რელიგიურ კანონებსა და დოგმებს როგორც პირად, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმმართველად მიიჩნევს. მეორეც, იგი პრაქტიკულად უსაზღვრო ძალაუფლებას ანიჭებს პოლიტიკურ ხელისუფლებას, რამდენადაც მიწიერ ძალაუფლებას სულიერი სიბრძნიდან ნასაზრდოებად სახავს და მის საზოგადოებრივ თანხმობაზე დაფუძნებასა თუ მხოლოდ კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცევას გამორიცხავს.

გავლენიანი „მმართველი“ პარტიებისადმი და ზოგადად, სახელმწიფოს მიმართ გარკვეული პატივისცემა ახასიათებს. გადასახადებისა და საზოგადოებრივი ხარჯების არცთუ მაღალი დონის მიუხედავად (ჩვეულებრივ, მშპ-ს 30% არ აღემატება), კეთილდღეობის სახელმწიფოს დასავლური მოდელის მსგავსს აქ მაინც ვერ ნახავთ. აქ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო „მამა-მარჩენალის“ როლს უნდა თამაშობდეს, ყველა კერძო თუ საზოგადოებრივ გადაწყვეტილების მიღებაში ერეოდეს და ქვეყნის განვითარების საერთო სტრატეგიულ გეზსაც თავად განსაზღვრავდეს. მესამე, ამ მიდგომას თან ერთვის ზოგადი დამოკიდებულება და მოწიწება ლიდერთა მიმართ, ვინაიდან კონფუციანიზმი ერთგულებას, დისციპლინასა და მოვალეობას ქადაგებს. დასავლური თვალთახედვით, ეს აღმოსავლეთ აზიურ რეჟიმებს ფარული და ხანდახან, აშკარა ავტორიტარიზმის ელფერს ანიჭებს. და ბოლოს, დიდი ადგილი ეთმობა საზოგადოებრივ და სოციალურ კავშირებს, რაც ოჯახის ფენომენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭებაში გამოიხატება. საბოლოოდ კი წარმოიქმნება ის, რასაც იაპონელები „ჯგუფურ აზროვნებას“ უწოდებენ და რაც საკმაოდ ზღუდავს იმგვარი ცნებების არეალს, როგორიც (ყოველ შემთხვევაში, დასავლური გაგებით) ინდივიდუალიზმი და ადამიანის უფლებებია.

თუმცა, აღმოსავლეთ-აზიურ რეჟიმებშიც შეიძლება განსხვავებების პოვნა. ნაწილობრივ, ეს განპირობებულია იმ კულტურული სხვაობით, რაც ერთი მხრივ, ჩინურენოვან სახელმწიფოებსა (როგორიცაა – ტაივანი, ჰონგკონგი და ჩინეთი) და მეორე მხრივ, იაპონიასა და ეთნიკურად შერეულ სახელმწიფოებს შორის (როგორიცაა სინგაპური და მალაიზია) არსებობს. მაგალითად, სინგაპურის სკოლებში კონფუციანიზმის პრინციპების სწავლების იდეა სწრაფად უარყვეს მალაიური და ინდოელი მოსახლეობის განაწყენების შიშით. აგრეთვე, მალაიზიის განვითარებას საფუძვლად ქვეყანაზე ჩინეთის გავლენის შემცირების სურვილი და მალაიზიურ კულტურაში მკვეთრად გამოხატული ისლამური ნიშნების ხაზგასმა დაედო. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მიერ კაპიტალიზმის მიღებამ ბუნდოვანი გახადა სხვაობა მასსა და სხვა აღმოსავლეთ-აზიურ რეჟიმებს შორის, ამან გავლენა ვერ მოახდინა პოლიტიკური გამიჯვნის აღმოფხვრაზე. ეს კარგად ჩანს იმ მკვეთრ კონტრასტში, რაც არსებობს ჩინურ „საბაზრო სტალინიზმსა“ და იაპონიის მყარ და წარმატებულ, არჩევით დემოკრატიას შორის. უფრო მეტიც, სხვა აღმოსავლეთ-აზიური სახელმწიფოების ინდუსტრიალიზაციისა და მზარდი ურბანიზაციის ფონზე, ჩინეთი დღემდე აგრარულ ქვეყნად რჩება და სწორედ ამით შეიძლება აიხსნას მისი ეკონომიკური განვითარების განსხვავებული ხასიათი. დღეისათვის იაპონიისა და ისეთი

აზიური ფასეულობები:

ფასეულობები, რომლებიც სავარაუდოდ ასახავენ აზიური საზოგადოებების ისტორიულ, კულტურულ და რელიგიურ ფესვებს; ამის მაგალითებია: სოციალური ჰარმონია, ხელისუფლების პატივისცემა და ოჯახისადმი რწმენა.

ავტორიტარიზმი

ავტორიტარიზმი არის რწმენა, ან პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ზემოდან უნდა იმართებოდეს. აქ უფლებამოსილება საზოგადოებისგან თანხმობის მიუხედავად ხორციელდება. მაშასადამე, ავტორიტარიზმი განსხვავდება ხელისუფლების კლასიკური გაგებისგან. ეს უკანასკნელი ლეგიტიმურობას ეფუძნება და ამ მნიშვნელობით იგი „ქვემოდან“ აღმოცენდება. ავტორიტარული რეჟიმი ძალაუფლებისადმი ლტოლვას პიროვნების უფლებებზე მაღლა აყენებს. თუმცა, ავტორიტარიზმი ტოტალიტარიზმისგან მაინც განსხვავდება: სახელმწიფოს „ზემოდან მართვა“ მონარქიული აბსოლუტიზმის, ტრადიციული დიქტატურებისა თუ სამხედრო რეჟიმების დროს უფრო მეტად ოპოზიციური აზრისა და პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვაში გამოიხატება და არ წარმოადგენს უფრო რადიკალურ მიზანს – მთლიანად წაშალოს გამყოფი ხაზი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. აქედან გამომდინარე, ავტორიტარული რეჟიმებისთვის რაღაც დოზით მისაღებია ეკონომიკური, რელიგიური და სხვა სახის თავისუფლება.

„აზიური ვეფხვების“ ეკონომიკის განვითარება, როგორებიცაა – ტაივანი და სინგაპური, ძირითადად ტექნიკურ ინოვაციებს ეყრდნობა და განსაკუთრებული აქცენტი კეთდება განათლებასა და პროფესიულ მომზადებაზე. მაშინ როდესაც ჩინეთი დღემდე აგრძელებს თავისი მრავალრიცხოვანი და იაფი მუშახელის იმედზე ყოფნას.

ისლამური რეჟიმები

ისლამის, როგორც პოლიტიკური ძალის, აღმავლობამ უდიდესი გავლენა მოახდინა ჩრდილო აფრიკის, აზიის ნაწილისა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაზე. ზოგ შემთხვევაში, გასამხედროებული ისლამური დაჯგუფებები არსებულ რეჟიმებს დაუპირისპირდნენ და 1970-იანი წლების მარქსიზმ-ლენინიზმით გამოწვეული იმედგაცრუების ფონზე თავი ღარიბი მოსახლეობის ინტერესების დამცველებად გამოაცხადეს. სხვა შემთხვევებში მოხდა თავად რეჟიმების ჩამოყალიბება ან სახეცვლილება ისლამური იდეოლოგიის ხაზით. 1932 წლიდან, ანუ სახელმწიფოდ გამოცხადების დღიდან, საუდის არაბეთი ისლამურ ქვეყნად რჩება; 1979 წლის ირანულმა რევოლუციამ აიათოლა ჰომეინის (1900-1989) მმართველობით ირანის ისლამური რესპუბლიკა შექმნა და მოგვიანებით მის მაგალითს სუდანმა და პაკისტანმაც მიბაძეს. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა კადაფის ლიბია, ქვეყნის პოლიტიკას ისლამის უფრო იდიოსინკრეზული და მეტად საკამათო ინტერპრეტაცია დაედო საფუძვლად.

თუმცა, ისლამი არ არის და არც არასოდეს ყოფილა მხოლოდ რელიგია. ის უფრო ცხოვრების წესია, რომელიც როგორც ცალკეული ინდივიდებისთვის, ისე სახელმწიფოებისთვის სწორ მორალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკური ქცევის ნორმებს განსაზღვრავს. „ისლამის გზა,“ რომელიც მუჰამედ მოციქულის (570-632) მოძღვრებას ეფუძნება და ყურანშია გადმოცემული, ყველა მუსლიმისთვის ღვთის გაცხადებულ სიტყვას წარმოადგენს. ხოლო სუნა (ანუ „გატკეპნილი ბილიკი“), მართლმორწმუნე მაჰმადიანთა მიერ დაცული ადათ-წესების კონა, გადმოცემით, თავად მუჰამედის ცხოვრების წესიდან იღებს სათავეს. პოლიტიკური ისლამი ისეთი თეოკრატული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად, სადაც პოლიტიკური თუ სხვა ნებისმიერი საკითხი უზენაესი რელიგიური პრიციპების შესაბამისად იქნებოდა მოგვარებული. თუმცა, პოლიტიკურმა ისლამმაც, დროთა განმავლობაში, სახე იცვალა და ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ფორმები შეიძინა (ფუნდამენტალიზმიდან პოლიტიკურ პლურალიზმამდე).

ისლამის ფუნდამენტალისტური ვარიანტი, ჩვეულებრივ, ირანთან ასოცირდება. გარდაცვალებამდე (1989 წ.) მთელი ათი წლის განმავლობაში აიათოლა ჰომეინი სათავეში ედგა კლერიკალური მმართველობის ინსტიტუციონალურ სისტემას, რომელიც თხუთმეტი უმაღლესი სასულიერო პირისაგან შემდგარ „ისლამური რევოლუციის საბჭოს“ მეშვეობით

იმართებოდა. მართალია, ქვეყანაში არსებობს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი „ისლამური სათათბირო ასამბლეის“ სახით, ყველა კანონს მაინც „კონსტიტუციის დაცვის საბჭო“ ამტკიცებს, რომელიც კანონის ისლამის პრინციპებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს. მიუხედავად იმისა, რომ 1990-იან წლებში ჰაშემი რავსანჯანის მმართველობის პერიოდში მიღებული იქნა უფრო პრაგმატული და იდეოლოგიური თვალსაზრისით, ნაკლებად დატვირთული მიდგომა, **შარიათის** სამართალი აქ დღემდე რჩება წამყვან სამართლებრივ და მორალურ კოდექსად. რევოლუციურმა ფუნდამენტალიზმმა კიდევ უფრო რადიკალური სახე მიიღო 1997-2001 წლებში ავღანეთში ჩამოყალიბებული თალიბთა რეჟიმის პირობებში, რომელმაც მთლიანად გამორიცხა ქალების მონაწილეობა განათლების, ეკონომიკისა და საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ფუნდამენტალიზმი საუდის არაბეთშიც, სადაც მას მსგავსი აბსოლუტიზმის ნიშნები აღენიშნება. თუმცა, საუდის არაბეთის კონსერვატიული სუნიტური რეჟიმის ხასიათი მნიშვნელოვნად განსხვავდება შიიტური ირანის რევოლუციური პოპულიზმისგან.

შარიათი: ისლამური კანონთა კრებული, რომელიც გადმოცემის თანახმად, ღვთიური გამოცხადების მიხედვითაა შექმნილი. მისი ძირითადი წყარო ყურანი და ჰადითია (მუჰამედის ქადაგებანი).

თავად მაჰმადიანები ნებისმიერი ისლამური რეჟიმის „ფუნდამენტალისტურად“ შეფასებას ხშირად ეწინააღმდეგებიან იმ მოტივით, რომ ეს კიდევ უფრო აძლიერებს „უცხო“ და „დამთრგუნველი“ აღმოსავლეთის წინააღმდეგ დიდი ხნის წინ დამკვიდრებულ, დასავლურ ცრუ შეხედულებებს. პოლიტიკურ პლურალიზმთან ისლამის თავსებადობის მაგალითს მალაიზია წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ აქ ისლამი ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენს და ქვეყნის უმაღლესი მმართველი, ერთდროულად, საერო და სასულიერო ლიდერად გვევლინება, ქვეყანაში მაინც ერთგვარი „მოთოკილი დემოკრატიის“ მსგავსი სისტემა ჩამოყალიბდა, რომელსაც, მრავალპარტიული სისტემის ჩარჩოებში, „მალაიზიელთა გაერთიანებული ეროვნული ორგანიზაცია“ წარმართავს პრემიერ-მინისტრ დოქტორ მაჰათირის მეთაურობით. 1981 წლიდან მოყოლებული, მაჰათირის მთავრობა მკაცრად ისლამისტურ და პრო-მალაურ სტრატეგიას ახორციელებს, რომელიც ეკონომიკური განვითარების იაპონურ მოდელთანაა შერწყმული. თუმცა, უკვე 1988 წლის შემდეგ აშკარად ავტორიტარულმა ტენდენციებმა იჩინა თავი — დაჭერების ტალღისა და მკაცრი ცენზურის შემოღების შემდეგ, ქვეყანაში საერთოდ მოიშალა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა.

სამხედრო რეჟიმები

პოლიტიკურ რეჟიმთა უმრავლესობა, როგორც წესი, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და იდეოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით ყალიბდება, თუმცა ზოგიერთი მათგანი ძალაუფლების შენარჩუნებას სამხედრო ძალის გამოყენებისა და სისტემატიური რეპრესიების მეშვეობით ახერხებს. ამ თვალსაზრისით, სამხედრო რეჟიმები ავტორიტარიანიზმის უფრო ფართო კატეგორიას მიეკუთვნებიან. სამხედრო ტიპის ავტორიტარიზმი ყველაზე ხშირად სამხრეთ ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გვხვდება; თუმცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მან ესპანეთში, პორტუგალიასა და საბერძნეთშიც იჩინა თავი. სამხედრო რეჟიმის ძირითადი მახასიათებელია ის, რომ მთავრობის წამყვანი პოზიციების დაკომპლექტება სამხედრო იერარქიის შესაბამისად ხდება; გარდა ამისა, პოლიტიკური და კონსტიტუციური საქმიანობა შეჩერებულია, ხოლო ინსტიტუტები (როგორიცაა, მაგალითად, არჩეული პარლამენტი და თავისუფალი პრესა), რომელთა მეშვეობითაც ოპონირება იქნებოდა შესაძლებელი, დასუსტებულია ან საერთოდ აკრძალულია.

ხუნტა: სიტყვასიტყვით ნიშნავს საბჭოს. (ჩვეულებრივი სამხედრო) ბანდა, რომელიც ძალაუფლებას რევოლუციის ან სამხედრო გადატრიალების შედეგად იღებს.

მართალია, სამხედრო მმართველობის ყველა ფორმა რეპრესიულია, ეს კლასიფიკაცია რეჟიმის სხვადასხვა ქვეკატეგორიად შეიძლება დაიყოს. ზოგიერთი სამხედრო რეჟიმის დროს მმართველობაზე კონტროლს უშუალოდ შეიარაღებული ძალები ახორციელებს. ამის კლასიკური ფორმა არის სამხედრო **ხუნტა,** რომელიც ლათინური ამერიკისათვისაა დამახასიათებელი. ესაა კოლექტიური სამხედრო მმართველობის ფორმა, სადაც გადაწყვეტილებებს სამხედრო მეთაურთა საბჭო იღებს. ჩვეულებრივ, იგი ჯარის სამი სახეობითაა დაკომპლექტებული (სახმელეთო, საზღვაო და სამხედრო-საჰაერო). ხუნტისთვის დამახასიათებელია დაპირისპირება სამხედრო სახეობებსა და ლიდერებს შორის, რასაც ხშირად ძალაუფლების ხელიდან ხელში გადასვლა მოსდევს ხოლმე.

სამხედრო რეჟიმის მეორე ფორმას სამხედროთა მხარდაჭერით უზრუნველყოფილი პიროვნული დიქტატურა წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ხუნტაში ან რეჟიმში დაწინაურდება ერთი რომელიმე პიროვნება და მისი ქარიზმატული გავლენის საფუძველზე ე.წ. პიროვნების კულტი ყალიბდება. ამის მაგალითებია: პოლკოვნიკი პაპადოპულოსი საბერძნეთში (1974-1980 წწ.), 1973 წლის გადატრიალების შემდეგ ჩილეს სათავეში მოსული გენერალი პინოჩეტი და გენერალი აბაჩა ნიგერიაში (1993-1998 წწ.). სამხედრო რეჟიმის ბოლო ფორმაში, შეიარაღებული ძალების ერთგულება ხელისუფლების სიმყარის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს, თუმცა, სამხედრო ლიდერებს ურჩევნიათ კულისებში დარჩნენ და იქიდან აკონტროლონ სიტუაცია. ამგვარი რამ მოხდა ბრაზილიაში 1945 წელს, როცა ჯარმა, ხელისუფლებისათვის ლეგიტიმური სახის შესანარჩუნებლად, გადაწყვიტა პოლიტიკური და სამხედრო ორგანოები და პირადი შემადგენლობა, ფორმალურად მაინც, ურთიერთგამიჯნული დაეტოვებინა. ამგვარმა გამიჯვნამ, შესაძლოა, შემდგომში უკვე რეალური კონსტიტუციური და წარმომადგენლობითი პოლიტიკური ინსტიტუტების მოთხოვნილებაც გააჩინოს, სამხედრო რეჟიმის უშუალო გავლენა შეასუსტოს და პოლიარქიული ტენდენციებიც წაახალისოს.

შეჯამება

მმართველობა არის ნებისმიერი მექანიზმი, რომელიც დადგენილი წესრიგს უზრუნველყოფს. მისი მთავარი თვისება კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებისა და აღსრულების უნარია. თუმცა, პოლიტიკური სისტემა ან რეჟიმი არა მხოლოდ მმართველობის მექანიზმებს და სახელმწიფოს ინსტიტუტებს გულისხმობს, არამედ იმ სტრუქტურებსა და პროცესებსაც, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო საზოგადოებასთან ურთიერთქმედებს.

პოლიტიკურ სისტემათა კლასიფიკაცია ორ მიზანს ემსახურება: ფაქტების გროვაში მსგავსებებისა და განსხვავებების გამოკვეთით სისტემების არსის გაგებასაც აიოლებს და ასევე, პოლიტიკურ სისტემათა ქმედითობის შეფასებაშიც გვეხმარება.

რეჟიმების კლასიფიკაციის სხვადასხვა კრიტერიუმები არსებობს: არისტოტელედან მომდინარე „კლასიკური“ ტიპოლოგიები უმთავრეს ყურადღებას სახელმწიფოთა წყობასა და მართვის ფორმებს უთმობდა; რაც შეეხება „სამი სამყაროს“ კონცეფციას, აქ აქცენტი კაპიტალისტურ („პირველ“), კომუნისტურ („მეორე“) და განვითარებად („მესამე“) სამყაროთა შორის არსებულ ეკონომიკურ და იდეოლოგიურ განსხვავებებზე კეთდება.

კომუნიზმის კრახმა და დემოკრატიის პროგრესმა თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური კონტურების გამოკვეთა საკმაოდ გაართულა. ტრადიციული სისტემები და კლასიფიკაციები მოძველდა. დღეს პოლიტიკურ სისტემათა კლასიფიცირება იმის მიხედვით ხდება, თუ

რეალურად როგორ ურთიერთმოქმედებენ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები, მით უმეტეს, რომ ზოგადად, კლასიფიკაციები მუდამ დროებით ხასიათისაა.

'ისტორიის დასასრულის' თეორეტიკოსები აცხადებენ, რომ ისტორია დასრულდა, ან მალე დასრულდება დასავლური ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების სრულ გამარჯვებასთან ერთად. მართლაც, თანამედროვე სამყაროს პოლიტიკურ სისტემათა უმრავლესობა დემოკრატიის ამა თუ იმ სახესხვაობას წამოადგენს. ოღონდ ისიც ნათელია, რომ მმართველობის „კლასიკური" ნიმუშები სულ უფრო და უფრო მეტ მრავალფეროვნებასა და სირთულეს იძენენ. უკვე აშკარაა მნიშვნელოვანი განსხვავებები დასავლურ პოლიარქიებს, ახალ დემოკრატიებს, აღმოსავლეთ-აზიურ, ისლამურ და სამხედრო რეჟიმებს შორის.

კითხვები განსასჯელად

- შეინარჩუნა თუ არა მნიშვნელობა სახელმწიფოთა კლასიფიკაციის არისტოტელესეულმა სისტემამ თანამედროვე სამყაროში?
- ისევ არსებობს თუ არა ე.წ. მესამე სამყაროს ცნება? რამდენად დაძლიეს პოსკომუნისტურმა რეჟიმებმა საკუთარი კომუნისტური წარსული?
- რითი აღმოჩნდა ლიბერალურ-დემოკრატიული სტრუქტურები ესოდენ მიმზიდველი და წარმატებული?
- რამდენად დემოკრატიულია დასავლური პოლიარქიები?
- რამდენად ძალუძთ კონფუციანიზმსა და ისლამს, დასავლური ლიბერალიზმის სერიოზულ ალტერნატივად წარმოჩინდნენ?

დამატებითი საკითხავი

Brooker, P., Non-Democratic Regimes; Theory, Government and Politics (Basingstoke: Macmillan and New York: St Martin's Press, 2000).

Hadenius, A. (ed.). Democracy's Victory and Crisis (New York and Cambridge: Cambridge University Press, 1977).

Hague, R. and M. Harrop, Comparative Government and Politics: An Introduction, 6th edn. (Basingstoke: Palgrave Macmillan 2004).

Lijphart, A. Patterns of Democracy: Government Forms and Performance in Thirty-Six Countries (New Haven, CT. Yale University Press, 1999).

ენდრიუ ჰეივუდი

სახელმწიფო *

„სახელმწიფოს მიზანი ყოველთვის ერთია: შეზღუდოს, დაიმორჩილოს, დაიქვემდებაროს ან დაიმონოს პიროვნება.“

მაქს სტირნერი, *„ეგო და მისი საკუთრება“ (1845 წ.)*

სახელმწიფოს გავლენა ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში იგრძნობა. განათლება იქნება ეს თუ ეკონომიკური მართვა, სოციალური უზრუნველყოფა თუ სანიტარული პირობების გაუმჯობესება, წესრიგი ქვეყნის შიგნით თუ საგარეო თავდაცვა, სახელმწიფო ყოველთვის უზრუნველყოფს მართვისა და კონტროლის განხორციელებას; და იქ სადაც სახელმწიფოს მართვა და კონტროლი არ შეუძლია, იგი არეგულირებს, ზედამხედველობას უწევს, სანქციას გაცემს ან კრძალავს. ცხოვრების ისეთი ასპექტებიც კი, რომლებიც ჩვეულებრივ, პირადულად ანუ კერძოდ მოიაზრება (მაგალითად: ქორწინება, განქორწინება, აბორტი, რელიგიური თაყვანისცემა და ა.შ.), საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ პოლიტიკას ხშირად მოიაზრებენ როგორც სახელმწიფოს შესწავლას, ინტიტუციური ორგანიზაციების ანალიზს, საზოგადოებაზე მისი გავლენის შეფასებას და ა.შ. იდეოლოგიური პაექრობა და პარტიული პოლიტიკა, რა თქმა უნდა, დიდწილად სახელმწიფოს შესაბამისი ფუნქციის ან როლის გარშემო ტრიალებს: რა უნდა გააკეთს სახელმწიფომ და რა კერძო პირებმა და გაერთიანებებმა? ამგვარად, სახელმწიფო ხელისუფლების ბუნება პოლიტიკური ანალიზის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი გახდა. ეს დებატები (ე.წ. ‘სახელმწიფოს შესახებ პაექრობა’) პოლიტიკური თეორიის ზოგიერთ ღრმა და ურყევ სფეროებს ეხება.

წინამდებარე თავში განხილული იქნება ქვემოთ მოცემული **ძირითადი საკითხები:**

- რა არის სახელმწიფო და რითი განსხვავდება იგი მთავრობისგან?
- როგორ ხდება სახელმწიფოს ძალაუფლების ანალიზი და ახსნა?
- სახელმწიფო კეთილი ძალაა თუ ბოროტი?
- რა როლი აკისრია სახელმწიფოს? როგორ არის პასუხისმგებლობები განაწილებული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის?
- დგას თუ არა თანამედროვე სახელმწიფო საფრთხის ქვეშ? თუ კი, როგორ ხდება ხელისუფლების უკანონოდ მიტაცება?

რა არის სახელმწიფო?

ტერმინი ‘სახელმწიფო’ გამოიყენება ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა: ინსტიტუტების ერთობლიობა, ტერიტორიული ერთეული, ფილოსოფიური იდეა, იძულების ან ჩაგვრის ინსტრუმენტი და ა.შ. ამ განსხვავებებს ნაწილობრივ ისიც განაპირობებს, რომ სახელმწიფოს აღქმა სამი სხვადასხვა კუთხით ხდებოდა: იდეალისტური, ფუნქციონალისტური და ორგანიზაციული. სახელმწიფოსადმი იდეალისტური მიდგომა ყველაზე კარგად არის ასახული ჰეგელის ნაშრომებში. ჰეგელმა სოციალური არსებობის სამი ‘მომენტი’

* წინამდებარე სტატია წარმოადგენს მეხუთე თავს წიგნისა „პოლიტიკა“, მეორე გამოცემა, 2002 წ.

გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (1770-1831)

გერმანელი ფილოსოფოსი. ჰეგელი თანამედროვე იდეალიზმის დამფუძნებელია. მან ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ცნობიერება და მატერიალური საგნები სინამდვილეში ერთი მთლიანობაა. თავის ნაშრომში „გონის ფენომენოლოგია“ (1807 წ.) იგი შეეცადა ჩამოეყალიბებინა რაციონალური სისტემა, რომელიც ჩაანაცვლებდა ტრადიციულ ქრისტიანობას კაცობრიობის და, რა თქმა უნდა, თავად სამყაროს, ისტორიის მთელი პროცესის ახლებური ინტერპრეტაციის მეშვეობით, რომლის თანახმადაც აბსოლუტურმა გონებამ განიცადა პროგრესი თვითრეალიზაციისკენ მიმავალ გზაზე. ჰეგელის აზრით, ისტორია გარკვეულწილად წარმოადგენს ადამიანური გონის სვლას გადამწყვეტი, საბოლოო წერტილისკენ. ჰეგელის უდიდესი პოლიტიკური ნაშრომი „ბუნების ფილოსოფია“ (1821 წ.) სახელმწიფოს აღწერს, როგორც ეთიკურ იდეალსა და ადამიანის თავისუფლების უმაღლეს გამოხატულებას. ჰეგელის ნაშრომებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს მარქსზე და სხვა ე. წ. „ახალგაზრდა ჰეგელიანელებზე.“ მან აგრეთვე გარკვეულწილად ფორმა მისცა ლიბერალური და ფაშისტური აზროვნების განვითარებასაც.

გამოჰყო. ესენია: ოჯახი, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო. იგი აცხადებს, რომ ოჯახში ‘განსაკუთრებული ალტრუიზმი’ სუფევს, რაც ადამიანებს აიძულებს შვილებისა და მოხუცი ნათესავების სასარგებლოდ საკუთარი ინტერესები გვერდზე გადადონ. ამის საპირისპიროდ, სამოქალაქო საზოგადოება ‘უნივერსალური ეგოიზმის’ სფეროდ აღიქმება, სადაც ინდივიდები საკუთარ ინტერესებს სხვებზე მაღლა აყენებდნენ. ჰეგელი სახელმწიფოს აღიქვამდა, როგორც ეთიკურ საზოგადოებას, რომელიც ურთიერთთანაგრძნობას ანუ ‘უნივერსალურ ალტრუიზმს’ ეყრდნობა. თუმცა იდეალიზმის ნაკლიც ისაა, რომ იგი უპირობოდ აღიარებს სახელმწიფოს აღმატებულობას და განსაზღვრავს რა სახელმწიფოს ეთიკური კუთხით, ვერ ახერხებს ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნოს სახელმწიფოს შემადგენელი და მის გარეთ მყოფი ინსტიტუტები.

სახელმწიფოსადმი *ფუნქციონალისტური* მიდგომა სახელმწიფო ინსტიტუტების როლზე ან მიზანზე ამახვილებს ყურადღებას. სახელმწიფოს ცენტრალური ფუნქცია უცვლელია და სოციალური წესრიგის შენარჩუნებას ისახავს მიზნად. ხოლო სახელმწიფო განისაზღვრება როგორც ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც იცავს წესრიგს და უზრუნველყოფს სოციალურ სტაბილურობას. ასეთი მიდგომა, მაგალითად, კარგად მოირგეს თანამედროვე მარქსისტებმა. მათთვის სახელმწიფო არის მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც კლასობრივი კონფლიქტი გარკვეულწილად დაძლეულია. ეს კი კაპიტალისტური სისტემის ხანგრძლივ შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ფუნქციონალისტების მთავარი სისუსტე ისაა, რომ მათ ახასიათებთ ტენდენცია წესრიგის შემნარჩუნებელი ნებისმიერი ინსტიტუტი (მაგალითად: ოჯახი, მას-მედია, პროფკავშირები და ეკლესია) სახელმწიფოსთან გააიგივონ. სწორედ ამის გამო, თუ საპირისპირო საგანგებოდ არ იქნა მითითებული, სახელმწიფოს განსაზღვრის ორგანიზაციული მიდგომა (იხ. ქვემოთ) წინამდებარე წიგნის ძირითადი განხილვის საგანს წარმოადგენს.

ორგანიზაციული მიდგომისთვის სახელმწიფო მთავრობის აპარატია, ამ ცნების ფართო გაგებით; ანუ ეს არის საჯარო ინსტიტუტების ერთობლიობა, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი პასუხისმგებელნი არიან სოციალური არსებობის კოლექტიურ ორგანიზებაზე და საზოგადოების ხარჯებით ფინანსდებიან. ამ განსაზღვრების უპირატესობა ის არის, რომ იგი მკვეთრად განასხვავებს ერთმანეთისგან სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას. სახელმწიფო შედგება მმართველობის სხვადასხვა ინსტიტუტებისგან. ესენია: ბიუროკრატია, შეიარაღებული ძალები, პოლიცია, სასამართლო, სოციალური დაცვის სისტემა და სხვა. ანუ მთლიანად „პოლიტიკური ორგანიზმი“. სწორედ ამის წყალობით მოხდა XV-XVI სს. ევროპაში ცენტრალიზებული მმართველობის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელ-

მაც ყველა და ყველაფერი დაიქვემდებარა როგორც სულიერი, ისე მიწიერი ცხოვრების სფეროში. მართლაც, ერი-სახელმწიფოებრიობის თანამედროვე გაგება ჯერ კიდევ 1648 წ. „ვესტფალიის ზავის“ დროს გამოიკვეთა. სხვათა შორის, ორგანიზაციული მოდგომა შესაძლებლობას იძლევა სახელმწიფოს როლის ზრდასა თუ დაკნინებაზეც ვისაუბროთ. იმისდა მიხედვით, იზრდება თუ მცირდება მისი პასუხისმგებლობა; ფართოვდება თუ იზღუდება ინსტიტუციონალური მექანიზმების არეალი.

ამგვარად, შეგვიძლია სახელმწიფოს 5 ძირითადი ნიშან-თვისება ჩამოვაყალიბოთ:

- სახელმწიფო „უზენაესია“ და იგი აბსოლუტურ და შეუზღუდავ ძალაუფლებას ახორციელებს, რამდენადაც ნებისმიერ საზოგადოებრივ გაერთიანებასა თუ ჯგუფზე მაღლა დგას. თომას ჰობსმა სახელმწიფოს ეს იდეა ბიბლიური ლევიათანის ანუ გიგანტური „გველეშაპის“ ალეგორიად წარმოსახა.

- სამოქალაქო საზოგადოების „კერძო“ ინსტიტუტებისგან განსხვავებით, სახელმწიფო ინსტიტუტები იმთავითვე „საჯარო“ ხასიათისაა. ანუ სახელმწიფო დაწესებულება პასუხისმგებელია კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება-განხორციელებაზე, მაშინ როცა ოჯახი, კერძო ბიზნესი და პროფკავშირები პიროვნული ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება.

- სახელმწიფო კანონიერების აღსრულებას გულისხმობს. მისი გადაწყვეტილებები, ჩვეულებრივ, მაგრამ არა ყოველთვის, საზოგადოების ნების გამოხატულებაა და იგულისხმება, რომ საყოველთაო კეთილდღეობაზე ზრუნვითაა განპირობებული. ამდენად, სახელმწიფო საზოგადოების მუდმივი ინტერესების დამცველად ითვლება.

- სახელმწიფო ბატონობის საშუალებაა, რადგან მისი ავტორიტეტი იძულებას ემყარება; მას უნდა შესწევდეს უნარი, სათუოდ არ გახადოს არც კანონის მორჩილება, არც კანონდამრღვევთა დასჯა. შესაბამისად, „კანონიერი ძალადობის“ (მაქს ვებერი) მონოპოლია სახელმწიფოს უზენაესობის პრაქტიკული გამოვლინებაა.

- სახელმწიფო ტერიტორიალური გაერთიანებაა; მისი იურისდიქცია გეოგრაფიულადაა განსაზღვრული და ვრცელდება ყველაზე, ვინც მის საზღვრებში სახლობს, მიუხედავად იმისა ისინი ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან თუ არა. საერთაშორისო დონეზე სახელმწიფო (თეორიულად მაინც) ავტონომიურ ერთეულად მოიაზრება.

სახელმწიფო

სახელმწიფო პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელიც დამოუკიდებელ იურისდიქციას ავრცელებს გარკვეულ ტერიტორიულ საზღვრებში და ხელისუფლებას მუდმივმოქმედი ინსტიტუციების მეშვეობით ახორციელებს; ეს დაწესებულებები საჯაროა იმდენად, რამდენადაც სწორედ ისინი აგებენ პასუხს საზოგადოებრივი ცხოვრების კოლექტიურ ორგანიზებაზე და საზოგადოების მიერვე ფინანსდებიან. ამგვარად, სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ინსტიტუტს აერთიანებს. თუმცა, ის აგრეთვე გულისხმობს სასამართლო სისტემას, ნაციონალიზირებულ ინდუსტრიას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სისტემებსა და ა.შ.; შესაძლებელია ასევე, მისი გაიგივება მთელს „სახელისუფლებო პოლიტიკასთან.“ გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერის თანახმად, სახელმწიფოს მახასიათებელ ნიშანს „კანონიერი ძალადობის“ საშუალებებზე მონოპოლია წარმოადგენს.

კონსტიტუციური მმართველობა: მმართველობის ფორმა, რომელიც საკანონმდებლო და ინსტიტუციური შეზღუდვების პირობებში ხორციელდება და უზრუნველყოფს ძალაუფლების შეკვეცას და პიროვნული თავისუფლების დაცვას.

დავა-კამათი სახელმწიფოს ძალაუფლების რაობასა და თავად სახელმწიფოს როლზე მუდმივად მიმდინარეობს. სახელმწიფო არა მარტო სამოქალაქო საზოგადოებისგანაა გამოყოფილი, იგი შინაგანადაც დაყოფილია და არაერთი განშტოებისა თუ ნაწილისაგან შედგება. სახელმწიფო აპარატი მოიცავს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ანუ „მთავრობას," საკანონმდებლო სახალხო კრებას ან პარლამენტს, სასამართლოს, ბიუროკრატიულ აპარატს, შეიარაღებულ ძალებს, პოლიციას, თვითმმართველობის ადგილობრივ და რეგიონალურ ინსტიტუტებს. ყველაზე მნიშვნელოვანი აქ მაინც „სახელმწიფოსა" და „მთავრობის" ცნებებს შორის სხვაობაა (არადა, მათ ხშირად ურევენ ერთმანეთში) და ეს განსხვავება მხოლოდ მეცნიერულ ხასიათს არ ატარებს. იგი უშუალოდ უკავშირდება შეზღდული და **კონსტიტუციური მმართველობის** იდეას. მოკლედ, სახელისუფლებო ძალაუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოითოკება, თუკი არსებული ხელისუფლება სახელმწიფოში შეუზღუდავი მმართველობის დამყარებას ვერ შეძლებს.

მთავრობასა და სახელმწიფოს შემდეგი ნიშან-თვისებები განასხვავებთ:

- „სახელმწიფო" უფრო მეტია, ვიდრე „მთავრობა." იგი რთული კავშირია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ინსტიტუტს მოიცავს და ქვეყნის ყველა მოქალაქეს აერთიანებს; მთავრობა კი სახელმწიფოს მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილია.

- სახელმწიფო დროში გაწელილი, შეიძლება ითქვას, უწყვეტი ფენომენია. მთავრობა – დროებითია: მთავრობები მოდიან და მიდიან, მმართველობის სისტემებიც იცვლებიან და იხვეწებიან.

- მთავრობა მხოლოდ *საშუალებაა,* რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოს ხელისუფლება მოქმედებაში მოდის. სახელმწიფო პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების დროს მთავრობა სახელმწიფოს 'ტვინს' წარმოადგენს და სახელმწიფოს არსებობას სამუდამოდ განამტკიცებს;

- სახელმწიფო უპირობო ძალაუფლებას ახორციელებს. სახელმწიფო ორგანოების პერსონალის სამსახურში აყვანა და გადამზადება ბიუროკრატიული წესით ხორციელდება და (როგორც წესი) მათ მიმართ მოლოდინი არსებობს, რომ ისინი პოლიტიკურად ნეიტრალურები დარჩებიან, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფო ორგანოებს წინ აღუდგეს იმჟამინდელი მთავრობის იდელოგიურ ენთუზიაზმს.

- სახელმწიფო, თეორიაში მაინც, უნდა წარმოადგენდეს საზოგადოების მუდმივ ინტერესებს; ანუ *საყოველთაო* სიკეთეს ან საერთო ნებას. მეორე მხრივ მთავრობა გამოხატავს იმ ძალის *პარტიულ* სიმპატიებს, რომელიც მოცემულ დროს ხელისუფლების სათავეში იმყოფება.

კონკურენტი თეორიები სახელმწიფოს შესახებ

ვინაიდან შევთანხმდით იმაზე, თუ რას ვგულისხმობთ ტერმინ 'სახელმწიფოში,' ახლა შეგვიძლია უფრო ღრმა პრობლემებიც გამოვიკვლიოთ. როგორია სახელმწიფოს ძალაუფლების ბუნება და რა ინტერესებს ემსახურება სახელმწიფო? ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო 'იმთავითვე სადაო' ცნებას წარმოადგენს. არსებობს მთელი რიგი კონკურენტი თეორიები სახელმწიფოს შესახებ და თითოეული მათგანი მისი წარმოშობის, განვითა-

რებისა და საზოგადოებაზე ზემოქმედების სხვადასხვა ინტერპრეტაციას გვთავაზობს. რა თქმა უნდა, თანამედროვე პოლიტიკურ ანალიზში სულ უფრო და უფრო ხშირდება დავა სახელმწიფო ძალაუფლების ბუნების შესახებ. უფრო მეტიც, იგი დისციპლინის იდეოლოგიური და თეორიული უთანხმოების საფუძვლამდეც კი მიდის. ეს ყველაფერი დაკავშირებულია ისეთ კითხვებთან, როგორიცაა მაგალითად, არის თუ არა სახელმწიფო საზოგადოებისგან დამოუკიდებელი და ავტონომიური? ან არის თუ არა იგი საზოგადოების პროდუქტი და ძალაუფლების ან რესურსების უფრო ფართო განაწილების ნაყოფი? უფრო მეტიც, სახელმწიფო საერთო ანუ კოლექტიურ სიკეთეს ემსახურება თუ მიკერძოებულია და პრივილეგირებული ჯგუფების ან გაბატონებული კლასის ინტერესებს იცავს? აგრეთვე, რას წარმოადგენს სახელმწიფო: ვალდებულებების მქონე პოზიტიურ ანუ კონსტრუქციულ ძალას, რომელიც უნდა გაფართოვდეს, თუ ნეგატიურ ანუ დესტრუქციულ წარმონაქმნს, რომელიც უნდა შეიზღუდოს ან, შესაძლოა, სულაც განადგურდეს? ქვემოთ განხილულია სახელმწიფოს განსაზღვრების ოთხი კონტრასტული თეორია:

- პლურალისტული სახელმწიფო;
- კაპიტალისტური სახელმწიფო;
- ლევიათანაური სახელმწიფო;
- პატრიარქალური სახელმწიფო.

პლურალისტური სახელმწიფო

პლურალისტური სახელმწიფოს თეორიას მკვეთრად გამოკვეთილი ლიბერალური წარმომავლობა აქვს. იგი ეყრდნობა შეხედულებას, რომლის თანახმად სახელმწიფო საზოგადოებაში 'შუამავლის' ანუ 'მედიატორის' როლს ასრულებს. ეს მოსაზრება გაბატონებული იყო პოლიტიკური ანალიზის ძირითად მიმართულებებში და იმ ტენდენციის საფუძველს წარმოადგენდა (სულ მცირე, ანგლო-ამერიკულ აზროვნებაში), რომლის თანახმადაც სახელმწიფოს და სახელმწიფო ორგანიზაციებს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებათ და მათ ნაცვლად 'მთავრობაზე' მახვილდება ყურადღება. ამ ტენდენციისთვის უცხო არ არის 'სახელმწიფოს,' როგორც განყენებული ცნების იგნორირება, რომლის ინსტიტუტები – როგორიცაა, მაგალითად: სასამართლოები, საჯარო სამსახური და სამხედრო სფერო – საკუთარი უფლებების მქონე დამოუკიდებელ აქტორებად მიიჩნევიან და არა უფრო ზოგადი სახელმწიფო მანქანის კომპონენტებად. გარკვეულწილად, ეს მიდგომა მისაღებია გამომდინარე იქიდან, რომ იგი მომდინარეობს ხშირად შეუმჩნეველი და ფარული დაშვებიდან სახელმწიფოს ნეიტრალურობის შესახებ. სახელმწიფოს იგნორირება შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მიუკერძოებელ არბიტრად მოიაზრება, რომელიც იმჟამინდელი მთავრობის ნებისკენ შეიძლება გადაიხაროს.

სახელმწიფოს პლურალისტური თეორიის ფუძემდებლად XVII საუკუნის სოციალური კონტაქტის თეორეტიკოსები (თომას ჰობსი და ჯონ ლოკი) ითვლებიან. მათთვის ძირითადი ინტერესის საგანს **პოლიტიკური ვალდებულების** საფუძვლების შესწავლა წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც ინდივიდი ვალდებულია დაემორჩილოს და პატივი სცეს სახელმწიფოს. აღნიშნული მკვლევარები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო წარმოიშვა ნებაყოფლობითი შეთანხმების, ანუ სოციალური კონტრაქტის, საფუძველზე. იგი დაიდო იმ ინდივიდების მიერ, რომელთაც გააცნობიერეს, რომ მხოლოდ სუვერენული ძალაუფლების შექმნა დაიცავდა მათ ბუნებრივი მდგომარეობით გამოწვეული საფრთხისგან, უწესრიგობისა და სისასტიკისგან. ისინი თვლიდნენ, რომ სახელმწიფოს გარეშე ადამიანები ერთმანეთს ცუდად მოეპყრობოდნენ, ექსპლუატაციას გაუწევდენ და დაიმონებდენ; სახელმწიფო კი

პოლიტიკური ვალდებულება: მოქალაქის ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე; სახელმწიფო მმართველობის უფლების საფუძველი.

ანარქია: სიტყვასიტყვით – მმართველობის გარეშე; ცნება „ანარქია“ ხშირად გამოიყენება უარყოფით კონტექსტში და დესტაბილიზაციასა და ქაოსს აღნიშნავს.

„ბუნებრივი მდგომარეობა“: საზოგადოების ყოფაცხოვრება, რომლისთვისაც უცხოა პოლიტიკური ხელისუფლება და პიროვნების შეზღუდვა ნებისმიერი იურიდიული კანონებით. ფაქტიურად, ბუნებრივი მდგომარეობა მხოლოდ თეორიულ მოცემულობას წარმოადგენს.

იძლევა წესრიგის, ცივილური არსებობისა და თავისუფლების დაცვის გარანტიებს. როგორც ლოკი ამბობს – „იქ სადაც კანონი არ არსებობს, არ არის თავისუფლებაც.“

მაშასადამე, ლიბერალურ თეორიაში, საზოგადოების განსხვავებულ ჯგუფებსა და ინდივიდებს შორის სახელმწიფო მიუკერძოებელი არბიტრის როლს უნდა თამაშობდეს; იგი უნდა იყოს ‘მედიატორი’ ანუ ‘მსაჯი,’ რომელსაც ძალუძს თითოეული მოქალაქის დაცვა მისი თანამოქალაქის მიერ ხელყოფისგან. სახელმწიფოს ნეიტრალურობა ასახავს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო *ყველა* მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს და შესაბამისად, იცავს საყოველთაო სიკეთეს ანუ საზოგადოებრივ ინტერესებს. ჰობსის თანახმად, სტაბილურობისა და წესრიგის უზრუნველყოფა მხოლოდ განუხრელი და უპირობო ძალაუფლების მქონე აბსოლუტურ და შეუზღუდავ სახელმწიფოს შეუძლია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი მიიჩნევს, რომ მოქალაქეები დგანან აბსოლუტიზმისა და **ანარქიის** არჩევანის წინაშე. მეორე მხრივ, ლოკი უფრო ტიპიურად ლიბერალური პოზიციებიდან იცავს შეზღუდული სახელმწიფოს იდეას. მისი აზრით, სახელმწიფოს მიზანი უაღრესად სპეციფიურია: იგი შემოიფარგლება **‘ბუნებრივი’** ანუ ღმერთისგან მონიჭებული პიროვნული უფლებების, კონკრეტულად კი „სიცოცხლის, თავისუფლებისა და ქონების უფლების“ დაცვით. აღნიშნული მკვეთრად მიჯნავს სახელმწიფოსა და ცალკეული მოქალაქის პასუხისმგებლობებს (რაც ქვეყნის შიგნით წესრიგის შენარჩუნებისა და საკუთრების დაცვის საფუძველს წარმოადგენს); მოქალაქეებს, თავის მხრივ, უნდა ჰქონდეთ სახელმწიფოსგან დაცვის მექანიზმი. ამის განხორციელების შესაძლებლობას კი ლოკი კონსტიტუციურ და წარმომადგენლობით მმართველობაში ხედავს.

აღნიშნული იდეები პლურალისტური სახელმწიფოს თეორიაში მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა. პლურალიზმი, როგორც საზოგადოებრივი არსებობის ფორმა ამტკიცებს, რომ ლიბერალურ დემოკრატიებში ძალაუფლება ფართოდ და თანაბრადაა გადანაწილებული. ხოლო როგორც სახელმწიფოს თეორია, პლურალიზმი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ნეიტრალურია იმდენად, რამდენადაც იგი ექვემდებარება ყველა სოციალური კლასისა და სხვადასხვა ჯგუფებისა თუ ინტერესების გავლენას. სახელმწიფო არ არის მიკერძოებული რომელიმე კონკრეტული ინტერესის ან ჯგუფის სასარგებლოდ; აგრეთვე მას არ აქვს საკუთარი, საზოგადოებისგან განსხვავებული ინტერესები. შვარცმანტელის თქმით, „სახელმწიფო არის საზოგადოების მსახური და არა მისი ბატონი.“ ამგვარად, სახელმწიფო წარმოდგენილია, როგორც ერთგვარი *რბილი ნივთი*, რომელიც პასიურად შთანთქავს მასზე განხორციელებულ დარტყმებსა და ზეწოლას. ამ შეხედულებას ორი ძირითადი ვარაუდი განსაზღვრავს. ჯერ ერთი, სახელმწიფო ეფექტურად ექვემდებარება მთავრობას. არაარჩევითი სახელმწიფო ორგანოები (საჯარო სამსახური, სასამართლო, პოლიცია, სამხედრო სფერო და ა.შ.) არაპოლიტიზირებულია და საერთო ხელისუფლებას ემორჩილება. მაშასადამე, სახელმწიფო აპარატი საჯარო სამსახურისა და პოლიტიკური ანგარიშვალდებულების პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს. მეორე დაშვების თანახმად, დემოკრატიული პროცესი მიზანმიმართული და ეფექტურია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარტიების კონკურენცია და ინტერეს-ჯგუფების საქმიანობა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ მოქმედი მთავრობა გულგრილი არ დარჩეს და რეაგირება მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე. საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ სახელმწიფო ქარის ფლუგელია, რომელიც იმ მიმართულებით დაუბერავს, რა მიმართულებითაც მას ფართო საზოგადოება უკარნახებს.

„სოციალური კონტრაქტის“ თეორია

ეს თეორია საზოგადოებასა თუ სახელმწიფოში ცალკეულ პიროვნებათა ნებაყოფლობით ურთიერთ-შეთანხმებას გულისხმობს. ჰობსის, ლოკისა და რუსოს სახელებთან დაკავშირებული „სოციალური კონტრაქტის თეორია“ დღესაც აქტუალურია ისეთი თეორეტიკოსებისათვის, როგორიც ჯონ როულზია; ოღონდ მას თითქმის არასოდეს ანიჭებენ განსაკუთრებული ისტორიული მოვლენის მნიშვნელობას და უფრო იმ საზომად მიიჩნევენ ხოლმე, რითაც მმართველობის ამა თუ იმ ფორმის ავ-კარგიანობა განისაზღვრება. სოციალური კონტრაქტის თეორეტიკოსებისათვის იდეალური იმგვარი საზოგადოებაა, როცა ყოველი ცალკეული პიროვნება ისე ცხოვრობს, თითქოს თავად ჰქონდეს ხელსაყრელი კონტრაქტი დადებული სახელმწიფოსთან. კლასიკური გაგებით, ეს თეორია სამ პირობას უნდა პასუხობდეს:

- არსებობს რაღაც წარმოსახვითი საზოგადოება, სადაც არ არსებობს სახელმწიფო (ე.წ. „ბუნებრივი მდგომარეობა“) და უსაზღვრო თავისუფლების პირობებში, სიცოცხლე „მოსაწყენი, უაზრო, უსიხარულო, დაუნდობელი და ხანმოკლეა“ (ჰობსი).
- შესაბამისად, ხალხი ცდილობს თავი დააღწიოს ბუნებრივ მდგომარეობას და სოციალური კონტრაქტი გააფორმოს, ანუ აღიაროს, რომ მხოლოდ უზენაესი ძალაუფლებაა წესრიგისა და სტაბილურობის გარანტი.
- სოციალური კონტრაქტი მოქალაქეებს ავალდებულებს პატივი სცენ და დაემორჩილონ სახელ-მწიფოს იმ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რაც მხოლოდ პოლიტიკური მმართველობის სისტემას შეუძლია მოგვცეს.

აღსანიშნავია, რომ ხშირად თანამედროვე პლურალისტები უფრო კრიტიკულ პოზიციას იჭერენ მთავრობასთან მიმართებაში და ამ მიდგომას სახელმწიფოს ნეოპლურალისტულ თეორიას უწოდებენ. ისეთი თეორეტიკოსები, როგორიცაა რობერტ დალი, ჩარლზ ლინდბლომი და ჯ. ქ. გალბრაითი იმ დასკნამდე მივიდნენ, რომ თანამედროვე, ინდუსტრიული სახელმწიფოების სტრუქტურა უფრო გართულდა და ისინი ნაკლებად მგრძნობიარეები გახდნენ საზოგადოების მოთხოვნებისადმი, ვიდრე ამას კლასიკური პლურალიზმი გვთავაზობდა. მაგალითად, ნეოპლურალისტები აღიარებენ, რომ ბიზნესს აქვს ‘პრივილეგირებული პოზიცია’ მთავრობასთან მიმართებაში და მას მეტოქეობას ვერ გაუწევენ სხვა ჯგუფები. თავის ნაშრომში „პოლიტიკა და ბაზრები“ (1977 წ.) ლინდბლომმა აღნიშნა, რომ ბიზნესი, რომელიც წარმოადგენს ყველაზე მსხვილ ინვესტორსა და დამსაქმებელს საზოგადოებაში, ვალდებულია თავისი გავლენა გამოიყენოს ნებისმიერ მთავრობაზე, მისი იდეოლოგიური მიდრეკილებებისა თუ გაცხადებული ვალდებულებების მიუხედავად. უფრო მეტიც, ნეოპლურალისტები აღიარებენ, რომ სახელმწიფოს შეუძლია და ახორციელებს კიდეც საკუთარი შიდა ინტერესების გაყალბებას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ელიტა, რომელიც მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეებისგან, მოსამართლეებისგან, პოლიციის უფროსებისგან, სამხედრო ლიდერებისგან და ა.შ. შედგება, სახელმწიფოს კონკრეტული სექტორის ბიუროკრატიული ინტერესების ან კლიენტთა ჯგუფის ინტერესების დამცველად შეიძლება მოგვევლინოს. რა თქმა უნდა, თუ სახელმწიფოს ჩავთვლით პოლიტიკურ აქტორად, რომელსაც თავისი საკუთარი უფლებები გააჩნია, ამ შემთხვევაში იგი ძლიერი (შესაძლოა, ყველაზე ძლიერიც) ინტერესთა ჯგუფი იყოს საზოგადოებაში. აღნიშნულ მოსაზრებებს მოგვიანებით მხარი დაუჭირა ერიკ ნორდლინგერმა (1981 წ.), რომლის მიხედვითაც ‘დემოკრატიული სახელმწიფოს ავტონომიაზე’ დაფუძნებული ლიბერალური დემოკრატიის სახელმწიფოზე ორიენტირებული მოდელი იქნა შემუშავებული.

„ნეოპლურალიზმი“

ნეოპლურალიზმი სოციალური თეორიის სტილია. ის პლურალისტული ფასეულობების ერთგული რჩება და ამავე დროს აცნობიერებს ელიტიზმის, მარქსიზმისა და ახალი მემარჯვენეობის თეორიების შესაბამისად კლასიკური პლურალიზმის გადახედვის ან განახლების აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ნეოპლურალიზმი შეხედულებებისა და პოზიციების ფართო სპექტრს მოიცავს, ძირითადი თემების გამოყოფა მაინც არის შესაძლებელია. ჯერ ერთი, იგი ცდილობს ახსნას თანამედროვე ტენდენციები, როგორიცაა, პოსტ-ინდუსტრიული და პოსტ-კაპიტალისტური საზოგადოების აღმოცენება. მეორე, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმი უდაოდ სოციალიზმზე უფრო სასურველია, მისი თავისუფალი ბაზრის ეკონომიკური დოქტრინები მოძველებულად მიიჩნევა. მესამეც, დასავლური დემოკრატიები ერთგვარ „დამახინჯებულ პოლიარქიებად“ აღიქმებიან, სადაც მსხვილი კორპორაციები წრეგადასული გავლენით სარგებლობენ.

კაპიტალისტური სახელმწიფო

კაპიტალისტური სამყაროს მარქსისტული აღქმა სახელმწიფოს პლურალისტური იმიჯის აშკარა ალტერნატივას წარმოადგენს, სადაც სახელმწიფო ნეიტრალური არბიტრის ანუ მედიატორის როლში გვევლინება. მარქსისტები, როგორც წესი ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს აღქმა საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურისგან დამოუკიდებლად შეუძლებელია. აღნიშნული მოსაზრება მომდინარეობს კლასიკური განსაზღვრებიდან, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა კლასობრივი ჩაგვრის ინსტრუმენტი: სახელმწიფო აღმოცენდა კლასობრივი სისტემიდან და გარკვეულწილად, მის ინტერესებს წარმოადგენს. ბოლო წლებში მარქსისტულ თეორიასთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა საკმაოდ გაცხოველებულ დებატებს, რამაც სახელმწიფოს მარქსისტური თეორია საკმაოდ დააშორა ამგვარ კლასიკურ ფორმულირებას. ეს განპირობებული იყო, გარკვეულწილად, იმ ბუნდოვანებითაც, რაც მარქსის ნაშრომებში იყო.

ბურჟუაზია: მარქსისტული ტერმინი, რომელიც კაპიტალისტური საზოგადოების მმართველი კლასის, ანუ ნაწარმოები დოვლათის მფლობელის აღსანიშნავად გამოიყენება.

მარქსს არ შეუმუშავებია სახელმწიფოს სისტემური ან თანმიმდევრული თეორია. ზოგადად, იგი თვლიდა, რომ სახელმწიფო არის იმ ‘სუპერსტრუქტურის’ ნაწილი, რომელიც განსაზღვრული ან განპირობებულია ეკონომიკური ‘ბაზისის’ მიერ და რაც სოციალური ცხოვრების რეალურ საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, ზუსტი ურთიერთკავშირი ბაზისსა და სუპერსტრუქტურას შორის, ამ შემთხვევაში კი – სახელმწიფოსა და წარმოების კაპიტალისტურ რეჟიმს შორის, არ ჩანს. მარქსის ნაშრომების მიხედვით შეიძლება სახელმწიფოს ორი თეორია ჩამოყალიბდეს. პირველი კარგად ჩანს მის ცნობილ გამონათქვამში, რომელიც „კომუნისტის მანიფესტიდან“ (1848 წ.) არის ამოღებული: „თანამედროვე სახელმწიფოს აღმასრულებელი სხვა არაფერია, თუ არა კომიტეტი, რომელიც მართავს მთელი ბურჟუაზიის საერთო საქმეებს.“ ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო აშკარად დამოკიდებულია საზოგადოებაზე და კონკრეტულად, მის ეკონომიკური თვალსაზრისით გაბატონებულ კლასზე, რომელიც კაპიტალიზმში **ბურჟუაზიას** წარმოადგენს. სწორედ ამის გამო უწოდა ლენინმა სახელმწიფოს ‘ექსპლუატირებული კლასის ჩაგვრის ინსტრუმენტი.’

სახელმწიფოს მეორე, უფრო რთული და დახვეწილი თეორია იკვეთება მარქსის ნაშრომში „ლუი ბონაპარტეს მეთვრამეტე ბრუმიერე“ ([1852 წ.] 1963 წ.), სადაც იგი აანალიზებს საფრანგეთში 1848 და 1851 წლებში მომხდარ რევოლუციურ მოვლენებს. მარქსი აცხადებს, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ე.წ. ‘შედარებითი ავტონომია’ კლასობრივი სისტემისგან და რომ ნაპოლეონისეულ სახელმწიფოს შეუძლია თავისი ნება თავს მოახვიოს საზოგადო-

ებას და მოქმედებს, როგორც 'შემაძრწუნებელი, პარაზიტული ორგანო.' თუ სახელმწიფო მართლა იცავდა რომელიმე კლასის ინტერესებს, ეს იყო არა ბურჟუაზიის, არამედ საფრანგეთის საზოგადოების ყველაზე ხალხმრავალი კლასის – მცირე მიწათამფლობელი გლეხობის. მიუხედავად იმისა, რომ მარქსს ეს შეხედულება დეტალურად არ ჩამოუყალიბებია, ამ თვალსაზრისით ნათელია, რომ სახელმწიფოს ავტონომია მხოლოდ 'შეფარდებითი' ცნებაა იმ გაგებით, რომ სახელმწიფო დაპირისპირებულ კლასებს შორის შუამავლად გვევლინება და ამგვარად არსებობას უხანგრძლივებს თავად კლასობრივ სისტემას.

ორივე თეორია საგრძნობლად განსხვავდება სახელმწიფო ძალაუფლების ლიბერალური და მოგვიანებით აღმოცენებული პლურალისტური მოდელებისგან. კერძოდ, ორივე მათგანი ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოს რაობის გაგება შეუძლებელია კლასთა უთანასწორობის კონტექსტის გარეშე და რომ სახელმწიფო წარმოიქმნება კაპიტალისტური საზოგადოებისგან და მოქმედებს, როგორც გაბატონებული კლასის ხელთ არსებული ჩაგვრის ინსტრუმენტი ან მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც კლასთა შორის დაპირისპირება კიდევ უფრო ღრმავდება. ამის მიუხედავად, მარქსის დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი ბოლომდე უარყოფითი არ იყო. იგი ამტკიცებდა, რომ სახელწიფო შეიძლება კონსტრუქციულად იქნას გამოყენებული კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში რა დროსაც იგი „პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატის" ფორმას მიიღებს. კაპიტალიზმის გადაგდება ბურჟუაზიული სახელმწიფოს ნგრევასა და ალტერნატიული, პროლეტარული სახელმწიფოს შექმნას გამოიწვევდა.

სახელმწიფოს, როგორც „პროლეტარიატის დიქტატურის," აღწერის დროს მარქსმა სახელმწიფოს პირველი თეორია გამოიყენა, რომელიც სახელმწიფოს ჩაგვრის ინსტრუმენტად აღიქვამს. სახელმწიფოს საშუალებთ ეკონომიკურად გაბატონებულ კლასს (ამჯერად – პროლეტარიატს) შეუძლია სხვა კლასების დაჩაგვრა და ჩახშობა. ამ მოსაზრებით, ყველა სახელმწიფო კლასობრივი დიქტატურის გამომხატველია. „პროლეტარიატის დიქტატურა" აღიქმებოდა როგორც რევოლუციური მონაპოვრის დაცვის საშუალება, ვინაიდან იგი ხელს უშლიდა ჩამოგდებული ბურჟუაზიის კონტრ-რევოლუციურ აღზევებას. ასეა თუ ისე, მარქსი სახელმწიფოს საჭირო ან ხანგრძლივ სოციალურ წარმონაქმნად არ აღიქვამს. მან იწინასწარმეტყველა, რომ „როგორც კი კლასებს შორის წინააღმდეგობა გაქრება, სახელმწიფოს იდეაც ნელ-ნელა 'დაჭკნება;' რაც იმას ნიშნავდა, რომ ჭეშმარიტი კომუნისტური საზოგადოებაც სახელმწიფოს გარეშე უნდა არსებობდეს. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო კლასობრივი სისტემიდან აღმოცენდა, მისი გაუქმების შემდეგ სახელმწიფო, ძალიან მარტივად კარგავს თავისი არსებობის მიზანს.

მარქსის წინააღმდეგობებით აღსავსე მემკვიდრეობამ თანამედროვე მარქსისტებს, ანუ ნეომარქსისტებს, საკმარისზე მეტი საფუძველი მისცა სახელმწიფო ძალაუფლების შემდგომი ანალიზისთვის. ამ კვლევას იტალიელი მარქსისტის, ანტონიო გრამშის ნაშრომმაც შეუწყო ხელი. იგი ამტკიცებდა, რომ მმართველი კლასის ბატონობა უფრო იდეოლოგიურ მანიპულირებაზეა დამოკიდებული, ვიდრე ღია დაპირისპირებაზე. მისი აზრით, ბურჟუაზიის ბატონობას მეტწილად „ჰეგემონია" განაპირობებს; ეს კი არის ინტელექტუალური წინამძღოლობა ანუ კულტურული კონტროლი, სადაც სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს. 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში, სახელმწიფოს თაობაზე მარქსისტულ კამათში ორი დაპირისპირებული შეხედულება გამოიკვეთა: რალფ მილიბენდისა და ნიკოს პულანცასის (1936-79). მიუხედავად იმისა, რომ ამ დავამ სხვადასხვა ეტაპი გაიარა, გამომდინარე იქიდან, რომ ორივე მკვლევარი დროდადრო უბრუნდებოდა თავის პოზიციებს გადასახედად, ერთი მათგანი ბოლომდე სახელმწიფოს ინსტრუმენტალისტური, ხოლო მეორე – *სტრუქტურალისტური* თვალსაზრისის ერთგული დარჩა.

„ნეო-მარქსიზმი“

ნეო-მარქსიზმი, რომელსაც ხანდახან თანამედროვე მარქსიზმადაც მოიხსენებენ, მარქსის კლასიკური იდეების გადახედვისა და გადამუშავების მცდელობას და, ამავდროულად, მარქსიზმის იდეებისა და მეთოდოლოგიის გარკვეული ასპექტებისადმი ერთგულებას გულისხმობს. ნეომარქსისტები, როგორც წესი, უარყოფენ რომ მარქიზმი ერთადერთი ჭეშმარიტი თეორიაა და გადახედეს სხვა თეორიებსაც, როგორიცაა: ჰეგელიანური ფილოსოფია, ლიბერალიზმი, ანარქიზმი, ფემინიზმი და რაციონალური არჩევანის თეორიაც კი. თუმცა აქ ორი ძირითადი თემის გამოყოფაა შესაძლებელი: პირველი: ნეო-მარქსისტები შეეცადნენ კლასიკური მარქსიზმის მექანისტიკური და დეტერმინისტური იდეებისათვის შემცვლელი მოეძებნათ და ეკონომიკის პირველადობისა და პროლეტარიატისათვის უპირატესი როლის მონიჭების დებულებები უარეყოთ; მეორე – ისინი შეეცადნენ მარქსის წინასწარმეტყველებების წარუმატებლობა, მის მიერ იდეოლოგიისა და სახელმწიფო ძალაუფლების ანალიზის მცდარობით აეხსნათ.

თავის წიგნში „სახელმწიფო კაპიტალისტურ საზოგადოებაში“ (1969 წ.) მილიბენდმა სახელმწიფო მმართველი კლასის წარმომადგენლად ანუ ინსტრუმენტად გამოცხადა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო ელიტა, სრულიად უსამართლოდ, პრივილეგირებული და შეძლებული ფენების წამომადგენლებისაგან არის დაკომპლექტებული. შესაბამისად, სახელმწიფოს მიკერძოებულობა კაპიტალიზმთან მიმართებაში იქიდან მომდინარეობს, რომ ადგილი აქვს სოციალური საფუძვლების ერთგვარ დამთხვევას ერთის მხრივ საჯარო მოხელეებისა და სხვა სახელმწიფო ჩინოვნიკების მხრიდან და მეორეს მხრივ, ბანკირების, ბიზნეს ლიდერებისა და მრეწველობის წამყვანი კომპანიების მხრიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორივე ჯგუფი კაპიტალისტური კლასის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. თავის მხრივ, „პოლიტიკურ ძალაუფლებასა და სოციალურ კლასებში“ (1968 წ.) პულანცასმა უარყო ამგვარი სოციოლოგიური მიდგომა და პირიქით – ხაზი გაუსვა, თუ რა დონეზე ზღუდავს ეკონომიკური და სოციალური ძალაუფლების *სტრუქტურა* სახელმწიფოს ავტონომიას. ამ მიდგომით, სახელმწიფოს სხვა გზა არა აქვს და იძულებულია იმოქმედოს იმ სოციალური სისტემის სასარგებლოდ, რომელშიც იგი არსებობს. კაპიტალისტური სახელმწიფოს შემთხვევაში, მისი ფუნქცია კაპიტალიზმის დროში გაწელილი ინტერესების სამსახურამდე დაიყვანება, თუნდაც ამგვარ მიზანს თავად კაპიტალისტური კლასის რომელიმე სეგმენტი არ ეთანხმებოდეს. ამის მაგალითია დემოკრატიული უფლებებისა და სოციალური რეფორმების ზრდა, რაც თავად მუშათა კლასის მონაპოვარია, თუმცა კაპიტალისტური სისტემის სიკეთედ კი ცხადდება ხოლმე.

თანამედროვე მარქსიზმის მიღწევებმა მნიშვნელოვნად დაახლოვა ერთმანეთთან პლურალისტური და მარქსისტული თეორიები. როგორც პლურალისტებმა აღიარეს თანდათან კორპორატიული ძალაუფლების მნიშვნელობა, ისე ნეომარქსისტებიც იძულებულნი გახდნენ უარი ეთქვათ იმ იდეაზე, თითქოსდა სახელმწიფო, უბრალოდ, კლასობრივი სისტემის ანარეკლია. ნეომარქსისტებმა აგრეთვე აღიარეს, რომ თანამედროვე პირობებში კლასიკური ორ-კლასიანი მოდელი (რომელიც ბურჟუაზიასა პროლეტარიატს ეფუძნება) უაღრესად გამარტივებული და ხშირად უსარგებლოა. პულანცასის მსგავსად, ნეომარქსისტებიც აღიარებენ, რომ მნიშვნელოვნად გადანაწილდა თავად მმართველი კლასიც (მაგალითად, ფინანსური კაპიტალი ერთია და საწარმოო – სხვა) და რომ არჩევითი დემოკრატიის განვითარებამ გააძლიერა მმართველი კლასის მიღმა დარჩენილი ინტერეს-ჯგუფები. გარდა ამისა, ისინი სულ უფრო და უფრო რწუნდებოდნენ, რომ სახელმწიფო წარმოადგენდა სფეროს, სადაც მუდმივად მიმდინარეობდა ბრძოლა ინტერესებს, ჯგუფებსა და კლასებს შორის. ეს განსაკუთრებით ნათელია სახელმწიფოსადმი ბობ ჯესოპისეულ (1982 წ.) ‘სტრატეგიულ ნათესაურ მიდგომაში.’ ჯესოპი სახელმწიფოს კლასთა დაპირისპირების შერბილების მეშვეობით კაპიტალიზმის არსებობის გახანგრძლივების იარაღად კი არ მიიჩნევდა, არამედ „პოლიტიკური სტრატეგიების კრისტალიზაციის“ საშუალებად. ანუ

ეს არის იმ ინსტიტუტების ნაკრები, რომელთა მეშვეობითაც ურთიერთდაპირისპირებული ინტერეს-ჯგუფები ბატონობისა თუ ჰეგემონიისათვის იბრძვიან. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო აღარ არის გაბატონებული ჯგუფისა თუ მმართველი კლასის მიერ ხელში არსებული „იარაღი." არამედ ეს დინამიური წარმონაქმნია, რომელიც საზოგადოების ამა თუ იმ ეტაპზე ძალთა ბალანსს ასახავს და ამგვარად, მიმდინარე ჰეგემონიური ბრძოლის შედეგებს წარმოადგენს.

ლევიათანი სახელმწიფო

თანამედროვე პოლიტიკაში სახელმწიფოს წარმოდგენა *ლევიათანად* (ანუ თვითკმარ, ხარბ და გაუმაძღარ ურჩხულად) ახალ მემარჯვენეობასთან ასოცირდება. ამგვარი შეხედულება ადრეული ანუ კლასიკური ლიბერალიზმიდან, კერძოდ, კი ინდივიდუალიზმის რადიკალური ფორმების თეორიებიდან იღებს სათავეს. ახალი მემარჯვენეობა, ან თუნდაც მისი ნეო-ლიბერალური ფრთა, სხვებისგან განსხვავებით, მკაცრად აკრიტიკებს სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვინაიდან იგი თავიდანვე თვლიდა, რომ სახელმწიფო პარაზიტული წარმონაქმნია და ემუქრება როგორც პიროვნულ თავისუფლებას ისე ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ამ თვალსაზრისით, პლურალისტების თანახმად, სახელმწიფო მიუკერძოებელი არბიტრის ნაცვლად, სინამდვილეში ზედმეტად მზრუნველი 'ძიძაა,' რომელიც ვერ ითმენს და ადამიანური ყოფის ყველა ასპექტში ერევა. ამ შეხედულების ცენტრალურ ამოსავალს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფოს აქვს ინტერესები, რომელიც სრულიად განსხვავდება საზოგადოების ინტერესებისგან და რომ ეს ინტერესები სახელმწიფოს როლისა და პასუხისმგებლობის მუდმივ ზრდას მოითხოვს. ამდენად, ახალი მემარჯვენეები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო ჩარევის XX საუკუნეში გამოკვეთილი ტენდენცია, არ წარმოადგენს ხალხის ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების მოთხოვნილების ან კლასობრივი დაძაბულობის შესუსტებით კაპიტალიზმის მდგრადობის შენარჩუნების სურვილს, არამედ ეს სახელმწიფოს შიდა განვითარების დინამიკით იყო განპირობებული.

ახალი მემარჯვენეობის თეორეტიკოსები სახელმწიფო ძალაუფლების ექსპანსიონისტურ დინამიკას მასზე მოთხოვნისა და მიწოდების გავლენით ხსნიან. მოთხოვნის წნეხი საზოგადოებიდან მომდინარეობს და როგორც წესი, არჩევითი დემოკრატიის მექანიზმების მეშვეობით ხორციელდება. როგორც მეოთხე თავში აღვნიშნეთ, ახალი მემარჯვენეობის აზრით, საარჩევნო ციებ-ცხელებისას პოლიტიკოსები ერთმანეთს ეჯიბრებიან და მოსახლეობას მთავრობის მხრიდან გაზრდილ დანახარჯებსა და უფრო გულუხვ სახელმწიფო პროგრამებს ჰპირდებიან, ისე რომ არც კი ფიქრობენ, თუ რა გრძელვადიან ზიანს მიაყენებს ამგვარი პოლიტიკა ეკონომიკას გაზრდილი გადასახადების, მაღალი ინფლაციისა და ინვესტიციის გამოდევნის მეშვეობით. რაც შეეხება მიწოდების წნეხს, იგი სახელმწიფოს შიდა პრობლემაა, რადგან სახელმწიფო ინსტიტუტებსა და მათში დასაქმებულ პერსონალს უკავშირდება. ამდენად, აღნიშნული არგუმენტი ჭარბი მიწოდების თეზისს ეხმიანება.

ზოგადად, ჭარბი მიწოდების თეზისი საზოგადოებრივი არჩევანის იმ თეორეტიკოსებთან ასოცირდება, რომლებიც სწავლობენ, სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილებების მიღებას იმ დაშვების საფუძველზე, რომ ინდივიდები რაციონალური ეგოისტური მიდგომით ხელმძღვანელობენ. ასე მაგალითად, ნისკანენი (1971 წ.) ამტკიცებდა, რომ ამერიკის კონგრესის საკანონმდებლო ორგანოებში საბიუჯეტო კონტროლი, ჩვეულებრივ, სუსტია და რომ ქვეყნის ბიუჯეტის შექმნის დავალებას ძირითადად, სახელმწიფო უწყებებისა და უმაღლესი თანამდებობების ბიუროკრატების ინტერესები განსაზღვრავს. იმდენად, რამდენადაც მთავრობა სახელმწიფოს ექვემდებარება (სახელმწიფო ელიტა სათავისოდ განაწყობს არჩევითი პოლიტიკოსების გუნება-განწყობას) შეინიშნება პარალელები საზოგადოებრივი არჩევანის მოდელსა და ზემოთ განხილულ მარქსისტულ თვალსაზრისს შორის. თუმცა, ეს

ორი შეხედულება განსხვავდება ერთმანეთისგან იმ ინტერესებთან მიმართებაში, რასაც სახელმწიფო აპარატი ემსახურება. მარქსისტები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო ფართო კლასებისა და საზოგადოებრივ ინტერესებს ასახავს, ხოლო ახალი მემარჯვენეები სახელმწიფოს დამოუკიდებელ და ავტონომიურ, საკუთარი ინტერესების გამტარებელ ერთეულად ხედავენ. ამ თვალსაზრისით ბიუროკრატიული კერძო ინტერესი უდაოდ მხარს უჭერს გაზვიადებულ ხელისუფლებას და სახელმწიფო ჩარევას, რადგან სწორედ ასე უზრუნველყოფს იგი თავად ბიუროკრატიის რიგების გაფართოებას, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოს გარანტიას, ხელფასების ზრდას, დაწინაურების ახალი პერსპექტივების გამოჩენას და საერთოდ, საჯარო მოხელეების სტატუსის გაზრდას. საკუთარ თავზე მზრუნველი ბიუროკრატის ამგვარი მოდელი აშკარად ვერ თავსდება იმ პლურალისტურ წარმოდგენებში, რომელთა თანახმადაც სახელმწიფო მანქანა საზოგადოების სამსახურის ეთიკით უნდა იყოს გაჟღენთილი და მკაცრად ექვემდებარებოდეს პოლიტიკურ კონტროლს.

პატრიარქალური სახელმწიფო

პატრიარქალური სახელმწიფოს განხილვისას ფემინისტური თეორიის მოსაზრებებს ვერანაირად ვერ გავექცევით. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოსდა სახელმწიფოს თაობაზე რაიმე გამოკვეთილი, მაინცდამაინც ფემინისტური ხასიათის თეორია არსებობდეს. როგორც მესამე თავში აღვნიშნეთ, ფემინისტური თეორია ტრადიციებისა და პერსპექტივების ფართო სპექტრს მოიცავს და ამდენად, სახელმწიფო ძალაუფლებისადმი რამდენადმე განსხვავებული მიდგომითაც გამოირჩევა. უფრო მეტიც, როგორც წესი, ფემინისტები სახელმწიფო ძალაუფლების არსს უმთავრეს პოლიტიკურ საკითხად არ მიიჩნევენ და სხვადასხვა ინსტიტუტებში, ოჯახი იქნება ეს თუ ქვეყნის ეკონომიკური სისტემა, მამაკაცური ძალაუფლების უფრო ღრმა სტრუქტურის კვლევით არიან დაკავებულნი. მართალია, ზოგიერთი ფემინისტი ეჭვის თვალით უყურებს სახელმწიფოს მნიშვნელობის საყოველთაოდ მიღებულ განსაზღვრებებს და ამტკიცებს, რომ მოსაზრება, რომლის თანახმად სახელმწიფო ძალადობის კანონიერ მონოპოლიას ფლობს, ოჯახსა თუ ყოველდღიურ ყოფით ურთიერთობებში გამეფებული ჩვეულებრივი ძალადობიდან და უთანასწორობიდან მომდინარეობს. და მაინც, ზოგჯერ ნებით, ზოგჯერ კი უნებლიედაც, ფემინისტებმა საკმაოდ გაამრავალფეროვნეს კამათი სახელმწიფოს რაობასთან დაკავშირებით და სახელმწიფო ძალაუფლების ახლებური ხედვაც შემოგვთავაზეს.

პატრიარქატი: სიტყვასიტყვით პატრიარქატი „მამის მმართველობას“ ანუ ოჯახში ქმრისა თუ მამის ბატონობასა და ცოლისა და ბავშვების მისადმი დაქვემდებარებას ნიშნავს. როგორც წესი, უფრო ზოგადი გაგებით „მამაკაცების ბატონობის“ აღსანიშნავად გამოიყენება – მამაკაცების მიერ ქალების ჩაგვრისა და ექპლუატაციაზე ყურადღების გასამახვილებლად. ამგვარად, ცნება „პატრიარქატი“ ზოგადად საზოგადოებრივ სისტემაში მამაკაცთა ძალაუფლებას გულისმობს. პატრიარქატი რადიკალური ფემინისტური ანალიზის ძირითად კონცეფციას წარმოადგენს, რადგან მასში სქესთა შორის არსებული უთანასწორობის მუდმივობა, დაკანონება და ყოვლისმომცველობაა ხაზგასმული. სოციალისტ-ფემინისტები კი სქესთა უთანასწორობასა და კერძო საკუთრებას შორის კავშირზე ამახვილებენ ყურადღებას და პატრიარქატსა და კაპიტალიზმს ჩაგვრის პარალელურ სისტემებად განიხილავენ.

ლიბერალი ფემინისტები, რომელთა აზრითაც, სქესობრივი ანუ გენდერული თანასწორობა გამათანაბრებელი რეფორმების გზით შეიძლება იქნას მიღწეული, თანდათანობით სახელმწიფოს არსებითად პლურალისტური გაგებისაკენ გადაიხარნენ. მათ დაასკვნეს, რომ თუ ქალებს ჩამორთმეული აქვთ საკანონმდებლო და პოლიტიური თანასწორობა, განსაკუთრებით – ხმის მიცემის უფლება, მაშინ ეს სახელმწიფო კაცების ინტერებისადმი მიკერძოებულობით გამოირჩევა. თუმცა, მათ სჯერათ სახელმწიფოს მიუკერძოებლობის, რადგან თვლიან, რომ ნებისმიერი მსგავსი გადახრის გამოსწორება რეფორმებითაა შესაძლებელი. ამიტომ, ლიბერალ-ფემინისტებს მიაჩნიათ, რომ საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს (ქალების ჩათვლით) თანაბრად მიუწვდება ხელი სახელმწიფო ძალაუფლებაზე

და ეს ძალაუფლებაც სამართლიანობასა და საყოველთაო კეთილდღეობის დამკვიდრებას ემსახურება. ამდენად, ლიბერალ-ფემინისტები, როგორც წესი, სახელმწიფოს დადებით ფენომენად აღიქვამდნენ და მისი მხრიდან ჩარევასაც გენდერული უთანაბრობის მოგვარებისა და ქალთა როლის გაზრდის საშუალებად მოიაზრებდნენ. ამის გამოხატულებაა სწორედ ის არაერთი კამპანია, რაც ეხება: ხელფასების გათანაბრების, აბორტის ლეგალიზაციის, ბავშვთა მოვლის დაწესებულებების გახსნის, სოციალური შეღავათებისა თუ სხვა მსგავს მოთხოვნებს. თუმცა, **რადიკალი ფემინისტები** უფრო კრიტიკულად და ზოგჯერ უარყოფითადაც კი აფასებენ სახელმწიფოს ფუნქციას და ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო ძალაუფლება პატრიარქალური ყოფისთვის დამახასიათებელი, ღრმა ფესვების მქონე ჩაგვრის გამოვლინებაა.

რადიკალური ფემინიზმი: ფემინიზმის ფორმა, რომელიც გენდერულ დაყოფას საზოგადოებრივი უთანასწორობის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ფაქტორად მიიჩნევს და მის მიზეზებს ოჯახური ცხოვრების წყობაში ეძიებს.

სახელმწიფო ძალაუფლების შეფასებისას, რადიკალური ფემინიზმი დიდ მგავსებას ავლენს მარქსიზმთან. მაგალითად, ორივე მათგანი უარყოფს, რომ სახელმწიფო ავტონომიური ერთეულია, რომელიც საკუთარი ინტერესების დაცვისთვის იბრძვის. სახელმწიფო და მისთვის დამახასიათებელი გადახრები, მათთვის ზოგადად საზოგადოებაში არსებული ძალაუფლების „ღრმა“ სტრუქტურის გამოვლინებაა. მაშინ როდესაც მარქსიზმი სახელმწიფოს ეკონომიკურ კონტექსტში მოიაზრებს, რადიკალური ფემინიზმისთვის მთავარი გენდერული უთანასწორობის კონტექსტია და ამიტომ მისთვის სახელმწიფო, მამრთა ძალაუფლების ინსტიტუტს წარმოადგენს. ამ ორ თეორიას საერთო ის აქვთ, რომ ფემინისტური მოძღვრებისთვისაც დამახასიათებელია ინსტრუმენტალისტური და სტრუქტურალისტური მიმდინარეობები. *ინსტრუმენტალისტთა* შეხედულებით, სახელმწიფო წარმოადგენს მხოლოდ ინსტრუმენტს, რომელსაც მამაკაცები საკუთარი ინტერესების დასაცავად და პატრიარქალური ყოფის შესანარჩუნებლად იყენებენ. მსგავსი მოსაზრება ფემინისტთა უმთავრესი რწმენის გამოვლინებაა, რომლის თანახმადაც პატრიარქალურობას ცხოვრების საჯარო და კერძო სფეროებად საზოგადოების მკვეთრი დაყოფა უწყობს ხელს. ქალთა დაჩაგრული მდგომარეობა, ტრადიციულად, გამოწვეული იყო მათი მიჯაჭვულობით კერძო ანუ საოჯახო სფეროსადმი. ისინი მხოლოდ დედებად და დიასახლისებად მოიაზრებოდნენ და საჯარო საქმიანობაზე, პოლიტიკა იქნებოდა ეს თუ ეკონომიკა, ხელი არ მიუწვდებოდათ. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს მამაკაცები მართავენ და ისიც სათავისოდ.

სარეზერვო შრომითი ძალა: მუშა-მოსამსახურეთა ის კატეგორია, რომელიც პირველ რიგში ხდება შემცირებების მსხვერპლი; ასეთი „არმიის“ შრომითი უფლებები დაუცველია და საბაზრო ეკონომიკის პირობებში მათ არავითარი წონა არ აქვთ.

მაშინ, როდესაც ინსტრუმენტალისტები აქცენტს სახელმწიფო აპარატის ჩინოვნიკებზე და კონკრეტულად, ელიტაზე აკეთებენ, სტრუქტურალისტები იკვლევენ თუ რა დონითაა ჩართული სახელმწიფო ინსტიტუტები უფრო ფართო პატრიარქალურ სისტემაში. თანამედროვე რადიკალმა ფემინისტებმა საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს გამოჩენას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს. ისინი მასში პატრიარქალური ძალაუფლების ახლებურ გამოვლინებას ხედავენ. მათი აზრით, კეთილდღეობამ შესაძლოა განამტკიცოს პატრიარქატი, ვინაიდან მას თან ახლავს გადასვლა კერძო დამოკიდებულებიდან (სადაც ქალები, როგორც „დიასახლისები,“ კაცებზე, როგორც „მარჩენალზე,“ არიან დამოკიდებულნი) საჯარო დამოკიდებულების ისეთ სისტემაზე, სადაც ქალების კონტროლი გაფართოებული სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტიტუტების მეშვეობით ხორციელდება. მაგალითად, ქალები, როგორც სახელმწიფო მომსახურების (როგორიცაა, საბავშვო ბაღები, ბაგა-ბაღები და სოციალური სამსახურები) მიმღებნი ან მოსარგებლეები და აგრეთვე, ისეთ პროფესიის თანამშრომლები, როგორიცაა მედდა, სოციალური მუშაკი და მასწავლებელი, სულ

უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი სახელმწიფოზე. სახელმწიფო ვალდებულებების გაზრდამ ტრადიციულ 'ქალურ' სფეროებში, როგორიცაა, მაგალითად, საბავშვო ბაღები და ა.შ. დამოკიდებულობის ახალი ფორმების წარმოქმნას შეუწყო ხელი. კერძოდ, იგი აძლიერებს ქალების, როგორც **სარეზერვო შრომითი ძალის** როლს, რომლის თანახმადაც, დამქირავებლისთვის ქალები მოქნილ, დაბალანაზღაურებად და მორჩილ სამუშაო ძალას წარმოადგენენ.

სახელმწიფოს როლი

სახელმწიფო ძალაუფლების განსხვავებული ინტერპრეტაცია მისი როლისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრის მცდელობიდან მომდინარეობს. რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ? რა ფუნქცია-მოვალეობები უნდა იკისროს მან და რა უნდა მიანდოს კერძო პირებს? ეს არის ის კითხვები, რომელთა გარშემოც ტრიალებს საარჩევნო პოლიტიკა და პარტიული კონკურენცია. ანარქისტების გარდა, რომლებიც სახელმწიფოს იმთავითვე ბოროტ და უსარგებლო წარმონაქმნად მიიჩნევდენ, ყველა სხვა პოლიტიკური თეორია მას აუცილებლად და საჭიროდ მიიჩნევს. სახელმწიფოს ნგრევის ლენინური ლოზუნგით შთაგონებული რევოლუციონერი სოციალისტებიც კი, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლისას დროებითი პროლეტარული სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობას აღიარებდნენ. ამის მიუხედავად, დღემდე ვერ მოხერხდა შეთანხმება სახელმწიფოს ზუსტი როლის შესახებ და შესაბამისად, მკვლევარები ვერ ჩამოყალიბდნენ, თუ როგორი უნდა იყოს ბალანსი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. არსებობს სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმები. ესენია:

- მინიმალისტური სახელმწიფო
- ევოლუციური სახელმწიფო
- სოციალურ-დემოკრატიული სხელმწიფო
- კოლექტივიზებული სახელმწიფო
- ტოტალიტარული სახელმწიფო

მინიმალისტური სახელმწიფო

მინიმალისტური სახელმწიფო კლასიკური ლიბერალიზმის იდეალია, რადგან მის მიზანს პიროვნებისთვის მაქსიმალური თავისუფლების მიღწევის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ეს შეხედულება სოციალური კონტრაქტის თეორიიდან მომდინარეობს მაგრამ, ამის მიუხედავად, სახელმწიფოს შესახებ 'ნეგატიური' შეხედულების განმამტკიცებლად გვევლინება. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს უმთავრეს ღირსებაა ადამიანთა მოთოკვა, რომ ერთი პიროვნების **უფლებებმა** სხვათა თავისუფლებებს არ შეუქმნას საფრთხე. სახელმწიფო, მხოლოდ დამცავი მექანიზმია და მისი ძირითადი ფუნქციაა მშვიდობისა და სოციალური წესრიგისთვის ისეთი საზღვრების დადგენა, რომელშიც მოქალაქეები თავიანთ ცხოვრებას ისე მოიწყობენ, როგორც თვითონ თვლიან საჭიროდ. ლოკის ცნობილი გამონათქვამი რომ მოვიშველიოთ, „სახელმწიფო ღამის გუშაგია, რომლის დახმარებაც მხოლოდ საფრთხის გამოჩენის შემთხვევაში ხდება საჭირო". მინიმალისტურ, ანუ „გუშაგ-სახელმწიფოს" სამი უმთავრესი დანიშნულება აქვს: პირველი და უმთავრესი – სახელმწიფო წესრიგის უზრუნველსაყოფად არებობს, მეორე – იგი ზრუნავს ცალკეულ მოქალაქეთა შორის დადებული კონტრაქტებისა და ნებაყოფლობითი შეთანხმებების შესრულებაზე და მესამე – სახელმწიფო იცავს მოქალაქეებს საგარეო თავდასხმისაგან. აქედან გამომდინარე, მინიმალისტური

სახელმწიფოს ინსტიტუციონალური აპარატი შემოიფარგლება სა-პოლიციო ძალებით, სასამართლო სისტემითა და გარკვეულწილად, შეიარაღებული ძალებით. ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ზნეობრივი და სხვა პასუხისმგებლობები პიროვნების საქმეა და შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების საზრუნავია.

უფლებები: მორალური ან სამართლებრივი ნორმა, რაც ადამიანის ქცევას ან მის მიმართ დამოკიდებულებას განსაზღვრავს; განასხვავებენ სამოქალაქო და ადამიანის უფლებებს.

თანამედროვე პოლიტიკურ დებატებში მინიმალისტური სახელმწიფოს შექმნის იდეა ახალმა მემარჯვენეებმა აიტაცეს. ლიბერალური იდეების და განსაკუთრებით, თავისუფალი ბაზრის, ანუ კლასიკური ეკონომიკური თეორიების საფუძველზე დაყრდნობით, ახალმა მემარჯვენეებმა სახელმწიფოს „საზღვრების შეკვეცა“ დაისახეს მიზნად. რობერტ ნოზიკის ნაშრომებში ეს ლოკისეული ლიბერალიზმის ინტერპრეტაციაა და პიროვნების უფლებებს, განსაკუთრებით კი საკუთრების დაცვას ანიჭებს უპირატესობას. თავისუფალი ბაზრის ეკონომისტებიც, როგორებიც არიან ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი და მილტონ ფრიდმენი, სახელმწიფო ჩარევას იმ „მომაკვდინებელ ხელად“ თვლიან, რაც კონკურენციას, წარმოების ეფექტიანობასა და ნაყოფიერებას შეზღუდავს. ახალი მემარჯვენეების თვალსაზრისით, სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში მხოლოდ ორ ფუნქციამდე დაიყვანება: ფულის გაცვლის სტაბილური საშუალებების ანუ „ჯანსაღი ფულის“ (დაბალი ან ნულოვანი ინფლაცია) შენარჩუნება და კონკურენციის ხელშეწყობა ანტიმონოპოლიური კონტროლის მეშვეობით, ფასების დარეგულირებით და ა.შ. მინიმალისტური სახელმწიფოების თანამედროვე მაგალითებად ბევრი ისეთ აზიურ სახელმწიფოებს მიიჩნევს, როგორიცაა: ტაივანი, სინგაპური და მალაიზია. თუმცა, აქ არაფერია ნახსენები იმაზე, თუ რამდენად არიან აღნიშნული სახელმწიფოები ჩართული ეკონომიკურ მართვაში ინვესტიციების მართვისა და განათლება-გადამზადებაზე აქცენტის გაკეთების კუთხით.

ევოლუციური სახელმწიფო

მინიმალისტური სახელმწიფოს საუკეთესო ისტორიულ მაგალითებად XIX საუკუნის ბოლოს ადრეული ინდუსტრიალიზაციის პერიოდის დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ითვლება. ზოგადად, გავრცელებული წესია, რომ რაც უფრო გვიან მოხდება სახელმწიფოს ინდუსტრიალიზაცია, მით უფრო ინტენსიურია მის ეკონომიკაში სახელმწიფოს როლი. მაგალითად, იაპონიასა და გერმანიაში სახელმწიფომ თავიდანვე უფრო აქტიური ‘განვითარებადი’ როლი იტვირთა. ევოლუციური ეწოდება ისეთ სახელმწიფოს, რომელიც ეკონომიკურ ცხოვრებაში ერევა კონკრეტული განზრახვით, რომელიც ინდუსტ-

რობერტ ნოზიკი (1938-2002)

ამერიკელი მეცნიერი და პოლიტიკური ფილოსოფოსი. მისი მთავარი ნაშრომი „ანარქია, სახელმწიფო და უტოპია“ (1974 წ.) პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროში თანამედროვეობის მნიშვნელოვან მონაპოვრადაა აღიარებული. მან უდიდესი გავლენა მოახდინა ახალი მემარჯვენების თეორიებსა და მრწამსზე. ნოზიკმა განავითარა ლოკის იდეებთან მიახლოებული ლიბერტარიანიზმის მოდელი, სადაც ასევე აისახა XIX საუკუნის ამერიკელი ინდივიდუალისტების: სპენსერისა (1808-87 წწ) და ტაკერის (1854-1939 წწ) გავლენა. ნოზიკი საკუთრების უფლებების დამცველია თუ ქონება სამართლიანი გზითაა დაგროვილი ან ნაანდერძევი. ეს პოზიცია მინიმალური მმართველობის და მინიმალური დაბეგვრის აშკარა მხარდაჭერაა კეთილდღეობისა და გადანაწილების იდეათა საწინააღმდეგოდ. ნოზიკისეული უფლებებზე ორიენტირებული სამართლიანობის თეორია, გარკვეულწილად, ჯონ როულზთან კამათის გამოძახილია. მოგვიანებით, მან საგრძნობლად შეარბილა საკუთარი უკიდურესი ლიბერტარიანიზმი.

„ხუთი ვეფხვის“ ეკონომიკა: იაპონურ ყაიდაზე მოჭრილი, სწრაფმზარდი და ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკები (ტაივანი, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, მალაიზია).

რიული ზრდისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ეს არ ნიშნავს თავისუფალი ბაზრის ჩანაცვლებას 'სოციალისტური' ცენტრალური დაგეგმარების სისტემით. არამედ ეს წარმოადგენს სახელმწიფოსა და ქვეყნის მსხვილ ეკონომიკურ ინტერესებს შორის პარტნიორობის დამყარებას, რასაც ხშირად კონსერვატიული და ნაციონალისტური პრიორიტეტები უდევს.

ამგვარი ევოლუციური სახელმწიფოს კლასიკური მაგალითია იაპონია. 1868-1912 წლებში, მეიძის პერიოდში, იაპონიის სახელმწიფომ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა *ძაიბუცუსთან* – უდიდეს საოჯახო ბიზნეს-იმპერიებთან, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე მთელი იაპონური ეკონომიკა ეჭირათ ხელში. 1945 წლიდან, იაპონიის სახელმწიფოს განვითარების აუცილებლობაზე ალაპარაკდა ქვეყნის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, რომელმაც იაპონიის ბანკთან ერთად შეიმუშავა კერძო ინვესტიციების პროგრამა და მიზნად დაისახა იაპონური ეკონომიკა საერთაშორისო თვალსაზრისით კონკურენტუნარიანად ექციათ. განვითარებადი ჩარევის მსგავსი მოდელი არსებობდა საფრანგეთშიც, სადაც როგორც მემარცხენე ისე მემარჯვენე მთავრობები ერთნაირად აღიარებდნენ ეკონომიკური დაგეგმვის აუცილებლობას; სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატი კი ეროვნული ინტერესების დამცველად გვევლინებოდა. ავსტრიაში და, გარკვეული თვალსაზრისით გერმანიაშიც, ეკონომიკური პროგრესი ე.წ. „პარტნიორული სახელმწიფოს“ შექმნის შედეგად იქნა მიღწეული. მჭიდრო ურთიერთბა დამყარდა ერთის მხრივ, სახელმწიფოს, მეორეს მხრივ კი, უმთავრეს ეკონომიკურ ინტერეს ჯგუფებს შორის, რომელთაგან აღსანიშნავია მსხვილი ბიზნესები და ორგანიზებული სამუშაო ძალა. ახლახანს, ეკონომიკურმა გლობალიზაციამ „კონკურენტული სახელმწიფოების“ აღმოცენებას შეუწყო ხელი, რის თვალნათელ მაგალითად აღმოსავლეთ აზიის **„ხუთი ვეფხვის“** ეკონომიკა გამოდგება; ტრანსნაციონალური კონკურენციის გაძლიერების პირობებში, ამ ქვეყნებმა საკუთარ თავზე აიღეს ეროვნული კეთილდღეობის სტრატეგიათა შემუშავება და განხორციელებაც.

სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო

თუკი ევოლუციური სახელმწიფოები ეკონომიკაში ჩარევას პროგრესის უზრუნველყოფის გამო არ ერიდებიან, სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოები ამ პრაქტიკას უფრო სხვა გამართლებას უძებნიან და როგორც წესი, პატიოსნების, თანასწორობის და **სოციალური სამართლიანობის** პრინციპების შესაბამისად საზოგადოების საფუძვლიან სახეცვლილებაზე საუბრობენ ხოლმე. ასე მაგალითად, ავსტრიასა და შვედეთში სახელმწიფო ჩარევა როგორც განვითარების, ისე სოციალ-დემოკრატიული პრიორიტეტების კარნახით ხდებოდა. ოღონდ ეგაა, განვითარების ტენდენციები და სოციალ-დემოკრატია ყოველთვის ვერ ეწყობიან ერთმანეთს. როგორც დევიდ მარკანმა (1988 წ.) აღნიშნა, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ბრიტანეთმა გარკვეული სოციალ-დემოკრატიული სიმპათიები გამოვლინა, მაგრამ ამის მიუხედავად იგი ევოლუციურ სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა. სოციალ-დემოკრატიულ სახელმწიფოს ერთი განმასხვავებელი ნიშანი აქვს: მისთვის ზოგადად სახელმწიფოს ცნება აუცილებელ ბოროტებას აღარ წარმოადგენს და გარკვეულ დადებით ელფერსაც კი იძენს, ვინაიდან იგი სახელმწიფოს თავისუფლების ხარისხის ზრდისა და სამართლიანობის დაცვის იარაღად მოიაზრებს. მაშასადამე, სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო იდეალურია, როგორც თანამედროვე ლიბერალებისთვის, ისე დემოკრატი სოციალისტებისთვის.

სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო არა მარტო მოწესრიგებული არსებობის პირობებს ქმნის, არამედ აქტიური მონაწილეცაა და ცდილობს შეარბილოს საბაზრო ეკონომიკის უთანასწორობა და უსამართლობა. მისთვის მთავარია არა სიმდიდრის დაგროვება, არამედ

ამ სიმდიდრის თანაბრად და სამართლიანად განაწილება. პრაქტიკაში ამას სიღარიბის მოსპობისა და სოციალური უთანაბრობის შემცირების მცდელობამდე მივყავართ. სწორედ ამიტომ, სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს ორი უმთავრესი მახასიათებელი თვისება კეინსიანიზმი და სოციალური კეთილდღეობაა. თუ გახსოვთ, კეინსის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია კაპიტალიზმის „მართვა“ ან „რეგულირება“ და მისი საბოლოო ამოცანა ეკონომიკური წინსვლა და სრული დასაქმებაა. ამგვარი პოლიტიკა შეიძლება დაგეგმვის ელემენტებსაც შეიცავდეს, თუმცა კლასიკური კენსიანიზმის სტრატეგია უფრო „მოთხოვნის რეგულირებას“ გულისხმობს ფისკალური პოლიტიკის, ანუ საზოგადოებრივი ხარჯებისა და დაბეგვრის დონეების მოწესრიგების ხარჯზე. საზოგადოებრივი კეთილდღეობის პოლიტიკის გატარებამ ე.წ. კეთილდღეობის სახელმწიფოს გაჩენას შეუწყო ხელი, რომლის პასუხიმგებლობებში შევიდა თავისი მოქალაქეების სოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობა. ამ თვალსაზრისით, სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო „ხელისშემწყობია“ და პიროვნების ღირსეული არსებობის პრინციპის ერთგული რჩება.

სოციალური სამართლიანობა: მატერიალური მოგების ეთიკურად გამართლებული განაწილება; სოციალური სამართლიანობა ხშირად თანასწორობასთან მიკერძოებულობის ასოციაციას იწვევს.

კოლექტივიზირებული სახელმწიფო

თუ ევოლუციური და სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ძირითადად კერძო ეკონომიკის სამართავად ან მხარდასაჭერად ერევიან, კოლექტივიზირებული სახელმწიფოები ეკონომიკას მთლიანად საკუთარ კონტროლს უქვემდებარებენ. ამგვარი სახელმწიფოს საუკეთესო მაგალითები საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპის გასაბჭოებული ქვეყნებია. მათ ბოლო მოუღეს კერძო მეწარმეობას და ეკონომიკური სამინისტროებისა და დაგეგმარების კომიტეტების ქსელის მიერ მართული ეკონომიკის ცენტრალურად დაგეგმილი სისტემა შექმნეს. ეს გახლდათ ე.წ. „მბრძანებლური ეკონომიკა,“ რომელიც „ზემოდან“ იგეგმებოდა და კომუნისტური პარტიის უმაღლესი ეშელონების მხრიდან კონტროლირდებოდა. სახელმწიფოს **კოლექტივიზაციის** ახსნა მომდინარეობს სოციალიზმის ფუნდამენტური პრინციპიდან, რომელიც კერძო საკუთრებას საერთო საკუთრებას ამჯობინებს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს გამოყენება ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფო ძალაუფლებისადმი იმ უფრო დადებით დამოკიდებულებაზე მიანიშნებს, რაც მარქსისა და ენგელსის (1820-1895) კლასიკურ ნაშრომებშია ასახული.

კოლექტივიზაცია: კერძო საკუთრების გაუქმება საერთო ანუ საჯარო მმართველობის სისტემის გასაძლიერებლად.

სტატიზმი

სტატიზმი (ფრანგულად étatisme) ემყარება მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს ჩარევა ყველაზე გონივრული გამოსავალია პოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად და ეკონომიკურ-სოციალური ზრდის ხელშესაწყობად. სახელმწიფოს, როგორც საყოველთაო კოლექტიური ქმედების ორგანიზებისა და საერთო მიზნების მიღწევის უმთავრეს მექანიზმად აღიარება, მსგავს შეხედულებას კიდევ უფრო ამყარებს. ამგვარად, სახელმწიფო ეთიკურ იდეალად (ჰეგელის მიხედვით) და „საყოველთაო ნების,“ ანუ საზოგადოებრივი ინტერესის მსახურად მიიჩნევა. ყველაზე აშკარად სტატიზმი იმ სახელმწიფო პოლიტიკაში ვლინდება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას არეგულირებს და აკონტროლებს: ეს პოლიტიკა შეიძლება იყოს შერჩევითი ნაციონალიზაციაც და ეკონომიკური მართვაც, აგრეთვე როგორც ლიბერალური, ისე ფაშისტური კორპორატიზმიც და საბჭოური სტილის სახელმწიფო კოლექტივიზაციაც.

მარქსი და ენგელსი ნაციონალიზაციას გამორიცხავდნენ. კერძოდ, ენგელსი აცხადებდა, რომ „პროლეტარიატის დიქტატურის“ დროს სახელმწიფო კონტროლს უნდა დაექვემდებარებოდა: ფაბრიკა-ქარხნები, ბანკები, სატრანსპორტო ქსელი და ა.შ. თუმცა, ისინი ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ პროლეტარული სახელმწიფო მხოლოდ დროებითი მოვლენა იქნებოდა და რომ კლასობრივი დაპირისპირების მოსპობასთან ერთად, ისიც შეწყვეტდა არსებობას. ამის საპირისპიროდ, საბჭოთა კავშირში კოლექტივიზირებულმა სახელმწიფომ არსებობა გააგრძელა და თანდათან უფრო ძლიერი და ბიუროკრატიული გახდა. სტალინის მმართველობის დროს სოციალიზმი ფაქტიურად **სტატიზმთან** გაიგივდა და სოციალიზმის წინსვლა სახელმწიფო აპარატის შეუზღუდავ უფლებებსა და ძალის დემონსტრირებაზე აისახა. 1962 წელს, ხრუშოვის მიერ პროლეტარიატის დიქტატურის დასრულებულად გამოცხადების შემდეგ, სახელმწიფო, ფორმალურად, „მთლი საბჭოთა ხალხის“ ინტერესების გამომხატველად იქცა.

ტოტალიტარული სახელმწიფო

ჩარევის ყველაზე უკიდურესი ფორმა და ინტენსიურობა ტოტალიტარულ სახელმწიფოებს ახასიათებთ. ტოტალიტარიზმის არსს წარმოადგენს ყოვლისმომცველი სახელმწიფოს შექმნა, რომლის გავლენაც ადამიანის არსებობის ყველა სფეროზე აისახება. სახელმწიფო თავის უშუალო კონტროლის ქვეშ აქცევს არა მარტო ეკონომიკას, არამედ განათლებას, კულტურას, რელიგიას, ოჯახურ ყოფასა და ა.შ. ამის ყველაზე კარგი მაგალითებია ჰიტლერის გერმანია და სტალინის საბჭოთა კავშირი. თუმცა, ასეთი რამ დამახასიათებელია ზოგიერთი თანამედროვე რეჟიმისთვისაც, როგორიც იყო, მაგალითად, სადამ ჰუსეინის ერაყი. ასეთი რეჟიმის მთავარი საყრდენს მუდმივი მეთვალყურეობისა და ტერორის პოლიტიკა, იდეოლოგიური მანიპულირების მკაცრი სისტემა და ერთიანი კონტროლი წარმოადგენს. ტოტალიტარული სახელმწიფოები წარმატებით ახშობენ სამოქალაქო საზოგადოებას და ცხოვრების „პირად“ სფეროებსაც უკიდურესად ზღუდავენ. ეს ისეთი მიზანია, რომელსაც ხმამაღლა მხოლოდ ფაშისტები თუ აღიარებენ, რადგან მათ პიროვნული მეობის საზოგადოებრივ მთლიანობაში გათქვეფა სურთ. ზოგჯერ იმასაც ამტკიცებდნენ, რომ მუსოლინის წარმოდგენა ტოტალიტარული სახელმწიფოს შესახებ ჰეგელის შეხედულებებიდან მომდინარეობს, რომლის თანახმადაც სახელმწიფო „ეთიკური ერთობაა“ და მისი წევრების ალტრუიზმსა და ურთიერთანაგრძნობას ასახავს. ამ თვალსაზრისით, გამოდის, რომ ადამიანური ცივილიზაციის განვითარება სახელმწიფოს ძლიერების შეუზღუდავ ზრდასა და მისი პასუხისმგებლობების გაფართოებას უკავშრდება.

‘ფუღურო’ სახელმწიფო?

მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად, პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალურ, ამოსავალ ფიგურად სახელმწიფო მიიჩნეოდა, მეოცე საუკუნის მიწურულს განვითარებულმა მოვლენებმა სახელმწიფოს როლსა და მნიშვნელობას საფრთხე შეუქმნეს. ეს განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა ზოგიერთ პოსტ-კომუნისტურ და განვითარებადი სამყაროს ისეთ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს დანაწევრებული ან გაყოფილი აპარატები ეთნიკურ შინაალილობას ან მზარდ ორგანიზებულ დანაშაულს უპირისპირდებოდნენ. შედეგად წარმოიქმნა ე.წ. ‘უსახელმწიფო’ ერები, ტომები და კლანები, რომლის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია: ჩეჩნები რუსეთის ფედერაციაში, ეთნიკური ალბანები კოსოვოში, ქურთები, თამილები და იბოსები ნიგერიაში. სხვა ქვეყნებში სახელმწიფოს როლის შემცირება ასე თვალში საცემი არა, მაგრამ მაინც საგრძნობი იყო. ეს იყო ის, რასაც ჯესოპი (1990 წ.) ‘გამოფუღუროვებას’ უწოდებს და რაც გულისხმობს ფარულ პროცესებს, რომლის მეშვეობითაც ერთ დროს სახელმწიფოზე მიკუთვნებული ფუნქციები დღეს ნაწილობრივ გადაეცა სხვა ინსტიტუტებსა და ორგანოებს. ეს არის პროცესი, რომელიც სამმა, ერთმანეთისგან განსხვავებულმა, მაგრამ ერთმანეთთან გადაჯაჭვულმა მოვლენამ მოიტანა.

ესენია: გლობალიზაცია, სახელმწიფოსთვის ფუნქციების ჩამორთმევა და სტრუქტურის შეცვლა და მმართველობის ქვედა დონეებზე გადატანა.

გლობალიზაცია

სახელმწიფოსთვის, ან სულ მცირე, ერი-სახელმწიფოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხეს გლობალიზაცია წარმოადგენს. ფართო გაგებით, გლობალიზაცია არის პროცესი, რომლის მეშვეობით მსოფლიოს ერთ ნაწილში მომხდარ მოვლენებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს შეუძლია გავლენა მოახდიონს მსოფლიოს მეორე ნაწილში არსებულ ქვეყნებზე. ამის ერთ-ერთ გამოვლინებას გლობალური ეკონომიკის აღმოცენება წარმოადგენს, რომელშიც სულ უფრო და უფრო რთულია (თუ შეუძლებელია არა) რომელიმე კონკრეტული ქვეყნისთვის კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის დარეგულირება. ამგვარი განვითარება სახელმწიფოსთვის ძალიან ცუდია, რადგან ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ცალკეული სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრების მართვისა და საყოველთაო კეთილდღეობის მიწოდების უნარი შეზღუდულია ვინაიდან, 'ნაციონალური' ეკონომიკური სტრატეგიები, როგორიცაა მაგალითად, კეინსიანიზმი, გლობალურ კონტექსტში, ფაქტიურად, არ მოქმედებს. ამან აგრეთვე გამოიწვია უარის თქმა სახელმწიფოს კეთილდღობის პოლიტიკაზე, ვინაიდან გამძაფრებული კონკურენცია ქმნის მოთხოვნას შემცირებულ გადასახადებსა და უფრო დაბალ შრომით ხარჯებზე. გარდა ამისა, სახელმწიფოებისთვის სულ უფრო და უფრო რთულდება მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობის რეგულირება, რადგან მათ ადვილად შეუძლიათ თავიანთ წარმოებისა და ინვესტიციების გადატანა სხვა ქვეყანაში. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ გლობალიზაციას, რაც აისახა ისეთ საერთაშორისო და ზესახელმწიფო სტრუქტურების მნიშვნელობის გაზრდაში, როგორიცაა: გაერთიანებული ერები, ევროკავშირი, ნატო და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. მაგალითად, ნათელია რომ ევროკავშირის წევრობა სახელმწიფოს ძალაუფლებისთვის საფრთხეს წარმოადგენს, რადგან გადაწყვეტილებების ფართო სპექტრი (მაგალითად, სავალუტო პოლიტიკასთან, სოფლის მეურნეობასთან და თევზჭერასთან, თავდაცვასა და საგარეო საქმიანობასთან დაკავშირებით) მიიღება ევროპული ინსტიტუტებისა და არა წევრი სახელმწიფოების მიერ.

ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ გლობალიზაციის ტენდენციამ წარმატებით შეუწყო ხელი სახელმწიფოს ტრადიციული გაგების სახეცვლილების დაწყებას. რა თქმა უნდა, სუვერენიტეტი, რომელიც სახელმწიფოს განმსაზღვრელ თვისებას წარმოადგენს უკვე აღარ არსებობს იმ გაგებით, რომ იგი უზენაეს და ექსკლუზიურ მმართველობას ნიშნავდა. დღეს სახელმწიფოებს პოსტ-სუვერენულ პირობებში უწევთ არსებობა, სადაც გადამწყვეტია ურთიერთდამოკიდებულება და ღიაობა. თუმცა, ამან შეიძლება მიგვიყვანოს არა სახელმწიფოს დაკნინებამდე, არამედ განსხვავებული ტიპის სახელმწიფოს აღმოცენებამდე. მართალია სოციალური-დემოკრატიული სახელმწიფოები, როგორიც იყო მაგალითად – კოლექტივიზირებული სახელმწიფოები, ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდნენ, მაგრამ მათი ადგილი ახლად აღმოცენებულმა, „კონკურენტუნარიანმა" სახელმწიფოებმა დაიკავეს, რომლებიც უკეთ არიან მორგებულნი გლობალიზებული ეკონომიკის მოთხოვნებზე. ასეთი ქვეყნების მთავარი ზრუნვის საგანს წარმოადგენს, მაგალითად, ახალ, ტექნოლოგიებზე დამოკიდებულ ეკონომიკაში განათლებისა და გადამზადების გაძლიერების საჭიროება, ბაზრის რეაგირების გაზრდის სურვილი მეწარმეობისა და შრომითი ძალის მოქნილობის ხელშეწყობის მეშვეობით და სოციალური გარიყულობის წინააღმდეგ ბრძოლა და საზოგადოების მორალური საფუძვლების გამყარება. პოლიტიკურ გლობალიზაციას შეუძლია როგორც ახალი შესაძლებლობების მიცემა სახელმწიფოსთვის, ისე მათი შეზღუდვა. ეს კარგადაა გადმოცემული ე.წ. „გაერთიანებული" სუვერენიტეტის იდეაში, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოს, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედების პირობებში სუსტი და არაეფექტურია, უფრო მეტი გავლენის მოპოვება შეუძლია, თუ საერთაშორისო ან

რეგიონალური ინსტიტუტების მეშვეობით სხვა სახელმწიფოებთან ერთად იმოქმედებს. ამის ტენდენცია შეიმჩნევა იმ ფაქტში, რომ ევროკავშირის მინისტრთა საბჭო, რომელიც ევროკავშირის ყველაზე გავლენიან გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს წარმოადგენს, შედგება წევრი სახელმწიფოებისგან და ასრულებს ერთგვარი ფორუმის ფუნქციას, სადაც სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებს საშუალება აქვთ რეგიონალურ დონეზე მიიღონ გადაწყვეტილებები.

სახელმწიფოს სახეცვლილება

1980-1990-იან წლებში, განსაკუთრებით აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში, მთავრობების მხრიდან ადგილი ჰქონდა მიზანმიმართულ იერიშს სახელმწიფოს იდეაზე. ამ ტენდენციის შთაგონების წყაროს ახალი მემარჯვენეების პრიორიტეტები და შეხედულებები წარმოადგენდა. საბოლოოდ, ამან მიგვიყვანა სახელმწიფოს როლის დაკნინებაზე ისეთ პოლიტიკების გატარების მეშვეობით, როგორიცაა: დერეგულაცია, **პრივატიზაცია** და საჯარო სამსახურებში საბაზრო რეფორმების შემოტანა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მიდგომები სხვა ქვეყნებშიც იქნა გამოყენებული. ამ მხრივ დიდი ენთუზიაზმით გამოირჩეოდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტ-კომუნისტური რეჟიმები, რომლებიც თავიანთი კოლექტივიზირებული სახელმწიფოს მანქანების განადგურებას ესწრაფვოდნენ. თუმცა, სახელმწიფოს ფუნქციების შეკვეცა განსაკუთრებით დაჩქარდა ისეთ ქვეყნებში სადაც დიდი პოპულარობით სარგებლობდა საბაზრო და სახელმწიფოს, როგორც სტრუქტურის წინააღმდეგ მიმართული მოსაზრება, რომ „კერძო – კარგია; საჯარო კი – ცუდი.“ აღსანიშნავია აგრეთვე მზარდი გლობალური კონკურენციით გამოწვეული ზეწოლა, საჯარო პოლიტიკის განვითარებისა და საჯარო მომსახურების მიწოდების უფრო ეფექტური საშუალებების შექმნის საჭიროება, რაც გამოწვეულია მთავრობიდან 'მმართველობაზე' გადასვლის ტენდენციით. აღნიშნული იდეა ასახავს იმ ფაქტს, რომ ვინაიდან საზოგადოება უფრო რთული და მოქნილი გახდა, დღის წესრიგში დადგა მმართველობის ახალი მეთოდების შექმნის აუცილებლობა, რაც ნაკლებად დაეყრდნობოდა იერარქიულ სახელმწიფო ინსტიტუტებს და ამით კიდევ უფრო გადაშლიდა ზღვარს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის. პოლიტიკაში მმართველობაზე გადასვლა ყველაზე ნათლად გამოხატული ტენდენციაა. იგი მოიცავს კერძო ინვესტიციების მეშვეობით საჯარო პროგრამების დაფინანსების მზარდ ტენდენციას; მთავრობის 'ხელახლა გამოგონებას,' რაც განპირობებულია პირდაპირი დამხმარის როლის უარყოფითა და მის ნაცვლად, სახელმწიფოს, როგორც 'გამაძლიერებლის' ან 'მარეგულირებლის' დამკვიდრებით, საჯარო მომსახურების უზრუნველყოფაში კვაზი-სამთავრობო და კერძო ორგანიზაციების გამოყენების გაზრდით და 'ახალი საჯარო მართვის' აღმოცენებით, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოდ იყენებს კერძო სექტორში დანერგილი მართვის მეთოდებს მთავრობაში.

პრივატიზაცია: სახელმწიფო ქონების გადაცემა საჯაროდან კერძო სექტორისთვის, რაც სახელმწიფოს ვალდებულებების შეკვეცაზე მეტყველებს.

ქვესახელმწიფო ერთეულების მმართველობა

სახელმწიფოსთვის კიდევ ერთ გამოწვევას დეცენტრალიზაციის მოთხოვნა წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ეროვნული ანუ ცენტრალური დონიდან ადგილობრივ ანუ თემის დონისთვის პასუხისმგებლობების გადაცემა. ეს პროცესი უნივერსალურია, მაგრამ მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში საზოგადოებისა და ეთნიკური პოლიტიკის მზარდმა მნიშვნელობამ ადგილობრივი და რეგიონული უწყებების გაძლიერების მოთხოვნამდე მიგვიყვანა. მაგალითად, 1999 წელს შოტლანდიის პარლამენტისა და უელსის ასამბლეის შექმნამ დიდი ბრიტანეთი ისეთ ევროპული სახელმწიფოების გვერდით დააყენა, როგორიცაა: ესპანეთი, საფარანგეთი და იტალია, რომელთაც ადგილობრივი მმართველობის საკმაოდ ძლიერი რგოლი ჰქონდათ. შოტლანდიის შემთხვევაში საჭირო გახდა არჩეული

თვითმმართველობის შემოღება, რაც უდაოდ 'კვაზი-ფედერალიზმს' უტოლდება. უფრო მეტიც, ევროკავშირის ცენტრიდანულმა ძალებმა მიგვიყვანეს 'ევროპის რეგიონის' იდეამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ რეგიონული ინსტიტუტები და ჯგუფები სულ უფრო და უფრო მეტად ცდილობენ პირდაპირი წვდომა იქონიონ ევროკავშირის ორგანოებთან და ამიტომ გვერდს უვლიან თავიანთი ქვეყნების მთავრობებს. ამან საფუძველი დაუფო **მრავალდონიანი მმართველობის** ფორმების ჩამოყალიბებას ევროკავშირში, რომელიც მოიცავს: ქვესახელმწიფო, სახელმწიფო და ზესახელმწიფო სტრუქტურებს. აღნიშნულის გაანალიზება სახელმწიფოს ტრადიციული ინტერპრეტაციით რთულია. უკიდურეს ფორმებში, ცენტრიდანული ძალების ზეწოლას სახელმწიფო ძალაუფლების სახეცვლილებამდე ანუ თავად სახელმწიფოს ჩამოგდებამდე მივყავართ. მზარდმა ეთნიკურმა ნაციონალიზმმა 1993 წელს ჩეხოსლოვაკიის დაშლა და ცალკე სახელმწიფოების – ჩეხეთისა და სლოვაკეთის შექმნა გამოიწვია. 1990-იანი წლების დასაწყისში კი იუგოსლავიის სახელმწიფო სამოქალაქო ომმა გახლიჩა, რომელსაც საფუძვლად ნაციონალისტური ამბიციებისა და ეთნიკური დაპირისპირების ნაზავი ედო საფუძვლად.

მრავალდონიანი მმართველობა: რთული პოლიტიკური პროცესი, რომელიც მოიცავს ქვესახელმწიფო, სახელმწიფო და ზესახელმწიფო დონეებს და როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო აქტორებს.

შეჯამება

- სახელმწიფო არის პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც განსაზღვრულ ტერიტორიულ საზღვრებში სუვერენულ იურისდიქციას ახორციელებს. მისი ერთ-ერთ შემადგენელი ნაწილის, მთავრობისაგან განსხვავებით, სახელმწიფო აერთიანებს ყველა საჯარო ინსტიტუტს და განუხრელ ძალაუფლებას ფლობს გამომდინარე იმ დაშვებიდან, რომ იგი გამოხატავს საზოგადოების და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიისა თუ პოლიტიკური ჯგუფის მუდმივ ინტერესებს.

- სახელმწიფოს რაობის რამდენიმე განმსაზღვრელი თეორია არსებობს. პლურალისტები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო საზოგადოების დაპირისპირებული ჯგუფების ინტერესების მიუკერძოებელ არბიტრს წარმოადგენს; მარქსისტები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო ამყარებს კლასობრივ სისტემას ჩაგრული კლასების დაჩაგვრის ან კლასობრივი დაპირისპირების გაღრმავების გზით. ახალი მემარჯვენეები კი სახელმწიფოს თვითკმარ ურჩხულად წარმოადგენენ, რომელიც გაფართოებისა და მოხვეჭისკენაა მიდრეკილი. რადიკალი ფემინისტები კი იმ პატრიარქალურ გადახრებზე მიგვითითებენ, რაც სახელმწიფოში მამაკაცთა ძალაუფლებას აძლიერებს.

- სახელმწიფოს იდეის მომხრეები მასში ან პიროვნების თანამოქალაქეებისაგან დაცვის იარაღს ხედავენ, ან იმ მექანიზმს, რომელმაც კოლექტიური ქმედებების ორგანიზება უნდა მოახერხოს. თუმცა კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო გაბატონებული სოციალური ჯგუფების ინტერესს ემსახურება.

- სახელმწიფოები ყოველთვის განსხვავებულ როლს თამაშობდნენ. მინიმალისტური სახელმწიფოები მხოლოდ წესრიგის უზრუნველყოფაზე ზრუნავდნენ, ევოლუციური სახელმწიფოები დოვლათის შექმნას და ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისკენ მიისწრაფვოდნენ; სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოები უთანასწორობის მოსპობასა და საბაზრო ეკონომიკის უსამართლობის აღმოფხვრას ისახავდნენ მიზნად; კოლექტივიზირებული სახელმწიფოები საკუთარ კონტროლს უქვემდებარებდნენ ქვეყნის მთელ ეკონომიკას; ტოტალიტარულ სახელმწიფოებს ყოვლისმომცველი პოლიტიზირება ახასიათებთ და ფაქტიურად, სამოქალაქო საზოგადოების ამოძირკვას ცდილობდნენ.

- თანამედროვე სახელმწიფო მრავალი საფრთხის წინაშე დგას. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია: გლობალიზაცია, რომელიც ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების სახითაა წარმოდგენილი და ზესახელმწიფო ძალების აღმოცენება; ადგილი აქვს სახელმწიფოს ფუნქციის დაკნინებას ვინაიდან, ხდება ვალდებულებების გადაცემა კერძო ინსტიტუტებზე და აგრეთვე ძალაუფლების დეცენტრალიზაცია, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტებიდან, რეგიონული, პროვინციული ან ადგილობრივი ერთეულებისთვის გარკვეული ვალდებულებების გადაცემაში გამოიხატება.

კითხვები განსასჯელად

- მართლა ასეთი „უსიხარულო, დაუნდობელი და ხანმოკლე“ იქნებოდა ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანის სიცოცხლე?
- მთავრობა აკონტროლებს სახელმწიფოს თუ პირიქით?
- შეიძლება თუ არა სახელმწიფო საზოგადოებები მიუკერძოებელ ერთულად ჩავთვალოთ ურთიერთდაპირისპირებულ საზოგადოებრივ ინტერესებთან მიმართებაში?
- აუცილებლად იწვევს თუ არა სახელმწიფო ელიტის არსი და წარმომავლობა მიკერძოებულობას?
- როგორი უნდა იყოს ჯანსაღი ურთიერთობა სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის?
- რა დონემდე მოხდება სახელმწიფოსთვის ფუნქციების ჩამორთმევა, რის შემდეგადაც იგი არსებობას შეწყვეტს?
- ნიშნავს თუ არა გლობალიზაცია იმას, რომ სახელმწიფო საჭირო აღარ იქნება?

ტერმინებისა და პიროვნებების საძიებელი

აბსოლუტიზმი 129
ადამიანთა უფლებები 85
ავტორიტარიზმი 144
აზიური ფასეულობები 143
ალექსანდრე ჰამილტონი 97
ანტისემიტიზმი 90
ანტონიო გრამში 44
არისტოტელე 14
ახალი დემოკრატიები 140
„ბუნებრივი მდგომარეობა“ 154
ბურჟუაზია 156
გამაერთიანებელი დემოკრატია 139
განსაკუთრებულობა 139
გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი 150
დასავლეთი 139
დევოლუცია 103
დემაგოგი 130
დემოკრატიზაცია 134
ეთნიკური ნაციონალიზმი 105
ეთნიკური წმენდა 87
ეთნიკურობა 104
ეთნოცენტრიზმი 128
ეკოლოგისტები 50
ერი 78
ეროვნული თვითგამორკვევა 84
ვესტმინსტერის მოდელი 138
თეოკრატია 143
იდეალური ტიპი 29
კოლექტივიზაცია 165
კოლონიალიზმი 92
კომუნიზმი 141
კონსენსუსი 18
კონსერვატორები 50
კონსტიტუციური მმართველობა 152
კონფუციანიზმი 142
კოსმოპოლიტიზმი 85
კულტურული ნაციონალიზმი 79
ლიბერალები 50
ლიბერალური დემოკრატია 132
მართვა 13
მეცნიერება, სამეცნიერო მეთოდოლოგია 27
მთავრობის აღმასრულებელი განშტოება 99
მთავრობის საკანონმდებლო განშტოება 99
მთლიანი შიდა პროდუქტი 132
მმართველობა 126
მრავალდონიანი მმართველობა 169
ნახევრად-დემოკრატიები 140
ნეო-მარქსიზმი 158
ნეოპლურალიზმი 156
ნიკოლო მაკიაველი 13
პან-ნაციონალიზმი 91
პარადიგმა 32, 79
პატრიარქატი 160
პატრიოტიზმი 87
პიერ-ჯოზეფ პრუდონი 96
პლატონი 22
პოლიარქია 137
პოლიტიკური ვალდებულება 154
პოლიტიკური სისტემა 127
პრაგმატიზმი 46
პრივატიზაცია 168
რადიკალური ფემინიზმი 161
რასიალიზმი, რასიზმი 89
რელიგიური ფუნდამენტალისტები 50
რესპუბლიკანიზმი 130
რობერტ ნოზიკი 163
სამოქალაქო საზოგადოება 16, 132
სარეზერვო შრომითი ძალა 161
სახელმწიფო 151
სოციალისტები 50
„სოციალური კონტრაქტის“ თეორია 155
სოციალური სამართლიანობა 165
სტატიზმი 165
ტოტალიტარიზმი 131
ტრაიბალიზმი 85
უტოპია, უტოპიზმი 127
უფლებები 163
ფაშისტები 50
ფრენსის ფუკუიამა 133
ქსენოფობია 83
ქუანგო 102
შარიათი 145
ცენტრალიზაცია 94
ძალაუფლება 15
წერილობითი კონსტიტუცია 99
ხელისუფლება 12
„ხუთი ვეფხვის“ ეკონომიკა 164
ხუნტა 146
ჯინგოიზმი 88
ჯუზეპე მაზინი 83
ჰანა არენდტი 17

© CTC-ACETT